შ. დადიანი

პიესები

ტომი მეორე

ტფილისი
სახელმწიფო გამომცემლობა
1934

899.962.1
დ. 15 — პ.

ტექრედაქტორი: ბ. გორდეზიანი
კორექტორი: ა. ჯალაღანია
გადაეცა წარმოებას 25/X-33 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 2/IV-34 წ.
სტ. ქ. 62×94. ს. ნ. ფ. 37.000
მთავლიტის რწმ. № ა — 1234
ტირაჟი 3.000. შეკვ. № 815
სახელგამის I სტ., პლეხანოვის პრ. № 91

შალვა დადიანის შემოქმედება

თავის შემოქმედების საბჭოთა პერიოდში შალვა დადიანმა მრავალგზით სცადა პირისპირ მისულიყო ჩვენს სინამდვილესთან, ხან მოლიმარ, საოხუნჯო, სალაღობო ტონით — „კაკალ გულში“ (1928 წ.) „ცოცხი და ლოკოკინა“ (1929 წ.), „უწა-უწა“ (1931 წ.) — ხან დაჭიმულ დრამის თუ ტრაგედიის ფორმით — „თეთნულდი“ (1930 წ.), „შავი ქვა“ (1932 წელი).

შალვა დადიანის შემოქმედებისათვის წინათაც არ ყოფილა უცხო თანადროულ სოციალური პრობლემატიკა. პიესაში „როს ნადიმობდენ“, რომელიც დაწერილია პირველი რევოლუციის დასავალზე, 1906 წ. ოდესაში, მაყურებლის წინ, როგორც კალეიდოსკოპში, გაივლიან სხვადასხვა საზოგადოებრივი კლასების და ჯგუფების წარმომადგენლები — თავადი, კლერიკალი, ინტელიგენტი, ბურჟუა, გლეხი და მუშა. ყველა მაგიდას მუშტსა სცემს და თავის პრეტენზიას აცხადებს სანადიმოდ გამართულ სუფრაზე. პირველ ხანებში თავადი და ბურჟუა თითქოს ვერ რიგდებიან სუფრაზე, მაგრამ როცა გამოჩნდება საერთო მოწინააღმდეგე — მუშა, მაშინ თავადი და ბერი ერთხმაზე ამეტყველდებიან და თავზარდაცემულნი გაჰყვირიან პოლიციაზე მუშა აქეზებს დამფრთხალ გლეხს, — „საით, საით გარბიხარ, აქ იყავ ჩვენთან, გვერდს ამოგვიგდეგ, როგორ ვერ ამჩნევ, რომ ეს სანადიმო ყველა ჩვენი შექმნილია, ჩვენით ნადიმობენ». ახლოვდება მუშათა ლაშქარი — მუშა ამაყად სცემს მუშტს მაგიდაზე — „მე აქამდის ვთხოულობდი, მაგრამ მოვა ეს ლაშქარი და ძალით წაიღებს იმას, რაც სიმართლით მას ეკუთვნის“. სანახაობა სრულდება მუშათა ლაშქარის გამარჯვებით. ეს ერთ მოქმედებიანი პიესა მშრალი და სქემატიურია. მაგრამ რეაქციის სუსხში და ინტელიგენციის უიმედობის განწყობილებათა ხანაში, განმარტოებულ ინტელიგენტის მიერ ასეთია აქტუალურ სოციალურ პრობლემაზე დაწერილი პიესა უკვე დიდი მიღწევა იყო.

შემდეგი მნიშვნელოვანი პიესა „ვარამი“ (1916 წ.). სოციალურის თვალსაზრისით უკან დახევას წარმოადგენდა, თუმცა აქაც ისე,

როგორც 1920 წელში დაწერილ „გეგეჭკორში“, მოცემული იყო ხალხის ბატონობის, ხალხის სუვერენიტეტის იდეისათვის ბრძოლა. ფონი, რომელსაც ამ ბრძოლისათვისაა აღებული, ავტორის ფანტაზიით მოვარაყებული თამარის ეპოქას, რომლის პერსონიფიკაცია მოცემულია იდეალიზირებული თამარ მეფის სახეში, სავსებით აქარწყლებს პიესის ვითომდა წამყვან იდეას. ამიტომაა, რომ ხალხის ბატონობისთვის მებრძოლ ვარამს სხვა არაფერი რჩება თავის საბრძოლო მიზნის დასასაბუთებლად, თუ არ უნიათო და უხერხემლო განცხადება; „კიდევ კარგია, რომ ამჟამად ისეთი დიდებული ადამიანი განაგებს ჩვენი ქვეყნის საქმეს, როგორც თამარ მეფეა„. თქმულა: „თვითმპყრობელობა კარგია, ოდეს ტახტსა ჯდეს ბრძენია“. ის გრძნობს, რომ ამ პირობებში, საცა გაშლილია მაქსიმუმი თვითმპყრობელობის ბრწყინვალეპისა და მისგან მიმობნეულ მოწყალებისა (რაკსავირველია, ავტორის ფანტაზიაში. ა. ჭ.), საგრძნობად კარგავს მიმზიდველ და დამარწმუნებელ ძალას ხალხის ბატონობისათვის ბრძოლის იდეა.

უფრო მძაფრად არის მოხაზული სოციალური წინააღმდეგობანი „გეგეჭკორში“, სადაც ავტორი იძლევა სურათებს სამეგრელოს გაძვალტყავებულ გლეხობის ბრძოლისას თავიანთ დესპოტი-მთავრის წინააღმდეგ. მაგრამ აქაც დესპოტ-ფეოდალის იდეალიზაცია, მის ფიგურაში ჩრდილისა და შუქის თამაში აქარწყლებს პიესის წამყვან იდეას.

„გუშინდელნი“ (1917 წ.) პირველი დრამატიული ნაწარმოებია შალვა დადიანისა, დაწერილი რეალისტურ ხერხებით. მოქმედება წარმოებს 1905 წლის რევოლუციის მიწურულში, იმერეთის სოფლის ფონზე. რევოლუციური ამბოხება ჩახშობილია. ხალხს ყელზე აქვს დაბჯენილი რეაქციის რკინის მუხლი. მთელი პიესა გამსჭვალულია ბინდის, მწუხრის განწყობილებით, რევოლუციის ძალები ან განადგურებულია, ან დაქსაქსული. ერთ დროს რევოლუციურ ფრაზით გატაცებული ინტელიგენტი ალიკო ეხლა ელინისტურ სხეულის კულტზე ოცნებობს. ლეგალიზირებული სოციალდემოკრატი კარლო ყაყუტაძე ნიგილისტურ, აპატიურ განწყობილებაშია ჩავარდნილი. უპატრონოდ დარჩენილი სოფელი ისევ ნაზრის უფროსის გამასპინძლებითა და მისთვის პეტიციების და „დანოსების“ მირთმევით ცდილობს იმ სავალალო მდგომარეობიდან გამოსვლას, რომელშიაც ის ჩავარდნილია. ქეიფი მაზრის უფროსის გულის მოსაგებად, ღრიანცელი და შემდეგ უპატრონობა, იგივე გაპარტახება, გამოთმული ერთი გმირის წუწუნში — „ყველანი წავიდენ... ჰაი ჰუი და ყოველივე

ისე დარჩა, როგორც იყო—ციხე-ბურჯი ისევ უპატრონოდ მიტოვებული, ეკლესია გუმბათგადამტვრეული, სასწავლებელი კარგამოკეტილი, ბაღი გაველრანებული, ბოგირი ჩაცვივნული, გზები ისევ გაფუჭებული".

ავტორი ვერ სჭვრეტს რევოლუციის იმ ძალებს, რომლებიც ამ სუსხის დროს შემუსვრილნი იყვნენ, მაგრამ იკრებდენ ძალებს, ეზადებოდენ ახალ შეტევისათვის. აქედან ის უიმედობისა და უპერსპექტივობის განწყობილება, რომლითაც გამსჭვალულია პიესა თავიდან ბოლომდე.

კომედია „კაკალ გულში" ავტორის პირველი ცდა იყო უშუალოდ მისელისა ჩვენს სინამდვილესთან. და ეს „პირველი კვერი" ჩანაცრული და ჩაჭყლეტილი გამოვიდა, მიუხედავად ზოგიერთ ოსტატური შტრიხებით მოხაზულ სახეების. საბჭოთა აპარატი აქ არის განხილული მთელი ჩვენი სინამდვილისაგან მოწყვეტილად და მისი ზოგიერთ ელემენტების გადაგვარება თითქმის მის არსებად არის დასახული. პოზიტიური, წამყვანი ძალები საბჭოთა აპარატის უსიცოცხლო საქმეებშია მოცემული და ამიტომ ეს პიესაც თითქმის ისევე უპერსპექტივოა, როგორც „გუშინდელნი".

„თეთნულდი" წარმოადგენს ცდას ძველი და ახალი ქვეყნის შორის გამართულ ბრძოლის ფართო ტრაგიულ პლანში ჩვენებისა. ფონად აღებულია ჩვენი ქვეყნის მივარდნილი, ჩამორჩენილი კუთხე. მაგრამ ძველი და ახალი სამყაროს შეჯახება ხდება არა იმ კონკრეტულ ბრძოლისა და მშენებლობის ნიადაგზე, რომელიც დღიდან დღეზე სცვლის საბჭოთა კავშირის ყველაზე ჩამორჩენილ კუთხეებს, არამედ ჩვენი სინამდვილის ისეთს, შედარებით განაპირებულ, მონაკვეთზე როგორიც არის მთათმსვლელობა. რეალური სინამდვილე, ყოველდღიური მშენებლობა, რომელიც მიმდინარეობს სვანეთში გასაბჭოების დღიდან, მოცემულია უფრო მომქედ პირთა თხრობაში, ვიდრე მათს სცენიურ მოქმედებაში. ყველაფერი ეს ხელოვნურად არის მიწებებული ამ ორი ალპინისტის სრბოლასთან თეთნულდის მწვერვალის დასაძლევად.

შალვა დადიანის უკანასკნელ, დიდ პლანში მოცემულ დრამატიული ნაწარმოების „შავი ქვის" თემაა მძაფრი კლასობრივი ბრძოლა, რომელიც იშლება ჩვენი მშენებლობის ყოველ მონაკვეთზე ძველსა და ახალს, სოციალისტურ და კაპიტალისტურ ელემენტებს შორის. ეს ბრძოლა ნაჩვენებია სოციალისტურ და კაპიტალისტურ სამყაროს უშუალო შეჯახების ისეთ თავისებურ კვანძში, როგორიც იყო ჰარიმანის კონცესია ჭიათურის მაღაროებში 1926-1928 წლებში.

შალვა დადიანის დრამატიულ შემოქმედების განვითარებისთვის უკანასკნელ პერიოდში დამახასიათებელია აგრეთვე ეგნატე ნინოშვილის მოთხრობების დრამატიული მონტაჟი—„ნინოშვილის გურია„.

კომედია „ცოცხი და ლოკოკინას“ თემად აღებულია შრომის სოციალისტური ფორმები, სოცშეჯიბრი და დამკვრელობა. მოქმედება იშლება ჭიათურის მაღაროებში. თუმცა ავტორი იცნობს ამ გარემოს, შავი ქვის წარმოების ტექნიკას, ზემოიმერეთის სოფლის ყოფას, პიესა მაინც ერთობ სქემატიურის, ნაძალადევად შეკრულის შთაბეჭდილებას სტოვებს. აქაც ისევე როგორც „კაკალ გულში“ დადებითი ტიპები (ლომია, მაკრინე და სხვ.) წარმოადგენენ უფრო რევოლუციურ ქველობის და კეთილშობილების განხორციელებას, კომუნისტური მორალის ფორმულებს ვიდრე ცოცხალ ადამიანებს. შ. დადიანიც, როგორც გამოცდილი დრამატურგი და სცენის პრაქტიკი გრძნობს ამ ტიპაჟის სქემატიურობას და უსიცოცხლობას და ამიტომ ზოგჯერ ხელოვნურათ „წამოაფართხალებს“ ამა თუ იმ გმირს, რომ შემდეგ ისევ აიყვანოს ის უმწიკვლობის პიედასტალზე (ლომიას გატაცება მეგანქანე ვარიათი). ბრძოლა მავნებლებთან, მგლეჯელებთან ზარმაცებთან, ცუღლუტებთან მაღაროებში მოცემულია ძალიან მოსაწყენ ქადაგებაში, რეზოლუციების სტილით დაწერილ დიალოგებში. უარყოფითი ტიპაჟი თითქოს უფრო ცოცხლად არის მოხაზული, მაგრამ მათ მოქმედებას ხშირად აკლია მოტივირება, ხშირად ისინი ბრმად, თვალდახუჭულად მიდიან მავნებლობაზე, ეწევიან დამრღვევ მუშაობას, არასოდეს არ სცდილობენ შენიღბონ თავისი სახე. ამიტომ მოქმედება ჰკარგავს დამარწმუნებლობას. პიესისთვის კოლორიტის და ერთგვარ „სანელებლების“ მიმატების მიზნით ავტორს ზოგჯერ ვულგარულ მომენტების შემოტანას არ ერიდება (ბებერ ნარიმანას ტრფიალი მის ენაბლუ შვილიშვილთან).

კომედია „არაფერიც არ იქნება“ იდეოლოგიურის თვალსაზრისით უფრო ბუნდოვანია. თემა კლასობრივი ბრძოლა სოფლად — კოოპერაციის გარშემო. ფონი—კახეთის მიყრუებული სოფელი. კლასობრივ მტრის ბანაკი თავს იყრის გენო ჩოფურაშვილის გარშემო. აქედან მიაქვთ იერიში კომკავშირზე, კოოპერაციაზე. და სხვ.

ჩოფურაშვილი ძალიან ბუნდოვანათ არის მოხაზული. თითქოს ძველი რევოლუციონერი, ძველი საზოგადო მოღვაწე, ხალხის მოსარჩლე, და სინათლისა და კულტურის შემტანი სოფლად, ეხლა კი კულაკურ და ანტისაბჭოთა ელემენტების ორგანიზატორი, რომელიც ებრძვის კოოპერაციას სოფლად. პიესის დასასრული შედარებით „მშრალად“ გამოდის მთავარ კლასობრივ მოწინააღმდეგეთ გამოყვა-

ნილია ლოთი მედოლე ზურაბა, რომელიც სოფლის ჭორებზე აგებულ იქვნეულობის გამო სწვავს კოოპერატივის შენობას ეს სოფლური ჭორიკანობა, ენატანიობა და თმის წეწვა მდარეევოდევილური ხერხები ქმნის არსებითად პიესის მთელ კოლორიტს. ავტორი ვერ იჩენს კახურ სოფლის საკმაო ცოდნას, ამიტომ ის სოფლის კოლორიტს ხშირად სცვლის ქალაქურ კინტოური ჟანგონით.

ესევე ითქმის კომედიაზე „უწა-უწა". თემაა კლასობრივი ბრძოლა საზოგადოებრივ კვების ფრონტზე, ისევ სქემატიურ სახეებში, ისევ რეზოლიუციების სტილში დაწერილ დიალოგებში მოცემული. ისეთივე სუსტი მოტივაცია მოქმედების, ასეთივე ბრმა თვალახვეული მოქმედება კლასობრივ მოწინააღმდეგისა. პიესას ერთგვარ კოლორიტს აძლევს ყოფილ ადამიანის ბუნაგი-კოსმეტიკის კაბინეტი როზა —ისა . მაგრამ ხშირად ამ ყოფილი ადამიანების მოცემა თვითმიზნად იქცევა.

შ. დადიანი თავისი კალმის პროდუქტულობით ქართველ ლოპე-დე-ვეგათ შეიძლება იქნას დახასიათებული მის კალამს ეკუთვნის რამდენიმე ათეული პიესა, მაგრამ ბევრი მათგანი ვერ შერჩა სცენას. უკანასკნელი დროის მისი შემოქმედებითი პრაქტიკაც ხასიათდება ასეთივე პროდუქტიულობით. მაგრამ ეს რაოდენობითი მოვლენა ყოველთვის არ მიმდინარეობს ხარისხობრივ-იდეიურ, შინაარსის აღმავლობის ხაზით. მიუხედავათ შემოქმედებითი გარდაქმნისა, შ. დადიანი ჯერ კიდევ ყოველთვის უშუალოდ, ღრმად, სათანადო იდეიური გამართულებით ვერ უდგება ჩვენ სინამდვილეს.

ა. ბ ე ი შ ვ ი ლ ი

კაკალ გულში

პიესა 3 მოქმედებათ

მოქმედნი:

ჭალარა, დაწესებულების უფროსი.

კვეუენაძე, მისი თანაშემწე.

გოჩოლავა
რინკველი
ირინარხ პარასკიდი } განყოფილებათა გამგეები.

ირაკლი
მარო } დაწესებულების თანამშრომელნი.

მოხუცი
ახალგაზდა } დარაჯები დაწესებულებისა.

მარტიროსოვი, სახლის პატრონი.

უცხოელი, ჟურნალისტი.

თარჯიმანი, პრესის წარმომადგენელი.

მგზავრი, ჭალარას ამხანაგი.

მაკა, ჭალარას დედობილი.

დარბაიძე
თამუნია
ნადიკო
ცაცა } ქალები.

თიკო, მოსამსახურე გოგო.

დაწესებულების თანამშრომლები, მთხოვნელები, მუშები, კომკავშირელები.

მოქმედება პირველი

ფართო დარბაზი. ეტყობა ოდესღაც მისაღები, სასტუმრო ოთახი ყოფილა, მდიდრულათ მორთული. ერთ კუთხეში დგას მეტად ძვირფასი, ჩინურის სურათებით და ინკრუსტაციებით შემკული, შავი ხის შირმა. მუშები საკანცელარიოთ ამზადებენ დარბაზს. შემოაქვთ მაგიდები და გააქვთ რბილი ავეჯი. ფანჯრებზე სალუქ, მარმაშის ფარდებს და გარდინებს ხსნიან, კედლებზე — ოქროს ჩარჩოებში დიდროვან საღებავით დახატულ სურათებს. დიდი ფუსფუსია და ორომტრიალი. თანამშრომლები დარბიან, მოაქვთ ქაღალდები, სამწერლო ჭურჭლები და მასალა. ოთახს გადაირბენს ირინარხი.

1

1-ლი თანამშრომელი (მისძახის) ირინარხ, ირინარხ!

მე-2 თანამშრ. (მეორე მხრიდან შემორბის და მისძახის) ამხანაგო... ამხანაგო... კაცო!—ვერ ვისწავლე ამის სახელი...

1-ლი ვისი?.. ირინარხის?

მე-2 ირინეა... არხია... თუ რაღაცა... ვერ დავიხსომე და...

ირაკლი (უადგილო ალაგას მდგარ მაგიდასთან ზეზეურათ ქაღალდებს ჩაღრმავებია. თავს არ იღებს) არხია, ძმაო, არხი... ჩვენთვის ახლა არხიეფისკოპოსიცაა და ყველაფერი...

მე-2 როგორ?

1-ლი არ იცი?

2

3 და 4 თანამშრ. (შემოცვივიან) აქ ირიკო არ არის? (იქით-აქეთ ეძახიან) ირიკო! ირიკო! (ერთ-ერთი ხმას აუმაღლებს) ვირიკო, ვირიკო!..

ირაკლი (ისევ ისე) ჩუ... ჩუმათ, ყმაწვილებო!

ყველა (პირველის გარდა) რა იყო? რა მოხდა?

ირაკლი (თავს აიღებს, თითქო საზეიმო კილოთი) ამიერიდან ვირიკო და ირიკო აღარ არსებობს...

1-ლი განა არ იცით რაცა ჰქვიან?

მე-2 რა ვიცი ან რა ოხრათ ძინდა?

მე-3 როგორ თუ რა ოხრათ გინდა... აგერ სამი დღეა დავდევ და არ იქნა ხელთ ვერ დავიჭირე... აუარებელი საქმე მაქვს... უფროსმა მითხრა მაგას მიმართეო...

მე-2 მეც ეგრე არ მჭირს...

მე-4 ჰო და ირიკოს ვეძებთ ყველანი.

მე-3 აქამდის სულ ირიკოს და ვირიკოს ვეძახოდით.

ირაკლი ჰო და გაიგეთ, რომ ეგ დაუნიშნავთ ჩვენი განყოფილების გამგეთ და სახელადაც ირიკო კი არა...

1-ლი ირინარხი ქვიან...

ირაკლი და მარტო ირინარხი კი არა, არამედ ირინარხ პოლიხ-რონიევიჩ პარასკიდი.

მე-2 აი ჯანდაბას მაგის თავი და ტანი...

მე-3 კაი ადვილი სახელი და გვარი არ ქონია!

მე-4 მშვენიერი გამოსათქმელია, მე შენ გეტყვი...

მე-3 რაც უნდა ის ერქვას მაგ ოჯახქორს, რა ვუყო ახლა, მაგრამ ეს საქმეები, საქმეები!.. აგერ სამი დღეა ხელით დამაქვს...

ირაკლი რა შენი სცალია, მთელი დაწესებულება თავდაყირაა დაყენებული. ახალ ბინაზე გადმოვედით და მაგან უნდა გადა-გვარიგოს, გაგვანაწილოს...

მე-2 კარგი, მაგრამ საქმეებს ხომ შესრულება უნდა.

3

ირინარხი (გამორბის და უნდა ოთახი გადაირბინოს. წინ გადაეღობებიან თანამშრომლები).

თანამშრ. ირიკო... ირინარხ... ბატონო ირინ...

ირინარხი (ცოტა ბერძნულათ უქცევს) ბათონო, ბათონო... ხომ იცი, საცა არიან...

მე-3 უკაცრავად... მაგრამ მაგას არ დავეძებ ეხლა... აი ეს საქმეები... (უჩვენებს პაპკას).

ირინარხი ოჰოჰო... აბა ეხლა სად მცალია მაგისთვის... (მუშებს) მაგას რას ჩადიხარ... აა, ეგ შირმა ჯერ იყოს მანდა... შემდეგ ჩემს კაბინეტში გადვიტან... (სხვა მუშას) აქ წამომყე... (გარბის).

მე-4 ვერცხლის წყალია ნამდვილათ... ხელში ვერ დაიჭერ...

მე-2 საიდან გამოტყვრა ეგ ოხერი?!

ირაკლი სტავროპოლიდან, ჩემო ძმაო...

მე-4 კაცო, შენ არ თქვი მაგის გვარი პარასკეფია თუ რაღაც.

ირაკლი პარასკიდი.

მე-4 ჰო და ეგ პარასკიდი ბერძნული გვარი არ არის?

მე-2 ბერძენს სტავროპოლში რა უნდოდა?

ირაკლი დამსახურებული კაცია...

მე-3 შენ რა არ იცი!.. ინფორმბიუროს ტყუილა კი არ გეძახით..

მე-2 მე რომ აქამდის ეს კაცი არ შემიმჩნევია როგორ არის ჩემი საქმე...

მე-4 კაცო, აგერ ერთი თვეა, რაც ჩვენს დაწესებულებაში გაჩნდა... რაღასაც მსახურებს, კაცმა არ იცის რას მსახურებს და სად მსახურებს, ესე იგი, რომელს განყოფილებაში, მაგრამ რომ მსახურებს ეს კი ცხადია... სულ ან უფროსის კაბინეტშია, ან თავქუდმოგლეჯილი სადღაც დარბის და ისევ უფროსთან ბრუნდება...

მე-3 ჰო და ჩვენც ირიკო-ვირიკოს ვეძახდით.

მე-2 უთუოდ მფარველი ეყოლება ვინმე, თორემ ასე უეცრად...

მე-4 (ირაკლის) შენ გეცოდინება...

ირაკლი როგორ არ ვიცი, მოდი აქ ყურში გეტყვი...

ყველანი კაცო, რას გვიმალავ...

4

ირინარხი (გამორბის. ისევ შემოესევიან).

თანამშრ. ირინ... ირიკო... იერარხ...

ირინარხი (უეცრად შეჩერდება) ყმაწვილებო, მე თქვენთვის ისევ ამხანაგი ირიქო ვარ... „ვირიქო“ არა, „ვირიქო“ არა... ვიცი მეზახით... ახლა რა გინდათ?

თანამშრ. — საქმეებია დაგროვილი...

— ზოგი სამი დღეა ბრკოლდება...

— ხომ იცით ვოლოკიტაზე ბევრსა სწერენ...

— გვამტყუნებენ!

— ზოგი საქმე ისეთია, მოცდა მართლა არ შეიძლება...

ირინარხი (ამ ლაპარაკში შირმას მუშტრის თვალით სინჯავდა) რა ვქნათ, ამხანაგებო, რა ვქნათ... დგეს არავის არ გვცალია... ხომ ხედავთ რა ამბავია... ამ შენობაში დგეს გადმოვედით და ხომ უნდა დავლაგდეთ... ჯერ ჩვენ უნა მოვეცხოთ, ოთახები და ადგილები დავინაცილოთ, შემდეგ კი ისევ საქმეებს შეუდგეთ.

თანამშრ. — კარგი და როდის?
— სამი დღეა ასე დავფუსფუსებთ, ერთი ორომტრიალია...
— ნეტავი ისევ იმ შენობაში ვყოფილიყავით...
— ყველამ ჩვენ-ჩვენი ადგილი ვიცოდით...
— საქმეც ჩანგივით იყო აწყობილი...
— ეხლა როდის დავეწყობით, ვინ სად ვიქნებით კაცმა არ იცის...

ირინარხი აი ქაბისია მოვა და გაგინაცილებთ.

მე-3 მაინც საქმეები როდის?

ირინარხი (შირმას შორდება) მე მგონია ხვალ, ამხანაგო... (უფრო გადაწყვეტით) ხვალ!

თანამშრ. ეხლა ეს მაინც გვითხარი... ირინ... იერარხ... არხირინ...

ირინარხი ირიქო, ამხანაგებო, ირიქო... „ვირიქო“ არა, „ვირიქო“ არა... (ღიმილით გარბის).

1-ლი რა გინდა, კაცო კარგი ბიჭია!

მე-3 კარგი მაგის ცხვირს მოუვა! რა აქვს კარგი?!

5

მარო (შემოდის).

თანამშრ. — აა, მარუსია! მობრძანდი, მარუსია!
— რა გნებავთ, მარუსია?
— ქართველია, კაცო, მა რუსია?

მე-2 ჰო, კარგი ეხლა, ნუ ღლაბუცობთ...

ირაკლი რა გნებავთ, ამხანაგო?

მარო დუდაროვმა მეცხვარეობის პროექტი გამომიგზავნეთო... აი მე რომ დაგიბეჭდეთ...

თანამშრ. (ირაკლის მიესევიან) როგორ, კაცო, მეცხვარეობის პროექტებსაც ადგენ?
— ეს ხომ ჩვენი ინფორმბიუროა...
— ინფორმბიურო კი არა, ეგ ცოცხალი ენციკლოპედიაა...

ამას წინათ, არ იცით? საბალეტო სკოლის პროგრამაც შეუდგენია და დებულებაც დაუწერია...

— აი გიდი, კნიაზო!..

ირაკლი (თავჩაღუნული ქაღალდებში ეძებს) იცინეთ, იცინეთ! რა გენაღვლებათ!.. აქ მე ხუთიათასს სხვადასხვა პროექტებს ვადგენ, თქვენ კი შემოსულ და გასულ ქაღალდებზე თვალები გიღამდებათ...

მე-3 არა, ეს კი ნამეტანია, შენმა მზემ! სად ჩვენი დაწესებულება და სად მეცხვარეობა, მით უფრო საბალეტო სკოლა!..

1-ლი თუ კი აძლევენ შესადგენათ... ეხლა რა? მაგან უარი თქვას თუ როგორ არის საქმე?

მე-3—4 ტყუილა კი არ არის კნიაზი...

Он мог поговорить об Ювенале,
В конце письма поставить Vale...

ი ტაკ დალეე, ხომ გახსოვთ ევგენი ონეგინი, ცოტ-ცოტა რომ ყველაფერი იცოდა. მაგანაც ყველაფერი იცის. აბა ჰკითხე აინშტაინის თეორია, რეები მოგიყვეს!

მე-2 კაციც ეგ არის და ქუდიც მაგას ხურავს...

მე-3 (ამასობაში მაროს ეკურკურებოდა. ჩაუღიღინებს) Ах, Маруся, Маруся .. Прямо ты дуся...

მარო აბა როგორ გეკადრებათ... თავის დაჭერა არ იცით...

მე-3 ჰმ... ვინ არ იცის თავის დაჭერა? მე არ ვიცი?.. ისიც ქალებთან?

მე-4 ეგ ხომ განთქმული ლოველასია...

მე-3 არა, შვილოსა... მე წვრილი მოხელე ვარ და მიტომ ფიცხობს ეგრე, თორემ აბა გამგემ თვალი ჩაუკრას...

მარო დაიკარგე!

მე-3 მერე რა კოხტა გამგე გვყავს ეხლა?.. ისეთია,—ვერცხლის წყალი...

მარო თქვე-უბედურებო! მაგის მეტი მასალა რომ არა გაქვთ-რა... აქა-და რა კი მემანქანე ქალია, უსათუოდ გამგეს უნდა ეარშიყებოდეს...

მე-4 მე და ჩემმა ღმერთმა, ეგ მართალია... ზაჰლა წაიღეს: გაზეთებში და პიესებში სულ მუდამ მემანქანისა და გამგის არშიყობას დასცინიან...

მარო Прямо надоели... თითქო მაგის მეტი არაფერი არ ხდებოდეს ცხოვრებაში...

1-ლი ოო, ბევრი, ბევრი, ამხანაგო მარუსია... მაგრამ ესეც რომ ხდება ხომ ცხადია...

მარო შეიძლება, მაგრამ нельзя же до безчувствия... (ირაკლის) რა ჰქენით, ირაკლი, პროექტი ვერ მოსძებნეთ?

ირაკლი ეხლავ, ეხლავ... ძალიან არეულია ქაღალდები... ეხლავ მივაგნებ.

მე-4 (მიიხედავს გაღებულ კარებისკენ) უმაწვილებო, მგონი კამისია მოდის და ჩვენი უფროსიც...

6

ჭალარა (შემოდის და მას მოჰყვება კვეტენაძე, ირინარხი, გოჩოლავა, რინკველი და რამოდენიმე კიდევ სხვა. ჭაღარას ყველა მორიდებით ექცევა, ის კი — ყველას სათნოდ და ამხანაგურათ. ეს ემჩნევა მის საქციელს, მის ლაპარაკში თავის დაჭერასაც) მაშ ეს არის დიდი დარბაზი? აქ თქვენ გინდათ, რომ მოთავსდეს საერთო კანცელარია არა? (პასუხს არ დაუცდის, შეამჩნევს კედელზე მხატვრულ არშიას) ამხანაგებო, ეცადეთ კედელს ნაკლებ შეეხოთ... ნუ ჰკიდებთ ესე ბლომათ ამხანაგების სურათებს, часовня ხომ არ არის! ან портретная галлерея, ეს დაწესებულებაა და ზედმეტი აქ არაფერი არ უნდა იყოს... საერთოდ, კედლები და თვით მთელი შენობაც უნდა იყოს სუფთა, უბრალო... აქ მაინც, ამ კედლებზე ხომ ხედავთ რაიმე ზედმეტის გაკვრა, თუნდა უბრალო განცხადებისაც, ბარბაროსობა იქნება. თვითონ არის კედელი უბრალო და ლამაზი... საერთოდ, ამხანაგებო, აღარ უნდა არავითარ ესეთ გამაფრთხილებელ პლაკატებს ჩამოკიდება, როგორც მაგალითად: „დაჯექით“, „ნუ აფურთხებთ“, „ხელს ნუ ჩამომართმევთ“ და სხვ. ამგვარი. მოჭამა ამან თავისი დრო. ხალხი, ესე იგი, მომსვლელები თვით დაიცავს წესრიგს თუ თვითონ თქვენ მოექცევით რიგიანათ და იქნებით წესიერები... (უეცრად ყველას თვალს გადაავლებს და სათნოდ გაეღიმება) ჰა, ჰა! მე ნოტაციებს კი არ გიკითხავთ... Я, просто, рекомендую свою мысль... მაშ ეგრე... იყოს აქ საერთო კანცელარია...

იქით რაღა არის? (გადის. მომყოლთაგან გოჩოლავასა და რინკველის გარდა ყველა გაჰყვება. ეს ორი კი რჩება შირმასთან, რომელსაც უფროსის ლაპარაკის დროს ყურადღება მიაქციეს და ეტყობა ჩუმი, მაგრამ ცხარე ლაპარაკი აუტყდათ).

მარო (ირაკლის) ეტყობა კარგა ხანს მოგინდებათ ძებნა. მე წავალ...

ირაკლი არა, ეს მაგიდა ჩემია. წამოიღეს თუ არა, თან გამოვყევი, რომ ქალალდები არ დამკარგოდა, თორემ აქ ეხლა ისეთი ამბავია... ძალლი პატრონს ვერ იცნობს. ნამდვილი ტაციობაა: ვის ვისი მაგიდა მიაქვს, ვის შკაფი, ვის სკამი... აი, აი, შეხედეთ! ნამდვილათ ერთი მეორეს დაჰკრავენ ეს ოჯახდაქცეულები.

გოჩოლავა ამხანაგო, მე გიმტკიცებ, რომ ჩემი კაბინეტი 18 კუბიკური მეტრია ან კუბიკური მეტრის 18 და ეს შირმაც იქ თავისუფლად მოთავსდება. თუმცა შეიძლება და არც მოთავსდეს, მაგრამ მაინც მე უნდა წავიღო. იასნო, დალშე!

რინკველი კაცო, დაარწმუნეთ ეს ღიჯინა ურია... Убедите этого паршивого жида, ну мевэ́рева, пусть не торгуется со мной... შირმა ჩემს ოთახში უნდა მოთავსდეს... Ширма должна быть в моей комнате. . მორჩა და გათავდა... решено и подписано.

გოჩოლავა რავა ახლა!.. ღონით მჯობიხარ, სიგრძით, სიმაღლით თუ დამსახურებით... არა, შეიძლება მჯობდე, მაგრამ მაგას რა მნიშვნელობა აქვს... იასნო, დალშე!

რინკველი შე უბედურო, несчастный ты, შენ ყველაფრით გჯობივარ, я всем лучше тебя, არ იცი? не знаешь?

გოჩოლავა მჯობიხარ თუ არა პერეკოპი შენ ეიღე, შენი ცხვირი ნუ მომიკვდება, არა, შეიძლება პერეკოპი მეც ამეღო, ან მე ავიღებდი, ან შენ აიღებდი, ან ვინმე აიღებდა — ჰო და ახლა თუ შენ ეიღე პერეკოპი მე რაღაზე ევიღებდი... იასნო, დალშე!

რინკველი მე, ძმაო, я брат, პერეკოპზეაც ვიყავი, и на Перекопе был, დუშეთშიაც ვიბრძოდი, и в Душетах воевал და მამისონის უღელტეხილზეაც ჯარი მე გადმევიყვანე и на Мамисонском перевале армию я перевел... შენ კი მა-

შინ, შე-უბედურო, а ты тогда несчастный, მენშევიკების ფუქსავატ ფულების ბეჭდვას უნდებოდი, все свое время посвящал печатанию меньшевитских дутых денег.

გოჩოლავა ო, კარგი ეხლა... იასნო, დალშე! მენშევიკობას რომ მაყვედრი, მე თავის დროზე პატიოსანი მენშევიკი მაინც ვიყავი და თუ არ ვიყავი ახლა პატიოსანი ბალშევიკი ვარ. იასნო, დალშე! შენი თქვი რომ არც თავში იყავი პატიოსანი და არც ბოლოში... ჰო და თუ ბოლოში არ იყავი თავში რაფერ იქნებოდი... იასნო, დალშე! შენ საქმეებს ნუ მომაყოლებ თუ არა... ან მე მოვყვები, ან შენ მოყვები, ან სხვა ვინმე მოყვება... იასნო, დალშე!

7

ირინარხი (შემოდის გოჩოლავას უკანასკნელ სიტყვებზე).

ირაკლი ძიძგი, ძიძგი მამალასო...

ირინარხი (მიუახლოვდება გოჩოლავას და რინკველს) კარგია, ყმაწვილებო, სირცხვილია, ყველას ესმის თქვენი ლაპარაკი... რა გინდათ, რაზე ჩხუბობთ?

რინკველი როგორ თუ რაზე? Как это о чем? შირმა უნდა წამართვას, хочет ширму отнять...

ირინარხი როგორ თუ შირმას!? მერე საიდგან არის შენი...

გოჩოლავა მეც მაგას ვეუბნები... შენც მაგას ეუბნები, ყველა ამას ეუბნებით, მაგრამ... იასნო, დალშე...

ირინარხი შირმა არც შენია და არც მაგისი... და რომ ორივე გაგასწოროთ, მე დავიდგამ ჩემს კაბინეტში.

გოჩოლ.
რინკვ. } ერიჰაა! ახლა შენ დაიჩემე!

8

მაკა უიმე, უიმე! ეს სად გადმოსულხართ. (ყველა იმას მიაქცევს ყურადღებას) ძლივს მოგაგენით... სად არის ჩემი ჭალარა?

ირინარხი (წინ გამოვა) ჭალარა იქ არის, მაკა... რაზე გასჯილხართ, რა ამბავია?

მარო (ირაკლის) ეს დედა ხომ არ არის ჭალარასი?

ირაკლი არა, დედა არ არის... დედობილია... განთქმული მაკა... მაკას ბავშვობიდანვე აუყვანია ჭალარა და აღუზრდია...

ასე რომ ეხლა, ჭაღარას სახლში ცხოვრობს, როგორც დედა. დიდი გაფოფრილი დედაკაცია, მაგრამ საკვირველია, აქ რა უნდა?..

მაკა დაშლილი მაქ, შვილო, აქ თქვენთან სამსახურში მოსელა, ჭაღარამ სასტიკათ ამიკრძალა, მაგრამ... არც ტელეფონი გქონიათ, შვილო...

ირინარხი დალოცვილო, ეს არის გადმოვდივართ ამ ახალ შენობაში და...

მაკა ჰო და... ძველ ბინაზეაც ტელეფონით ვერავის გავაგონე... სახლშიაც სხვა არავინ იყო... მე თვითონ წამოვედი...

ირინარხი მაინც რა ამბავია?

მაკა რაღა რა ამბავია... ვანომ დარეკა ტელეფონით: ჭაღარა ეხლავე ჩემთან მოვიდეს, ამაღამ მოსკოვში უნდა გავემგზავროთ კონფერენციაზეო... გადაეცით თუ კაცი ხარ... მე ვერ ვნახავ, ნუ მაჩვენებთ, თორემ ძალიან გამიჯავრდება...

ირინარხი კარგი, ეხლავ გადავცემ... (გ ა რ ბ ი ს).

ბოჩოლავა (რ ი ნ კ ვ ე ლ ს) ჰო, კარგია ეხლა... შევრიგდეთ, ან მე შეგირიგდები, ან შენ შემირიგდები, მაგრამ თუნდა არც შევრიგდეთ დარწმუნებული ხარ, რომ მე უფრო მერგება შირმა—ამაზე მე დარწმუნებული ვარ, შენც დარწმუნებული ხარ, ან შეიძლება დარწმუნებული არ იყო, არც მე ვიყო დარწმუნებული, მაგრამ იასნო, დალშე!

რინკველი მერე ირინარხი? А потом Иринарх?

ბოჩოლავა არაფერია, დავასწროთ და მერე რას იზამს?.. ან მე დავასწრებ, ან შენ დაასწრებ, ან შეიძლება იმანაც დაგვასწროს... იასნო, დალშე!

რინკველი თუ ასეა, მაშინ შუაზე გავჭრათ, если так, тогда пополам разрежем, მაინც კარგა ზორბაა და ორივეს გვეყოფა... довольно большая и обоим хватит. თუ გინდა, если хочешь, ცოტა მეტი შენ წაილე, немного больше ты бери, ჯანდაბას, к черту!... აბა ერთი დურგალს დაუძახოთ, ну-ка позовем плотника...

ბოჩოლავა იასნო, დალშე! (თ ა ნ ა მ შ რ ო მ ელ თ ა გ ა ნ ს) დურგალი, დურგალი, ხერხი... (თ ა ნ ა მ შ რ ო მ ელ ი გ ა რ ბ ი ს).

რინკველი (შ ი რ მ ი ს ნ ა წ ი ლ ს შ ე ა ბ რ უ ნ ებ ს) შირმის ეს ნაწილი, вот эта часть ширмы, ჩემი უნდა იყოს, должна быть моей...

მაკა (აქამდის დარბაზს ათვალიერებდა, ზოგ რამეს დიდის ცნობისმოყვარეობით ხელით სინჯავდა, უეცრად დაინახავს შირმას და სიხარულით შეჰკივლებს, თან ქორივით მივარდება შირმას) უიმე, შირმა! ოჰ, ეს რა მშვენიერი რამ არის?.. რა უნდა ამას აქ... სახლში უნდა წავაღებინო... ეხლავ, ამ წუთას..

გოჩოლ.
რინკვ. } (განცვიფრებული გაშეშდებიან და ერთიმეორეს ყვედრებით შეხედავენ).

(თანამშრომლებში მოისმის თავშეკავებული „ფხუუ“).

მე-3 ერთის დაკვრით გოჩოლავა და რინკველიც გაათანასწორა.

ირაკლი დაკვრითი წესით მუშაობს.

მაკა სად არის, ირიკო?.. აქ კაცი არ არის უფროსი?

გოჩოლავა აქ ყველაზე უფროსი მე გახლავარ... არა, შეიძლება არ ვიყო, მაგრამ იმედი მაქვს რომ ვიქნები. იასნო, დალშე!

მაკა მერე რომ მახლავარ!.. თვალები რას დაგიქყეტია? რას უყურებ, დაუძახე მუშებს და უბრძანე, რომ შირმა ჩემსას წაიღონ...

გოჩოლავა პატივცემულო მაკა... თქვენს ბრძანებას ვინ არ შეასრულებს, ან მე შეავასრულებ, ან ის შეასრულებს, მაგრამ მაინც იასნო, დალშე...

რინკველი (მორიდებით) ეს შირმა, эта ширма, დაწესებულების არის, учреждения და... и...

მაკა დაწესებულება არ ვიცი მე... ან დაწესებულებას რათ უნდა ამისთანა შირმა... ჩემმა ქალარამ განა არ გამოგიცხადათ, რომ კანცელარიაში ყველაფერი უბრალოთ უნდა იყოსო?..

რინკველი იმას არც სახლში უყვარს, он и дома не любит, მაინც და მაინც გადამჭიქული მორთულობა, непременно пышное убранство...

მაკა ეგ შენი საქმე არ არის.. ჩემ სახლში უფროსი მე ვარ... თქვენ თქვენ დაწესებულებას მოუარეთ...

მე-2 (რინკველს) გაჩუმდი, კაცო, არ იცი რა დამთხვეულიცაა...

მაკა რა ამბავია... კომენდანტი არ ყავს ამ თქვენ დაწესებულებას?

1-ლი რა გნებავთ ბატონო?

მაკა მე შენი ბატონი არა ვარ, მაგრამ აი, თუ შეგიძლია ეს შირმა წამოაღებინე... შენ რა, კომენდანტი ხარ?

1-ლი კომენდანტი არა ვარ, მაგრამ... თქვენს ბრძანებას ვინ არ შეასრულებს... ეხლავე, ეხლავე... (ეძახის მუშებს. ისინი ცოტა ხანს ყოყმანობენ, მაგრამ 1-ლი უჩვენებს მაკაზე) ბრძანებაა აგეთი... ეხლავე ზურგზე მოიკიდეთ და წაიღეთ... (მუშებს შირმა გააქვთ).

მაკა (გამარჯვებული) ასე არ სჯობია... (რინკველსა და გოჩოლავაზე) ჰმ... ესენი მასწავლიან ჩემს სახლში როგორ მოვიქცე!.. ჭაღარამ აქ დამიშალა მოსვლა და ოქვენს საალმეებში ჩარევა, თორემ... ჩემს სახლში...

გოჩოლავა (განზე, სხვებს) დალოცვილო, მეტი ჩარევა რაღა იქნება?.. იასნო, დალშე!

მაკა (ყურს მოჰკრავს) რაო?

1-ლი არაფერი არ უთქვამს, პატივცემულო მაკა, არაფერი...

მაკა ჰოო, აბა როგორ გგონია!.. ეს ვიღაა? (მაროს) ვინა ხარ, ლამაზო?

მარო (ცოტა შერცხვება) მე აქ ვმსახურებ...

მაკა რომ მსახურებ მეც ვხედავ, ისე აბა აქ რა გენდომება, მაგრამ გვარი არა გაქვს?

მარო როგორ არა მაქვს... ჰოზბეტელაშვილი გახლავართ...

მაკა ამისთანა გვარი ჯერ არ გამიგონია, მარა კაია, შვილო, კაი... მერე და რატომ ჩვენსა არ დაიარები?.. ჩემი სახლი სავსეა შენისთანა ლამაზებით...

მარო რა ვიცი, ბატონო...

მაკა ბატონოს ნუ მეუბნები... საშინლად მეჯავრება ეს ფეოდალური სახელწოდება... მოდი, შვილო, მოდი... (განზე გაიყვანს) თუ გინდა რომ ბედს გწიო... ჩვენსა უნდა იარო...

მარო აბა როგორ გავბედო... ვინ მომიშვებს?

მაკა ვინ მოგიშვებსო რა სათქმელია... მომიცა, მომიცა... ა, ჭაღარა ამაღამ წავა... ჰო და ძალიან კარგი!.. ხვალ საღამოს 7 საათზე მოდი ჩემთან... შენთვის კარგია, შვილო, ბედს ეწევი... რა არის, ვერა ბედავ?.. რა კი გეუბნები, უნდა მოხვიდე კიდეც... ეს ასე. ეს ვიღა არის? აა კნიაზ ირაკლი? თქვენ აქ მსახურებთ?

ირაკლი დიაღ, ჯერჯერობით.

მე-3 ეგ გახლავთ ჩვენი პროექტების ბუდე და საერთოდ ყველას ინფორმბიურო.

მაკა აა, დაგცინიან, კნიაზ, არა?

ირაკლი ნუ მეძახით კნიაზს, საშინლად მეჯავრება ეს ფეოდალური სახელწოდება.

მაკა ოჰო, მე მაჯავრებთ?.. ფრთხილად იყავით, ირაკლი.

1-ლი ოო, მაგისთანა ფრთხილი არა მგონია კურდღელიც იყოს. მხოლოდ ერთი განსხვავებაა: კურდღელი ჩერჩეტია და ეს კი ჭკვიანიც არის...

მაკა ვიცნობ, ამხანაგო, კარგა ხანია ვიცნობ. ახალგაზრდობისას მაგას ჩვენს მაზრაში მარშლად ირჩევდნენ... მეც ბევრჯელ მივსულვარ მაგასთან სათხოვნელად. მე არაფერი არ მავიწყდება ზოგიერთივით და... არც უმადური ვარ... მხოლოდ თქვენ კი არა გვწყალობთ... არ დადიხართ ჩვენსა...

ირაკლი საქმეები, მაკა-ჩემო, საქმეები...

მაკა კარგია საქმე რომ გაქვთ... ეს ჩემ ჭალარას კარგა მოუფიქრებია, რომ თქვენთვის საქმე გაუჩენია... გამოცდილი კაცი ხართ, გამოსადეგი... ბევრი გინახავთ, ბევრი იცით... მართლა, მოდით ჩვენსა, აი მოიყვანეთ ეს თქვენი თანამშრომელი (მარუსიაზე) და... ხვალ მოდით საღამოთი, 7 საათზე.

ირაკლი დიდათა გმადლობთ, მაკა!

მაკა (უეცრად თითქო რაღაც გაახსენდაო) ვაიმე, შირმა?! წაიღეს ხომ... აქ ჭალარამ არ მომისწროს, თორემ ეწყინება... (წასვლა უნდა) მაშ ეგრე, გელოდებით...

9

ირინარხი (შემორბის) ჭალარა სადღაც წასულა, ვერსად ვერ ვნახე...

მაკა ო, ძალიან კარგი... ირიკო, ჯერ არ უთხრათ, რომ შირმა მე წავიღე.

ირინარხი შირმა? რომელი შირმა? როგორ თუ წაიღეთ? (ცოტა ხანს სახტათ არის, შემდეგ ხარხარი აუტყდება) ჰა, ჰა, ჰა... მერე გოჩოლავა? რინკველი?

მაკა კარგია, რა გაცინებს... მაშ როგორ გეგონა... აბა, ეხლა ნახვამდის! ირიკო, ხვალინდელი საღამო არ დაგავიწყდეს

და... ჭალარას შირმაზე არაფერი უთხრა... ნახვამდის, ნახვამდის, ყმაწვილებო... (გაგოგმანდება).
(ცოტა ხანს უხერხული სიჩუმე. შემდეგ გოჩოლავა და რინკველი მივარდებიან ირინარხს).

გოჩოლავა კაცო, გინახავს ამისთანა? ან შენ გინახავს, ან მე მინახავს, ან სხვას უნახავს, იასნო, დალშე!

რინკველი ვის გაუგონია, кто слышал, ესეთი საქციელი, такой поступок...

გოჩოლავა ეხლა ჭალარას დედობილი რომ არის იმისათვის ხომ არ დაევრიდები? ყველას გვყავს დედობილი კი არა დედაც... ახლა ჩემი დედაც, შენი დედაც, იმისი დედაც რომ გავიხსენოთ რა გამოვა! იასნო, დალშე.

ირინარხი კარგია ეხლა... გირს ამაზე ლაფარაქი... (ეაიგო, შირმა, ეაიგო...

რინკველი სადაური კანონია, какой это закон, რომ დაწესებულებიდან, чтоб с учреждения, ვინმემ რაიმე ავეჯი წაიღოს, какую нибудь вещь взял და ისიც и то სრულიად უცხო პირმა, совершенно постороннее лицо.

გოჩოლავა ვინ ლაპარაკობს, ვინ? შენ რომ შარშან ტელეფონის აპარატი წააღებინე და სახლში დაიდგი, ის რაღა იყო?.. არა, მერე მოიტანე, მაგრამ შემდეგ ისევ წააღებინე. იასნო, დალშე!

ირინარხი ქარგია, ქაცო, რაგას ეჩხუბები!.. ახლა აგარც შენ გაქვს შირმა და აგარც მაგას... იმ ქალმა ორივე გაგასცორათ...

რინკველი ამას მე ასე არ დავტოვებ, это я так не оставлю: ადგილკომში განვაცხადებ, в местком заявлю, კომუჯრედში დავსვამ საკითხს, в комячейке поставлю вопрос...

გოჩოლავა თვითონ ჭალარას ვეტყვი... არა, შეიძლება არც ეუთხრა, მაგრამ მაინც იასნო, დალშე!

ირინარხი დაიცათ, დაიცათ რომ ეთქვი რა, ვითომ ზალიან დაგიმადლებს... (მიდის).

რინკველი კაცო, რომ მიდიხარ, куда идешь, ასე როგორ იქნება, как же так... (მიჰყვება).

გოჩოლავა გარწმუნებ, ჭალარას ვეტყვი-მეთქი... იასნო, დალშე! (ესეც მიჰყვება. მიდიან მუქარით და ხრიალით).

შე-4 აბა ეხლა ჩვენც წავიდეთ, ძმაო...

მე-3 — სად უნდა წავიდე? ოთახი მე არა მაქვს, მაგიდა და სკამი. ეს ქალალდები შემრჩა ხელში, კაცი არ არის გამკითხავი. ხვალო, ამბობს ვირიკო... უკაცრავად! „ვირიქო არა, ვირიქო არა“... ირინ... არხი თუ არხი... დიაკონი... ჯანდაბას მაგისი თავი...

მე-2 — შენ ის თქვი ჭალარაც თუ მართლა კონფერენციაზე წავიდა, ვილა დარჩება ჩვენს უფროსათ. დარჩიაშვილიც შვებულებაშია და...

1-ლი — როგორ გგონიათ, იცით ვინ იქნება?

ყველანი — ვინ, ვინ?

1-ლი — ვინ და კვეკენაძე.

ყველანი — ოჰ, რას ამბობ!

მე-4 — ვჩომდელა?

1-ლი — მერწმუნეთ. ძალიან უყვარს ჭალარას და... ასე არ არის, ირაკლი?

ირაკლი — მართალია. მეც მგონია, რომ ვჩომდილოს, კვეკენაძეს დასტოვებენ.

მე-3 — რაღა გვეშველება... ხომ შეგვჭამა ამ გოჩოლავამ და რინ-კველმა.

მე-2 — რატომ, კაცო, რატომ?

მე-3 — რატომ და ეგ ორი დაგვაჯდება თავზე, თან მათ ჩხუბს ჩვენ ვერ აუვალთ, ახლა შეიძლება ვირიქოც ჩაგვერიოს საქმეში და სულ ავირევით, ძაღლი პატრონს ვერ იცნობს. ვჩომდილოს კი თავისი არ ესმის, სხვისას არ დაიჯერებს, უბედური რამე ჯიუტია...

1-ლი — პატიოსანია.

მე-4 — პატიოსანი მე ვიცი ვინც არი და რაც არი, მაგრამ...

ირაკლი — ჩვენ ჩვენი საქმე გავაკეთოთ, სხვისი ნუ გედარდებათ...

მე-4 — აა, დაიბანა პილატემ ხელი...

მე-3 — შენ რა გიჭირს, ძმაო. ამ პროექტს კი დასწერ და ამ ამბებს მუდამ გაიგებ... სხვა რა გინდა?

ირაკლი — მე რა მინდა? (შ ე მ ღ ე რ ე ბ ი თ)

წეს-რიგი და აზრი წმინდა...
უხეირო მომუშავე? ...
ალარ მინდა, აღარ მინდა!

1-ლი — ერიჰა! ეს ოპერეტის გუნებაზე დადგა... (მ ა რ ო ზ ე) კაცო, გაუშვი ეს ქალი თუ უშვებ...

მე-3 მაგას როგორ გაუშვებ, ღმერთო კი მომკალი... აქ იყავ, გენაცვალე, მაგ პროექტს რას დაეძებ... (მ ო ხ ვ ე ვ ნ ა უ ნ დ ა).

მარო. (ა რ ი კ ა რ ე ბ ს) კარგია ერთი... ხომ იცით არ მიყვარს მაგისთანები...

ირაკ. ვერ ვნახე კიდევ... სადღაც გადაიხაფრა... მოვნახავ უთუოდ, მაგრამ ეხლა მე სულ სხვასა ვფიქრობ...

ყველანი რას, რას?

ირაკ. აი, გადმოვედით ამ „ოსობნიაკში". აქ ეხლა გაჩაღდება კალმის წრიპინი, ქაღალდების შრიალი, ჩოთქის ჩხაკუნი, მთხოვნელების სიარული, თანამშრომლების გულის ხეთქა, უფროსების ყვირილი და ინტრიგები, ინტრიგები დაუსრულებელი...

მარო თან სხდომები, კრებები, კრებები და სხდომები, ეგეც დაუსრულებელი...

მე-4 ისიც დაღლილზე, სამსახურის გათავების დროს, სამ საათზე. უპმელი, უსმელი, ხახა-გამომშრალი, ტვინ-გამოლაყებული...

ირაკ. ჩვენამდე კი ამ დარბაზში ტრიალებდა სულ სხვა ცხოვრება. ვინ იცის, აი, ამ კუშეტზე რამდენჯერ წამოწოლილა კარგს ნასადილევზე სახლის პატრონი, სიგარა გაუბოლებია და მისცემია ტკბილს ოცნებას. ან სალამო ხანს, ელექტრონის აბაჟურიან, შუქფარიან სინათლეზე კოხტა დიასახლისი ზღაპრულ, სალუქ სამოსელში გასვეული, მკერდ-მოლიავებული და მკლავებ-შიშველი ესე სტუქსავს თავის კავალერს, ვინმე ნიჟეგოროდის პოლკის, ულვაშ-გაწკეპილ დრაგუნს: Что вы делаете? Как вам не стыдно? შემდეგ გადასულა უფრო სახუმარო კილოზე და დარბაზში გახმაურებულა: «Ах, ты зюлик московский». «Неет... нижегородский», შეუწყვეტინებია საამურ ბარიტონს, ამასობაში ქალი გასხლეტია ვაჟს და ამოფარებია აი იმ შირმას, ეხლა რომ ესე დიდის ამბით გაგვშორდა სამუდამოთ. შირმის იქით ჩამალულა ქალი და კავალერი კი აქედან დასტრიალებს. ხან გამოჩნდება ჭალიხ ლაჟაზი თავი შირმის ზემოდან და იძახის: Куку თან ისე იმალება. კავალერი კი უტრიალებს შირმას. ბოლოს ერთგან შეამჩნევს ღრეჩოს და ისიც ქალთან ერთად მოექცევა.

(აქამდე, რაცა სთქვა, ყოველივე თვითონ. გამოხატა კომიკურ მიხვრა-მოხვრასა და ჟესტებში). ამის შემდეგ კი, შირმის იქიდან, რაც მოისმოდა, თქვენც კარგათ იცით... ბევრი არაფერი! ხვნეშა, სულთქმა აჩქარებული!

მარო — აბა რა საკადრისია, ირაკლი!

ირაკ. — მაგრამ ეხლა თქვენ წარმოიდგინეთ სულ სხვა სურათი: დარბაზი გაბდღიალებულია, ელექტრონი უხვად იფრქვევა ყოველ კუთხის კუნჭულშიაც. საზოგადოება ბრწყინვალე: ოქრომკედით გაჭედილი მუნდირები, დეზები... ბზზიკ... ბზზიკ... შავი ფრაკები, დეკოლტიანი ქალები და ამბრე?— არეული: შიპრი, კარილოპსის, ახლად მოთიბული თივა... გულ-მკერდი ადის და ჩადის, ათქვირებული ძუძუები თრთოლავენ, ახალგაზდა თვალები ელვარებენ. სიმებიანი ორკესტრი უკრავს სადღაც მესამე ოთახში.... გაკრიალებულ და პუდრა-მოყრილ იატაკზე სხლტება და მიგოგმანებს მოქნილი ფეხები. ნაზი სითბო აღელვებულ სხეულებისა ათრობს და თენთავს ერთი-მეორეს, ბრაზილია აქ გადმოსულა და ტანგო ღვენთავს თავის ყვითელ ალტკინებას...

მე-4 — პოეტია, მა რა ჯანდაბაა!

მე-3 — მე მგონია მალე ფუტურისტულ ლექსებსაც დაგვიწერს ირაკლი...

ირაკ. — (ცოცხლათ მიუგებს) მაგაზე ადვილი რა არის... აი ეხლავე:

> რა ხორუ დო ხორია,
> წამკითხველი ღორია!

1-ლი — მერე, მერე, ირაკლი, განაგრძე თუ ძმა ხარ ამ „ასაბნიაკის“ აღწერილობა... მომეწონა!

ირაკ. — შემდეგ გახშამი.... აი, უთუოდ იმ მეორე, ამის გასწვრივ მდებარე დარბაზში... შამპანიური, ანანასები... დურაჯები და არტიშოკები... ბევრმა არც კი იცის ჭამა როგორ უნდა... ეს უბრალო, თავმოწონებაა თბილისელ ბურჟუასი, თორემ მამა მისი გეურჭა მოუხარშავ, ჭუმი ნივრის ჭამამ გადაიტანა... შვილები ჰყავს საზღვარ-გარეთ გაზრდილი, მისი ძმისწული ქალაქის თავია, მისი დისწული უდიდესი ფინანსისტი ამიერ-კავკასიისა, ბანკის თავმჯდომ-

მარეა. აი, ნავახშმევს უს დარბაისელი ხალხიც იწყებს ცეკვას და იცით რისას? გაცხარებულ მათჩიშოსას... აი როგორ ცეკვავენ... მოდი!.. (მაროს გარდა სათითაოდ ათამაშებს ყველას. ბოლოს გახურებული ცეკვა).

10

ირინ. (შემორბის) რა ამბავია? რა დაგმართვიათ? ხომ არ გაგიჟდით?*)

მე-2 რა, ჩემო ძმაო! საქმე ჩვენ არა გვაქვს, რადგან არ ვიცით ვინ სად ზის, რომელ ოთახში, როგორ ვართ განაწილებული, არავინ არაფერს არ ალაგებს, მუშებიც აღარსად მოსჩანს, შირმის წალებამ გადაიყოლია ყველანი... ამასობაში ირაკლის მოეგუნება და ყველანი აგვაცეკვა...

ირინ. ირაკლი! ამხანაგო! როგორ არა გრცხვენიანთ... თქვენგან მოველოდი მაგას? დარბაისელი კაცი და ეგეები?.. საცაა უფროსი მოვა, ქამისია ისევ დაბრუნდება... როგორ იქნება?

მე-4 მაშ გვიბრძანე მანამდე რა გავაკეთოთ?

ირინ. რას ამბობთ!.. პირდაპირ სავოდევილო საქმეა... რა დროს ცეკვაა... დაწესებულებაში?.. საოცარია, როგორ შეიძლება...

11

მარტიროსოვი (შემოდის) უკაცრავათ, შეიძლება?

ირინ. რა გნებავთ?

მარტირ. მე ამ სახლის ძველი პატრონი გახლავართ...

ირინ. მერე რა გნებავთ?

მარტირ. ის მნებავს რომა... მე აქ არ ვიყავ... ორი თვეა თბილისში (ქალაქში) არა ვარ...

ირინ. კარგი, ნუ აპიანურებთ, რა გნებავთ?

მარტირ. სახლი ჩამოგირთმევიათ... კეთილი და პატიოსანი!.. ბინაც წაგიღიათ... უთუოდ საპირო იყო... მაგრამ ამ აივჯს რას მერჩით, ავეჯი ხომ არ ჩამოგირთმევიათ?..

---

*) აქცენტი ირინარხისა შეიმუშაოს თვით შემსრულებელმა.

ავტორი.

ირინ. ავეჯი?... სად არის თქვენი ავეჯი?

მარტირ. აი თუნდა ეს ბარიშნა რომ ჩამომჯდარა... (მარო გველ-ნაკბენივით წამოვარდება) ეს კუშეტი ჩემი გახლავთ. აი ეს ფარდებიც, ეს რბილი კრესლოებიც... მართლა, აქ კიდევ ერთი საუცხოო შირმა იდგა, უთუოდ სხვა ოთახში გადაიტანდით... მეტათ ძვირფასი რამ არის. ცხონებულ მამა ჩემს პარიზში აქვს ნაყიდი, ჩინური ხელობა გახლავთ.

ირინ. შირმა?.. ჰო, სხვა ოთახშია.

მარტირ. დიალ და ეხლა ის მინდა, რომა თქვენს დაწესებულებას არა სჭირდება რბილი ავეჯი, შირმა, ფარდები... აქ ქუხნის მოწყობილობაც არის დარჩენილი, აბა რაში დაგჭირდებათ... გთხოვთ ყველა ეს მიბოძოთ, დამიბრუნოთ...

ირინ. ძალიან კარგი... აი, ჯერ კიდევ დალაგებულები არა ვართ, დღეს გადმოვედით ნაწილობრივ... უფროს მოვახსენებთ და...

მარტირ. ჭალარას? ძალიან მშვენიერი...

ირინ. არა, ჭალარა მოსკოვში მიდის...

მარტირ. (შეწუხდება) მაშ ვის?

ირინ. აი, ვისაც თავის მაგივრათ დასტოვებს...

მარტირ. ვინ იქნება არ იცით?

ირინ. რა მოგახსენოთ...

მარტირ. ჰმ... ჰმ... მაშ როდის შემოვიარო...

ირინ. აი, ამ დღეებში.

მარტირ. დიდათა გმადლობთ... (გადის).

მე-3 ეს კარგი სიურპრიზია!

მე-4 აბა ეხლა დაიწყება კატავასია...

12

(შემოდის ჭალარა, კვეჟენაძე და კიდევ რამოდენიმე. დამხვდურები გამოიჭიმებიან).

ჭალარა (მიიხედ-მოიხედავს) რა ამბავია? კიდევ ვერ დალაგდით? ირინარხ!.. მუშები სადღა არიან?.. დაუჩქარეთ, თუ კაცი ხარ... ხვალ დილისთვის მთელი კანცელარია თავ-თავის ალაგას იყოს...

ირინ. მესმის.

ჭალარა სად არიან გამგეები... (ირინარხს წასვლა უნდა) კარგი, არაფერია... გამოუცხადეთ ყველას, რომ მე დღეს

მივდივარ მოსკოვში კონფერენციაზე... ძალიან კი მეზარება ეხლა დაწესებულების მიტოვება, რადგან რეორგანიზაცია უნდა ჩაგვეტარებინა და ახალ შენობაში სხვანაირად უნდა გადავრიგებულიყავით, მაგრამ აი, ჩემს მაგიერ კვეენაძე დარჩება... მაგას ყოველი დირექტივები მოცემული აქვს... მე კი ამჟამად მეტად მოუცლელი ვარ, სახლშიც კი ვერ შევივლი... ცეკას სხდომაზე უნდა წავიდე და იქიდან პირდაპირ ვოკზალზე... მართლა, გეთაყვა, ირინარხ, სახლში როგორმე აცნობეთ, რომ ჩემოდანი საჭირო ბარგით სადგურზე გამოგზავნონ... (ირინარხი გარბის) მაშ ესე... ნახვამდის, ამხანაგებო... იმედი მაქვს წესიერათ იმუშავებთ და განსაკუთრებით არც ლხვებს მოაცდენთ და არც თავის თავს... ნახვამდის!.. (გადის. მომყოლნი გააცილებენ).

1-ლი ხედავ, სახლშიაც კი ვერ შეივლის...

მე-4 მაშ, შირმის ამბავსაც ვერ გაიგებს...

მე-2 ძალიან გადარჩა, მაკა, ძალიან!..

მე-3 შერჩა ხახვივით შირმა...

ირაკლი (ამოიღებს რაღაც ქაღალდებს) აი, მოვნახე... უკაცრავათ, მარო, რომ ამდენხანს გაგაჩერეთ. მართლა, მარო, წავიდეთ მაკასთან?

მარო მეტის სიამოვნებით წავიდოდი, რომ...

ირაკლი რომ ჭაღარა იქ იყოს, არა?

მარო რატომ ფიქრობთ ეგრე?

ირაკლი მე ძველი მონადირე ვარ... იხვს ფრენაზე შევატყობ მოვხვედრებ თუ არა...

მარო მერე აქ იხვი სად არის?

ირაკლი საქმეც ის არის, რომ იხვი მოსკოვისკენ მიფრინავს... თქვენი თოფი ვეღარ მიუწვდება...

მარო რა უცნაური ხართ...

ირაკლი ძალიან მოგწონთ?

მარო ვინა?

ირაკლი ჭაღარა.

მარო ჰა, ჰა!.. ახირებული ხართ... მომწონს როგორც პიროვნება: თავდადებული, პატიოსანი, უმწიკვლო და ურყევი. მაკვირვებს, რომ ვერც დიდმა სახელმა გააყოყოჩა და ვერც დიდმა თანამდებობამ გაამაყა. მუდამ ისეთია, როგორიც უნდა იყოს ადამიანი... ესეთები კი იშვიათია პასუხისმგებელ ამხანაგებში... ყველა გაბღენძილი, ყველა

გაჭიმული, ყველა მიუკარებელი, სალამსაც არ გაღირსებს, კბილ-დაჭერილი გელაპარაკება, სულაც რომ არ გიცნობდეს, არავითარი მიზეზიც რომ არა ჰქონდეს, მაინც ისე გელაპარაკება თითქოს გიწყრებაო...

მე-3 (ეხლა მიაყურა) მართალია, მართალი... ჰაიდა მარუსია!

ირაკლი (მაროს) მაშ, ხვალ მაინც მივდივართ..

მარო კარგი, მივდივართ.

13

კვეუენაძე (შემოდის, მოჰყვება ირინარხი) ვჩომდილო, ტავარიშჩ?.. არაფერი არ გამეგება... ა?

ირინ. იმას გეუბნები, რომ, ეს ავეჯები პატრონს უნდა დაუბრუნოთ-მეთქი... კანონით მისია და თუ აქამდის არ წაუღია, ეს არც ჩვენ ბრალია და არც იმისი... აქამდის პატრონი აქ არ ყოფილა...

კვეუ. ჰო და აიღეთ და დაუბრუნეთ... ა?

ირინ. დაბრუნებით დაუბრუნებთ, მაგრამ არის კიდევ ერთი...

კვეუ. ვჩომდილო, ტავარიშჩ... არაფერი არ მესმის? ა?

ირინ. არის კიდევ ერთი შირმა...

კვეუ. რა შირმა, რის შირმა... ვჩომდილო?.. ახლა მაგის თავი არა მაქ, მერე იყოს, მერე... ა?

ირინ. კარგი და როდის გაგახსენო?..

კვეუ. (კარგ გუნებაზე-იყო, თანდათან გული მოდის) ვჩომდილო, ტავარიშჩ... რას ჩამაცივდი?.. გეუბნები მერე... ნეპანიმაიშ?.. ა?

ირინ. (თავს დახრის. ყველა სხვა გაჭიმულები დგანან).

კვეუ. (დაინახავს თანამშრომლებს) რას გამოჭიმულხართ? მე გენერალი კი არა ვარ... ვჩომდილო, ტავარიშჩ... ა?.. ოო, ის სად არის, ის... კნიაზი... აი პროექტებს რომ ადგენს?.. ა?

1-ლი (ირაკლიზე) აგერ გახლავთ, ამხანაგო...

კვეუ. აა! სწორედ შენ მინდიხარ... ა?.. გესმის ამხანაგო!.. შენ უნდა სასწრაფოთ შემიდგინო ერთი პროექტი... ა?.. დაკვრითი წესით... ხვალ, დილის 9 საათზე მზათ უნდა იყოს... ხვალვე უნდა წარვადგინო... ა?

ირაკლი მესმის... მხოლოდ ერთი პირობით...

ქვეუ. რა პირობით?... ვჩომდილო, ტავარიშჩ?

ირაკლი ტყუილა არ დამაწერინოთ ეს პროექტი...

ქვეუ (ეწყინა) როგორ თუ ტყუილა... ვჩომდილო, ტავარიშჩ?... ტყუილა კი არა, უსაპიროესი პროექტია... ისეთი, რომელიც... ა?.. თვით ცხოვრებას უნდა შეეფარდებოდეს და არა მარტო თეორიულათ იყოს კარგი, ა?..

ირაკლი ძალიან კარგი... შიბრძანეთ რა საგანზე?..

ქვეუ. აი, წამომყევით და მოგცემთ დირექტივებს... ა?..

14

(შემოდის ოთხი კომკავშირელი).

1-ლი კომ. კავშ. (კვეენაძეს) თქვენა ხართ ამ დაწესებულების უფროსი, ამხანაგო?..

ქვეუ. ვჩომდილო? რა გნებავთ?

მე-2 კ. კ. ჩვენ ჭალარასთან მოველით, მაგრამ ის აქ არ ყოფილა და გვითხრეს თქვენ მოგმართოთ...

ქვეუ. მერე რა საქმე გაქვთ?

მე-3 კ. კ. ჩვენ კომკავშირელები ვართ... ამჟამად ვეცნობით ჩვენ დაწესებულებათა მდგომარეობას და სხვათა შორის გვინდოდა გავცნობოდით თქვენს წარმოებასაც...

ქვეუ. აა?.. კარგი, ძალიან კარგი, მაგრამ ეხლა არ მცალია...

მე-4 კ. კ. მაშ როდის შეიძლება... ჩვენ ერთი საათის მეტი არ დაგვეპირდება...

ქვეუ. აჰა...

15

ირინ. (შემორბის) ამხანაგებო, ამხანაგებო, სადა ხართ?

ქვეუ. ვჩომდილო? რა ამბავია?

ირინ. ამხანაგო კვეენაძე! ადგილკომი სასწრაფო სხდომას აწყობს და გთხოვთ დაესწროთ...

ულელანი ადგილკომი? ეხლა? უკვე 3 საათია...

ქვეუ. რა დროს სხდომაა? ვჩომდილო? (გადის).

ირინ. წამობრძანდით. ძალიანა გთხოვეს... ამხანაგებო, რას უდგეხართ. წამოდით... დღის წესრიგში შირმის საკითხია დასმული (ყველა გაშეშდება და ჩუმათ არის. ირინარხი შეატყობს, რომ თანამშრომლები გაპარვას აპირებენ და პირველი თვითონ

მოძუძგავს). მაშ არ მოდიხართ?.. მე კი გავიპარები და თქვენ როგორც გინდათ ისე მოიქეცით (სისწრაფით გადის).

1-ლი — რა დროს სხდომაა ამ მშიერ კუჭზე? (გაიპარება).

მე-4 — შირმას სულ ერთია მე მაინც არ მომცემენ და ვინც უნდა ის წავიდეს სხდომაზე (გაიპარება).

მე-3 — საკითხს უჩემოდაც ამოსწურავენ და მე რა მოხელე-ნაჩალიკი ვარ... (მიიხედ-მოიხედავს და გაიქცევა).

მე-2 — რა დროს სხდომაა ცოლი მშობიარეთ მყავს!.. (უკმაყოფილო, ნელის ნაბიჯით გადის).

1-ლი კ. კ. (თავისიანებს) აი, ძმაო, ნამდვილი საბოტაჟი, ბიუროკრატიზმიც და ყველაფერი თუ გინდათ ეს არის...

ირაკლი (აიღებს პორტფელს და ნელ-ნელა, ზანტათ მიდის) მარო, მარუსია! არ მოდიხართ? ეჩომდილო?

მარო (გამოერკვევა, წამოდგება და მიდის) რასაკვირველია წავალ... სხდომაზე (გადის. მას მიჰყვება ირაკლი).

მე-2 კ. კ. — არა, ამხანაგო! ამათ ვერაფერი ვერ გამოასწორებს სანამ ჩვენი სანათი არ შეანათებს მაგათ დაწესებულებაში. (მღერიან: „ჩვენ ვართ და ჩვენი სანათი, გამნათებელი ბნელისა“ და სხვ. დროის შესაფერ კუპლეტებს).

ფარდა

მოქმედება მეოთხე

პირველ მოქმედების დარბაზი უკვე კანცელარიად არის ქცეული. მოსჩანს აგრეთვე ოთხი კაბინეტი: კვეკვნაძის, ირინარხის, გოჩოლავასი და რინკველის. კვეკვნაძის კაბინეტის წინ დგას ახალგაზდა დარაჯი, ირინარხის — მობუცი.

I გოჩოლავასთან

1

გოჩოლ. კაცო, ვინ კითხავს რინკველს, ვისი ტიკიტომარაა!.. ან ვისი ტომარის ტიკია... იასნო, დალშე!

მე-3 ტიკიტომარა კი არა მიბრძანა უჩემოთ ამისთანა საქმეები არ გაგზავნოთო...

გოჩოლ. კაცო, იმან თუ თავისი ფუნქციები არ იცის, მე კარგათ ვიცი... არა, შეიძლება იმანაც იცის, შენც იცი, ყველამ იცოდეს, მაგრამ მეც ვიცი... იასნო, დალშე! რინკველს რა უფლება აქვს ჩემი ხელმოწერილი ქაღალდები გადასინჯოს .. არა, შეიძლება უფლება ჰქონდეს, მაგრამ მე ჩემი პირდაპირი უფროსი მყავს... იმასაც ყავს უფროსი, შენც გყავს უფროსი, ყველას გვყავს უფროსი... იასნო, დალშე! როგორც ისაა განყოფილების გამგე, ისე ვარ მეც... და მე თუ ვარ განყოფილების გამგე ისეა ისიც... იასნო, დალშე!

მე-3 · არ ვიცი სწორედ ეხლა როგორ მოვიქცე?..

გოჩოლ. როგორ მოიქცე და ისე მოიქეცი, როგორც მე გეუბნები... და მე გეუბნები ისე, როგორც უნდა მოიქცე... იასნო, დალშე! ჩემი ქაღალდები უშუალოთ უნდა წავიდეს, სადაც ჯერ არს, საერთო კანცელარიის გზით... და თუ არ წავა, მაინც უნდა შევიდეს კანცელარიაში... იასნო, დალშე!

მე-3 (ქაღალდებიანა გადის ბუზღუნით) არაფერი არაა ჩემთვის იასნო და დალშე, სად წავიდე, რა უბედურება ვქნა... სწორედ არ ვიცი...

II რინკველთან

2

1-ლი მთხოვ. როგორც მოგახსენე ასე იყო და აი განცხადებაც მანდ გიძევთ და წაიკითხეთ.

რინკვ. რა წავიკითხო, ძმობილო... Что читать, брат? რამდენი დაგიწერია? Сколько ты написал? ამას ვინ წაიკითხავს? Кто это прочтет?

1-ლი მთხ. აბა როგორ მექნა? საქმის მთელი გარემოება უნდა მომეხსენებინა თუ არა?

რინკვ. მოგეხსენებინა კი უნდა, მოგეხსენებინა, изложить ты должен был изложить, მაგრამ ასე გრძლათაც არ შეიძლება, но так длинно тоже не возможно... ახლა მაგისთვის დრო არა მაქვს, нет времени у меня для этого...

1-ლი მთხ. მაშ როგორ მოვიქცე?

რინკვ. როგორ მოიქცე და ისე, რომ... Как поступить... Так чтобы... ორი სიტყვით მითხარი ყველაფერი... Двумя словами скажи все...

III ირინარხთან

3

ირინ. (მთხოვნელს) მაგას კარგაძალი ფული დასჭირდება. გაქვთ?

მე-2 მთხ. არა მაქვს, მაგრამ... კარგი მაგარი ამხანაგები მყავს და ავწევთ ამ საქმეს... კარგი ახლა, ნუ გამიჭირე საქმე, ირიკო, რამდენი გინდა მითხარი და გაათავე...

ირინ. მეე? მე რა უნდა მინდოდეს... დაწესებულება იჯარას გაძლევს, ორ თვეში უნდა დაამზადო და ბეც წინდაწინ უნდა შემოიტანო ორი ათასი თუმანი, 20.000 მ., გესმის?

მე-2 მთხ. მესმის, როგორ არ ძესმის... მაგ საქმემ შეიძლება სულ ბოლო მომიღოს... აგერ ნახევარი წელიწადია მაგას ვსდევ .. უწინ აქ რომ შენ მაგიერი იყო ვერაფერი გავაწყე... ერთი უცოდინარი, ხეპრე კაცი იყო... ვენაცვალე

ლმერთს, გადაუგდიათ ახლა... რაღაც პარტიაში შეხვედრია, რას დავეძებ!.. ახლა შენ ხარ, ჩემი ღიდი ხნის კარგი ნაცნობი და მეგობარი და... ნული მიჭიანურებ საქმეს. შენი ხელის მოწერა უნდა ნხოლოდ... მითხარი რამდენი გინდა და საქმეც გავათავოთ...

ირინ. გეუბნები მე არაფერი არ მინდა... რა საკადრისია ამისთანა სიტყვები, მხოლოდ ჩვენ ინვალიდთა კასას უნდა შესწირო მეათედი მთელი სუმისა....

მე-2 მთხ. ჰო, კარგი ვიცი... მხოლოდ მეათედი ძალიან ბევრია, გეყოფა ხუთასი მანეთი.

ირინ. მე რა? გევაქრები თუ როგორ არის? ჩემთვის ხომ არ მინდა?

მე-2 მთხ. ჰო, ვიცი ვისთვისაც გინდა, მაგრამ მეტის მეტი ბევრია... ოჯახი ვერ ვიტანს...

ირინ. ვერ აიტანს და ჩვენც იჯარას სხვას გადავცემთ.

IV ქანცელარია

4

(თანამშრომლები სხედან. მარო გაქანებული ბეჭდავს. მე-2 გაზეთს კითხულობს, მე-3 პაპიროსს აბოლებს. 1-ლი ჩოთქზე ანგარიშობს, მე-4 საქმეებშია ჩაღრმავებული).

მე-3 მარო, მარუსია... დააყენეთ, თუ ქალი ხართ, ეგ მანქანა.

მარო (გაკვირვებული) როგორ თუ დავაყენო... აუარებელი საქმეა, ვერც კი აუდივარ (სხვა თანამშრომლებს მიაქვთ და მოაქვთ საქმეები მემანქანესთან). ვერა ხედავთ?.. ამეებს აბა როგორ უნდა მოვერიო...

1-ლი (მესამეზე) არა მაგას რას უშლის მანქანა ნეტა ვიცოდე? მხოლოდ პაპიროსს აბოლებს...

მე-4 (თავაუღებლივ) კომუნიზმზე ოცნებობს...

1-ლი აი ღმერთი მაგას უშველის... მე ვიკითხო, რომ მართლა ტვინი გამომილაყა ამ მანქანის კაკუნმა... ერთი ხუთჯერ მაინც ამერია ციფრები... მარო, მარო, მალე გადახვალთ აქედან?

მარო ირინარხმა სთქვა ამ სამ დღეშიო.

მე-4 ვაი ჩვენი ცოდვა!.. რაო? იმ საერთო ოთახში ვერ ეტევით მემანქანეები?

მარო დიაღ, ვერ ვეტევით და ეხლა უნდა აქვე თქვენს გვერდით დერეფანში დამსვას...

მე-3 რატომ? დერეფანი კი არა, კარგია... სრულიად განმარტოებულია.

მარო არაფრისათვის არ წავალ...

მე-3 რატომ? რატომ? (გადახედავს თანამშრომლებს და ერთ-ერთს, რომელმაც სწორედ ამ დროს შეხედა, თვალს ჩაუკრავს) ჰე-ჰე-ჰე! როგორ, დაიწყო გამგენ? (ყრუ სიცილი).

მარო (პირდაპირ არ უპასუხებს. მოღუშული, მტკიცეთ) არაფრისათვის არ წავალ.

1-ლი აბა მოგიკლავართ, მარო, ამ რახუნით და კაკუნით და ეგ. არის...

5

(შემოდის 3 მთხოვნელი, ქალაქ გარე მცხოვრებ უბრალო მოქალაქის ტანისამოსში გამოწყობილი, ხნიერი. შედგება, ეტყობა არ იცის რომელ თანამშრომელს მიმართოს. ხელში ორდერი უჭირავს. თანამშრომლებში სიჩუმე ჩამოვარდება. ბოლოს გაბედავს მთხოვნელი და მიდის მესამესთან, რომელიც ისევ პაპიროსს აბოლებს).

მე-3 მთხ. უკაცრაოთ, ერთი ეს მიბრძანე, ამაზე ხელი ვინ უნდა მომიწეროს?

მე-3 (არც კი შეხედავს, თითს გაიშვერს სადღაც ჰაერში).

მე-3 მთხ. (თითს თვალს გააყოლებს და მისი აზრით თითი მე-4 უნიშნებს. გასწევს მისკენ) ამხანაგო, ხელი მომიწერე ამაზე შენს გაზდასა...

მე-4 (თავჩაღუნული მუშაობს.

მე-3 მთხ. (ჯერ კიდევ გაუბედავათ) ამხანაგო... თუ შეიძლება...

მე-4 (ჩუმათ არის, მუშაობს).

მე 3-მთხ. (ცოტა ხმას მოუმატებს) ამხანაგო! ხელი მომიწერეთ...

მე-4 (საქმეს არ სცილდება ისე, თავს გადაუქნევს).

მე-3 მთხ. (თვალით გამოზომავს თავის გადაქნევას და ჰგონია, რომ მეორეზე ანიშნა, მიდის 2-თან) ამხანაგო...

მე-2 (ჩოთქით ანგარიშში გართული, თავს არ აიღებს ისე ქაღალდებს ზედ დაადებს).

მე-3 მთხ. (მის წინ აეტუზება და უცდის).

მე-2 (ანგარიშობს და მოტანილ ორდერის თანხასაც ჩოთქში ჩააგდებს, მაშინ დახედავს) რა არის ეს? მანეთი და თოთხმეტი შაური? აქ რა უნდა?

მე-3 მთხ. მე შემოვიტანე. გენაცვა და ეხლა ხელი უნდა მომიწერო...

მე-2 რას უნდა მოგიწერო ხელი?.. (კითხულობს ორდერს, გადააბრუნებს, კარგა გასინჯავს, უეცრად) აი დაგწყევლა ღმერთმა... რა მიქენი, კაცო ეს? აქ სად ჩამაგდებინე? (გამოდის) არა, ძმაო, არა, ეს ჩემი საქმე არ არის...

მე-3 მთხ. მაშ ვისია, სად წავიდე... (დაბნეული აქეთ-იქით იხედება) აქეთ გამომაგზავნეს და...

მე-2 არ ვიცი, ძმაო, არა... ჩემი საქმე არ არის...

მარო (თავს აიღებს) რას აწვალებთ მაგ კაცს... მოდი აქ, ძია... (3 მთხოვნელი მიდის. მარო ორდერს გაუსინჯავს და ირინარხის კაბინეტის კარებთან მდგარ მოხუც დარაჯზე აჩვენებს) აი, ძია, იმასთან მიდი, ის კაბინეტში შეგიშვებს და იქ რომ კაცი ზის, ის მოგიწერს ხელს...

მე-3 მთხ. აი ვაცხონე შენი მშობელი, თორე ამათ სუ დამაბნიეს... ზოგი ხმას არ იღებს, ზოგი პირაქეთ მე მიწყრება... (მიდის).

მე-3 ირაკლი კიდევ არ მოდის, რა დაემართა?

მე-2 არ ვიცი ეს ორი დღეა სახლშია ჩაკეტილი.

მე-3 კიდევ? აკი შეადგინა და მეორე დღესვე მოუტანა.

მე-2 ოო, მას შემდეგ ბარე სამი პროექტიც შეადგინა, მაგრამ სულ დაუბრაკეს.

მე-3 ეხლა?

მე-2 ეხლა არ ვიცი... თვითონ გამოითხოვა ნებართვა ორი დღით სახლში ვიმუშავებო. რაღაც ძალიან მაგარი პროექტი უნდა იყოს. აი დღეს უნდა მოიტანოს 1-ლ საათამდე...

6

მოხუცი დარაჯი. არ შეიძლება-მეთქი, არ გესმის?

მე 3-მოხ. არ შეიძლება არ ვიცი... აგერ ხუთი დღეა დავდივარ... ფული შემომიტანია... ორდენზე ხელი უნდა მომიწეროს.

მოხ. დარ. ეი, შენ და შენი ორდენი... სახელიც რომ კარგათ არ იცი... ორდენი კი არა ორდერი...

მე-3 მოხ. არ ვიცი, დაწყელა ღმერთმა, ორდენია რა ჯანაბაა... ფული შემომიტანია, დამოწმება მინდა...

მოხ. დარ. მერე ფინ-განყოფილებაში დოკუმენტი არ მოგცეს?

მე-3 მოხ. მომცეს კი მომცეს, მაგრამ წესი ეგრეა თურმე, მაგან უნდა მოაწეროს ხელი ორდენზეო...

მოხ. დარ. ჰო და დაიცადე და მოგიწერს...

მე-3 მოხ. კაცო, დავიცადო რომელია... გეუბნები ხუთი დღეა ამაზე დავდივარ, მოვცდი კაცი... მერე იცი სადა ვდგევარ?

მოხ. დარ. ჰო და სადა დგეხარ... ქალაქში იქნები სხვაგან სად...

მე-3 მოხ. რის ქალაქი, კაცო... საბურთალოს იქითა ვდგევარ, დილომამდე არაფერი უკლია...

მოხ. დარ. მერე და რა ამდენი ფული შემოგიტანია, რომ ასე ყოველდღე დადიხარ?

მე-3 მოხ. ფული ბევრი არ არი, მაგრამ მაინც ფულია... მანეთი და თოთხმეტი შაური შემომიტანია, ეხლა ხელწერილი არ მინდა? ჩემი ხომ არ არის, არტელისაა... რასტრატჩიკობას დამწამებენ... ერთი გამიშვი თუ ძმა ხარ...

მოხ. დარ. აქედან მოშორდი, თორე...

მე-3 მოხ. კაცო, რა ამდენი დრო უნდა წავართვა... შევალ, თავს დაუკრავ... ფხინკ... ხელი მოაწერა... მშვიდობით და გამარჯვებით.

მოხ. დარ. არ შეიძლება, ძმაო, არა... ბრძანებაა... სხდომაა აქ... ძალიან საიდუმლო საქმეა... დაიცადე ცოტაც...

მე-3 მოხ. კიდევ თავისას გაიძახის... აი დედასა, შემეძლოს ერთი ისე მიგაპტყელებდი მაგ კარებს, როგო ჯვარი-მამი ლავაში...

მოხ. დარ. გადი, დაიკარგე, შე ციხგლიანო... ვის მიაპტყელებდი, ვისა? იცი მე წინეთ ღუბერნატორთან ვმსახურებდი შვეიცრათ — ისეთი წვერები მქონდა აქეთ და იქით გადაშ-

ლილი, რომ ავ-თვალს არ დავენახვებოდი... იმდენი გენერ-ლები მოდიოდა და... თუ დრო არ იყო, იმათაც კი არ-ვუშვებდი! ვინ რას გამიბედავდა! ეხლა შენ მასწავლი-ჰკუას?

VI ირინარხთან

7

ირინ. (ფულების უკანასკნელ ნაწილსა სთვლის და ჯიბეში ილაგებს. შემდეგ უჯრაში რაღაცას ეძებს) ოჰ, ქვითარის წიგნი აქ რომ არ მქონია!..

მე-2 მთხ. არაფერია, არაფერი! შემდეგში გამოვსწორდებით, დღეის-წორს მაინც დანარჩენი უნდა მოვიტანო და... (ცბიერ-რათ) მაშინ მომცემთ. ნახვამდის! (გადის).

ირინ. (დგება და მოდის კარებთან. შეეფეთება მე-3 მთხოვნელს) არა მცალიან ეხლა, ხვალ მოდით, დღეს არავის არ ვღებულობ.

მე-3 მთხ. არ ღებულობ რომელია... ხელის მოწერაა საჭირო... სამი-დღეა დაგდევ.

ირინ. ეხლა რა უყო მე?.. ხომ ხედავ არა მცალია... (გარბის).

მე-3 მთხ. ვა, ერთი ამას უყურე და... ხვალ რომელია... კაცი ჩა-მოვწყდი სიარულით... მოვცდი საქმეს... ზანთრა, ზანთრა... ეგ განა წინეთაც არ იყო?! (უეცრად შესწყვეტს და ტუჩებზე მჯიღს მიირტყამს) ღმერთო შეგ-ცოდე, ღმერთო შეგცოდე!.. (თავის ქნევით გადის).

VII კანცელარია

8

ირინ. (მიდის მაროსთან) რა უყავით, მარო ქალო, ამდენ ხანს ვერ დაბეჭდეთ?

მარო (მარო თავს არ იღებს) ვერ მოვასწარი... ხედავთ რამდენი საქმეებია..

ირინ. ჯერ ჩემი უნდა დაგებეჭდათ...

მარო აკი ვბეჭდავ, მაგრამ ბევრია დასაბეჭდი... მაინცდამაინც-ოც წუთში მზათ იქნება.

ირინ. ძალიან კარგი. გეთაყვა, გაათაოთ თუ არა, თქვენ თვი-თონ შემომიტანეთ. მინდა თქვენთან ერთად გავასწორო.

მარო კარგი...

ირაკლი (შემოდის პორტფელით, ცოტა დაღლილობა ეტყობა).

ყველანი აა, ირაკლი, ირაკლი, ძლივს... გვეღირსა შენი ნახვა...

ირინ. (ირაკლის) რა ქენით? გაათავეთ?

ირაკლი როგორც არის, მაგრამ წელში კი გავწყდი.

ირინ. მალადეც, მალადეც (მიდის თავის კაბინეტში).

ირაკლი კვეენაძე აქ არის?

1-ლი აქ არის, მაგრამ მგონი ვილაც ჰყავს...

ირაკლი აჰა, ძალიან კარგი (ცალიერ მაგიდას მოუჯდება, ქაღალდებს ალაგებს).

გოჩოლ. (გამოდის თავის კაბინეტიდან და მიდის კვეენაძის კაბინეტისკენ).

ახალგ. დარ. უკაცრავათ, მარა მითხრა სთხოვე ყველას სანამ ეს კაცი არ წავა, მანამდე ნუ შემოვლენო.

გოჩოლ. ვინ არის, არ იცი?

ახ. დარ. არ ვიცი. ერთი უცხო კაცია. აქ არ მინახავს.

გოჩოლ. იასნო, დალშე. სად დაიკარგე, ერთი კვირაა არ მინახავხარ, სად იყავი, ბიჭო?

ახ. დარ. ქორწვილში ვიყავი.

გოჩოლ. რაფერ ქორწილში?

ახ. დარ. ისე, ცოლი შევირთე... (ღრიჭება) მუხრანსკის ქალი.

გოჩოლ. გადი!.. იასნო, დალშე?

ახ. დარ. დალშე... ძაან ქორწვილი გვქონდა.

გოჩოლ. შენ ბიჭო რინკველის ნათესავი არ ხარ? თუ რინკველია შენი ნათესავი?

ახ. დარ. კი ბატონო... მამიდაშვილია ჩემი... იმან არ დამაყენა აქ სამსახურში?..

გოჩოლ. იყო ქორწილში?

ახ. დარ. კი ბატონო!

გოჩოლ. იასნო, დალშე... შეურცხვა ცხვირი, მე ვერ წამომიყვანა ქორწილში?

ახ. დარ. ო, მაგი გლახათ დამართია, ბატონო?

გოჩოლ. ბიჭო და ვინ მოგცა შენ მაქაციას... მაქაცია არ ხარ?

ახ. დარ. კი ბატონო.

გოჩოლ. იასნო, დალშე. მერე და მაქაციას მუხრანსკიმ ქალი მოგცა?

ახ. დარ. ვერ წარმეიდგენთ რა გაჭირვებულები არიან...

ბოჩოლ. იასნო, დალშე... როგორ, მშობლები ცოცხლები ყავს?

ახ. დარ. რავა გეკადრება... მამა ისეთი ვაკკაცია ამ კარებში არ შემეეტევა...

ბოჩოლ. იასნო, დალშე...

ახ. დარ. (ლ რ ე ჭ ი თ) მეტკები აქ, ბატონო...

ბოჩოლ. რას ამბობ?

ახ. დარ. ჩემ ცოლს, ბატონო, მუხრანსკის ქალს... პერანგებზე მეტ-კები აქ...

ბოჩოლ. იასნო, დალშე?

ახ. დარ. ჰო და გამოცვლა არ ჭირდება: მმუხრანსკი, მმაქაცია!.. მმ!..

ბოჩოლ. დეიღუპე იქით... (თ ი თ ქ ო ფ ი ქ რ შ ი) იასნო, დალშე... შერე მოვალ აქ...

ახ. დარ. კარგი ბატონო.

ბოჩოლ. (ა რ შ ე დ ი ს თ ა ვ ი ს კ ა ბ ი ნ ე ტ შ ი, გ ა დ ი ს კ ან-ც ე ლ ა რ ი ი დ ან).

11

რინკ. (გ ა მ ო ვ ა რ დ ე ბ ა თ ა ვ ი ს კ ა ბ ი ნ ე ტ ი დ ან დ ა ი ს ე მ ი დ ი ს, რ ო მ ი რ ა კ ლ ი ს მ ა გ ი დ ა ს თ ან მ ო უ ხ-დ ე ბ ა გ ა ვ ლ ა) ოჰ, ირაკლი, გამარჯვება! Здравствуй Ираклий!.. რა ქენი, გაათავე? Что сделал, кончил?

ირაკლი (თ ა ვ ს უ ქ ნ ე ვ ს დ ა უ ჩ ვ ე ნ ებ ს მ ი ს წ ი ნ მ დ ე-ბ ა რ ე ს ქ ე ლ რ ვ ე უ ლ ზ ე).

რინკ. ყოჩაღი ხარ ირაკლი, ყოჩაღი! Молодец ты, Ираклий, молодец! (ა ხ ა ლ გ. დ ა რ ა ჯ ს) თუ ვინმემ მიკითხოს, если кто меня спросит, უთხარი, რომ ძალიან მალე მოვალ, скажи, что очень скоро вернусь (გ ა რ ბ ი ს).

VIII ᲙᲕᲔᲣᲜᲐᲫᲔᲡᲗᲐᲜ

12

ᲙᲕᲔᲣ. ძალიან კარგი, ამხანაგო... კიდევ ერთხელ გიმეორებთ... ა?.. რომ თქენ სპეცი ბრძანდებით ამ საქმისა და ჩვენ დიდი იმედი გვაქვს... ა?.. ხომ არ მოგვატყუებთ?

ᲡᲞᲔᲪᲘ ეგ რა სათქმელია!

ᲙᲕᲔᲣ. მე იმას ვამბობ, რომ ძნელია სპეცებთან საქმის დაჭერა!.. შენ რომ გგონია, რომ საქმეს ნამდვილათ გიკეთებს, თურმე აქეთ გიბრუნებს კეხს.

სპეცი — როგორ გეკადრებათ... როდის იყო, რომ მე მოგატყუეთ?

კვეჟ. — არა, თქვენზე არ მოგახსენებთ... ისე, საზოგადოთ...

სპეცი — თქვენ თვითონ კარგათ სედავთ საქმე როგორც არის... მე ის მომწონს თქვენი, რომ სპეციალი განათლება არა გაქვთ, მაგრამ საქმეებში ძალიან ერკვევით... ბუნებრივი ჭკუა გაქვთ... არა, ჩვენი ხალხი არ დაიკარგება... ქართველები ნიჭიერები ვართ ძალზე... ეს რასიულია!

კვეჟ. — (ეტყობა ქება იამა, მაგრამ არ იმჩნევს) აარა, რასსიულობა აქ არაფერ შუაშია... ა?... (უხერხული სიჩუმე) ჰო, ჩვენ ყველაფერი გავათავეთ, კარგა მოვილაპარაკეთ... (წამოდგება) მე საქმეს უკვე ვიცნობ... ეხლა ფულებზე და საერთოდ საქმის სამნეო ნაწილზე ამხ. პარასკიდის უნდა შეუთანხმდეთ.

სპეცი — როგორ? ირიკოს? (ეტყობა წამოცდა, ასწორებს) ირინარხ პოლიხრონიევიჩს?

კვეჟ. — დიაღ. ეხლა ის არის ჩვენი სამნეო და საფინანსო ნაწილის გამგე.

სპეცი — მე მეგონა მარტო ადმინისტრატიულ-საორგანიზაციო ნაწილი ებარა?

კვეჟ. — ჰო, ორივეს განაგებს... ა?.. დროებით შეთავსება მოხდა.

სპეცი — ძალიან კარგი. ნება მიბოძეთ გამოგეთხოვოთ და ჩვენს საქმეს უსურვო სრული გამარჯვება.

კვეჟ. — ეგრე იყოს. ა? (ხელის ჩამორთმევა. სპეცი გადის. შემოდის მოხუცი დარაჯი).

13

კვეჟ. — ეჩომდილო? რა გინდა, ბიჭო?

მოხ. დარ. — ჯერ ერთი მე შენი ბიჭი არა ვარ.

კვეჟ. — (ცოტა შერცხვება. უფრო რბილათ) ჰო, კარგი! რა გინდა, შაქროჯან... ეჩომდილო?

მოხ. დარ. — ეჩომდილო და შვებულება უნდა მომცე, ამხანაგო...

კვეჟ. — კაცო, ხომ გითხარ, ახლა ვერ გაგიშვებ-მეთქი, ა?..

მოხ. დარ. — როგორ ვერ გამიშვებ... მაგის პრავა არა გაქ... კავშირი იცი რა დღეს დაგაყენებს?..

კვეჟ. — კავშირი არ ვიცი მე! მე აქ ადმინისტრატიული ხაზით ვაწარმოებ საქმეს და შენ ეხლა მჭირდები... ა? აი ჭაღარა ჩამოვა და იმან გაგიშვას, მე ვერ გაგიშვებ...

მოხ. დარ. ესეც ოთახის საქმე გამიხდა რაღა... ამდენი ხანია პადვალში ვიხრჩვები ცოლ-შვილით, ამათ ჩემთვის ერთი სუფთა, ჰაერიანი ოთახიც ვერ უშოვიათ.

კვეუ. ეგ კავშირის საქმეა...

მოხ. დარ. ჰო და საითაც გავიქეცი, იქით წავიქეცი... თქვენ კი, თქვე-დალოცვილებო, ძაან ჩამაირიგეთ ოთახებიც და შვებულებაც...

კვეუ. კაცო, ეს კიდევ თავისას გაიძახის... შენ რომ გაგიშვა ვილა დავიტოვო... აქ უდარაჯოთ ვიყო, რომ ხალხმა კარები ჩამიმტვრიოს და მუშაობა აღარ მაცალოს, ა?

მოხ. დარ. ხალხს რომ ამოკლებდით, რატომ ეს უფროსები არ შეამოკლეთ, რომ მაშინვე დარაჯებს და კურიერებს მოგვარდით, არ შეამოკლებდით და ჩემი სამაგიეროც გეყოლებოდა.

კვეუ. ჰო, კარგია ახლა, ამხანაგო... აი ჩამოვა ჭალარა და შვებულებასაც მოგცემს და ოთახსაც მოგიხერხებს...

მოხ. დარ. (წასვლა უნდა, კარებში ირაკლის შეეფეთება და ბუზღუნით მიდის) ახლა ჭალარა!.. ის კი ვიცი, რომ ყველაფერს გამიკეთებს, მაგრამ ეხლა როდის ჩამოვა ი დალოცვილი ვინ იცის... (გადის).

14

კვეუ. (შემოსულ ირაკლის) ვჩომდილო ტავარიშჩ?

ირაკლი როგორ ვჩომდილო. პროექტი მოვიტანე (პორტფელიდან ერთად შეკრულ, კარგა სქელ, მანქანაზე დაბეჭდილ ფურცლებს ამოიღებს).

კვეუ. რა პროექტია?

ირაკლი (თვალებს შეაბლეცებს) როგორ თუ რა პროექტია?

კვეუ. ჰო და რა პროექტია, ვჩომდილო?

ირაკლი (ეტყობა თავს იკავებს) კვეჟენაძევ! მართალია უფროსი ხარ, მაგრამ თუ მემასხრები, მე არ მემასხრება...

კვეუ. სამასხრო რა შაქვს... ა?..

ირაკლი კაცო, მაშ მასხრობა არ არის: კაცი ერთი კვირაა გადამაკალი სხვადასხვა პროექტებს, სამი დამიბრაკე, ახლა მეოთხე შემადგენინე, ისეთია რომ ქვას გახეთქავს... რაც კი რამ ცოდნა მქონდა შიგ ჩავალიე, ორი დღეა სახლში ვზივარ, თავი არ ამილია ისე, რამდენი სხვადასხვა საბუთები, წიგნები, სახელმძღვანელოები და ლექსიკონები

გადავქექე... ყოველივე შევისწავლე, გამოვიკვლიე, დავაწყე, დავალაგე, გავამზადე და ეხლა მეუბნები რა პროექტიაო?

კვეჟ. ჰოო... ისა... უკანასკნელი? (ძ ა ლ ი ა ნ მ შ ვ ი დ ა თ) აღარ არის საჭირო, ამხანაგო!

ირაკლი (გ ა ა ფ თ რ ე ბ უ ლ ი) კვეჟენაძევ!

კვეჟ. რა კვეჟენაძე, რა! ბარემ მეც მინდოდა გულით... ჭალარამ არ დამიბარა?... მაგრამ იქ ვკითხე, სადაც ჯერ არს და მითხრეს, რომ საჭირო აღარ არის, მაგის დრომ გადაიარაო.

ირაკლი მერე და შე ოჯახ-ამობუქულო, თუ გითხრეს — რაზე მომკალი კაცი... ნამდვილათ წელკავი დამემართება, ხეირიანად ველარ გავმართულვარ, თუ ასე იყო, გეცნობებია, შიკრიკი გეფრინა, ავტო გამოგეგზავნა, დეპეშა დაგეკრა... ჩემი უბედურებაა ტელეფონი არა მაქვს... მაგრამ არც მაშინ გაგახსენდებოდი უთუოდ.

კვეჟ. ჩემი ბრალი არაა, ძმაო...

ირაკლი უჰ, შე-უღმერთო, შენ! მაგრამ რას ვლაპარაკობ? ულმერთოებში შენ კი არა, მეც ჩამწერეს გუშინ წინ... უჰ, რა გითხრა მე შენ...

კვეჟ. კარგი, ახლა დამშვიდდი, ირაკლი... მე ცოტა ხანს უნდა წავიდე, დაბარებული ვარ და... ა?.. მალე დავბრუნდები. (მ ი დ ი ს. მ ო ხ უ ც დ ა რ ა ჯ ს) მალე დავბრუნდები.

ირაკლი უი, შენ კი დაგწყევლა ღმერთმა კაი კაცი შენ არ იყო... (გ ა მ ო დ ი ს კ ა ნ ც ე ლ ა რ ი ა შ ი ფ უ რ თ ხ ე ბ ი თ).

IX კანცელარია

15

ირაკლი ფუი!

თანამშრ. (ხ ა რ ხ ა რ ი თ) რა იყო, ირაკლი, კიდევ... ბრაკ?!

ირაკლი აი ბრაკი და ბრანწი მაგის საქმეს...

მე-3 ესე გეკადრება შე პროექტების ბუდევ, შენ!

მე-2 შე-ინფორმ-ბიურო, შენ!

1-ლი შე-მუდო, შენ!

მე-4 შე-თხუნელა, შე-ქაღალდების მღრნელო, შენ!

მარო (ს ი ც ი ლ ი თ წ ა მ ო დ გ ე ბ ა. ქ ა ღ ა ლ დ ე ბ ი მ ი ა ქ ვ ს და შ ე დ ი ს ი რ ი ნ ა რ ხ თ ა ნ).

ირინ. (მარო შევა თუ არა გამოიხედავს კარებში და მოხუც დარაჯს) არავინ შემოუშვა, ხანგრძლივი საქმე მაქვს (შეგრუნდება და მაროს საუბარს უწყებს).

მოხ. დარ. (თავს დაუქნევს, იმავე დროს ხელებში ბოხათ ჩაახველებს, შემდეგ სქელ ულვაშებს გადაიგრეხავს და კარებთან გამოიჭიმება).

X ირინარხთან

16

ირინ. რა არის, მარო, აბა რათა სწყრებით... ცალკე ოთახი გექნებათ... ჩემს მეტი არავინ უფროსი არ გეყოლებათ... კეთილი ცხოვრება, ფულები...

მარო (წამოიჭრება) მეორეთ არ გაბედოთ...

ირინ. (წელზე ხელს მოხვევს, თავისთან იკრავს) ნუ, ნუ ჩემო ირემო...

მარო ფუ შე-წუწკო, შე-გაფუჭებულო! (სილას გააწნავს. გულ-გახეთქილი და სახე-ალეწილი გამოვარდება. ირინარხი გარტყმეულ ადგილას ხელს მიიფარებს და სავარძელში მოიკრუნჩხება).

XI კანცელარიაში

17

მარო ფუი! (მიდის თავის მანქანასთან და აღელვებული დიდხანს ვერ იწყებს სამუშაოს. თანამშრომლები შეამჩნევენ მაროს აღელვებას, მათ სახეს ეტყობა, რომ მიხვდენ, რაც მოხდა, მაგრამ არავინ ხმას არ იღებს და ყველა თავის სამუშაოს ჩაულრმავდება).

18

მაკა (შემოდის, თან მოჰყავს დარბაიძის ქალი) მართალია, მე ჩემმა შვილობილმა ამიკრძალა აქ, დაწესებულებაში მოსვლა, მაგრამ ისეთი საქმე მაქვს, რომ არ მოვიდე არ იქნება... შემოდი, ლიზბეტ, შემოდი.

დარბაიძე მა ტანტ!... რა მინდა კანცელიარიაში?

მაკა მოდი... საცა მე ვარ, იქ შენც არა გიშავს-რა... (დარბაიძე შემოდის. მაკა გაექანება კვეჟენაძის კაბინეტისაკენ, იქ ვერავის ნახავს, შემდეგ სხვა კაბინეტებში და ბოლოს გაწბილებული ბრუნდება). ეს რა ამბავია, როგორ გამოცალიერებულია აქაურობა? (თანამშრომლებს, რომლებიც ირაკლის გარდა სიხარბით შესცქერიან დარბაიძეს) არავინ არ არის? ოო, ირაკლი, ირაკლი! ირაკლი გიორგიეეიჩ!.. (ირაკლი ზანტათ წამოდგება) რა არის, რა მოგსვლია, ყმაწვილო?.. უქეიფოთ ხომ არა ხარ (მასთან უკვე ახლოს არის, ხელს ართმევს, მაჯას უსინჯავს) მოგიკვდა ჩემი თავი!..

დარბ. კნიაზ ირაკლი!.. რამდენი ხანია... смотрю на него и нуль внимания...

ირაკლი (ნაძალადევათ) უკაცრავათ... მაგრამ, სწორე გითხრათ, ვერა ვარ გუნებაზე...

დარბ. О да, это я заметила, а то такой воспитанный человек...

ირაკლი (მაკას ჩუმად) რა არის? როგორ გიჭირავს თავი? აქ დაწესებულებაა, სახლში ხომ არა ხარ?... მაკა! ან აქ რაზე მოხველი... აკი ჭალარასაგან აკრძალული გაქვს აქ მოსვლა...

მაკა მოკედი კი არა, მთელის ჩემის არსებით აღშფოთებული ვარ... ამ დილით ვიღაც მარტიროსოვი ვარო, სახლში მომივარდა და დამემუქრა ეგ შირმა უნდა წაგართვაო... იცოცხლე, შე იმას დღე დავათიე... მაგრამ მაინც არ ცხრებოდა: უთუოდ გიჩივლებ სადაც ჯერ არს და საჯაროთ შეგარცხვენო...

ირაკლი მმ... მარტიროსოვი?

მაკა აქ ახლა მიტომ გადმევიარე, კვეჟენაძე მინდა გავაფრთხილო.

19

ირინ. (მორიდებით გამოდის თავის კაბინეტიდან).

მაკა აა, ირიკო აქ არ ყოფილა?.. ირიკო, ირიკო!

ირინ. ოო პატივცემული მაკა!.. (დარბაიძეს) თქვენ... наше очарование... რაზე გარჯილხართ?

მაკა როგორ თუ რაზე? მარტიროსოვი მომივარდა... როგორ არა გრცხვენიან, ირიკო!.. შირშის საქმე აქამდე ვერ მიაგვარე...

ირინ. შირმა... მმ... შირმა... ხომ გიდგიათ, მე ეი რაღა გინდათ?

მაკა მიდგია რა, ის კაცი წართუმას მიპირობს და...

ირინ. არა, არაფერია... ადგილკომში იყო ეგ საკითხი, მავრამ... ეალარას მოსელამდის გეღვათ იქ და მერე მან იცის და თქვენ ..

მაკა რას ქვია მის მოსელამდი... მოსელამდი კი არა შირმა ჩემია და არა კაცს დაბადებულს ცოცხალი თავით არ დავანებებ...

ირინ. როგორც გენებოთ.

მაკა ასე უთხარი კვეკენაძესაც, პაეალუსტა, ირიკო, დღეს საღამოს არ დაგავიწყდეს ჩვენთან მოსელა... თვარა, ხო იცი, კნიაენას ეწყინება...

ირინ. ოო, მაგათ გულისთვის იქ კი არა, ხელ-ახლა წავალ კატორლაში...

დარბ. Я очень рада... (ირაკლის) Он такой забавный.

ირაკლი როგორ? შენ კატორლაშიაც ნამყოფი ხარ?

ირინ. სად არ ვყოფილვარ სად, კნიაზო... მაშ როგორა გგონია... Ничего... (მაროს გადახედავს) ჯერ კიდევ ბევრს მოუგრეხ კისერს...

მარო (აენთება. წამოდგება და მანქანას ჯახუნით თავს დახურავს).

ირინ. საღამოს გიახლებით... ეხლა, უკაცრავათ, არა მცალიან... (გადის).

მაკა (ხმაურზე მოიხედავს) ოო, მარუსია, ჩემო მარო... ქალო, რა ამბავია რომ დაგვივიწყე, აღარ გვეკარები... იმ ღამის მეტად არ ყოფილხარ... (განზე გაიყვანს) შენ არ მომიკვტე, უზბეკისტანელი რომ იყო ერთი, ნარკომი... გახსოვს? ისე მოეწონე, რომ... დამახრჩო...

ირაკლი (დარბაიძეს) ოო, დღეს? გეფიცებით ისეთ გუნებაზე ვარ, რომ ნაღდათ დავითვრები...

დარბ. Зачем же дело стало?.. ცავიდეთ ჩვენსა...

ირაკლი ეი, არა გრცხვენიანთ: ცავიდეთ! რით ვერ ისწავლეთ ამდენ ხანს ქართული?

დარბ. Я же вам сказала, что... მსხვენიან, ძალიან მსხვენიან, но вы же знаете, я тут не причем: отец русский

генерал, мать урожденная Трубецкая... воститывалась в Россий, заграницеи... (ფრანგულათ) მე მენტნან ენ პრანდრ ლა ლესონ ლა ლანგ ეორეიენ... შერ მა ტანტ-

ირაკლი ოო, ძაან ქართულს ისწავლით მე თქვენ გეტყვით: აქინა, იქინე!..

მარო მაშ ირინარხიც იქნება?

მაკა ყველანი იქნებიან, ყველანი, მაკა არ მოგიკტეს... უთუოთ მოდი...

მარო მოვალ, მოვალ...

მაკა მართლა, ირაკლი! შენ წამოდი ჩვენთან სადილათ... ისეთი მოხრაკული ქათმები მაქვს და თქვენებური შილაფლავი... მეტი არაფერი არა მაქვს...

ირაკლი მოვდივარ, მოვდივარ უსათუოდ...

მაკა მაშ ესე, გელით. აპა, წევიდეთ, ლიზბეტ (გადიან).

მე-3 რა ქალი იყო, ბიეო, რა ქალი... Вот порода!..

მე-4 მართლა ჩამოსხმული არ არი ე ოჯახქორი!..

მე-2 რა უნდა მერე მაკასთან?

ირაკლი Ну, შენც კითხულობ რაღა... (სიცილი).

1-ლი არა „მა ტანტსაც“ რომ ეძახის?..

მე-3 შენ ეგა თქვი და...

20

(შემოდიან კომკავშირლები, დაათვალიერებენ ოთახებს, აუტყდებათ ხარხარი).

1-ლი კ. კ. ჩვეულებისამებრ არავინ არის?.. ჩასწერე...

მე-2 კ. კ. ჩვენ მაინც ვისარგებლოთ და თანამშრომლებიდან მაინც მოვკრიფოთ ცნობები.

ყველანი რა საკვირველია, რასაკვირველია, თორემ ძალიან გავცდით, ეორების მეტი არა ვიცით-რა... (ოთხივენი ოთხივ თანამშრომელს მიუსხდებიან და რაღასაც სწერენ).

21

გოჩოლავა. ახალგაზრდა დარაჯი.

გოჩოლ. იასნო, დალშე!..

ახ. დარ. შენზეა ახლა დამოკიდებული და შენ იცი...

გოჩოლ. შენ რა გინდა ახლა, შვებულება?

ახ. დარ. ჰო!..

გოჩოლ. შვებულებას... ჰო... ან მე მოგცემ, ან სხვა მოგცემს, ან შეიძლება არავინ არ მოგცეს, მარა მაინც იასნო, დალშე... მაინც შენ დაამზადე ანკეტები, ყოველგვარი საბუთები და... იასნო, დალშე!..

ახ. დარ. დალშე?.. დალშე რაღა გინდა, კაცო? გთხოვე და ის არის...

გოჩოლ. არა კაცო, მე ისე ვლაპარაკობ... დაჩვეული ვარ ა ოხერს... იასნო, დალშე?.. (მ ი დ ი ს, დ ა რ ა ჯ ი გ ა დ ი ს).

22

(შ ე მ ო დ ი ა ნ თ ა რ ჯ ი მ ა ნ ი დ ა უ ცხ ო ე ლ ი ჟ ურ ნ ა ლ ი ს ტ ი).

თარჯიმ. (გ ო ჩ ო ლ ა ვ ა ს) უკაცრავად, ამხანაგო... ნება ჰიბოძეთ გაგაცნოთ უცხოეთის ერთ დიდ გავლენიან გაზეთის თანამშრომელი — ჟურნალისტი... ჩვენ მოვედით იმისთვის, რომ თქვენს დაწესებულებაზე ცოტა რამ ცნობები შევკრიფოთ. ამჟამად სხვა უფროსები აქ არა ყოფილან, ამიტომ თქვენ გაწუხებთ.

გოჩოლ. (პ ი რ ვ ე ლ ხ ა ნ ე ბ შ ი დ ა ი ბ ნ ე ვ ა, ე ტ ყ ო ბ ა კ ა რ გ ა დ ა რ ე ს მ ი ს რ ა ა მ ბ ა ვ ი ა) ჟურნალისტიო? იასნო, დალშე! რას მიბრძანებთ?

თარჯიმ. ამათ ჩამოწერილი აქვთ კითხვები და მეც მაგათ წაგიკითხავთ.

გოჩოლ. იასნო, დალშე!

უცხოელი (ც ო ტ ა გ ა ნ ც ვ ი ფ რ ე ბ უ ლ ი გ ა დ ა ხ ე დ ა ვ ს გ ო ჩ ო ლ ა ვ ა ს).

თარჯიმ. (უ კ ი თ ხ ა ვ ს) რას ემსახურება თქვენი დაწესებულება?

გოჩოლ. ჩვენი დაწესებულება?.. ჩვენი დაწესებულება ემსახურება იმას... რასაც უნდა ემსახურებოდეს... აი ასე რომ ვთქვათ... დაწესებულება ასრულებს თავის დანიშნულებას. იასნო, დალშე!

უცხოელი (გ ა ნ ც ვ ი ფ რ ე ბ ი თ შ ე ჰ ყ უ რ ებ ს გ ო ჩ ო ლ ა ვ ა ს).

თარჯიმ. თქვენ რომელი განყოფილების უფროსი ბრძანდებით?

გოჩოლ. მე... აი განყოფილება რომ არის იმის გამგე ვარ და... განყოფილების საქმე მე მაბარია... იასნო, დალშე!

თარჯიმ. კეთილი და პატიოსანი! რამდენი მოსამსახურე გყავთ?

გოჩოლ. სულ?

თარჯიმ. დიაღ, სულ თქვენი შემავალი საწარმოთი.

გოჩოლ. (იბნევა) რვაას-ოთხას,... ვოსეშსოტ სოროკ სემ...

თარჯიმ. ძალიან კარგი... ესლა, როგორც მოგეხსენებათ უცხოელს ჩვენი ყველაფერი აინტერესებს და უნდა იცოდეს, უმუშევრები ბევრი გყავთ თუ არა?..

გოჩოლ. უმუშევრები?.. უმუშევრები ჩვენ არ გვყავს... არა! გვყავს, გვყავს, მაგრამ ჩვენი უმუშევრები მაგენს რომ ყავს იმფერი არაა... იასნო, დალშე!

თარჯიმ. (კიდევ ქაღალდში ჩახედავს) მაშ ესეც გვიბრძანეთ: როგორ არის თქვენში დაყენებული მშობიარეთა საქმე... მაგ. მშობიარეებს მშობიარობის დროს შვებულება ეძლევათ თუ არა?

გოჩოლ. მშობიარე?.. მშობიარობა ჩვენში საზოგადოთ იშვიათად არის. არა! არის, არის, მაგრამ შვებულება თუ ზაფხულამდი გასტანა მიეცემა და თუ არა და!.. ვაძლევთ კი, როგორ არა, ვაძლევთ შვებულებას... იასნო, დალშე!

უცხოელი (ღიმილით, ხელს ართმევს გოჩოლავას მსუქნათ, აქცენტით) იასნო, იასნო!

თარჯიმ. გმადლობთ, გმადლობთ, მეტს აღარ შეგაწუხებთ... (უცხოელი რაღასაც ეტყვის) მართლა, უკაცრავად, თქვენი გვარი?

გოჩოლ. გოჩოლავა.

უცხოელი (იწერს) გოტ-როლ-ავა... ოშინ რად, ოშინ რად!.. (გაბრუნდება, მიდის და ყველა იქ მდგომთ თავს უკრავს) ოლ-რაიტ, ოლ-რაიტ! (გადის თარჯიმანთან ერთად. გოჩოლავაც გაჰყვება).

მე-3 კ. კ. აუდიენცია არ ითქმის რომ ხანგრძლივი იყო.

მე-2 კ. კ. მე ჩავიწერე: „ამა და ამ დაწესებულებაში იყო უცხოელი ესა და ეს ჟურნალისტი, ხანგრძლივათ ესაუბრა დაწესებულების უფროსის მოადგილეს ამხ. გოჩოლავას, რომლისგანაც ყველა კითხვებზე ამომწურავი პასუხი მიიღო“.

1-ლი კ. კ. რას სულელობ! არ გაბრიყვდე და გაზეთში არ მოათავსო.

მე-4 კ. კ. ოჰ, როგორ შეიძლება!

მე-2 კ. კ. ხუმრობს, ამხანაგო, ხუმრობს...

მე-3 კ. კ. „ხუმრობენ და ხუმრობითვე სწამლავენ ერთმანეთსა“... არ იცი ეს საიდგან არი?

მე-4 კ. კ. რა ვიცი... შენ ხარ გადამკვდარი კლასიკოსებზე...

1
2 კომ. კ. } ჰო,, ჰო... უთუოდ რომელიმე კლასიკოსი იქნება...
მე-3 კ. კ. შექსპირია, ამხანაგო, შექსპირი.
მე-4 კ. კ. ხომ გითხარი.
1-ლი კ. კ. ოჰ, გასწი იქით შენი შექსპირი...

23

კვეჟენაძე. გოჩოლავა. მარტიროსოვი.

კვეჟ. (მოუიქინობს) ვჩომდილო? ვინ იყო? რა იყო?
გოჩოლ. უცხოელი ჟურნალისტი იყო... არავინ არ იყავით და მე დაუხვდი... იასნო, დალშე!. არა, რომ ყოფილიყავით მაინც მე უნდა დავხვედროდი, ან შეიძლება არც დავხვედროდი, მაგრამ მაინც იასნო, დალშე!
კვეჟ. დალშე და არც ის ოჯახქორი რინკველი იყო, არც პარასკიდი?
გოჩოლ. რა ვიცი, ჯანდაბას იმათი თავი... მე კი ბევრი მესაუბრა, სუ ოფლში გავიწურე... იასნო, დალშე!
კვეჟ. მწყინს რომ არ ვიყავი... ა?.. მაგრამ რა ვუყო... (მიდის თავის კარებისკენ, წინ მარტიროსოვი დახვდება).
მარტირ. მე რას მიშვრები?
კვეჟ. (მოუბრუნდება ყველას) კაცო, ვინ არის ეს კაცი, რას ჩამაცივდა, ვჩომდილო? რუსთველის პროსპექტიდან მომდევს აქამდი... ა?.. რა გინდა, ვინა ხარ?
მარტირ. Я гражданин Мартиросов...
კვეჟ. მერე რა გინდა, შვილო, ძმაო, ხელმწიფე, პრეზიდენტო, ა?
მარტირ. (მშვენიერი აქცენტით) Я хочу, чтобы мне мою ширму вернули бы...
კვეჟ. (სახე მოეღუშება) შირმა?
მარტირ. Я это дело так не оставлю... Я знаю, что местком вынес постановление, уже неделя с тех пор, а вы до сего времени задерживаете выдачей ширмы... Мало ли что она у почтенной Маки на квартире стоит... Я этого не допущу...
კვეჟ. კარგია, კაცო, რომ პარუსკობ რას პარუსკობ ამდენს... აი ჭალარა ჩამოვა და ის გამოაწყობს ყველაფერს... ა? მე ამ საქმეში ვერ ჩავერევი...

მარტირ. კარგია ერთი, მამა გიცხონდა... ვერ ჩაერევი რომელია... უფროსი ხარ და ვერ ჩაერევი?..

კვეჟ. ვერ ჩავერევი-მეთქი... გესმის ქართული? ა? ვჩომდილო? (შედის კაბინეტში).

მარტირ. (მობრუნდება თანამშრომლებისაკენ) Вот грабеж среди белого дня...

1-ლი კ. კ. რა გაწუხებთ, მოქალაქე, ჩვენ ვიცით თქვენი შირმის ამბავი და... ძალიან მალე ჩამოერთმევა კიდეც პატივცემულ მაკას...

მარტირ. ვა, მართლა!.. ეს რა კარგი ამბავი მითხარი... ეჰ თუ ჩემი შირმა მართლა დამიბრუნდა, ო, ყმაწვილებო... თქვენი პატივისცემა მაშინ ჩემზე იყოს... (გახარებული, ღიღინით და ხტუნვით გადის).

მე-2 კ. კ. რა მოუვიდა? ვაი თუ ჰგონია, რომ შირმას მაგას დაუბრუნებთ?..

მე-4 კ. კ. ეგ სულელი, ეგა... შირმას მაგასთან რა უნდა...

მე-3 კ. კ. მაგისთანა ხელოვნების ნიმუში ისევ სადმე მუზეუმში უნდა იყოს, მუზეუმში...

1-ლი კ. კ. მაშ ეხლა კვლავ წინ, ამხანაგებო, გამოსაკვლევათ და საზვერავათ იაროს ჩვენმა მსუბუქმა კავალერიამ...

(დარაზმული, სიმღერით გადიან).

ფარდა

მოქმედება მესამე

1-ლი სურათი

რონოდაში. მიქსტ-კუპე. მატარებელი ეტყობა მიდის: სარკმლიდან იშლება სხვადასხვა სანახაობა. სხვედან ორნი: ჰაღარა და მგზავრი. ჰაღარა ღრმათ ჩაფიქრებული უსმენს მგზავრს.

მგზავრი ... ამგვარათ, უკვე დამტკიცებულია, რომ შენი ირიკოა თუ მართლა ვირიკო საცარი მექრთამე ყოფილა, თავი მოსჭრა მთელს დაწესებულებას, მთელი ქალაქი ამაზე ლაპარაკობს... შენ როგორი იმედი გქონდა, მარჯვე კაცია, ცხოვრებას კარგა იცნობს, პრაქტიკოსიაო და აი...

ჰაღარა (ისევ ფიქრშია. მაშინალურად). დიაღ, დიაღ... მოდი და ენდე ახლა კაცსა...

მგზავრი რინკველია და საქმე გააჭირა მისი კინკლაობით, არც საქმისა ესმის რამე... ვერაფერს ვერ გაუგებ რა ენაზე ლაპარაკობს, რას ლაპარაკობს .. უნდა გოჩოლავა გადააგდოს და მისი საჩივრებით და პირადი განცხადებებით ამხანაგებს მოსვენება არა აქვს... კვეენაძეა და ხომ იცი... პატიოსანია, მაგრამ დურაკია... მაგრამ ეს ყველაფერი რაც გიამბე დაწესებულებას შეეხება და ამას, რაღა თქმა უნდა, ჩახვალ თუ არა, ყველაფერს გამოასწორებ, მოაწესრიგებ, მხოლოდ...

ჰაღარა (ფიქრში) კარგი იყო გადაფრენა...

მგზავრი გადაფრენას აქ სად მოახერხებ... თუ ესე გინდოდა ბესლანზე უნდა ჩამომხტარიყავ და კავკავიდან მოახერხებდი გადაფრენას...

ჰაღარა მაშინ ასე დაწვრილებით არ ვიცოდი ყოველივე...

მგზავრი მაშ, მე რომ გზაში არ შემხვედროდი, არაფერი არ გეცოდინებოდა...

ჭალარა ასე დაწვრილებით არა... აბა საიდან? მოსკოვში მომივიდა წერილი—მაფრთხილებდენ მხოლოდ და მაშინვე შემოვთვალე, რომ თვალ-ყური დაეჭირათ დაწესებულებაზე... მერე არც მეცალა და შორიდან რადიოთი ბრძანების გაცემას და მოლაპარაკებას ისევ პირადათ ჩასვლამდე დაცდა ვარჩიე.

მგზავრი არა, რასაკვირველია, ეგრე სჯობია... რომ ჩასვალ დაწესებულების შესახებ... ყოველსავე გაიგებ... და ყველაფერსაც გაარიგებ, მაგრამ...

ჭალარა კიდევ რაღა არის?

მგზავრი აი რაც არის ამის შესახებ არ ვიცი სწორედ როგორ გითხრა, მაგრამ... ესეც მართალია, რომ ამის უთქმელობა დანაშაულია... (პაუზა).

ჭალარა ნუ დამზოგავ... ნურაფერს დამიმალავ...

მგზავრი საქმე შირმას შეეხება...

ჭალარა (თითქო რაღაც სხვას მოელოდა, გაოცებული) შირმას? (პაუზის შემდეგ) რაზედ ლაპარაკობ?

მგზავრი მე ვლაპარაკობ იმ შირმაზე შენს სახლში რომ დგას... არაფერი არ გესმის, განა?.. აი სწორედ ძაღლის თავიც მანდ მარხია... შირმა შენმა დედობილმა წააღებინა სახლში დაწესებულებიდან...

ჭალარა (წამოვარდება, მაგრამ ისევ დაჯდება).

მგზავრი შირმა ვიღაც მარტიროსოვს ეკუთვნის და მას შემდეგ, რაც შენ წამოხველი, ის კაცი დაიარება დაწესებულებაში, მაგრამ არ იქნა, თავისი შირმა მაინც ვერ დაიბრუნა. ყველამ იცის, რომ შირმა უკანონოთ არის წაღებული, რომ მისი მითვისება არაფრით არ შეიძლება, მაგრამ შენს დედობილს ვერავინ ვერაფერს უბედავს, რადგან ხათრი აქვთ შენი... შენი დედობილი კი...

ჭალარა (თვალებზე ხელს მიიფარებს) კარგი, გაჩუმდი... მაკაზე ნულარას ამბობ...

მგზავრი არა, უნდა გითხრა... აკი შენ თვითონა სთქვი: ნუ დამზოგავ, ნურაფერს დამიმალავო... უნდა გითხრათ პირდაპირ... ეს არის ჩვენი, ამხანაგების მოქალაქობრივი მოვალეობა... მაკა ვერ იქცევა ღირსეულათ... მან თავის სახლში გააღო ბურჟუაზიულ სალონის მაგვარი რაღაც და სალონი კი არ გამოუვიდა, არამედ... სულ სხვა სახელწო-

დების ღირსი დაწესებულება... ეხლა შენ ხომ შებრალება არ იცი, როდესაც ეს ეხება პარტიის სახელსა და პრესტიჟს... შენმა დედობილმა კი შებღალა ორივე... შენს სახლში ნათავადარი ირაკლი დაპარპაშებს და... დედაბერი სულ ჭკუიდან შეიშალა...

ჭალარა (ხელით ანიშნებს რომ დაჩუმდეს).

მგზავრი (პაუზის შემდეგ) წარმოიდგინე რა საშინელი მდგომარეობაც არის... ხალხი ღელავს, მთელი ქალაქი მარტო შენს დაწესებულებასა და შენს ოჯახზე ლაპარაკობს... ამხანაგები აღშფოთებულები არიან... უცდიან შენს ჩამოსვლას...

ჭალარა (მშვიდათ) მგონი მატარებელი შეჩერდა... ჰაერზე მინდა გავიდე (მთელი განსახვა მატარებლის შეჩერების და სიგნალების ხმაურისა).

ჭალარა წამო! (დგებიან და კარებისკენ მიემართებიან).

ფარდა

მე-Ძ სურათი

მაკას სახლში. მისაღები ოთახი, უფრო ბუდუარსა ჰგავს. შირმა თვალსაჩინო ალაგას. მორთულობა მდიდრული, ზოგან კოხტა, მაგრამ ზოგან გემოვნების გარეშე, შემთხვევითი და ზერელე.

1

ცაცა, თამუნია, ნადიკო გამოდიან განის კარიდან, სიცილ-კისკისით.

ცაცა — დედა, ეს რა ვნახე, რა... იმ გადახჩუებულს შეხედე...

თამუნია — მაიმუნს არ ჰგავს!..

ნადიკო — ჰო კარგი ახლა... არ გრცხვენიანთ! მის სახლში ხართ და მის პურმარილზე...

ცაცა — არა, როგორ იპრანჭება... ჰაი გიდი მაკა! ეს სამოცდაათი წლის ბებერი როგორ ეარშიყება ამ ირაკლის...

თამუნია — როგორ, ქალო, აქამდის არ იცოდი?

ცაცა — არა, ბეჩა, ასე აშკარათ?!.. რამ აახუნტრუცა... დასწყევლოს მაგის სახელი...

ნადიკო — ჩვენ მაინც არაფერი გვეთქმის, ჩვენ ძაან პატივს გვცემს და...

თამუნია — მართალია, მართალი! რას დაეძებთ (ამოიღებს პუდრს, ტუჩების საღებავს და სარკეში ლამაზდება. ეგრე იქცევიან დანარჩენებიც). ის კი არა, ქალებო, ისეთი ჩულქები ჩამოუტანიათ, ისეთი რომ უკეთესი არ შეიძლება... ნამდვილი ვიქტორია, ზაგრანიჩნი...

ნადიკო — ვის, ვის?

ცაცა — არ ვიცი. ვილაცა ურიაა... კონტრაბანდაა.

ნადიკო — ვინ გითხრა, ვინ?

თამუნია — სანდრომ მითხრა... აგერ სანდროც...

ცაცა — ოჰ, მთვრალია ძალზე...

ნადიკო — უჰ, თუ მთვრალია არ შემიძლიან მაგასთან დადგომა, მეტის მეტი უზრდელია...

თამუნია — ისე რა კარგი ბიჭია...

ნადიკო — იცოცხლე, ფხიზელი ეგ კარგი ბიჭი იყოს... მაგრამ მთვრალთან ღმერთმა დაგიფაროს მაგასთან ყოფნა...

ცაცა — დღეს მაინც რა დაემართათ... ყველანი ძალზე დაითვრენ.

თამუნია — ჰა, ჰა, კვეტენაძეს არ უყურებთ, რა ამბავშია?..

ნადიკო — უჰ, ძალიან, ძალიან... იცი წერილი მომწერა. აგერ მაქვს. (კითხულობს ქაღალდის სალფეთქზე დაწერილს) „ჩემო ლამაზო და ჩემო მწველო, ჩემო ახლო მეზობელო“... ეს მასთან ახლოს რომ ვიჯექი ვითომ იმას ნიშნავს!.. (კითხულობს) „შენი თვალები სწვავენ ჩემ თვალებს... ბითხარ, რაფერ მოგეფერო?.. ანდრო ჩოხატაურელი“.

თამუნია — ეგ კვეტენაძისაა?

ნადიკო — არ დაგინახავს სუფრაზე წერილებს რომ მიგზავნიდა?

ცაცა — მერე შენებურათ ვერ უპასუხე?

ნადიკო — ვუპასუხე: ეს უთუოდ ჩოხატაურელი არშიყობა არისმეთქი... ერთხანს გამებუტა, მაგრამ მერე ისევ მომწერა: „გენაცვალე კაკალ გულშიო!“

თამუნია — ოო, როგორ გააჭირეს ამ სიმღერით... საიდან მოიგონეს...

ცაცა — სანდრომ გაიხსენა: ძველი ქუჩური სიმღერაა: „გენაცვალე კაკალ გულში, როგორც ყველი ხაჭაპურშიო“.

ნადიკო — კარგი. ახლა აღარ დავბრუნდეთ სასადილოში? ჩვენ კავალრებს და უცხოელ სტუმარს მოეწყინება...

თამუნია — ნუ.გეშინია, კნიაენა დარბაიძე იქ არ ყავს?

ცაცა — შენ ახლა გეხარბება, რომ კნიაენას მეტი ყურადღება მიაქცია...

თამუნია — არ გრცხვენია!.. კი არ მეხარბება, მაგრამ დიდი უზრდელი კი ყოფილა...

ნადიკო — მართალია, მაგრამ ასე არ არის ყველა უცხოები?.. ჩვენ თუ ადამიანები ვართ კი არ გონიათ... ეს მაინც ქალებს ისე გვექცევა, თითქო მისი ჰარამხანიდან ვიყოთ...

ცაცა — ჰარამხანა ამერიკელებს ვინ მისცა?

ნადიკო — ასე ქვია... მაგრამ მაინც დავბრუნდეთ, ჩვენ ჩვენი ზრდილობა მოვიხმაროთ..

2

(კვეტენაძე და მე-3 თანამშრომელი მთვრალები შემოდიან).

მე-3 — ქალებო, ქალებო, სადა ხართ? გენაცვალეთ კაკალ გულში!

კვეჟ. ვჩომდილო! ამდენ ხანს სად დაიგვიანეთ, ა! ოო, აგერ არ ყოფილა ჩემი ნადიკო! (მოხვევნა უნდა).

ნადიკო (გაუსხლტება) პატივცემულო ანდრო, როგორ გეკადრებათ? ასეთი დიდი კაცი, სერიოზული, მთელი დაწესებულების უფროსი და...

კვეჟ. ვჩომდილო? დაწესებულება იქ არის... აქ რა, მე ჩემს სახლში არ შემიძლია გავმხიარულდე?.. ვჩომდილო? მე არ შემიძლია არშიყობა თუ?

მე-3 წამოდით, გვრიტებო, უთქვენოთ მოწყინდა ხალხს... გენაცვალეთ კაკალ გულში... (ხელს უყრის თამუნიას და ცაცას და ბარბაცით მიჰყავს).

კვეჟ. ყველა ტინგიცა უცხოელს თუ ნება აქვს არშიყობის, მე რავა, ჩემს ქვეყანაში ამის ნებაც არა მაქვს, ა?.. წამოდით, ნადიკო, წამოდით... ვჩომდილო?

ნადიკო ვჩომდილო და თუ დარბაისლურათ მოიქცევით აი, წამოვალ...

კვეჟ. ჰო, გენაცვალოს ანდრო, ჰო... ისე მოვიქცევი, როგორც შენ გიამება! ა? (ხელიხელ გაყრილი გადიან).

3

მე-3 (ბარბაცით ბრუნდება. ეტყობა რომელიღაც კარებს ეძებს, ვერ მიუგნია).

4

(ერთ-ერთ კარებიდან გამოდის მოსამსახურე გოგო, 25 წლის იქნება, დუნე მიხვრა-მოხვრა აქვს, ფერ-ხორცზე კარგათ არის, ცოტა სქელია, თავისებური სანდომიანობა აქვს. ორიგინალურათ ჩაცმულია, ვითომ კარგათ ფადნოსზე წვნით თეფში მიაქვს).

მე-3 აა, თიკო, თიკუნაო! (გლეხურათ უქცევს) მოდი ეგ ვაშლები დაგიკვნიტო-ყე... (ძუძუზე უჩქმეტს).

გოგო იი, თავი დამანებე... ბულიონი არ დამაღვრევინო... თქვენგით ტანი სულ დალურჯებული მაქვს...

მე-3 ჰო, კარგი... ეს მითხარი, თიკუნა... აქეთ საით უნდა წავიდეს კაცი?

გოგო ჰო და ეგრე მეტყოდი, რას მაცდენ?.. აი, იმ კარებ იქითა... (წავლენ-წამოვლენ).

5

ირაკლი (სასადილოს კარებში) ეეჰ, მომწყდი თავიდან... რეჩი კი არა ეხლა ის არ გინდა, დისსერტაცია... (მოდის კუშეტზე წამოწვება, პაპიროსს გააბოლებს).

6

(გოგო გამოივლის).

ირაკლი ბიჭოს! ეს შენა ხარ, თიკო? როგორ გამოპრანჭულხარ?

გოგო ი, რა ვიცი... ქალბატონმა ჩამაცო...

ირაკლი მერე რა, ემდური? ხომ კარგათ გივლის?.. მართლა, თიკო, მართალი მითხარი: სად გერჩია? წინეთ რომ ჩემ ნათესავებთან, თავად ფალავანდიშვილებთან იდექი, თუ აქ?

გოგო აბა რა ვიცი!.. იქა კნიაზები მჩქმეტამდნენ და აქ კიდევ ესენი...

ირაკლი მერე როგორ გადაურჩი ამდენ ჩქმეტას...

გოგო რა ვიცი! ე ხორცი კი არ დადნა და...

7

მაკა (ეტყობა ვიღასაც ეძებს. ირაკლის წამოწოლილს რომ დაინახავს, დამშვიდდება, გოგოს) შენ აქ რა გინდა? რამდენჯერ დაგითხოვე, როდესაც სტუმრებია აქ ნუ შემოხვალ-მეთქი.

გოგო ჩვენ ავადმყოფს ბულიონი შევუტანე.

მაკა მერე შენმა მზემ ბალკონიდან არ გეკადრებოდა გავლა?

გოგო ბალკონიდან სტუმრები უფრო არ დამინახამდენ?

მაკა კარგი წადი აქედან (გოგო გადის) ირაკლი, რა იყო, გენაცვალე?... დამელალა შენი თავი?...

ირაკლი არ გრცხვენია? ქალი კოხტაობ და ჩულქი კი ჩამოჩაჩული გაქ... გაისწორე!

მაკა (შერცხვება, გაწითლდება, მიბრუნდება და ისწორებს) რა არის ახლა, ირაკლი, პრიდირაეშსა...

ირაკლი (გაიცინებს და ღიღინით).

გენაცვალე კაკალ კულში,
როგორც ყველი ხაჭაპურში!
ერთი აქეთ მოიწიე,
რამე უნდა გითხრა ყურში...

მაკა (მიუჯდება. ირაკლი რაღასაც ეტყვის, მაკა წამოვარდება აჭარხლებული და კისკისით) ო, შე-ციგანო, შე-ჩაჩანო, შენ!

ირაკლი (უეცრად წამოხტება, თითქო უნდა მაკა დაიჭიროსო. მაკა სწრაფად შირმას ამოეფარება და იქიდან თავს გადმოჰყოფს) აბა მითხარი: зюлик московский...

მაკა (ტუჩებს პრანჭავს) Зюлик московский...

ირაკლი (ბოხი ხმით) Неет, авлабарский... (უნდა შირმის იქით მოექცეს, ამ დროს შემოდიან გოჩოლავა და რინკველი კამათით, ნაღვინები არიან).

8

გოჩოლ. იასნო, დალშე! ის იყო რომ პირველათ ქიზიყში ჭაღარამ გააჩაღა მუშაობა...

რინკვ. ახლა შენ მასწავლი, теперь ты меня учишь? ჭაღარამ კი არა, იაკობი იყო, не Чахара, а был Яков...

გოჩოლ. აბა ახლა იაკობი ჯობია ჭაღარას... არა, შეიძლება ჯობდეს კიდეც, მაგრამ რას ამბობ ჭაღარასთან რავა მოვა იაკობი. იასნო, დალშე!..

რინკვ. მართალი თუ გინდა, если правду хочешь, არაფრით არ ჩამოუვარდება იაკობი ჭაღარას, ничем Яков Чахара не уступить...

გოჩოლ. ოჰ, ოჰ! Ты меня возмущаешь... იასნო, დალშე!

რინკვ. რა ვაზმუშჩაეშ! არც იმდენი, не особенно, დიდი კაცია, большой человек, შენი ჭაღარა, твой Чахара!..

გოჩოლ. ოო, ეხლა კი შესტოპე დაუკრეფავში, არა, შეიძლება არ შეგეტოპნა, მაგრამ მაინც იასნო, დალშე!

9

შე-3 (შემოდის ღიღინით) ქალებო, გენაცვალეთ კაკალ გულში!.. (დაინახავს ყველას) ოჰ, სხვები სად არიან? სად არის ცაცა, ჩემი ცაცუნია, ვენაცვალე იმას კაკალ... გულში! (მიდის სასადილოსკენ. კარებში შეეფეთება მაროს).

მე-3 ოო, მილ-პარდონ, ქალბატონო!.. საჩემო არ არის... ქალი რომ გაფილოსოფოსდება, იმის არაფერი არ მწამს... (გადის).

მარო (მწარე ღიმილით შეხედავს და ნელა წინისკენ მიდის).

მაკა მარო-გენაცვალე, მიატოვე სტუმრები? რა სხვანაირი ქალი ხარ?... არ გეწყინოს, გენაცვალე და ცოტა მიუკარებელი ხარ, თითქო ვინმე არისტოკრატი იყო...

მარო ჰა, ჰა! არისტოკრატი?! ჰოზბეტელაშვილის ქალის არისტოკრატობა ეს სულ ახალი ამბავია... თუ ჩემი ჩამომავლობა გაინტერესებთ, მე ნამდვილი ქიზიყელი, შუმი, დამოუკიდებელი გლეხის შვილი ვარ, მაგრამ ეს რას ამტკიცებს?..

მაკა ჰო და თუ აგრეა მით უფრო უნდა გახალისებული იყო... ეს შენი საზოგადოება არ არის, შვილო?

მარო (მტკიცეთ და ხაზგასმით) არა, პატივცემულო მაკა, ეს ჩემი საზოგადოება არ არის...

მაკა არ ვიცი, გენაცვალე... რაღაცა ნამეტანი პრუწია ყოფილხარ და შენ იცი... (ჩამოშორდება).

ირაკლი დაეთხოვეთ მაგ ქალს... მოდით აქ მარო...

მარო (თითქო მაშინალურად მიდის და ირაკლისთან ჯდება. ამავე დროს გამოდის ირინარხი და რამდენიმე თანამშრომელი).

11

(სასადილოდან ხროვათ და კისკისით გამოდიან ამერიკელი ჟურნალისტი, დარბაიძე, მაკა, თამუნია, ცაცა, ნადიკო, ირინარხი, კვეტენაძე, 1, 2, 3 და 4 თანამშრომლები, თარჯიმანი და სხვა სტუმრები, მხოლოდ ამ დროს შესწყვეტენ რინკველი და გოჩოლავა კამათს და ერთი მეორეს გაბუტვით გაეცლებიან).

თარჯიმ. ქალბატონებო და ბატონებო! ჩვენი უცხო სტუმარი თხოულობს, რომ ქალებმა ქართული ფერხული იცეკვონ... ძალიან მოსწონს ეს ცეკვა... ამას წინათ რაჭაში ნახა და აღტაცებულია...

თამუნია ფერხული?

ცაცა რაზე ლაპარაკობს?

ნადიკო Что это за танец?

კვეჟ. ვჩომდილო! ფერხული არ იცი? Хоровод?

ქალები — А? Хоровод?

— საწუხაროდ ჩვენ არ ვცეკვავთ...

მე-3 ხარავოდი და ფერხული კი არა, მოიტათ ფოქსტროტი...

ახალგაზ. (ახრიალდება) ფოქსტროტი, ფოქსტროტი...

(დამკვრელი უკრავს. ახალგაზრდობა ფოქსტროტს თამაშობს. ამერიკელი თარჯიმანს რაღაცაც ეტყვის).

თარჯიმ. (იქვე მდგარ ირაკლის და გოჩოლავას) ფოქსტროტი აკრძალული ცეკვა არ არისო?

ირაკლი დიდკაცების ოჯახებში შეიძლება...

გოჩოლ. (გადახედავს ირაკლის) გააჩნია სად და როდის... იასნო, დალშე!

ამერიკ. (ყურს მოკრავს გოჩოლავას, ღიმილით) იასნო, იასნო... გოტსალოვა!

გოჩოლ. (ნაძალადევი ღიმილით თავს უქნევს).

ირინ. (ერთ ჯგუფს) ეეჰ, არ არის ჩვენი საქმე არა... ეხლა იქ მიწვევენ კინოში... და იქ გადავალ.

1-ლი კინოში კი არა...

მე-2 რა? იცით ეგ ხელობა?

მე-4 მაგან რა არ იცის, ძმაო, რა?.. ერთ დროს ფსალომშჩიკათ, მედავითნეთაც კი ყოფილა სადღაც...

1-ლი თუმცა კინოს რა ცოდნა უნდა... მართლა! გამოწყობილი საქმეა. ირაკლისაც ხომ წაიყვანთ?

ირინ. ირაკლის რატომ?

1-ლი ირაკლი ხომ ყველაფრის მცოდნეა...

ირაკლი (ყურს მოჰკრავს) რა იყო, რაო ირაკლი? (მათთან მიდის).

1-ლი (ღიმილით) არაფერი. აი ირინარხი კინოში რეჟისორათ გადადის, შენ კიდევ ყველაფრის მცოდნე ხარ და არც სცენარების წერა გაგიჭირდება... წაგიყვანს და უწერე და უწერე. სცენარები...

ირინ. კაცო, ვინ გითხრათ რომ რეჟისორათ?

ირაკლი მართლა მიდიხარ?

ირინ. (ჯგუფს შორდება) ისე ვთქვი რაღა... (გადადის სხვა ჯგუფთან).

ირაკლი (ამხანაგებს) ეს სახუმრო ამბავი არ არის... კინოს შესახებ შეიძლება ხუმრობს, მაგრამ რა კი ხმას ავრცელებს მივდივარო, ეტყობა რიღასიც სუნი ეცა... ჩვენს დაწესებულებას რაღაც მოელის...

1-ლი, მე-2 } როგორ? შენ განა არ იცი?

ირაკლი რა?

მე-4 კომკავშირელთა გაზეთში...

მე-2 უშველებელი წერილია ჩვენს დაწესებულებაზე...

ირაკლი სამწუხაროდ ვერა ვკითხულობ... არ ვუგდებ ყურს, არც კი ვიცი როდის გამოდის...

1-ლი ოო, დიდი წერილია თურმე... Полный разгром...

ირაკლი მაშ ყველას მოგვხვდა?

მე-2 ჩვენ რა?! მაგრამ ჰო, ჩვენც... ყველას, ყველას მოხვდა თურმე... ჩვენ არ წაგვიკითხავს.

ირაკლი ოჰ, რომ წავალ, უთუოდ ვიყიდი... სად იყიდება ეგ გაზეთი?

მე-4 ყიდვა რათ გინდათ, მაროს აქვს.

ირაკლი მაროს საიდან?

მე-2 ჩვენთან რომ დაიარებიან იმ კომკავშირელთ გადაუციათ... დღევანდელი ნომერია...

მე-4 პირდაპირ სტამბიდან მოიტანეს სამსახურში... მხოლოდ დღეს საღამოს გავა ხალხში...

1-ლი (ირაკლის) შენ როგორ ჩამორჩი, კაცო... ინფორმბიუროს ტყუილა გეძახდით?

ირაკლი მე პირდაპირ აქ წამოველ სადილათ, საერთო კრებაზეც არ დავრჩი ხომ...

მე-2 ჰო და სწორეთ იმ კრებაზე გაიგო მარომ ყოველივე...

მე-4 მარტიროსოვის ბრალი კია ყოველივე... იმისმა შირმამ წარმოშვა წერილი...

ირაკლი ჰეი, ჰეი! ფიქირები!

დარბაიძე (ამერიკელს კისკისით) რას მელაპარაკებით?

ამერიკ. ეხლა ხომ გგერათ... მშვენიერათ ვიცი რუსული ენა...

დარბ. მერე საიდან, მონ დიე!

ამერიკ. როგორ თუ საიდან... ოდესელი ებრაელი გახლავართ და დიდი ხნის ემიგრანტი... მართლაც ჟურნალისტი ვარ, ამერიკულ თვალსაჩინო გაზეთისა, ყალბი არ გეგონოთ...

დანარჩენი ყველა მართალია გარდა იმისი, რომ ზოგჯერ და ზოგან რუსული ენის ცოდნას ვმალავ.

დარბ. ეს კარგი ხერხია!

ამერიკ. მხოლოდ თქვენ ხომ არ გამამხელთ... მაძლევთ სიტყვას?

დარბ. რასაკვირველია... ეს... სახელმწიფო საიდუმლოა...

ამერიკ. ეხლა გავიდეთ ისევ სასადილოში.. მე მინდა თქვენი მშვენიერების სადღეგრძელო ერთხელ კიდევ დავლიო. ხომ შეიძლება?

დარბ. დალევა? როგორ არა, წავიდეთ. (ხ ე ლ ს გ ა უ ყ რ ი ს). მხოლოდ მშვენიერებისა კი რა მოგახსენოთ... თქვენ იმ-დენი გინახავთ... იმდენი ქვეყნები მოგივლიათ... (გ ა-დ ი ა ნ).

თარჯიმ. (მ ა კ ა ს) ეტყობა კნიაზენას თავის საიდუმლო გაუმხილა...

მაკა რა საიდუმლო?

თარჯ. აქვს ერთი საიდუმლო და როდესაც იმას ვინმე ქალს გაუმხელს, ეტყობა რომ ის ქალი ძალიან მოსწონს...

მაკა ღმერთო, სასადილოში წავიდნენ!.. იქ ყველაფერია, მაგ-რამ კიდევ ხომ არაფერი დასჭირდებათ...

თარჯ. არა, ეხლა ხელს ნუ შეუშლით... ყველაფერს თვითონ მოსძებნიან...

ირინ. (მ ა რ ო ს) რა არის მარი ივანოვნა... ესე განმარტოვ-დით... ჩვენც ვითამაშოთ ფოკსტროტი.

მარო (ზ ი ზ ღ ი თ შ ე ხ ე დ ა ვ ს).

ირინ. რათ მიყურებთ ეგრეთის ზიზღით?.. ეგეთი რა დაგიშა-ვეთ?..

მარო თუ თქვენ ვერა გრძნობთ თქვენის საქციელის მთელს სიმძიმეს, მე რალა უნდა გითხრათ...

12

მარტირ. (შ ე მ ო დ ი ს, წ ი ნ მ ო უ ძ ღ ვ ი ს გ ო გ ო) ქალბატონი სად აის? აჰა, აქა ბრძანდება?

მაკა (დ ა ი ნ ახ ა ვ ს მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ს და წ ა მ ო ი ფ ო ფ რ ე ბ ა). თქვენ აქ რა გინდათ? (გ ო გ ო ს) ოჰ, შე-საძაგელო, ასე პირდაპირ როგორ შემოუშვი, ან შენ კარები რათ გაუღე? ლაზარე სად იყო?

გოგო ლაზარე აკი წავიდა სადღაც. კრება მაქვსო, თქვენთან დამაბარა და... ე პატიოსანი კი ვერაფრით ვერ დავაკავე...

მაკა ფუჰ, შე-დონდლო შენ!.. გადი, დაიკარგე. (გოგო გადის).

მარტირ. მე თქვენთან საჩხუბრათ არ გახლავართ მოსული .. გეტყობათ სტუმრები გყოლიათ... დიდ ბოდიშს ვიხდი, მაგრამ ისე ვერაფრით გნახეთ სახლში... მეც დავიდარაბის თავი არა მაქვს... ისევ მორიგებით მინდა საქმე გავათავო.

მაკა მე მოსარიგებელი არაფერი მაქვს... ირიკო, ერთი ამას მოელაპარაკე შენებურათ... (თვითონ სტუმრებს მიუბრუნდება).

ირინ. თქვენ განაგრძეთ ცეკვა და მხიარულება... (მარტიროსოვს განზე გაიყვანს) ჭკვიანი კაცი ხართ, აბა რა დროს მოსვლაა ეხლა...

მარტირ. მაშ როდის, კაცო?.. ვერაფერი ვერ გამოვიტანე თქვენგან, ვერც იქ დაწესებულებაში, ვერც აქ... დღეს კიდევ ვილაც ახალგაზდები დამპირდნენ გაზეთში ჩაგაგდებთო... არ მინდა გაზეთში ჩაგდება... გაზეთი ჩემთვის საჭირო არ არის... ვინ იცის ამას რა კუდი გამოებას! თვით მე, бывший нефто-промышленник, бывший дашнакцакан, бывший непман, бывший домовладелец... словом кругом бывший... გაზეთით ხეირი არ დამეყრება ვიცი... ისევ მოვრიგდეთ, კაცო თქვენზე ამბობენ (ცბიერათ) პრაქტიკული კაციაო... მომარიგეთ როგორმე .. ბევრი არ შემიძლიან და ოცდაათ თუმან მოგართმევ...

ირინ. კარგი, კარგი, ეხლა წადით და... ხვალ დილით ფული მოიტანეთ, მე შირმას ჩაგაბარებთ (თითქმის ძალით გაჰყავს მარტიროსოვი).

13

(ამავე დროს ირაკლის და სხვებს გამოაქვთ ჭიქები, ღვინო, ხილი და მაროს გარშემო შექმნიან ცალკე წრეს, საიდანაც დროგამოშვებით მოისმის ნელი ღიღინი და ჭიქების ჯახუნი. მაროც სვამს და თანდათან მხიარულდება).

14

ამერიკ. (შემოდის დარბაიძესთან ერთად ხელი-ხელგაყრილი) ფოქსტროტ, ფოქსტროტ! (ცეკვავს მასთან. მარტიროსოვი ირინარხს გაჰყავს, ბრუნ-

დება და მაროს ჯგუფისკენ მიდის. იმავე დროს ამერიკელი დარბაიძეს წელში გადაზნექს, ხელში აიყვანს და ხელით აყვანილს კუშეტზე დასვამს).

დარბაიძე აი, ეს კი ჩვენში მიღებული არ არის...

ამერიკ. ეს არსად არ არის მიღებული, მაგრამ თქვენ ისეთი წარმტაცი ხართ, რომ ველარ მომითმენია.

ირაკლი ... და აი, ბატონებო, მე ვამბობ: რომ შეეძლოს ამ შირმას ალაპარაკება-მეთქი, ეგ გადმოგვცემდა მთელს ისტორიას ბურჟუაზიის ოჯახური განწყობილებისას და დღევანდელ პატრონის მდგომარეობაზეაც გვეტყოდა ზოგ რასმე... საინტერესოა, რომელ პატრონს ირჩევდა იგი რომ შეეძლოს მას ალაპარაკება...

მარო (წამოდგება) შირმის მაგივრათ ეხლა მე ავლაპარაკდები...

ირაკლი მერე...

მარო ვიცი... ცხენი შეკაზმული მყავს...

მე-2 ჩუმად, მარო სიტყვას ამბობს.

(პირველ ხანებში მაროს ყველა ჯგუფი არ უსმენს, მხოლოდ თანდათანრბით იპყრობს დამსწრეთა ყურადღებას, მაგრამ იქა-აქა მაინც რჩებიან ცალკე ჯგუფები და წყვილები, როგორც, მაგ. ამერიკელი და დარბაიძე).

მარო მართალია, მე მოლაპარაკე არა ვარ, მაგრამ ეხლა კი მინდა წარმოვთქვა ის, რასაც ვგრძნობ. ყველამ ილაპარაკა დღეს. ბევრი ფრაზეოლოგია იყო დახარჯული. მაგრამ სიმართლე მაინც არ უთქვამთ. აი, მე წაგიკითხავთ ერთ წერილის ნაწყვეტს, ყური დაუგდეთ (გაშლის გაზეთს: „ახალგაზრდა კომუნისტს" და კითხულობს)

15

ბალარა (შემოდის კითხვის დროს, თან მოჰყვება 4 კომკავშირელი. ყველანი დრომდე შეუმჩნევლად დგანან).

მარო (გაზეთში ეძებს იმ ადგილს, რომელიც უნდა წაიკითხოს) მმ... ეს არ არის საინტერესო... ჰო... (კითხულობს) „... და ამგვარათ, ამ დაწესებულებაში"... ჩვენს დაწესებულებაზეა ლაპარაკი... „ამ დაწესებულებაში ზნეობრივათ მახინჯებისა, დამთხვეულებისა, დეგენერატე-

ბისა და პატოლოგიურ ტიპების გარდა ვერავის ვერა ვხედავთ. თუნდა ჩამოვთვალოთ ზოგიერთი: ერთი სულ იასნო-დალშეს გაიძახის, მაგრამ მისი იასნოსი კაცს ვერა გაუგია-რა, მხოლოდ დალშე სად მიეყევართ, თვითაც არ გაეგება. მეორეა და ყოველ ქართულ ფრაზას, ყოველ სიტყვას რუსულად გითარგმნის, თითქო ამითი მაღალი ნოტარიუსის მოწმობა უნდა დაარტყასო... და თან ისეთი გველაძუაა, რომ მისგან ხეირიანს ვერაფერს ვერ გამოიტან. ერთია კიდევ და მის წინ იუბკიანს ვერავის გაუვლია, რომ მოურიდებელი და მსუნაგი წინადადებით არ ძიმართოს... ამბობენ თანაც მექრთამეა თურმე გაცხარებული და კომბინატორი უსაშველო... არის ერთი კაცი, თითქო ცოცხალ ადამიანსა ჰგავს, მაგრამ მასაც ყველაფერზე ხელი ჩაუქნევია და მხოლოდ ჰორებს კრეფავს, თან რაზეაც უბრძანებენ, იმაზე პროექტებს ადგენს. ვისთვის? რისთვის? არ ენაღვლება... ხვალ რომ უთხრან მთვარის რკინის გზის პროექტსაც შეადგენს და გულში კი შეიძლება ეცინება მთელს გარემოზე და თავის თავზეაც .. ამჟამად კი ამ დაწესებულებაში ყველაზე უფროსი არის გამგის მოადგილე და... მართალია, პატიოსანი, გულუბრყვილოც, მაგრამ ბრიყვია, ჩერჩეტი და მოხერხებული თანამშრომლები, გარეშე პირები და სპეცები ისე ატრიალებენ, როგორც მოეპრიანებათ. ის მათ ხელში მხოლოდ თოჯინაა და სხვა არაფერი... ადგილკომი? კომუჯრედი? ეს ისეთ მკრთალ პიროვნებათაგან შესდგება, რომ თავიანთი სახე არა აქვთ, არც ცოდნა, არც გავლენა და დაწესებულების შეტბორებულ ჭაობს ვერც ისინი წმენდავენ... გარეთ კი არის ერთი ოჯახი, რომლის უხუცესი წარმომადგენელიც ამ დაწესებულების საქმეებში ერევა, თუმცა მას სასტიკად აქვს აღკრძალული ამ დაწესებულებაში მისვლაც კი და თუ ეს პიროვნება ბედავს, რომ ფრთა გაშალოს იმისთვის, რომ ამ ოჯახში არის შირმა".. ამ შირმაზე ეხლა მე თვით ვილაპარაკებ... მხოლოდ პე იმ შირმაზე კი არ მოგახსენებთ აი, იქ რომ სდგას ჩინურის ინკუსტრაციებით შემკული და რომელიც ესე აკმაყოფილებს მეშჩანურ ყოყოჩობას ამ ოჯახის ბურჯისას, არა! მე ვამბობ ცოცხალს შირმაზე, რომელსაც მეტად მაღალი სახელი აქვს, თანამდებობაც დიდი და ამ სახელს ეფარე-

ბიან... მეორდება ის, რასაც წინეთაც უჩიოდა ხალხი: სად არის სამართალი? ღმერთი მაღლაა და მეფე შორს არისო. ეხლა? განა ეხლაც ეგრე არ ითქმის? პარტიის საკონტროლო ორგანოები მაღლაა, ჩვენი ჭაღარა შორსაა. არა! ხომ ხედავთ, რომ კომკავშირელთა ფხიზელმა, ახალგაზდა თვალებმა შეიხედეს ამ დაწესებულებაში და ეხლა კი პარტიის საკონტროლო ორგანოები რკინის ცოცხით გაგვიან ამ უვიცებს, ქამებს და დეგენერატებს და გახურებულის შანთით ამოდაღავს ყოველგვარ უწმინდურებას ამ დაწესებულების შინ და გარეთ...

ჭაღარა არა, აქა ვარ!...

(ყველამ მოიხედა. უნებლიე გაოცება და ხმაური „ოჰ, ჭაღარა!“ მაკას უნდა წინ წაიწიოს, მაგრამ შეხედავს თუ არა ჭაღარას სახეს, ისევ უკან დაიხევს. მარომ სიხარულისაგან კინაღამ მიაკივლა, მაგრამ თავი შეიმაგრა).

ჭაღარა (მაროს) გმადლობთ, ამხანაგო! მაშ ყველანი აქ ბრძანდებით? ეს კიდევ უკეთესი... უწინარეს ყოვლისა შეკეცეთ ეს შირმა და ხვალვე მიუგდეთ მის პატრონს... (კომკავშირელები ჰკეცენ შირმას და მოშორებით მიაყუდებენ).

მაკა (უნდა მიმართოს ჭაღარას, მაგრამ ჭაღარას მტკიცე ხმა აჩერებს).

ჭაღარა პატივცემულო მაკა! შენ იმდენათ შემარცხვინე, იმდენათ თავი მომჭერ, რომ არ ვიცი რისი ღირსი ხარ, მაგრამ მაინც მხოლოდ ამას გაკმარებ, რომ ხვალვე წახვალ ჩვენს ყრუ სოფელში გამუდმებით იქ საცხოვრებლათ...

მაკა (ხელებს ასავსავებს, რაღასაც ლუღლუღებს).

ჭაღარა შეიძლება იქ კვლავ გამოსწორდე და კვლავ შეუდგე პატიოსან შრომით ცხოვრებას, როგორც შენი ტოლი ქალები ცხოვრობენ იქა...

მაკა (ყელთ ებჯინება) შვილო!.. (გულს შემოეყრება, ქალები შემოესევიან და გაჰყავთ).

ჭაღარა (მიდის ირაკლისთან, წინ გამოიყვანს, ახედდახედავს, თითქო არ იცის რა უყოს) შე-გათახსირებულო შენა!... გასწი, დამეკარგე, დამეკარგე სანამ მთლად გონება არ დამიკარგავს... (ირაკლი აწურული მიდის).

1-ლი (ჩუმად) ო, შე პროექტების ბუდეე შენა!

მე-2 შე-ინფორმბიურო...

მე-4 შე თხუნელა, შე მუდო... შენა ..

ირაკლი (უეცრად მობრუნდება) ნუ იცინით... თქვენც მოგხვდებათ და... მოგხვდებათ სწორედ... კაკალ გულში (სწრაფად გადის).

ჭალარა თქვენ კი ყველანი, ვინც დაწესებულებაში მსახურებთ, ხვალიდგანვე წარსდგებით ჩვენი საკონტროლო ორგანოების წინაშე... ეხლა კი მარშ, ნახვამდის! (ყველანი გადიან მაროს გარდა, რომელიც მიღმა მდგომი აღტაცებით შეცქერის ჭაღარას) თქვენ კი, უცხოელო, თუ რამ საქმე გაქვთ ჩემთან, გთხოვთ, იქ მობრძანდეთ, სამსახურში... (ამერიკელი, დარბაიძე და თარჯიმანი გავლენ. ჭაღარა სავარძელში თითქო ძალზე მოქანცული ჩაეშვება) ოოჰ... ძლივს... (მძლავრათ ამოისუნთქავს და შემდეგ კომკავშირლებს) აბა, ამხანაგებო, მოდით, დასხედით. გადმომეცით ყველა თქვენ მიერ შეკრებილი ცნობები და საბუთები...

1-ლი კ. კ. ძალიან მოხვდათ, ხომ? (პაუზა).

ჭალარა ყველაზე უფრო მე მომხვდა.

მარო (წინ წამოიწევს) კაკალ გულში, არა?

ჭალარა (ჯერ განცვიფრდება, შემდეგ წამოდგება, ღიმილით მიდის და ხელს ჩამოართმევს) არ ვიცი... შეიძლება!

1-ლი კ. კ. (ჭაღარას) ნუ სწუხარ, ამხანაგო... ხომ ხედავ ჩვენ მოვდივართ ახალგაზდები... ჩვენ დაგვემყარე და მეტის ენერგიით შევუდგეთ მომავალ ᲐშენებლობᲐს.
(სიმღერა კომკავშირული).

ᲤᲐᲠᲓᲐ

ახტალა-ღაგოდები
სექტემბრის 3, 4, 5, 6, 9.

ცოცხი და ლოკოკინა

კომედია 4 მოქმედებათ

პიესის ნიადაგად აღებულია ჰიათურის მიდამო და მისი მაღაროები

1930 წ.

მოძმენი:

ლომია
მაკრინე
სპირიდონა
კამახ არავანი
} მოწინავე მუშები.

1
2
3
4
} წერაქვიანები.

ვარია
დეზი
ბუხმალტერი
მინაბდულიძე
} მოსამსახურენი.

ზარახპი, შტეივერი
ამირანა ცოცხაძე
ნარიმანა ფოცხაძე
იბრუხტი, ამის რძალი
სეფე
ქიონია. თავმჯდომარე. მუშები სხვადასხვა მაღაროებისა.

მოქმედება პირველი

I მაღაროს წინ

ამირანა ნარიმანა, რას წუხარ რას?

ნარიმანა მე თუ არა მაქვს სამწუხარო, ჩემო ამირანა, აბა ვისა აქვს?

ამირანა სამწუხარო ჩვენ დროში ვის არა აქვს... მაგრამ შენისთანა შეწუხებული მაინც არ მინახავს, ჩემო ნარიმან.

ნარიმანა მწუხარება მწუხარებას ქვია... ამირან ჩემო... რაც მე დღე დამადგა ამ კოლექტივის გამოისობით... ვინ იტყვის...

ამირანა ბეჩა, აქამდის ვეღარ მეინელე, ნარიმან?

ნარიმანა მეინელე შენ თუ ბიჭი ხარ, ამირან... არა, იცოცხლე მე მევინელე წრეულს გაზაფხულზე: ერთი მშვენიერი ბურვაკი, ორი ცხვარი, რვა ინდაური, თექვსმეტი ბატი და ქათმებს ხომ რიცხვი არ ქონდა... მერე, სულ ჩემი ხელით დაზდილი...

ამირანა არა, რაც მართალია, მართალია... ქეიფი ძაან გვქონდა... გევიგეთ თუ არა, რომ ჩვენი მონაგარი საერთო უნდა გახდესო, ვთქვით—ანასუნი მის საქმესო... და მოვდექით.

ნარიმანა ბიჭო, აპა იმას რავა მევითმენდი მაკრინია ქვრივი რომაა, ჩემი მეზობელი, აი, დიდი პარტიის ქალი რომ ბრძანდება, იმას შეეჭამა ჩემი ქათმები, ინდაურები. ბურვაკი და...

ამირანა ნუ გეშინია არც შენ რძალს, იბრუხტის, დოუკლია ხელი, მარა... (ზარასპის) ზარასპი, ზარასპი... სად გარბიხარ. შე-კაცო.

ზარასპი საქმე მაქვს, საქმე, გენაცვალე ამირანა... მეჩქარება, შუქრუთს უნდა ჩავიდე, შემდეგ კი მაღაროები უნდა დავიარო და .. ჩამოგივლი, ნარიმანა...

ნარიმანა მოგბრძანდი, ბატონო.

ზარასპი აბა, შენ იცი, როგორც დამხვდები (გარბის).

ამირანა ა, სულ ასე დარბის.

ნარიმანა — იმდენი საქმე აქ მინდობილი... მარტო ჩვენ მაღაროს შტეიგერი კი არ არი...

ამირანა — ვიცი, ბევრი მაღაროები აბარია, მარა... შენ სახლშიც არ გაწიოს შტეიგრობა...

ნარიმანა — უმ... ჩემ რძალზე ამბობ... რა უყო ახლა, ამირანა... ახალგაზდა, ქვრივი ქალია და თუ ცოლად გაყვება, მე ხელს ვერ დავაფარებ.

ამირანა — ცოლად კი არა, შენგან არ მიკვირს!

ნარიმანა — რა ვქნა, ბიძია, ეისვარა ქვეყანა მეც კი ვატყობ... რძალი მე მკითხავს რამეს? რძალი კი არა, ღვიძლი შვილი რომ იყოს, მე დამიჯერებს გგონია თუ?... ამას შენ გეუბნები...

ამირანა — იმე, რა თქმა გინდა!.. მეზობლები არა ვართ?.. მარა ისე ბიჭათ ბიჭი ძაანია... გახსოვს რა მოგვილხინა იმ დღეს, შენ რომ, გაჯავრებულმა, შენი ერთადერთი ხბო დაჰკალი?.. მართლა ძაან არ იყო შენი ხბო?

ნარიმანა — ოჰ, ნუღარ გამახსენებ, ამირანა, თუ ძმა ხარ... ხბოს რომ გავიხსენებ — ასე მგონია მთავარი, პირმშო შვილი მომკვდომოდეს...

ამირანა — რა ვიცი, მაშინ კი ძალიან ილუკმებოდი და...

ნარიმანა — მართლა, ე! რა გემრიელი იყო ის საცოდავი დღის, ა? ამირანა!

ამირანა — აბა რავა გგონია. გახსოვს ჩვენი კნიაზები, წინაზე, თითქმის ყოველ-კვირა ხბოს ხორცს რომ მიირთმევდენ?.. რა? პირის გემო არ იცოდენ გგონია შენ თუ!

ნარიმანა — იცოცხლე, იმათ პირის გემოც ცოდნიათ და ცხოვრების შნოც ქონიათ... ამას ახლა, ამ მონაქცევზე უფრო მივხვდი...

ამირანა — აპა, ჩვენსავით პრასაზე და გაციებულ ჭადზე კი არ გადადიოდენ... გახსოვს გიორგი კნიაზი?

ნარიმანა — რავა არ მახსოვს... თუ ცხოვრება ვინმეს მოუჭამია, იმას მოუჭამია, ამირან... ხბოს ბეკი მის სახლში გამოულეველი იყო...

ამირანა — მერე და, ნარიმან... ხელოსნათ არ იყავი მის სახლში? ხბოს ხორცი რავა არ გიგემებია!..

ნარიმანა — მის სახლში ხბოც მიგემებია და ირმის ხორციც, მაგრამ სახლში რომ ჩამოვბრუნდი, კარგათ მოგეხსენება, წელიწადში ორჯერ გიახლებოდით ხორცს: აღდგომას და შობას.

ამირანა — რაც გინდა თქვი და ამ გაზაფხულზე ძალიან ამოვიყორეთ მუცელი...

ნარიმანა — უი, დასწყევლის ღმერთი ნიკიფორეს... სულ არ გადარია სოფელი მაშინ... სადაა ახლა თუ იცი?..

ამირანა — ნიკიფორე? ჩვენი მაშინდელი ალმასკომის თავმჯდომარე?...

ნარიმანა — ჰო...

ამირანა — იმისთვის უბრძანებია პარტიას, შენ თავ-ბრუ დაგეხვიაო, სოფელი აგვიბუნტეო და... ციმბირში უკრავთ თავი...

ნარიმანა — უმ... რას ამბობ; ამათ რომ ციმბირი არა აქვთ, ბიჭო!

ამირანა — რა ვიცი, მე ასე მითხრეს, ნარიმან ჩემო და...

ნარიმანა — თუ მართალია და ასე ეკადრება... არა, ამირან?.. რავა კინალამ დომხალივით აგვრია ერთმანეთში: საყანეები უნდა გაერთიანდესო, ღობეები მოარღვიეთო, საქონელი უნდა გავაერთიანოთო, ქათმები და სხვა წვრილფეხობაც საერთო უნდა იქნესო... სახლებში ერთი მეორეს უნდა შევესახლოთო. ვისაც ბინა არა აქვს, ბინიანმა უნდა შეიყვანოს თავის სახლშიო... კინალამ მართლა ერთ საბან ქვეშ არ შეგვაწვინა, დედიან-ბუდიანა მისი მრუდი და მართალი!

ამირანა — არა, ეგ არც შენ გეწყინებოდა... შენ მეზობელ ქვრივ მაკრინიას მაინც თავისი სახლი დიდი ხანია არ გააჩნია... ხომ გახსოვს რალაცა ქოხ-მახუნა ედგა და ალიხანოვმა რომ დაუწვა... შემოგიწვებოდა, გაგათბობდა ამ სიბერის დროს.

ნარიმანა — უი, გევიდეს იქით, დეილუპოს... ეშმაკს მოუწვა მისი თავი და ტანი... ჰო და იმას გეუბნებოდი... ნამეტანი აგვრია იმ წყეულმა ნიკიფორემ... ვაი, მცოდნოდა ასე... ვენაცვალე სტალინს! აგერ არ მაქ მისი ნაწერი?

ამირანა — მიტომაც იყო გეიძახოდი: ძირს კომუნისტები, ვენაცვალე სტალინსო.

ნარიმანა — მეიცა, ბიჭო, ჩუმად... სპირიდონა გამევიდა ეგერ... (სპირიდონა).

სპირიდ. — ოო, აი თურმე სად ყოფილა ჩვენი ორი რეაქციონერი. ამირან და ნარიმან? ისვენებთ? ნარიმან და ამირან! ნამეტანი მუშაობიდან წელი გაქვთ მოწყვეტილი, ა? ამირან და ნარიმან!

ნარიმანა — გადი, შენ დეილუპე იქით... ჩვენ ბიძია, რაც გვიმუშავია იგი ქე გვეყოფა...

ამირანა — თუ კარგია, ახლა შენ მეიწყვიტე წელი...

სპირიდ. — ბიჭო, ჯერ დასვენების რომ არ დოურეკიათ, რაფერ გამეიპარეთ, ა? ნარიმან და ამირან! მარა... ნარიმან,

მართლა შენ იმ ამერიკელის ნათესავი ხომ არ ხარ აქ
რომ იყო, ჩვენში, ჰიათურაში: ხარიმან.

ნარიმანა დეიღუპე იქით.

ამირანა რავა, რავა?

სპირიდ. რავა და სულ ისვენებს, სულ ყალიონს უპლაკუნებს... ნამ-
დვილი ბურჟუაა,—არა, არც შენ ხარ ნაკლები, ამირანა...
ჰო და ამერიკელი ხარიმანიც მეტს კი არაფერს აკეთებს.
(ზ ა რ ი) ზის და ისვენებს, თან გავანის სიგარას ეწევა. —
არა, არა ნამდვილათ ხარიმანები ხართ — ორთავენი —
ამირან და ნარიმან! ამ ოჯახქორს მაინც გვარიც რომ
მიუგავს: რა განსხვავებაა. ხარიმან... ნარიმან.

ნარიმანა ნარიმან გვარი კი არაა, ჩემი სახელია.

სპირიდ. ჰო, ვიცი... ფოცხაძე. ლექსიცაა შენზე გამოთქმული. (მ უ-
შ ე ბ ი გ ა მ ო დ ი ა ნ მ ა ღ ა რ ო დ ა ნ). ნარიმანა ფოცხაძე...

1-ლი წერაქვ. მაგას ეგეც მოუმატე: ამირანა ცოცხაძე.

მუშები ამირანა, ნარიმანა!
ნარიმანა, ამირანა!
ფოცხაძე და ცოცხაძე!

ნარიმანა (ა მ ი რ ა ნ ს) წამოდი, წამოდი, ჩემო ძმაო, ჩვენ ამათთან
ვერ მოვძოვთ...

ლომია საით, საით. დაიცადეთ, თათბირი გვაქვს, ამხანაგებო,
თათბირი...

ამირანა კიდევ თათბირი?

ნარიმანა რა უბედურებაა ამდენი თათბირი!... აღარ გათავდა?

ლომია შენ ხმა დაიმოკლე, რეაქციონერო...

ნარიმანა მე თუ გინდა დავჩუმდები, მაგრამ თქვენ ყბები არ დაგე-
ღალათ?

ამირანა ყბედს რა გააჩუმებს და მუნჯიო...

ნარიმანა აღარ ჭრის, ჩემო ამირანა, ეგ ანდაზა, აღარ... ჩვენ სულ
მუნჯები ვართ რამდენი ხანია; მაგრამ მაგათ ყბედობას
მაინც ბოლო არ მეეღო...

ამირანა ეგ იმიტომ რომ იცვლებიან... სულ ახალ-ახალი მოდის.

ლომია კარგი ჰო, ნუ ყაყანებთ! მე ის უნდა გამოგიცხადოთ,
ამხანაგებო, რომ იმ კვირიდან ჩვენც უნდა გადავიდეთ
სოცშეჯიბრზე.

მუშები ვიცით, ვიცით. იმ დღეს ზარასპინ გამოგვიცხადა. მხო-
ლოდ კარგათ აგვიხსენით, ჩვენ რა გავაკეთოთ. როგორ
უნდა ვიმუშაოთ.

ნარიმანა (ამირანას) რაო? რას ამბობს? კარგათ ვერ გავიგონე..

ამირანა რა ვიცი... ჯებირიო თუ რაღაცა თქვა. — ახალი სიტყვა უნდა იყოს...

ხპირიდ. ამხანაგო ლომია! ამათ აუხსენი კარგათ, ამათ: ამირანას და ნარიმანას!..

ნარიმანა ჰო, შენი ჭირიმე, ლომია... გვასახელე... ჯერ კარგათ თვითონ სიტყვაც არ მესმის.

ლომია სოციალისტური შეჯიბრება, ამხანაგებო, შედარებით მცირე დროის განმავლობაში, მთელ საბჭოთა კავშირს მოედო და მძლავრ საკავშირო მოძრაობათ გადაიქცა..

ამირანა რა ყოფილა, ნარიმან, ხედავ!

ლომია შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ ამჟამად არ არის არც ერთი ქარხანა, არც ერთი მაღარო... ჩვენ მაღაროს გარდა, მაგრამ ამაზე შემდეგ...

ნარიმანა ჰო, რა, რა, მერე?

ლომია არც ერთი სახელოსნო, საამქრო დაწესებულება, საბჭოთა მეურნეობა და სხვა, რომლებიც არ იყვენ ჩაბმულნი ამ მასიურ მოძრაობაში...

ნარიმანა (ამირანას) რა გამოდის მერე, კაცო აქედან?

ამირანა აცალე, აცალე!

ლომია ... ფაბრიკა-ქარხნები ეჯიბრებიან ერთმანეთს, წარმოების შიგნით საამქროები, ცვლები და ბრიგადები აწარმოებენ შეჯიბრებას ურთიერთ შორის. ქალაქის მაგალითის მიხედვით, სოცშეჯიბრებამ მოიცვა სოფელიც — საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობანი... სოცშეჯიბრება ფართე და მძლავრ ნაკადათ გაიშალა და თან ჩაითრია მთელი საბჭოთა საზოგადოებრიება.

ნარიმანა ჰა, ჰა, ჰა! გაუსვა, გაუსვა!..

ლომია მუშათა კლასი იჩენს არაჩვეულებრივ წარმოებით ენტუზიაზმს. მუშათა მასის შემოქმედებითი ინიციატივა გაუგონარი გაქანებით ვითარდება. სოციალისტური შეჯიბრების სახით მუშები უდიდესი გმირობის მაგალითებს გვიჩვენებენ...

ნარიმანა არაფერი არ მესმის.

ამირანა ხომ გეიგე, რომ მუშაობაში ყოფილა შეჯიბრება...

ნარიმანა მერე და მე ვის უნდა შევეჯიბრო? რისთვის?

ლომია შეჯიბრება ბრძოლაა სიძნელეთა დაძლევისათვის...

ამირანა გესმის?

ლომია შეჯიბრება საუკეთესო პასუხია იმედდაკარგულთა და პესიმისტისათვის.

ხპირიდ. ეს შენი პასუხია, ნარიმანა... ჰო, ორივესთვის... ამირან და ნარიმან!

ლომია შეჯიბრება ნერგავს წარმოებაში შრომისადმი კომუნისტური მოპყრობის პრინციპებს... სოციალისტური შეჯიბრება—მუშათა ახალ კადრების აღზრდის საშუალებაა.

ნარიმანა ჰოო, ეგ ახალგაზრდებისათვის ყოფილა... ჩვენ მაგისაგან გაგვანთავისუფლებენ...

ლომია სოციალისტური შეჯიბრება—მუშაობის ახალი მეთოდია.

ამირანა ახალი წესით გვამუშავებენ, გესმის?

ნარიმანა რა არის ეს ახალი წესი?.. ზაკუშკა გვექნება, ყმაწვილო, ყოველ დასვენების დროს?

ამირანა ნუ მასხრობ, კაცო, ყური დაუგდე!

ლომია სოციალისტური შეჯიბრება შემოქმედებით თვითკრიტიკას წარმოადგენს...

ნარიმანა კრიტიკა? აჰ, არა ძმაო, არა, ეგ ჩვენი საქმე არ ყოფილა, წამოდი, ძმაო, წამო...

ლომია სად მიდიხარ, საით?.. მე უკვე დავასრულე, ეხლა არჩევნებს უნდა შეუდგეთ.

ნარიმანა არჩევნებს? მერე სულ ერთი არ არის! თქვენ ხომ უჩვენოთაც უკვე არჩეული გეყოლებათ!

ხპირიდ. თავს ნუ იგდებთ...

1-ლი წერაქვ. (ჩაუღიღინებს) ნარიმანა! ამირანა!

ლომია მაშ ასე, ამხანაგებო. ჩვენი მაღაროიწვევს შეჯიბრში შუქრუთის მაღაროს, ეს ერთი. მეორე, აქაც ჩვენს მაღაროში უნდა მოეწყოს შინაგანი შეჯიბრი, როგორც მასობრივი, აგრეთვე პიროვნული... ეხლა აირჩიეთ შუქრუთში გასაგზავნი დელეგაცია სამეურნეო-პოლიტიკურ ხელშეკრულების დასადებათ.

ხმები: სპირიდონა ღოთვაძე.
კონრადი ლომია.
ზარასპი, ზარასპი...

ნარიმანა ლომია!.. ერთი შეიძლება?

ლომია რა იყო?

ნარიმანა ის მინდა გკითხო... ახლა მე თუ არ შემიძლია მაინც უნდა ვიჯიბრო? (სიცილი).

ლომია შეუძლებელი რა არი. შვიდი საათის სამუშაო გაქვს ხომ?.. შენ ვაგონჩიკი ხარ, არა?

ამირანა დიაღ, მე და ნარიმანა ვაგონჩიკები ვართ.

ლომია ჰო და აი ვთქვათ მაგას, შენს ამხანაგ...

სპირიდ. ამირანას...

ლომია ამირანას გამოიწვევ შეჯიბრში... რომელი თქვენგანი, ვთქვათ, ერთ საათში უფრო მეტს მოიტანს მარგანეცს მაღაროს საწყობზე, რამდენს ნაკლებს დააბნევს და თვითონაც ნაკლებ დაიღლება...

ნარიმანა ო, ეგ კარგია, ეგ კარგი!.. მაღაროში თუ ოფლი გამომდინდა მუშაობით ეგ რაღა იქნება...

1-ლი წერაქვ. ა, ასე ლაპარაკობს ყველა აქაური ზარმაცი და მუქთახორა მუშა...

ლომია ვიცი ეგენი არ გამომპარვია, მაგრამ ეხლა ნარიმანას იმას ვეუბნები, რომ ასეთი წესით იგი დაეხმარება თვითონ წარმოების გაუმჯობესებას, მაშასადამე საერთო მუშათა კეთილდღეობასაც ხელს უწყობს...

ნარიმანა მერე?

ლომია მერე და შენ ხომ მუშა ხარ?.. ჰო და რაკი მუშა ხარ მაშასადამე პირად შენ კეთილდღეობასაც ემსახურები...

1-ლი წერაქვ. მაგას მუშების კი არა გლეხების კეთილდღეობა აინტერესებს.

ლომია ჰო და ღარიბ და საშუალო გლეხის ყოველმხრივ განვითარებასაც ეხმარება, აი ჩვენ რომ პოლიტიკურ და კულტურულ განვითარებას ვეძახით... მაგრამ მაგას რაც უნდა იმასაც გააკეთებს სოცშეჯიბრში მონაწილეობით. კერძო მეურნეობის, ცალკეულ მესაკუთრე გლეხობის კეთილდღეობასაც დაამყარებს. შენც ხომ ეს გინდა, ნარიმანა?

ნარიმანა რა ვიცი!

ლომია შენ როგორ გგონია... ამირან?

ამირანა მე ის მგონია, რომ ჯერ ერთი ამ ბებერს მე არ გავეჯიბრები, მეორე ის, რომ... (თავი მოიქექა) არ შეიძლება სულ უარი ვთქვა?

ლომია ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს, რომ ძალა არავის არ დავატანოთ და არც ადმინისტრატიული გაელენა მოვიხმაროთ, მაგრამ აი, ამხანაგებო, აგერ, ცოცხალი მაგალითი... კარგათ უნდა გვახსოვდეს, რომ სოციალისტურ

შეჯიბრების დროს ჩვენ წინააღმდეგობას გაგვიწევენ არა მარტო ჩვენი ნამდვილი მტრები და მავნებლები, არამედ აი ისეთი მერყევი ხალხიც, რომელთაც არ ახლავთ საკმაო პოლიტიკური მომზადება და აღზრდა, რომლებიც ჯერ კიდევ დაკავშირებულნი არიან ეკონომიურად ქალაქის ან სოფლის წვრილ-ბურჟუაზიულ ელემენტებთან... მაგრამ ამან, რასაკვირველია, არ უნდა შეგვაშინოს...

ხპირიდ. ცხადია, სოციალისტურ შეჯიბრების ჩაშლის ცდებს უნდა დაუპირისპირდეს მუშათა კლასის მოწინავე ნაწილის უდიდესი ორგანიზაციულობა, დისციპლინა და სიმტკიცე. ეს არის უმთავრესი პირობათაგანი მუშათა კლასის ჩამორჩენილი ნაწილის აღზრდაში...

ნარიმანა მე რას მიყურებს ეგ დედა-გაღლეტილი?

ამირანა ჩამორჩენილი ხარ და იმიტომ...

ნარიმანა იმდენი მე მაგას რა უთხრა, მაგაზე მე ჩამორჩენილი არ ვიყო—არც ჭკუით, და არც შეძლებით... ვინაა, გურულია?

ამირანა გურული კი არა... ღოთვაქე... გვარზე ვერ ატყობ? რაქველია.

ლომია აბა, ნუ ვიგვიანებთ... არჩევნები, არჩევნები... (ხ რ ი ა ლ ი).

ნარიმანა ჩვენ რა ვქნათ ეხლა?

ამირანა რა ვქნათ და ხელი ოუწიოთ.

ნარიმანა მაგაზე არ ვამბობ... ხელებს კი არა თუ უნდა ფეხებსაც აუწევ.

ამირანა აბა რა გინდა?

ნარიმანა (ა რ ა მ ბ ო ბ ს ი მ ა ს რ ა ც უ ნ დ ა ე თ ქ ვ ა) ეს ლომია, მეგრელია?

ამირანა ეხლა ეგ გამომიგონე!.. რა გინდა მერე, იყოს მეგრელი...

ნარიმანა გააჭირეს ამ მეგრელებმა და გურულებმა საქმე! ტვინი წაგვჭამეს... დიდი მეტიჩარა ხალხია: აღმასკომის თავმჯდომარე, პარტკომის მდივანი, კომისარი, ბრიგადირი, დამკვრელი, დამრტყმელი და...

ამირანა ჰო, კაი ახლა, თვარა... მოგხვდება შენ ერთი დროა მაგისათვის...

ლომია ასე, ამხანაგებო, ასე... აბა თქვენ იცით... ზეგ დავბრუნდები და... შევუდგეთ კიდეც მუშაობას... (ნ ა რ ი მ ა ნ ა ს და ა მ ი რ ა ნ ა ს) თქვენ როგორ განზე გამდგარხართ?.. რაზე მასლაათობთ?

ამირანა აი, ეს სულ იმაზე მეკითხება: ლომია ვინ არის, მეგრელია თუ არაო?

ლომია — ჰოო, ეიცი, რისი მუცლის გერემაცა აქვს... (ნარიმანას) მეგრელი ვარ, მეგრელი, მერე რა გინდა? შენზე კარგათ ვლაპარაკობ ქართულს და არა მაქვს მეგრული აქცენტი „ლ“, „ლ“... ტალახი, სალარო, სულელი...

ნარიმანა — (ვითომ ვერ მიხვდა) ზამბრაზანი, ებრო.

ლომია — ზარბაზანი, ერბო.

ნარიმანა — შენ აგაშენა ღმერთმა... ქრისტიანი ყოფილხარ.

ლომია — მაგას დაეთხოვეთ და კარგა მოიფიქრეთ... ნუ ჩამორჩებით, სირცხვილია... ახლა ჩვენ რომ შუქრუთმა გვაჯობოს გვიამება?

ნარიმანა — არა, კაცმა რომ თქვას... მე მივიღებდი მონაწილეობას... ამასაც ვსინჯავ და...

ლომია — ჰო, სინჯე, სინჯე...

ნარიმანა — კი მაგრამ... მართალია შენ ბევრი ილაპარაკე... მაინც კარგათ არ ვიცი რაშია საქმე.

ლომია — მაშ ეხლა, მე არა მცალიან... მივდივარ. აგერ... სპირიდონა... აი, აუხსენ ამათ (მიდის).

სპირიდ. — (ახლო მივიდა) ამ ხარიმანებს... ამირანა, ნარიმანა!...

ნარიმანა — კი ნუ გვემასხრები, ვაჟო...

სპირიდ. — აბა, იცით? მეორე დასვენებაზე ყველაფერს კარგა აგიხსნით...

ნარიმანა — (რონოდას ხელი მოჰკიდა).

ამირანა — (ამანაც მეორეს).

ნარიმანა — (გაიცინებს) გამომიწვევიხარ შეჯიბრში...

ამირანა — აგრე არა, ნარიმანა, აგრე არა... გვეტყვიან...

ნარიმანა — აბა თუ დამეწევი?! (გაახრიალებს ძუნძულით რონოდას).

ამირანა — აგრე არა, კაცო, აგრე არა... (ესეც ძუნძულით რონოდით მისდევს).

II ნარიმანასას

იბრუხტი — (კვდება სიცილით) ხა, ხა, ხა. უჰ. ნუ მომკალი, ბიჭო, სიცილით... რა წყეული შენ ხარ.

ხეფე — მე კი არ ვარ წყეული, ქალები ხართ ეშმაკები... მაგრამ ეგ რა არი! იმ დღეს ქათამს დასდევდა დასაჭერათ...

იბრუხტი ვინ? ედუკი?

სეფე ჰო, აბა! სტუმრები მოსვლოდათ... მამამთილი ხომ იცი დაკუტებული ჰყავს და სხვა არავინ იყო სახლში... მე ქე დავეხმარე ახლა ამ ქათმის დასაჭერათ, ვითომ...

იბრუხტი ჰო, ჰო!

სეფე ჰო და ხომ იცი ეზოში მითაჟამის ერთი დიდი ქვევრი რომ აქვთ წამოგორებული... თუ შევიდა, ოთხი კაცი თამამათ შეეტევა შიგ... მეც იმდენი ვეცადე, იმდენი, რომ ერთი კაი ჩასუქებული დედალი შევრეკე ჭურში... ედუკიმ ერთი კი შემომთავაზა გამეიყვანეო, მარა შენც არ მოიკვდე!.. მე უთხარი—დაკვლით დაგიკლავ თუ გინდა და გამოყვანით შენ გამოიყვანე, თუ გინდა ნუ გამეიყვან მეთქი... რას იზამდა, იკადრა ედუკიმ ქათმის გამოსაყვანათ ქვევრში შეძრომა.

იბრუხტი შეძვრა?

სეფე ბიჭო, აბა სტუმრებს შიმშილით ხომ არ მოკლავდა, მარა შეძვრა თუ არა შევძვერი მეც... შეიქნა, მარა რა შეიქნა ქათმის ჭყივილი, ედუკის წივილი, ქვევრის ბუყბუყი.

იბრუხტი (გულიანათ იცინის)..

სეფე სახლიდან გაჰკივა დაკუტებული ბებერი. სადა ხართ, კაცო, ედუკი, ბიჭებო... თვალისეირი იყო!..

იბრუხტი მერე და, სეფეია, შე პირ-ძაღლო, სტუმრები არ დაგინახავდენ?

სეფე ქალო, სტუმრები რაფერ დამინახავდნენ... ქვევრი იმხელაა შიგ რო სულ ჩასახლდე, კაცი ვეღარაფერს გეიგებს...

იბრუხტი უი, შენ დაგწყევლა ღმერთმა!

სეფე ასე დავიმორჩილეთ შენი მიუკარებელი ედუკი...

იბრუხტი აბა შენ ძაან ნავარდობ, სეფეია, ამ სოფელში... გადაგირჩა ვინმე?

სეფე ერთი, ერთი, მარა რაცხა დრო იქნება...

იბრუხტი ისე აგიდგება გვერდები!

ზარასპის ხმა მასპინძელო, სახლში არავინ არ ხართ?

იბრუხტი უი, ღმერთო კი, მომკალი... ზარასპი... აბა, გეიხანხლე ახლა აქედან...

სეფე უი, დასწყევლის ჩემი გამჩენი... მალე გოუშვი, მალე... იცოდე, ამაღამ აქ არ დატოვო...

იბრუხტი წადი, დამეკარგე...,(სეფე გადის სხვა კარებით) მობრძანდი, ბატონო ზარასპი, მობრძანდი... (ზარასპი

შ ე მ ო ლ დ ი ს) ღმერთო კი მომკალი... ნარიმანი არ ბრძანდება სახლში.

ზარასპი ნარიმანი რა ოხრათ მინდა, იბრუხტი, გენაცვალოს ჩემი თავი, მე შენთან მოვედი ნათლიდედ... ა?

ჩემო ნათლიდედაო,
ცოტა მეჩქარებაო.
ხაჭაპურს თუ გამომიცხობ,
კარგათ შემერგებაო.

იბრუხტი კი ბატონო... ხაჭაპურს კი არა... (გ ა ს ძ ა ხ ი ს) ქიონია, ქიონია ბოშო...

ზარასპი ნამეტანი დაღლილი ვარ,
ცოტაც მეძინებაო,
ქვეშაგებსაც თუ გამიშლი
ძალზე მეამებაო.

იბრუხტი კი ბატონო, კი... კიდეც გაგიშლი და კიდეც მოგასვენებ... (სეფე გ ა ღ ე ბ უ ლ ფ ა ნ ჯ ა რ ი დ ა ნ ი ბ რ უ ხ ტ ი ს მ უ შ ტ ებ ს უ ღ ერ ებ ს. ი ბ რ უ ხ ტ ი ე ფ ა რ ე ბ ა, ა რ უ ნ დ ა ზ ა რ ა ს პ ი ს დ ა ა ნ ა ხ ო ს) ვინ გასწავლა ამისთანა ლექსები, ბატონო?..

ზარასპი რა ვიცი, ქვეყანა მღერის... (ქ ი ო ნ ი ა შ ე მ ო ლ დ ი ს).

იბრუხტი ქიონია, გოგო სადა ხარ... ერთი სეფეიას გადასძახე, თუ ღმერთი გწამს, პური მომიზილე-თქვა და მე ხელათ ხაჭაპურებს დავაცხობ... შენ ცეცხლი გააჩაღე ახლავე (ქ ი ო ნ ი ა მ რ ა ღ ა ც წ ა ი ღ უ დ ღ უ ნ ა დ ა გ ა ვ ი დ ა).
ჰო, ჰო, აგრე... ხაჭაპურამდე, ბატონო, გაგიწყობ სუფრას. მშვენიერი ჩვენებური ღვინო მაქ.

ზარასპი მაგას რა ჯობია, კაცო. აქაური ღვინო სელტერაქვითაა...

იბრუხტი საუცხოვო რაჭული ლორიც მაქ.—ძაან გამოსულია...

ზარასპი იფ, იფ... მაგრამ შენ თუ გამშორდი ის კი არ მინდა...

იბრუხტი აგერ მაქ ოთახში მზათ... (ზ ა რ ა ს პ ი ი წ ე ვ ს ს ა კ ო ც ნ ე ლ ა დ) მეიცა, ბატონო, მეიცა... ვინცხა შემოგისწრებს ბატონო. ნარიმანი მობრძანდება საცაა (სეფეიას მ უ შ ტ ი თ ი ბ რ უ ხ ტ ი ა ნ ი შ ნ ებ ს დ ა ს ე ფ ე დ ა ი მ ა ლ ე ბ ა) აქ კიდე სეფეია ბიჭი დაიარება, ბავშია აგერ... ჩემი შვილი... (გ ა დ ი ს, გ ა მ ო ა ქ ვ ს, ა წ უ ო ბ ს) ა, ბატონო, ა... ყველაფერი მზათაა...

ზარასპი შენი სადღეგრძელო იყოს, იბრუხტი... უცნაური სახელი გქვია, მაგრამ ისე ძაან ქალი ხარ... კოხტა, შოლტივით ქალი... (წელზე ხელს მოხვევს, იბრუხტი თან ფანჯარას გაცქერის, თან ნებდება ნელ-ნელა).

იბრუხტი (ვითომ დარცხვენით) რაზე იკადრებ, ბატონო.

ზარასპი რომ ვერაფრით ვერ მოგიჩვიე... თუმცა მიყვარს ამისთანა ველური რომ ხარ... მართლა აი რა მოგიტანე... (ამოიღებს თავშალს) შოვნა აღარაა ნათლიდედ, შოვნა... ეს ძლივს გამოვართვი ნაცნობობით...

იბრუხტი უი, რაზე წუხდებოდი, ნათლია, ბატონო...

ზარასპი არა, ძაან ქალი ხარ, ძაან... რა დაგვშვენდებოდა შენ... ფოქსტროტის თამაში...

იბრუხტი ეგ რაა ბატონო?

ზარასპი რა არის და ცეკვაა ამერიკული.

იბრუხტი უი, რა დროს ჩემი ჩინდრიკია...

ზარასპი არა, ვიჩინდრიკოთ, ვიჩინდრიკოთ... ცოტა ნაღვინევი ვარ და გამომიქარდება.

იბრუხტი არ ვიცი ბატონო...

ზარასპი მე გასწავლი... აი, ასე... (ვითომ მღერის) ჩინდრიკ, ჩინდრიკ... ნუ გეშინია, ჰო, მომეხუტე... ასე უნდა. ასე... ჩინდრიკ, ჩინდრიკ (ცეკვავენ, შემოდის ნარიმანი).

იბრუხტი უი, ბატონი... (გაუსხლტება).

ზარასპი ოჰ, ნარიმანა! გამარჯვება! მე დაგასწარი სახლში მოსვლა...

ნარიმ. რა უპირს, ბატონო... ხომ კარგათ დაგიხვდა ჩემი რძალი?

ზარასპი ო, რძალი იცოცხლე, სულ ჩინდრიკ-ჩინდრიკი მათამაშა.

იბრუხტი (მოხერხებულ დროს გადამალა თავშალი) აბა ახლა, ბატონო ნარიმან, სტუმარი არ მომიწყინო და მე ახლავე ცხელ-ცხელ ხაჭაპურებს მოგართმევთ... (გადის).

ნარიმ. რა ცეკვა იყო, ბატონო... ის?

ზარასპი მაგას ფოქსტროტი ქვია.

ნარიმ. რა რჯულის ცეკვაა?

ზარასპი ეგ ამერიკულია, ჩემო ნარიმანა... მოხუცებულების ცეკვაა...

ნარიმ. მოხუცებულების?

ზარასპი ჰო, შენი ხნის კაცები ცეკვავენ... არაფერი ცოდნა არ უნდა... აჩოჩიალე ფეხები და ქალი ჩეიხუტე მაგრათ...

ნარიმ. ჰოო, კარგი ამბავია ერთობ!..

ზარასპი — აი, შენი ხნის იქნება ამერიკელი რომ იყო, ხარიმან და ისიც ცეკვავს...

ნარიმ. — რა ამბავია, ბატონო!.. დღეს ორჯერ მიხსენეს ხარიმანის სახელი და შემადარეს კიდეც...

ზარასპი — შეგადარეს? როგორ, იწუნებ?

ნარიმ. — არა, ბატონო, რა ჩემი საქმეა, მაგრამ იქ კრებაზე...

ზარასპი — ჰო, დღეს უკვე გქონდათ კრება?.. დაადგინეთ რამე?

ნარიმ. — ჰო, დავადგინეთ რომ ჯიბრში უნდა შევიდეთ... ბევრი გველაპარაკა ლომიამ, მაგრამ...

ზარასპი — ლომია ვინ არი... ჰოო, ჩვენი კონდრატი... პროფკავშირელი? უჰ, რა ტრაბახა გვარები გაქვთ ამ იმერლებს და გურულებს!

ნარიმ. — რავა, ბატონო?

ზარასპი — მა რა არი, კაცო... ვაშალომიძე, მარგალიტაძე, ვეფხვაძე, ფოცხვერიშვილი...

ნარიმ. — ეგ ტრაბახა კი არა სულ მხეცების გვარი ყოფილა.

ზარასპი — აი მე რომ მაქ გვარი ისეთი უნდა: მჰადიჰამიაშვილი.

ნარიმ. — რაცხა ასე არ მახსოვს თქვენი გვარი, ბატონო... ჭავჭავაძე ხარ მგონია.

ზარასპი — აჰ, არა, ძძაო... ჭავჭავაძე ღმერთმა დამიფაროს... ჩემი გვარი მაქვს, ოღონდ რუსულად არის გადამახინჯებული: ჩად-ჩამოვ.

ნარიმ. — კითხვა აუგი არ არის, სადაური ბრძანდები, ბატონო?

ზარასპი — მე, ჩემო ძმაო, ცხრა-რჯულა ვარ, მე თვითონ არ ვიცი კარგა, ხომ ხედავ ხან იმერულათ ვუქცევ, ხან ქართლურათ. კორბოულიდან კი უნდა ვიყო, ეს ვიცი...

ნარიმ. — ბატონო, ეს მიბრძანე... ახლა ეს ჯიბრი მოგვიტანს რამეს?

ზარასპი — ჯიბრი კი არა, სოციალისტური შეჯიბრება, ასე უნდა თქვა (ი ბ რ უ ხ ტ ი დ ა ქ ი ო ნ ი ა შ ე მ ო ტ ი ს).

იბრუხტი — ა, აგერ ხაპაპურებიც... შენ ქიონია, ღვინო შემოიტანე გენაცვა... (ქ ი ო ნ ი ა მ რ ა ღ ა ც წ ა ი დ უ ღ ღ უ ნ ა) ჰო, ჰო აგრე.

ნარიმ. — რა ღვთის წყრომაა, ამ ბავშმა კიდევ ვერ ისწავლა ლაპარაკი...

იბრუხტი — გაიზრდება, ამოიდგამს ენას...

ნარიმ. — თუ დედის კვალს გაჰყვა... (ქ ი ო ნ ი ა შ ე მ ო ვ ი დ ა ბ ო თ ლ ი თ).

ზარასპი — რას უწუნებ, ნარიმანა, ნათლიდედს... ქალია ისეთი, რომ სულ ცეცხლებსა ჰყრის... მართლა, ნათლიდედ, შენ რომ დამპირდი რაღაც უცნაური ხალიჩა მაქვს იმას გაჩვენებო?!.

იბრუხტი — კი, ბატონო, კი... კაი ხალიჩაა ძალიან... კნიაზ გიორგის ნაქონია...

ზარასპი — არ შეიძლება ვნახო?

იბრუხტი — რავა არა, ბატონო, მარა იმას ახლა ვინ გამეიტანს! საეშმაკოდ, სახლებს ვწმენდდი ამ დღეებში და ჩამევიღე კედლიდან და ქეა დაგრაგნილი, ახლა, კუთხეში მიყუდებული... უზარმაზარია, ბატონო, იმას ვინ გამეიტანს!..

ზარასპი — არა, გამოტანა რათ უნდა... იქით ვნახავ, იქ გავშალოთ... ხომ შეიძლება?..

იბრუხტი — კი ბატონო, რავა არა!

ზარასპი — უკაცრავათ, ნარიმანა.—ემ წამში.—თუ მომეწონა, ვეცდები როგორმე შევისყიდო... ხომ თქვენია, ნათლიდედ? (გ ა დ ი ს).

იბრუხტი — კი ბატონო, რავა არა...

ნარიმ. — (დ ა ი ს ხ ა მ ს დ ა ლ ე ვ ს. ე ლ ო დ ე ბ ა. მ ო წ ყ ი ნ დ ე ბ ა) მოდი აქ, შვილო, ქიონია (დ ა ი ს ვ ა მ ს კ ა ლ თ ა ზ ე) რატომ არ ლაპარაკობ, გენაცვალოს ბაბუა შენი?.. (ქ ი ო ნ ი ა მ რ ა ღ ა ც წ ა ი დ უ დ ღ უ ნ ა) ა, რაო, რა თქვი?.. არაფერი არ მესმის გენაცვალე.—დედაშენმა იცის შენი გაგება, მე ვერაფერი მოვახერხე.—არ გშია გენაცვალე?—აგერ ხაჭაპური, ბაბუა!.. რაღა ახლა მოუნდა იმ დალოცვილს ხალიჩის ნახვა.—მეც ქე მშია შენ მომიკვდე... შენ რომ დიდი ქალი დადგები, ა, გენაცვალოს ბაბუა... მაშინ გაგათხოვებ, მარა ახლა არ გაგათხოვებ... არა, ამათ ხელში?.. ზარასპის რომ ქვეყანა აბარია, მაშინ არა, გენაცვალოს ბაბუა! (ქ ი ო ნ ი ა მ რ ა ღ ა ც წ ა ი დ უ დ ღ უ ნ ა) რაო?.. ვერ გევიგე მე შენი ვერაფერი და რა ვქნა ახლა... არა, ამდენ ხანს ვეღარ გაშალეს, ვეღარ დაახვიეს ის საოხრე ნოხი?.. ოო, დედა შენი, გენაცვალე ქიონია, დედა შენი? დედა შენი რომ დედაშენი არ იყოს, რაც მართალია მართალია სახლში არ დავაყენებდი... (ქ ი ო ნ ი ა მ რ ა ღ ა ც წ ა ი დ უ დ ღ უ ნ ა) რა? გეძინება, შვილო?.. მეც ქე მეძინება... ჩემო რძალო! ორ თაობას ეძინება, ორ თაობას... აგერ დეიძინე ჩემ კალთაში, გენაცვალოს ბაბუა... მაინც არ მოდიან და... ჰო, იმას გეუბნებოდი...

რომ გაგათხოვებ... ასე კი არ ვიზამ ბეჩა. ჯვარს დაგწერ და გვირგვინს გიფსკვნი, მლვდლით, საცეცხლურით, გალობით... ისეთი ამბავი მექნება... (ზარასპი და იბრუხტი).

ზარასპი — უკაცრავათ, ნარიმანა... მარტო დაგტოვეთ, მარა მშვენიერი ხალიჩა კი ყოფილა... (დაისხა ჩაის ჭიქა) აბა, ახლა ეს ლმერთმა გაუმარჯოს ჩემს მშვენიერ ნათლიდედას,—ალავერდი ნარიმან... უჰ, (ხელზე დაიხედავს) საათი არ დამვიწყებია იქ. იბრუხტი გენაცვალე... ბატონო...

იბრუხტი — კი, ბატონო კი... რა გეჩქარება,—თავის დროზე მოგართმევ (სეფე ფანჯარაში) ოჰ, სეფე მობრძანდი.

ნარიმ. — სეფე კი არა მეფე არ გინდა! სეფეია მამაძაღლი ქრისტეს ფეხის მჭამელია.

სეფე — მაღაროში დილით მივა, ადრე ასადგომელია.

ნარიმ. — მაღაროში თვარა, მუშაობას რომ ეგ თავს აკლავს...

ზარასპი — მობრძანდი, ყმაწვილო... (სეფე შემოვა) თქვენც მუშა ხართ?

სეფე — დიაღ ვებმები მეც სოცშეჯიბრში და... ეს ვიცი, რომ გულს გოუწყალებ...

ზარასპი — როგორ? არ გჯერათ ამ ამბის არაფერი?

სეფე — როგორ მჯერა.—სამუშაო დღე ისედაც დატვირთულია და სხვა რაღაა საჭირო...

ზარასპი — ყოჩაღ, ბიჭო... შენ ჭკვიან ყმაწვილს გავხარ...

ნარიმ. — მაგაზე დღეს სპირიდონა ბევრს გველაპარაკა, სწორედ ამ დატვირთვაზე. ის ამბობს, რომ დატვირთული კი არა სრულებით არაა სამუშაო საათები გამოყენებულიო. მუშაობის დროს ძალიან ხშირად აქეთ-იქით უქმად დადიან მუშებიო, ლაპარაკს და ლაზღანდარობას უნდებიან, როგორც შენ, მაგალითად, სეფეია...

სეფე — ახლა რა, მაბეზღებ ჩვენ შტეიგერთან თუ როგორაა საქმე?

ზარასპი — იქით გადადევი, კაცო, რა დროს სოციალისტური შეჯიბრებაა! ჩვენ აგერ ღვინოში შევეჯიბროთ ერთმანეთს ის სჯობია,—და შემდეგ ჩინდრიკ-ჩინდრიკ (ქიონიას გაეცინა) შენ რას გეცინება, ქალიშვილო?—ყველამ უნდა ვიცეკვაოთ, ყველამ (ქიონიამ რაღაც წაიდუდღუნა).

იბრუხტი — ჰო, ბაბუამაც, გენაცვალე, ბაბუამაც...

ზარასპი — აბა ეხლა ამ ჭიქით ბაბუასაც გაუმარჯოს... ალავერდი, ყმაწვილო. (სვამენ. აიყვანს იბრუხტის სათამაშოთ) საათი არ დამავიწყო, თუ ქალი ხარ...

იბრუხტი არა, ბატონო, რავა გეკადრება.

ზარასპი (იბრუხტის შემდეგ ათამაშებს ქიონიასაც. ცეკვას აყვება სეფე და თამაშობს იბრუხტისთან, იბრუხტის არ უნდა, მაგრამ სეფე ძალას ატანს. ქიონიას შემდეგ ზარასპი ძალით აიყვანს სათამაშოთ ნარიმანსაც და ბოლოს ყველანი ფერხულივით უვლიან) აა, ასე არ ჯობიან... ჩინდრიკ-ჩინდრიკ! რათ გინდა სოცშეჯიბრი...

ჩემო ნათლიდედაო!
ეხლა მეცეკვებაო.
მკლავი მკლავზე
გადამაქვდე
ასე მიამებაო!

III ფუძრუთში

კამსარაკანი. (მეორეს ცალკე) მე გამოვიანგარიშე: თითო წუთში წერაქვს ვიქნევ რვაჯერ. თითო მოქნევა იძლევა ერთ გირვანქის წონის მარგანეცს, ამგვარათ წუთში ვიძლევი რვა გირვანქა საქონელს. მაშასადამე, ხუთ წუთში ერთ ფუთს, საათში 12 ფუთს, მაშასადამე, დღეში 94 ფუთს ვიმუშავებ, რადგან 7 საათის სამუშაო დღე გვაქვს. ამგვარათ, ხუთ დღეში მე ეროი, დავამზადებ საჟენ მარგანეცს სულ თავისუფლად. ეს არის სულ მოდუნებული მუშაობა. საშუალოთ რომ ვიმუშაო ერთ წუთში წერაქვს მოვიქნევ 16-ჯერ, მაშასადამე, ასე გაორკეცებულად რომ ვიანგარიშოთ ჩემი მუშაობის შედეგი, დღეში გამოვა 188 ფუთი, მაშასადამე, საჟენს და 64 ფუთს ზედმეტს გავაკეთებ სამ დღეში. ამგვართ წარმოებაც მოგებული რჩება და მეც...

მე-2 წერაქვ. შენ, ძმაო, ძალიან თავი დაგიმტვრევია მაგის გამოანგარიშებაში.

კამსარაკანი მაშ როგორა გნებავს. — შენ ყური მიგდე...

მაკრინე (ცალკე ჯგუფს) ეგ ყველაფერი შეკარგია, მაგრამ ჩვენ სამეურნეო პოლიტიკურ ხელშეკრულებაში ერთი რამ ჯერ გამოგვრჩეს — შეჯიბრება კულტურულ ფრონტზეაც. არ დაგავიწყდეთ, რომ კულტურულ ფრონტზე შეჯიბრების

ამოცანაა. უწინარეს ყოვლისა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, მოზარდ მუშა-გლეხთათვის საყოველთაო სწავლების ჩატარება, სკოლებში მუშების, შოჯამაგირეების და ღარიბთა ბავშვების უზრუნველყოფა, სამოსწავლო წლის გადიდება საზაფხულო სკოლის გახსნის საშუალებით, კვალიფიციურ მუშაკთა შექმნა, სოციალისტურ მრეწველობისათვის ახალ კადრების მომზადება, კულტურულ დაწესებულებათა დაარსება, სკოლები, ქოხსამკითხველოები, რადიო და სხვა.

ბუხჰალტ. (ვარიას ცალკე ჩუმად) როგორ ყველაფერი იცის ამ ჩვენმა მაკრინემ... გესმით რა ზედმიწევნით ლაპარაკობს?

ვარია საოცარი ქალია!... ძველი რევოლიუციონერია.

ბუხჰალტ. ვიცი, მაგრამ რამდენია ძველი რევოლიუციონერი, რომელმაც ამ ახალ მოთხოვნილებებს ალღო ვერ აუღო...

ვარია ბუნებით ნიჭიერი ადამიანია... რუსული წერა-კითხვაც კი აგერ ახლა შეისწავლა... კითხულობს, სწავლობს... მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი საწარმოო კომისიის თავმჯდომარეზე მეტი იცის თუნდა ამ სოცშეჯიბრის საკითხშიაც.

ბუხჰალტ. დიდი ხანია იცნობთ?

ვარია ოო, ბავშობიდან! ე. ი. მე მინდა ვთქვა მე ბავშვი ვიყავი, როდესაც ეგ უკვე მოწიფული ქალი იყო, ახლად დაქვრივებული...

ბუხჰალტ. კარგი ვაჟი მოუკლეს თურმე 905-ში.

ვარია ოო, მშვენიერი... დიდი მოწინავე... ამან გაამწარა... და შემდეგ თავი დასდვა კიდეც რევოლიუციისათვის...

ბუხჰალტ. თქვენ გეტყობათ დაწვრილებით იცნობთ მაგის ცხოვრებას.

ვარია იმ სოფლის მცხოვრებია, საცა მამაჩემი მსახურებდა...

ბუხჰალტ. მამათქვენი მღვდელი იყო ხომ?

ვარია მე არ ვმალავ... წმენდის დროსაც არ დამიმალნია.

ბუხჰალტ. მე განა იმიტომა ვთქვი...

მინაბდულიძე. ამხანაგო თავმჯდომარე... რაზე მოგვაცდინე ამდენ ხანს.

თავმჯდომარე. ამისთანა ლაპარაკი აბა როგორ შეიძლება, ამხანაგო! აქ საწარმოო კომისიაა შეკრებული ამჟამად. სხდომა დროებით შეწყვეტილია, რადგან თათბირმა ჩვენ სამ კაცს მოგვანდეთ საავარაუდო პროექტის შედგენა, — რომ ამით დროც უფრო მოგვეგო და თქვენ გაცდენაზე გაიძახით...

კამსარაკ. რომელია ეგ?

მე-2 წერაქვ. არ იცი, კაცო, ძველი შავი ქვის მრეწველია... სასწორზე მუშაობს, მინაბდულიძე.

კამსარაკ. მერე ეხლა მაგას უფრო გული შესტკივა დროს გაცდენაზე?..

მე-2 წერაქვ. არ იცი? მეტიჩრობს... ვითომდა ასე...

მინაბდ. მერე მე კიდევ მიზანშეწონილათ არ მიმაჩნია მხოლოდ ჩვენ მიერ შეჯიბრის ხელშეკრულების შედგენა, ცალმხრივი იქნება...

მაკრინე ამხანაგო!.. თქვენ აქ არ იყავით თუ როგორ არის საქმე? აკი გადავწყვიტეთ ყველამ, რომ დროის მოსაგებათ, მცირე კომისიას შეედგინა პროექტი, უკვე მზად არის თითქმის და ეხლავ მოგხსენდებათ.—რაც შეეხება იმას, რომ ცალმხრივი იქნებაო, არც ეს არის მართალი, რადგან მთავარი ამოცანები სოცშეჯიბრის საერთოა და ადგილობრივ წვრილმანებში ადვილათ შევთანხმდებით.

მინაბდ. მაინც იქაურ დელეგატებისთვის უნდა დაგვეცადნა... იმ ხალხს არ ეკითხებით?

თავმჯდ. თქვენ მოგახსენებთ, რომ ჯერ-ჯერობით იმათი დელეგატებიც საჭირონი არ არიან და თუ მაინცდამაინც გეტყვით, რომ ლომიამ ამას წინათ ტელეფონით დაგვირეკა და საცაა მოვა კიდეც...

კამსარაკ. (მ ი ნ ა ბ დ უ ლ ი ძ ე ზ ე) რა კაცი ყოფილა! ახლა მახსენდება... სასწორზე რომ ბატონ-კაცივით გაჰყივის ხოლმე... ასე გონია ძველი დრო ქონდეს, საწყალ ჩალავადრებს წონაში რომ ატყუებდა...

მე-2 წერაქვ. აბა, შენ ის თქვი... ხომ გახსოვს ერთი საცოდავი პლატფორმა ქონდა.

კამსარაკ. რა ვიცი, ძალიან კი ყვლეფდა ხალხს და... საცოდავი უთხარი შენ.

მე-2 წერაქვ. მეც მაგას ვამბობ... მომცრო პლატფორმა იყო, მაგრამ ასკეცი ტყავი მიქონდა.

კამსარაკ. მგონია ნააზნაურალიც არის...

მე-2 წერაქვ. აბა რა გგონია შენ... მინაბდულიძე აზნაურული გვარია...

კამსარაკ. ჰო და რა სიკეთე გამოვა მაგისაგან!... ვინ აირჩია ერთი ვიცოდე ჩვენ კომისიაში?

მე-2 წერაქვ. ყველა დარგიდან უნდა იყოს კომისიაში წარმომადგენლებიო და მწონელებმა ეგ მოქვცეს.

კამსარაკ. სხვა არავინ გააჩნდათ?

მე-2 წერაქვ. ვითომ კარგი ლაპარაკი იცისო.

დეზი (ამთქნარებს, მოდის ვარიასთან) ბეჩა, ვარია, მომწყინდა საშინლად და არ ვიცი რა ექნა...

ვარია როგორ არ გრცხვენია, დეზი... ცოტაც მეიცადე და გაგვანთავისუფლებენ.

დეზი იმათ რა უთხრა ვინც მე ამირჩია... კანცელიარიიდან უთუოდ ვინმე უნდა იყოსო და... ყველამ დააძვრინა თავი... ისინი ყველა ჭკვიანებია, მე ვარ ერთი შტერი... როდის გათავდება ახლა ეს „წილადობილა“?

ვარია ჩუმად, დეზი, არავინ გაგიგონოს, თორემ...

დეზი ოჰ, გული არ გამიწყალეს!

ვარია რა გინდა, ქალო?... ამ ნახევარ საათში გათავდება ყველაფერი და მოასწრებ შენ ზარასპის.

დეზი სად არის ზარასპი! იმას კი ვენაცვალე კოკობ ულვაშებში!.. აქ რომ არ არის!

ვარია ااا!...

დეზი შენ მომიკვტე, მივლინებაშია.

ვარია აბა მართლა მოწყენილი ყოფილხარ, დეზი.

დეზი მოწყენილი და აგრე... ბეჩა—ვარია, მათხოვე რამე წიგნი... სულ არაფერი არა მაქვს საკითხავი...

ვარია შენ რომანები გინდა უთუოდ?...

დეზი აპა ახლა გოდაბრელიძის „სოციალისტური შეჯიბრება“ თუ არ წევიკითხე, ისე არ დავდგები...

ვარია არ გრცხვენია, დეზი... ეგ ქე უნდა გადიკითხო... მარგალიტებივით აქვს სულ აწყობილი, ისე იკითხება, როროგორც რომანი.

დეზი ჰე, გასწი იქით... მაგრამ შენ რა! ძაან დამისერიოზნდი ამ ბოლო დროს და შენ გგონია არ ვიცი რისი ბრალია. ან უფრო სწორი იქნება ვისი ბრალია.

ვარია ვისი ბრალი უნდა იყოს, რა გამასხრებს, გოგო...

დეზი ვისი და ლომიასი... დედაია, რავა ეამა მისი ხსენება! ჩემი სიკვტილი!..

ვარია არაფერიც! ქე არ წაგიხდა?!

დეზი მე არაფერი არ წამხდენია, მაგრამ მართლა, რავაა თქვენი საქმე?..

ვარია ჩემი საქმე რავაა და ახლა ბრიგადას ვადგენ.

დეზი დედია, ჩემი სიკვტილი!—ქე არ შეუტოპია ამ ბოვშვს!

ვარია — აბა როგორ გინდა... თუ ვართ საქმეში, უნდა ვიყოთ კიდეც...

დეზი — ვარია, მართლა არდგენ ბრიგადას?

ვარია — მართლა, აბა კი არ ვხუმრობ...

დეზი — მოდი მეც ჩამწერე...

ვარია — ძალიან კარგი იქნება...

დეზი — არა, რაკი შენ მიდიხარ, მხიარულად ვიქნებით; კავალრები, ლომია... მისვლა-მოსვლა...

ვარია — ბეჩა, დეზი, კავალრების ბრიგადას კი არ ვარდგენ მე.

დეზი — ჰო, აბა ახლა მაღაროში ხომ არ შეხვალ სამუშაოდ?

ვარია — თუ საჭირო იქნება, მაღაროშიაც უნდა შევიდე და გვირაბშიაც.

დეზი — აჰ, არ ოუდგა მაგათ გვერდები, მე შენ იქ არ გამოგყვე.

ვარია — არა, გეხუმრები, მაღაროში რა გვინდა... ჩვენ ჩვენი სპეციალობის დამკვრელები ვიქნებით.

დეზი — ჰმ... ქალები ვიქნებით დამკვრელები?

ვარია — ნუ კი მასხრობ შენ... მაინც მაკლია სპისოკში და, — არ დეივიწყო შენი სიტყვა, დეზი, ქე ჩაგწერ.

დეზი — ვაი, ბეჩა... გახსოვს, ვარია, ქუთაისში ეპარქიალურ სასწავლებელში.

ბუხჰალტ. (მ ო ვ ი დ ა) თქვენ ძალიან გაცხოველებული საუბარი გაქვთ.

დეზი — აგერ ვარია ამბობს, ბრიგადა უნდა შევადგინოო...

ბუხჰალტ. მართალია? მშვენიერი იდეაა... მეც ჩამწერეთ თქვენს ბრიგადაში.

ვარია — სიამოვნებით. თქვენისთანა სპეცისა და ზუსტი კაცის ყოლა ბრიგადაში მეტად სასახელო იქნება, მაგრამ — განა შეიძლება სხვადასხვა დარგისანი ერთ ბრიგადაში მოექცეს?

ბუხჰალტ. ჩამწერეთ და ეგ მერე გამოვარკვიოთ (ლ ო მ ი ა).

თავმჯდ. ოო, ამხანაგო, გელოდებით. რაო? როგორ არის საქმე?

ლომია — რაღა თქმა უნდა ვაჟია. თქვენ ხუმრობა გგონიათ ისეთი ჩამორჩენილი მაღაროს ამოძრავება. — არა, იქაც არიან კარგი ბიჭები, სულ თვალები უელავთ აღფრთოვანებით, მაგრამ გაშიშვლებული რეაქციონერებიც გვყავს. — ამირანა, ნარიმანა...

შაკრინე — (თ ა ვ ს ა ი ღ ებ ს. წ ე რ დ ა) ნარიმან? ეგ რომელია?

ლომია — მართლა, თქვენ უნდა იცნობდეთ, თქვენი სოფლისაა.

შაკრინე — ჰო, ეგ ნარიმანა ფოცხაძე?

ლომია — გვერდით ახლავს ამირანა ცოცხაძე.

მე-2 წერაქვ. — ბიჭო, ეს ლექსი რომ გამოთქმული აქვს ის ხომ არ არის.

ლომია — დიახ, ამხანაგო, ლექსებიც გამოთქმული აქვთ და ძალიან ცნობილი ხალხიცაა.

მაკრინე — უჰ, დაიღუპოს იქით — იმას ახლოს როგორ გავიკარებ... ჩემი მეზობელი იყო, კარგათ ვიცნობ... სანამ დრო ქონდა, თავისი ღობით გამიჭირა საქმე, — გავიხედავ და ყოველ გაზაფხულზე ერთი არშინით მაინც გადმოწევდა ღობეს ჩემს ეზოში... მეც ისეთი მუგუზლიანი ქვრიები ვიყავი მაშინ, რომ ერთხელ საცოდავ ჩემ ვაჟს არ შეეკავებინე. ნაჯახით თავს გაუხეთქავდი. — რათ გინდათ აი პილწი? გამოუსწორებელი კუზიანია!

ლომია — ვცდით და... თუ არა ეშველა-რა... ვიცით მაგის წამალიც.

თავმჯდ. — აბა, ამხანაგებო, დროს ნულარ დავკარგავთ.

კამსარაკ. — ამხანაგო თავმჯდომარე, სანამ პროექტის განხილვას შევუდგებოდეთ, უნდა განვაცხადოთ, რომ ათ მუშას გვსურს ბრიგადა შევადგინოთ.

თავმჯდ. — დიდათ მშვენიერი. წარმოადგინეთ სია და საერთო კრებას დავამტკიცებინოთ.

ვარია — მეცა მაქვს გასაცხადებელი, ამხანაგო თავმჯდომარე.

თავმჯდ. — ბრძანეთ.

ვარია — ჯერ მეტი ვერ შევძელ და ხუთი კაცისაგან მეც შევადგინე ბრიგადა...

ლომია — უჰ, გამარჯვება, ვარია... (სკამს მისკენ მიიჩოჩებს).

თავმჯდ. — თქვენ, ამხანაგო, აგრეთვე უნდა წარმოადგინოთ სია და დავამტკიცებთ. — მაკრინე, მომეცით აქ ეგ პროექტი.

ვარია — ლომია, როგორ გაოფლიანებულხარ, არ გრცხვენია.

ლომია — რა უყო აბა. — ხუთი ვერსი გამოვიარე ფეხით.

ვარია — მოკვდები, ამდენი მუშაობით... ფეხით, ცხენით ამ კლდეღრეში... ხან აქ, ხან იქ... თოვლში, წვიმაში... მერე ყველგან ორგანიზაციის შეკვრა, რჩევა, კამათი... ზოგი მაინც რა შეუგნებელია, საათობით უნდა ეჩიჩინო.

ლომია — მაშ როგორ გნებავს, ვარია ეს ხომ ჩემი მოვალეობაა, პროფკავშირიდან ვარ წარმოგზავნილი, მაგრამ ამას გარდა ვერ ხედავ რა უზარმაზარი ჯერ უნახავ მშენებლობას. მოვკიდეთ ხელი... აქ ერთი წუთი შეჩერება არ შეიძლება... ხომ გესმის შენ ხუთწლიან გეგმის ოთხწლედში

მოთავსება!.. მთელი ჩვენი ენერგია, ჩვენი მძლავრი კუნთები ისე უნდა იყოს მომართული, როგორც ჩახმახი... აღფრთოვანება, ენტუზიაზმი უნდა შეგვქონდეს ყველგან...

კამსარაკ. (მაკრინეს ცალკე) მაშ ეხლა სოცშეჯიბრში გამარჯვება-დამარცხების გამორკვევასთან ერთად ჩვენთანაც იქნება შემოღებული გარდამავალი ჯილდოები, არა?

დეზი (ყური მოკრა) როგორ თუ გარდამავალი ჯილდოები? ვის მიეცემა?

მაკრინე (დეზის) ოჰ, როგორ ჩამორჩენილი ხარ... გარდამავალი ჯილდო გამარჯვების აღმნიშვნელია. განსაზღვრულ ვადებში უნდა ჩაბარდეს გამარჯვებულს... ვადები სხვადასხვაა — წლიური, კვარტალური, როგორც ეხლა ვამბობთ და თვიურიც... ჩვენ მოკლე ვადიანი აღნუსხვები გვექნება, რადგან ეს მეტ აღფრთოვანებას იწვევს მუშებში... ოჰ და ეს ჯილდო გადაეცემა გამარჯვებულს, თუმცა შემდეგში ეს ჯილდო შეიძლება მეორის ხელშიაც გადავიდეს.

დეზი (ბუხჰალტერს ჩუმად) ეგ რა არის, ფანტის თამაშია?

ბუხჰალტ. (ეგრევე სიცილით) თქვენ კიდევ იქ ხართ აი... ეპარქიალურ სასწავლებელში... ფანტი, ფლირტი და სხვა...

მაკრინე ასე რომ ეს ჯილდო დროგამოშვებით გადავა ერთი საწარმოდან მეორეში... (მაკრინესთან გროვდებიან მსმენელები) დეზი, არ გეყურება, ბოშო? მე შენ გიხსნი, თორემ ამათ იციან...

დეზი როგორ არა, მეყურება, მაკრინე ჩემო...

მაკრინე ჰო და ასე, გადადის ერთი საწარმოდან მეორეში, ერთი საამქროდან ან დარგიდან მეორეში, ერთი ცვლიდანაც მეორეზე სულ ასე... ასე რომ ჯილდოს სამუდამოთ მისაკუთრება არ შეიძლება.

დეზი (ვარიას) ნამდვილი ფანტი ყოფილა, ხომ ეთქვი:

ვარია დეზი!

ბუხჰალტ. ბრიგადებიც მიიღებენ ასეთ პერიოდულ ჯილდოს?

მაკრინე ისინი რა, მუშები არ არიან თუ?

მე-2 წერაქვ. კარგი და ახლა რა უნდა იყოს ჯილდოთ დანიშნული?

თავმჯდ. ამხანაგებო, ამას პროექტის განხილვის შემდეგ გამოვარკვევთ...

მინაბდ. რა ვიცი, ძალიან ბევრ დროს კი ვკარგავთ ამ ცარიელ ლაყბობაში და...

მაკრინე ამხანაგებო, ეს არაფერი ისეთი თავსამტვრევი საკითხი არ არის და შეიძლება ისედაც გავაცნოთ ამხანაგებს საქმის ვითარება.

მინაბდ. მაშინ ბარემღა გავხსნათ კრება და ის იქნება...

მაკრინე ოჰ, რა ფორმალისტი ხართ, ამხანაგო... ხალხი კითხულობს და ორი სიტყვით ამოვწურავთ ყოველივეს...

თავმჯდ. არა, მართალია.—პროექტს დიდხანს არ მოუნდებით, რადგან დარწმუნებული ვარ, დღეს იმდენი საკამათო არა გვექნება რა... (ზარასპი საჩქაროთ შემოდის).

ზარასპი დეზი, დეზი, მოდი აქ.

დეზი უჰ, გენაცვალე ზარასპი, ასე მალე მოდი?

ზარასპი დავბრუნდი მიტომ რომ, — გენაცვალე სულის კუნჭულში! — წუხელი შენთან არ დამრჩენია ჩემი პერეეისის პლანი?!

დეზი უიმე, რას ამბობ?!

ზარასპი კი, კი, გენაცვალე სულის კუნჭულში!.. აბა წაკუნტულდი ახლა და... მომირბენინე შენი ლამაზი ფეხებით.

დეზი ახლავე ზარასპი... თუ ჩემთან დაგრჩა, რა... მარა მალე დაბრუნდები ხომ? — მომწყინდა უშენოთ!

ზარასპი მალე, მალე... ორი დღე არ დამაყონდება... მთელი ჩემი უბნის მალაროები უნდა შემოვიარო... აბა გაიქეცი, გენაცვალე სულის კუნჭულში!.. (დეზი გადის).

მე-2 წერაქვ. (მაკრინეს) ჰო და ეს მიბრძანე, რა უნდა იყოს ესეთ ჯილდოთ დანიშნული?

მაკრინე ყველაფერი შეიძლება — შრომის საპატიო დროშა, ბელადების სურათები, ქანდაკება და სხვა.

კამსარაკ. მაშ მე ჩვენთვის იცით რას ვირჩევდი! მარგანეცის სარეცხი ქარხნის მოდელს, რომელიც „ზერნისტი“ მარგანეცის მარცვლებიდან იქნებოდა გაკეთებული...

თავმჯდ. ეგ კარგია, ამხანაგო... სწორედ ეგრე ჩადიან სხვაგანაც. ჯილდოს ფორმა შეიძლება შეფარდებულ იქნეს წარმოების ხასიათთან. მაგალითად, მარელისის სკამების ქარხანაში გარდამავალ ჯილდოთ დაწესებული იყო სპეციალურად ამ მიზნით გაკეთებული სკამი.

კამსარაკ. დიახ, მეც იმიტომ ვთქვი: სტამბაში, მაგალითად, აკინძული დიდი ფორმატის წიგნი ყოფილა წარწერით, ფეხსაცმელები, კიდევ დიდი ჩექმა და სხვა.

ლომია რა ჰქენი, ზარასპი, როგორ არის საქმე?

ზარასპი — კარგათ არი... კითხვა უნდა... საცა მე ჩავერევი ხომ იცი... აი ახლა მივდივარ მეცამეტე №-ში და იმედი მაქვს, რომ ჩავაგონებ...

ლომია — კაცო, შენ ჩააგონებ, თუ თითონ უნდათ?

ზარასპი — (ჩ ა ფ ი ქ რ დ ე ბ ა) არა — მე რა შუაში ვარ! თვითონ უნდათ.

ლომია — ჰო, აგრე... იცოდე, შეგნებით და ნებაყოფლობით უნდა მოდიოდენ. — ძალა არ დაატანო... შენ ახლა პარტიაში განცხადება შეგიტანია კანდიდატობაზე და ხომ იცი... მორიდებულად უნდა იქცეოდე...

ზარასპი — შენ მასწავლი?.. ვიცი, ისე რბილათ... კულტურულათ. (დ ე ზ ი) ოჰ, დეზი. — ასე მალე მომიტანე?

დეზი — ბეჩა, აგერ არ ვდგავარ?

ზარასპი — გენაცვალე სულის კუნჭულში!

მე-2 წერაქვ. (მ ა კ რ ი ნ ე ს) წარწერები როგორი უნდა იყოს?

ბუხმალტ. — წარწერები, მე მგონი, ორნაირია: მუდმივი და გარდამავალი.

თავმჯდ. — დიახ, დიახ... მუდმივი ხასიათის წარწერები შეიძლება ერთი იყოს: „პირველობისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში“ ან „ხუთწლიან გეგმის შესრულებისათვის ბრძოლაში გამარჯვებულს“ და სხვა.

ბუხმალტ. — დროებით წარწერებზე ხომ ნაჩვენები იქნება — ვის ხელშია ჯილდო და რომელ პერიოდის განმავლობაში მიიღო მან იგი?

ზარასპი — ეგ მე მკითხეთ... დროებითი წარწერა ისე იქნება გაკეთებული, რომ შესაძლებელი იყოს მისი მოხსნა და შემდეგში სხვა გამარჯვებულის სახელწოდების წარწერა...

კამსარაკ. — სწორია. მაშ როგორ გგონიათ, ამხანაგებო, კარგი იქნება ქარხნის მოდელი?

მაკრინე — უსათუოდ კარგია, მაგრამ მე მგონია, რომ ჯილდო შეიძლება სრულიად უბრალო ნივთი იქნეს მიღებული, რადგანაც მნიშვნელობა ჯილდოს ღირებულებას კი არა აქვს, არამედ იმას, რომ ესა თუ ის ნივთი გამოცხადებულია გამარჯვების ემბლემად... ა. შენ რას იტყვი, ლომია?

ლომია — რასაკვირველია, ნივთს არა აქვს მნიშვნელობა, არამედ იმის დანიშნულებას.

ზარასპი — რასაკვირველია, ნივთს რა მნიშვნელობა აქვს!.. (დ ე ზ ი ს) აი, მე საათი რომ მქონდა ხელზე გაკეთებული, გუშინ დავკარგე სადღაც...

ლეზი — ეი, ღმერთო მომკალი!..

ზარახპი — არაფერია, მგონია მოვძებნო და თუ არა იმისთანას ვიშოვნი.

ლომია — ჩვენთვის, ჩემის ფიქრით, ძალიან კარგი იქნება, აი, აგერ. რომ არის მიყუდებული...

ყველანი — რა, არი?

ლომია — აი ის... მიგდებული ცოცხი.

ხრიალი — — ეო, აა.
— მშვენიერია.
— დიდებულია.

ზარახპი — გენიოსური აზრია.

ლეზი — ბეჩა, რაა?.. გაცვეთილი ცოცხი!..

მუშები — ცოცხი, ცოცხი... დიდებულია.

მინაბდ. — (გადახედავს იქით-აქეთ, უნდა ვისმე გადაელაპარაკოს, მაგრამ ახლო-მახლო თანამგრძნობს რომ ვერავის დაინახავს, წამოდგება და თავისთვის) ფუჰ, რავა გაამასხრეს ყველაფერი ამ ოხრებმა (გადის).

კამსარაკ. — ყოფილ მრეწველს არ მეეწონა ჩვენი ცოცხი...

მე-2 წერაქვ. — ჭკუით იყოს, თორემ მაგ ცოცხით გავცოცხავთ პირველ მაგას...

თავმჯდ. — აბა, ამხანაგებო, ეხლა კი შევუდგეთ პროექტის კითხვას ეს რა არის?

ლომია — (ღრიჭება) ეს მე ვამღერებ ვარიას... მინდა ჩვენ ბრიგადებს თავისი სასიმღერო ლექსებიც ჰქონდეს... თავისი ჰიმნი, თავისი მარში... რა ვიცი რა... ამასაც აღფრთოვანება შემოაქვს...

ზარახპი — ყოჩაღ, ლომია, ყოჩაღ... მაგრამ ეს ლექსი საიდან გამოჩხრიკე.

ლომია — კაცო, გაზეთში არ იყო დაბეჭდილი!?

კამსარაკ. — ვიცი, ვიცი ზეპირად.

ლომია — ჰო და თუ იცი სიმღერაშიაც დაეხმარე (ნელ-ნელა ყველა ეხმარება ვარიას „ბრიგადირის“ სიმღერაში. ლომია რეგენტობს).

ფარდა

მეექვსე მოქმედება

I ზარასპის მაღაროს კანტორა

ზარასპი — სოცშეჯიბრი უთუოდ უნდა მიიღოთ, ვერაფრით ვერ შეგაგონეთ.

მუშა — შენ, ეი, ამხანაგო ნუ იგინები!..

ზარასპი — ვინ ბედავს ხმის ამოღებას? მე საქმეს გეუბნებით, საქმეს... ბრძანებაა ასეთი: სოცშეჯიბრი უნდა მოეწყოს და დაამტკიცეთ ეს პროექტი.

მუშები — ბრძანებაა?—ბრძანება კი არა საქმე გვითხარით, საქმე... პროექტი გაგვაცანით.—რის ბრძანებაო, რას ამბობ?

ზარასპი — ხმა მეთქი, კრინტი—მაშ თქვენ წინააღმდეგი ხართ? მე გიჩვენებთ თქვენ წინააღმდეგობას...

ადგ. მუშა — წინააღმდეგი კი არ ვართ... საქმეს დაუბრუნდი, საქმეს...

ზარასპი — შენ, ამხანაგო, მანდ ხმა დაიმოკლე... აქ ჩემ წინააღმდეგ დემაგოგიას ნუ ეწევი... აი მე პროექტის მაგარ ადგილებს წაგიკითხავთ და... დაამტკიცეთ.

ხმები — ჰო, კარგი ახლა... ჩუმად... მოვისმინოთ!...

ზარასპი — (კითხულობს) „გადაჭარბებით შესრულებულ იქნას საწარმოო გეგმა“... შემცირებულ იქნას თვითღირებულება“... „მაქსიმალურად ამაღლებულ იქნას შრომის ნაყოფიერება“... „ყოველმხრივ განმტკიცებულ იქნეს შრომის დისციპლინა“. ხომ კარგია...

ხმები — კარგია, კარგი...

ზარასპი — აბა როგორ გეგონათ, მე ცუდ რასმე გირჩევთ?

ხმა — ნუ ყოყოჩობ და სხვას არა უშავს რა...

ზარასპი — კიდევ! ხმა-მეთქი, თორემ... ხომ იცი რა ზომები შემიძლია მივიღო?

ადგ. მუშა — მე ის მინდა ვთქვა: პროექტში ჩამოწერილი მუხლები უფრო ზოგადია და დაწვრილებით და გასაგებათ არ არის აღ-

ნიშნული, მაგალითად, რას ნიშნავს „მაქსიმალურად ამაღლებული იქნას შრომის ნაყოფიერება“... რამდენი? როგორ? რამდენს ვმუშაობთ ეხლა? რამდენით უნდა მომატებულ იქნას და სხვა. არ არის გასაგები!

ზარასპი — მაშ შენ ამ პროექტის წინააღმდეგი ხარ?.. ვინ არის კიდევ სხვა წინააღმდეგი? არავინ. მაშასადამე, ერთი ხმის წინააღმდეგ პროექტი მიღებულია.

ადგ. მუშა — აგრე არ შეიძლება, ამხანაგო.... ეს ძალადობაა — მე პროექტის წინააღმდეგი კი არა ვარ...

ზარასპი — გათავდა. ბასტა. პროექტი მიღებულია...

ადგ. მუშა — ამას კეთება კი არ ქვია, საქმის მიფუჩეჩება ქვია.

ზარასპი — ამხანაგო, ხომ არ გინდა ახლა თავი დამაჭერინო (ხრიალით წამოიშლებინ).

ხმები — (მუშას) კარგია ახლა... ყველა ღებულობს სოცშეჯიბრს და ჩვენც უნდა მივიღოთ.

ადგ. მუშა — (ცალკე ჯგუფს გაცხარებული) კაცო, გამიგეთ; მე სოცშეჯიბრის წინააღმდეგი კი არა ვარ, პროექტი უნდა იყოს ჩვენთვის, მუშებისთვის გასაგებათ შედგენილი... ბოლოს და ბოლოს ეს მუშების საქმე არ არის?

ზარასპი — (სხვა ჯგუფში) მიქელა, აბა თუ გიყვარდე... აბა ერთი ახლა შენებურათ... გაიქე სახლში და ერთი ორი დედალი დააკვლევინე... ფულს მე მოგცემ...

მიქელა — უმ... ფული რათ მინდა? თუ მიკადრებთ!

ზარასპი — მომშივდა ძალზე... დღეს ჩემ პირში ნაწილი არ ჩასულა... ასე დავდიავარ და ვღიჯინობ ყველგან. მიქელა, თუ ძმა ხარ, ღვინოც არ დაგავიწყდეს.

მიქელა — (მიმავალი) არხეინად ბრძანდებოდეთ, ზარასპი!..

მე-2 გლეხი — (ზარასპის) ქე მოგშივდებოდა, აბა რა იქნებოდა... რაც შენ დარბიხარ და ამ ჩვენ საქმეებს აკეთებ...

ზარასპი — ვაკეთებ, ძმაო, ვაკეთებ, მაგრამ ამ ვირებს მაინც ვერ აუვედი. — ე... ხომ ხედავ...

ადგ. მუშა — ყვირილის და გინების უფლება არა აქვს... ეგ თუ პარტიაში ეხლა ეწერება, რა უყოთ მერე? უწესრიგობა არავის არ უნდა მოუთმინოთ.

ხმები — — დაგიჭერს, ბიჭო!
— უნდა მეერიდო!

ადგ. მუშა — დამიჭერს რა, ქვეყანა ჩალით კი არ არის დახურული?! მე ვამტკიცებ, რომ ასე იძულებული თავზე მოხვევა გაუ-

გებარ საქმის არ ვარგა... უნდა კარგათ შეეიგნოთ, შეეითვისოთ შინაარსი ამ სოცშეჯიბრებისა, თვით ჩვენ მუშები ჩავებათ მის შესწავლაში, თათბირში, განხილვაში და მაშინ ჩავებმებით მართლა აქტიურ მუშაობაში, თორემ ესე ზერელეთ, — ესე მოჩქარებით...

მე-2 გლეხი იყვიროს, ზარასპი, რამდენიც უნდა... შენ ქე რას დაგაკლებს... პარტიის გამოგზავნილი ხარ, ინჟინერი კაცი ხარ, შენ უკეთ არ იცი...

ზარასპი არა, მე კი რას დამაკლებს, მაგრამ... ძალზე ფიცხი კაცი ვარ და ვერ მომითმენია. — ჯანდაბას მაგის თავი. — წამო, შევუდგეთ ჩვენც ნელ-ნელა მიქელასაკენ...

მე-2 გლეხი ა, მე არა, ბატონო...

ზარასპი წამო, წამო, ჩემი სტუმარი ხარ (მიათრევს).

II მაღარო

1-ლი წერაქვ. (მარგანეცის ფიქალს წერაქვით ამტვრევს და ყრის. ეგრეევე აკეთებს მეორე. ორთავენი მთელი მათი სცენის დროს მუშაობაში ატარებენ დიალოგს. მარგანეცის გროვას კი მერონოდეები რონოდებს ავსებენ ნიჩბებით და მიაგორებენ რელსებზე) ძაან არ გამოვიგონეთ, ბიჭო, ეს სოცშეჯიბრი?

მე-3 წერაქვ. შენ თქვი როგორ გაიწია ჩვენ მაღაროს მნიშვნელობამ?

1-ლი წერაქვ. რა გინდა, ძმაო... ამ თვეში ხომ წავართვით შუქრუთს ჯილდო.

მე-3 წერაქვ. ეგ არ არი? ძალიან ძნელი კი იყო... ლომივით ბიჭებია...

1-ლი წერაქვ. ლომზე არაა საქმე, ამხანაგო... მათში შეგნებულები მეტია, კარგათაც მუშაობენ და მარტო შრომის ნაყოფიერებაზე კი არ ზრუნავენ, არამედ წარმოებების ორგანიზაციულ ტეხნიკურ ნაკლოვანებათა და ყოველ უარყოფით მოვლენათა გადალახვისკენ...

მე-3 წერაქვ. მართალი გითხრა, მე ძალიან მეშინოდა. — ჩვენ დარგში არ არიან, მარა რა? კაცს რომ საქმეში ამირანა და ნარიმანა გეყოლება...

1-ლი წერაქვ. მგონია იმათაც ამეიდგეს ფეხი.

მე-3 წერაქვ. ისემც იმათ რა უთხრა....

1-ლი წერაქვ. დღეს არი მგონია ვადა თუ ხვალ?

მე-3 წერაქვ. რისი? შედეგების გამოცხადების?

1-ლი წერაქვ. ჰო...

მე-3 წერაქვ. დღეს უნდა იყოს, — დღეს მოვა იქედან, შუქრუთიდან დამკვრელებიც და დელეგაციაც და თუ ჩვენი ნუსხა ვერ იქნა კარგა აწეული, ისევ უკან წეიღებენ იმ ცოცხს...

1-ლი წერაქვ. ძალიან მეწყინება. მაგრამ არაფერია, სამერმისოთ ვაიძულებთ შუქრუთლებს, რომ შემდეგ თვეში საკუთარი ხელით მოგვიტანონ აქ გამარჯვების ცოცხი...

მე-3 წერაქვ. არ იცი ახლა ჩვენთან რა უქნიათ?

1-ლი წერაქვ. რა?

მე-3 წერაქვ. შავი და წითელი დაფა კი აღარ იქნება მუშაობის და შეჯიბრის აღმნუსხველი...

1-ლი წერაქვ. აბა?

მე-3 წერაქვ. ლომიას გამოუგონია, უცნაური, რაღაც მე ვნახე: დიდი ქაღალდი იქნება კედელზე გაკრული, ზედ ეწერება: „ვინ მიფრინავს, ვინ მიექანება და ვინ მიღოღავს სოციალიზმისაკენ“.

1-ლი წერაქვ. კარგია. მერე, მერე?

მე-3 წერაქვ. მერე და პირველ ადგილზე დახატულია მშვენიერი ჰაეროპლანი, მეორეზე მატარებელი, მესამეზე—ავტო, მეოთხეზე ტრამვაის რონოდა, მეხუთეზე გემი, მეექვსეზე — კუ, მეშვიდეზე კიბო და მერვეზე—ლოკოკინა.

1-ლი წერაქვ. უჰ, ლოკოკინა? მშვენიერია... მივხვდი, მივხვდი... ვინც ყველაზე ჩამორჩენილია ის ლოკოკინაა, ვინც ყველაზე წინ და... ის ჰაეროპლანზე ზის, მიფრინავს. დანარჩენები კი ეს მხოლოდ ხარისხებია ამ ორ შუა. მშვენიერია, ზედ გამოპრილია...

III ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐᲨᲘ

სპირიდონა (ქაღალდს ათვალიერებს) ოო, ახლა სჯობია, რა თქმა უნდა...

ლომია. ხომ ასე სჯობია... მეტი კონკრეტობაა ეხლა შეტანილი ხელშეკრულებაში... მაგრამ ძლივს გავიცნე!..

სპირიდ. რატომ, შე-კაცო! ზარასპის მაღაროში... მე ზარასპის მაღაროს ვეძახი... კაი შეგნებულნი უნდა იყვნენ...

ლომია არიან და არც არიან... პირველათ ჩვენ ყველანი გამოუცდელები ვიყავით მართალია, მაგრამ ზარასპის მეტისმეტი გადაუჭარბებია. სულ ასეთი ფრაზებით გადაუჭრელებია სამეურნეო-პოლიტიკური ხელშეკრულება: „გადაჭარბებით შესრულებულ იქნას საწარმოო გეგმა“. „შემცირებულ იქნას თვითღირებულება“... ჰა, აგერ კიდევ: „გაჯანსაღებულ იქნეს წარმოება“, „ამაღლებულ იქნეს მუშების კულტურული დონე“... ყველა ამის ჩაწერა ხელშეკრულებაში ნიშნავს ხელშეკრულების უქონლობას...

ხპირიდ. მართალია, მართალი! გამოვტყდები, პირველად მეც ძალიან მომწონდა ეს საერთო ლოზუნგები...

ლომია მერწმუნე, ეგ მხოლოდ შეჯიბრების საპარადო ხმაურობათ გადაქცევაა და სხვა არაფერი...

ხპირიდ. ეხლა მიმხვდარი ვარ, რომ ასე სჯობია. მაგრამ საწარმოო გეგმის შესახებ... წინად იყო ნათქვამი, რომ საწარმოო გეგმა შესრულებული იქნეს 105 პროცენტით.

ლომია ჰო და ყველა მუშამ კი არ ცის თუ რის გაკეთებაა დასახული საწარმოო-საფინანსო გეგმით... ეხლა კი ნათელია... ამდენი და ამდენი ათი ათასი ფუთი ამა და ამ მაღაროდან... მორჩა და გათავდა... ყველასათვის გასაგებია.

ხპირიდ. (ხელშეკრულებას ათვალიერებს) ჰო, ეგრე თვითღირებულებაზეაც... ეს უფრო ნათელია: პროდუქციის თვითღირებულება 20 კ. დაყვანილ იქნეს 18 კ.-მდე, ე. ი. შემცირდეს 10 პროცენტით, ესეც ყველასათვის გასაგებია.

ლომია ხომ ასეა, მაგრამ მაინც მეტად გამიჭირეს საქმე... განსაკუთრებით ერთი ყოფილი შავი ქვის მრეწველი ყოფილა, ადგილობრივი გლეხი, ვინმე მიქელა... წარმოიდგინე ზარასპის დიდი მეგობარი... კინაღამ სულ არ ჩამიფლავა საქმე...

ხპირიდ. რა ვქნა არ მომწონს ეგ კაცი...

ლომია ვინ? ის გლეხი?

ხპირიდ. გლეხი კი არა, ჩვენი შტეიგერი ზარასპი... სხვა რომ არ იყოს რა, მეტის მეტი ჩქარი კაცია...

ლომია ჩქარია, მაგრამ მარჯვეა...

ხპირიდ. მარჯვე, რა? საქმე კინაღამ წაუხდენია... (ზარი).

ლომია შენაცვლებაა ეხლა, არა?

ხპირიდ. დიახ და სწორედ ახლა ისინი უნდა შეენაცვლონ სხვებს, რომლებთაც არ იქნა და არ იქნა, ჯერ ჯილდო ვერ მიიღეს.

ლომია ისე ხომ გადადის და გადმოდის ჩვენი ცოცხი შინაგან შეჯიბრებაშიაც...

ხპირიდ. უუ, შენს აქ არ ყოფნაში, რა ამბავია რომ იცოდე... მაგრამ ამათ კი უნდა ჩამოუტანო ჩვენი ცოცხი. რათაო? ასე გადავწყვიტეთ: როდესაც ის ცვლა მოდის, რომელმაც ჯილდო მიიღო, ჯილდო გამოჩენილია და როდესაც ჩამორჩენილი, მაშინ ჩამოვაფარებთ ხოლმე.

ლომია აჰა, ღირსი არ არიან დანახვისაც კი, ა?

ხპირიდ. რას, ამბობ, საცა ჩვენი ხარიმანები იქნება... ნარიმანა და ამირანა, იმათ რა უშველის...

ლომია როგორ? კიდევ ასე გამოუსწორებელი არიან?

ხპირიდ. არ ვიცი. აი დღეს გამოვკიდებ შენგან გამოგონილ ჰაეროპლანის და ლოკოკინას ნუსხას და... ვნახოთ. აქამდი კი ცუდათ იყო საქმე... ცოტა, ცოტა... ამირანას არაუშავს-რა... (ჩამოაფარა, შემოვიდენ შემნაცვლებელნი. შეასრულეს მიღებული წესრიგი— ხელის მოწერაა, რაც არის — და წავიდნენ სამუშაოდ. მხოლოდ ნარიმანა ჩამორჩა. მისჩერებია ჩამოფარებულ ადგილას). რა იყო, ნარიმანა, რას მისჩერებიხარ?

ნარიმ. ახლა ისე უნდა მოვკვდე, რომ ეს ჩვენი გამაბედნიერებელი ცოცხი ველარ ვნახო?

ხპირიდ. თუ ასე იმუშავა თქვენმა ცვლამ, დიდხანს მოგიხდება ლოდინი...

ნარიმ. იმე! ალმასივით ბიჭები იმ პირველ რიგშია და ჩვენსაში. რაც ზარმაცი იყო ის შემოგვირეკეთ... მართლა ცოცხია იქ?

ხპირიდ. მიხეილ შენს სამუშაოს, ნუ აგვიანებ, თორემ კიდევ გაგისწრებს ამირანა...

ნარიმ. თუ მევინდომე ის გამისწრებს კი არა... ე, ბიჭო, მაჩვენე, იწამე ღმერთი...

ლომია კარგი, მიეცი ნება.

ნარიმ. (მივიდა; მოწიწებით გადახედა) იმე! მართლა ცოცხი არ ყოფილა?.. ქე კი არ მჯეროდა, თუ სინდისი მაქ. რაა ახლა ეგ? უმ... ცოცხია, ცოცხი. — წევე კაი

მაინც იყოს... გაცვეთილი ცოცხი.—ეს არი ჯილდო? რავა ახლა ჩვენ სვანები ვართ თუ რავაა საქმე?

ლომია (ღიმილით) სვანები რატომ?

ნარიმ. აბა არ იცი?.. სვანებს, ბატონო... უკაცრავად ამხანაგო!.. ერთი ჩვეულება აქვთ: „აღბა ლაღრალი“-ა ერთი მათი დღესასწაული ყველიერში და მართავენ ჩვენებურ ბერიკობისთანა თამაშს. ეს უშველებელი ამბავია, მარა ყველაზე უცნაური ისაა, რომ ერთ მოთამაშეს, რომელსაც „საქმისაის“ ეძახიან წელ-ქვეეით ჰკიდია უშველებელი ხის კონკილა... კი შენ ნუ მომიკვტები! ჰო და ეს მოთამაშეები რომ ჩამოიელიან მეალილოებსავით, ოჯახებს, იმათ საჩუქრებათ აძლევენ გაცვეთილ ცოცხებს—„ლანგვარ“... მერე ესაა ეხლა კაი? მე მეგონა წინ მივდივართ, ვნათლდებით-მეთქი და თქვენ ახლა სვანეთისაკენ გვაბრუნებთ?

სპირიდ. ჰო, კარგი ახლა.—წადი სამუშაოს ნუ მოსცდი.

ნარიმ. (მიმავალი ცბიერათ) უკაცრავად, ადმინისტრაციას ნება არა აქვს მაიძულოს სოცშეჯიბრში მონაწილეობის მიღება, ეს უნდა ხდებოდეს... ნებაყოფლობით (გადის).

სპირიდ. უჰ, შე მართლა—ნარიმანა ფოცხაძე.

IV მაღაროში

მე-4 წერაქვ. (სეფეს) კარგია ახლა, ნუ გამგუდე ამ ყალიონის კვამლით... ან და მაღაროში გაგიგონია ყალიონის მოწევა?

სეფე თუ არ გაგიგონია, ახლა ხომ ხედავ.

მე-4 წერაქვ. შამოვა ზარასპი და გიჩვენებს შენ სეირს...

სეფე ყურებზე ხახვი არ დამაჭრას, ძველი დრო ხომ არა გონია... მიყვირებს, მეც ისეთს უყვირებ თავი გოუბრუვდეს, არა და ადგილკომში უჩივლებ უხეში მოპყობისათვის.

მე-4 წერაქვ. შენ მგონი იმასთან ცოტა ანგარიშები გაქვს.—ნარიმანას რძალი წაგართვა მგონია.

სეფე დამაცადოს იმას უჩვენებ წართმევას...

ამირ. (მოაგორა რონოდა და დაიწყო მისი ავსება) იფ! ძაან მუშა არაა ე-ბიჭი, უპლაკუნებს ყალიონს... შენ ააშენებ პროლეტარების სახელმწიფოს?

სეფე შენ მაგას არავინ გეკითხება!

ამირ. რა ბიჭია, რა ბიჭი! „ბიჭო, ვისი ხარ მალხაზი დაურჩი დედაშენსაო!.. საქმე რომ არა გქონდეს-რა ჩამოირბენდე

ჩვენსაო...“ და მართლაც აგრე არ არის? როდის გაქვს ეგ საქმე რომ ვერ გევიგე! საქმე რომ გქონდეს კიდეც, ყოველთვის უსაქმურად ხარ და ჩამორბენით... იცოცხლე, შენ ჩამეირბენ ხოლმე მეზობლებს... სულ დედაკაცებში არ დაწანწალებ? შე-უბედურო!?

ხეფე მე შენი დედაკაცებისათვის არაფერი წამიხდენია...

ამირ. წოუხდენდი და ნახავდი რა დღეც დეგეყრებოდა... მე ის მენაღვლება — ნარიმანას რძალს, იბრუხტის რომ უძუძ-გურებ!..

ხეფე შენ რა? ჩემი აპეკუნი ხარ თუ, რავა არი?

ამირ. აპეკუნი რატომ ვიქნები, მარა სინდისიც კაი საქონელია... ე, ბიპო, იწამე ღმერთი! მოკიდე მაგ წერაქვს ხელი... ახლა რაო? საზოგადო რომაა ეს მაღარო, იმიტომ აღარ გენაღვლება თუ?.. ბიპო, მეც ქე გევიგე დღევანდელი ცხოვრების, ამადამჟამის კაცმა და შენ რა უბედურება დაგემართა?

ხეფე გეიგე თუ არა მე ვიცი...

ამირ. ა, ასეა, ბიძია... შენხელა ვიყო, ახლა კომკავშირში ვიქ-ნები, მარა თავის დროზე ბიძაშენმა წაგახდინა, დაგაჩვია დუქან-დუქან ყიალს და მერე გაზარმაცდი და გაფუქდი, თვარა ახლა—მართლა კომკავშირში არ უნდა იყო?

ხეფე შენ მართლა ნუ წეიგძელე ენა...

ამირ. თუმცა შენთვის რა?.. კავშირში ყოფნას რა ჭკუა აქ? თვითონ უნდა იყო დარწმუნებული, მარა რა ჩემი საქმეა, მე ჭკუას რას გარიგებ!.. მხოლოდ ის კი მგონია, რომ თუ ერთგულათ შეექცევი საქმეს, მაშინ ეს საზოგადო ქონებაც ისე უნდა შეიყვარო, როგორც საკუთარი და მართლა ნახავ საქმე რავა დიდებულათ წევიდეს... რაა, კაცო, ეს?.. ე, ბიპო, ამივსეთ ეს ვაგონეტკა, იწამეთ ღმერთი. — მე მაინც რატომ მაცდენ, ბიძია... მოკვდა ეგ ბოვშვი მუშაობით, მარა ვერ ოუდის...

ხეფე არაფერია, აგიმსებთ... (ზლაზვნით მოკიდა წე-რაქვს ხელი) მარა შენ ეს მითხარი, ახლა მესაკუთ-რეობის წინააღმდეგი გახდი?... უყურე, შენ არ მომიკვდე, შენი საკუთარი რო იყოს მაღარო დამიწუნებდი...

მე-4 წერაქვ. მართლა, რას იზამდი, ამირანა, შენი რომ იყოს ეს მა-ღარო?

ამირ. ა, აგერ ნარიმანას კითხეთ...

ნარიმ. რა გინდათ, შვილებო, რა იყო?

ხეფე (ერთი-ორი ჩამოკრა მადანს და შეჩერდა) რა იყო და წარმეიდგინე, რომ მესაკუთრე ხარ ამ მაღაროსი და როგორ აწარმოებდი საქმეს? — ახლანდელის წესით, თავის შვიდი საათით, შეჯიბრით თუ ძველებურათ?..

ნარიმ. აპა იცი რა გითხრა, ბიძია? ამ მაღაროს მესაკუთრე რომ მე ვარ ამის წარმოდგენა არ შემიძლია. არ შემიძლია საანამდი ქუფჩას არ ჩამაბარებ...

ამირ. (ცბიერათ) ჰო, საქმე ქუფჩაა, ქუფჩა... (გააგორა რონოდა და გავიდა).

ნარიმ. მარა არც ეს მეყოფა.—ამაზე პარტიის ნება უნდა მქონდეს... წესი კი იცოცხლე მე შემევიღო... რომელი შეჯიბრიო, რას ამბობ... შეჯიბრი კი არა, ტყავს გავაძრობ მუშებს, იმდენს ვამუშავებ. — ასე დაგაყენებ გგონია! — მარა ახლა არც შენია და არც ჩემი ეს მაღარო და რა გენაღვლება.

ხეფე აი ვაცხონე მამაშენი. — მტაცებლური წესი გინდა ისევ შამეიღო?

ნარიმ. მტაცებელი თვარა!.. აქ რომ ბარონ მერცენფელდი იყო ვერ გვამუშავებდა საწყალი... და თითონაც ვერ ჩეიჩხრიალა მილიონები ჯიბეში... სულ სიქას გვართმევდა!

მე-4 წერაქვ. (მუშაობს) ეგ ვინ ბარონი ყოფილა, ნარიმანა?..

ნარიმ. ბარონი იყო ბარონი. მერცენფელდი იყო გვარათ... მე ბიძია ჭიპი არ მომიჭრია ამ შავ-ქვაში, თვარა 13—14 წლის ვიყავი, რომ მუშაობა დევიწყე... მე იტალიურიც ქე ვიცი.

მე-4 წერაქვ. იტალიური საიდან?

ნარიმ. ბონა, სერა, სინიორე კომან უხტა-უსტე?

მე-4 წერაქვ. რაცხა არ უნდა გავდეს იტალიურს, გვატყუებ მგონია.

ნარიმ. არა, ეს ისპანიურია.

მე-4 წერაქვ. ბიჭო, ბიჭო!

ნარიმ. მარა ღმერთი არ გამიწყრეს — იტალიურიც ვიცი.

ხეფე საიდან? ჰოო, მართლა! ერთ დროს აქ იტალიელებსაც უმუშავნიათ თურმე რამდენიმე წელიწადი. — კი ბაბუა-ჩემმა ბეჟანამ რამდენჯერ მიამბო.

ნარიმ. ჰო და. — ჯერ-იმ მერცენფელდთან ვიყავი... უუ, მაშინ სად იყო ჭიათურა?.. შავი ქვა რომ პირველად გამოჩნდა და ცხონებულმა კნიაზმა გიორგიმ... უი, გაანათლოს იმისი სული იმ ქვეყნათ.

მე-4 წერაქვ. ჰო, აქ ახლა პანაშვიდს კი ნუ გაგვიმართავ!

ნარიმ. არ გეხუმრები. — კნიაზ გიორგიმ ჩამეიყვანა ეგ ბარონი. უჰ, რა კაცი იყო ცხონებული...

სეფე ვინ? ბარონი თუ კნიაზი?

ნარიმ. კნიაზი, კაცო! ბარონს რას დევეძებ... თუმცა შესახედავი კაცი ისიც ძალიან იყო... ბარონიც... სქელი ულვაშები ქონდა და ისეთი გრძელი, რომ ზღაპრულ ყარამანივით ყურებზე იგრეხავდა.

სეფე ჰო, მერე, მერე?

ნარიმ. მერე და... ის კნიაზ გიორგი რა მუსუსი იყო ქალების! ისე ზაფხული არ გევიდოდა, რომ ახალი რუსის ქალი არ მეეყვანა.

სეფე უსათუოდ რუსის ქალი?

ნარიმ. ჰო, აბა. — ასეთი ქონდა ჩვეულება... მერე რა ქალი! მაღლები, მაღლები, ბარძაყიანები... ეშხიანები... თითო ზაფხულს თითო. მეტს არ მოაცდევინებდა...

სეფე ფაშა ყოფილა...

ნარიმ. დიდი კაცი იყო, კნიაზი იყო... გოუდიოდა, ქვრივიც იყო და ვისთან რა პასუხს აგებდა.

სეფე მერე, მერე?

მე-4 წერაქვ. ბიპო, შენ ძალიან გაგიტკბა ეს კნიაზის ამბები.

სეფე მიყვარს ამისთანა ამბების გაგონება.

მე-4 წერაქვ. გიყვარს ტკბილი ცხოვრება, ა? საქმე, ბიპო, საქმე!

სეფე ჩემი საქმე მე ვიცი... მაგას ყურს ნუ უგდებ... მითხარი ნარიმანა.

ნარიმ. ჰო და პირველად ამ კნიაზმა მეიყვანა ის ბარონი შაეი ქვის დასამუშავებლად, მაშინ ჩვენი სოფლის გარდა არც შუქრუთი იყო ალმოჩენილი და არც პერევისა, ჭიათურის ხსენებაც არ იყო. — ერთი რაღაცა საცოდავი დუქანი იყო, ახლა რო დიდი წყაროებია გამოყვანილი იქ, შავქვას მაშინ ჩალვადრებით ვეზიდებოდით ზესტაფონს.

მე-4 წერაქვ. გერჩია ის დრო ა, ნარიმან?

ნარიმ. შენ ახლა სასაცილოთ ამიღებ, მარა რა? ცუდი დრო იყო? ვინც გამრჯე იყო ქე იშოვნიდა მის სამყოფს და ვინც მუქთახორა იყო ამასავით ის სულ მუდამ ჩამორჩენილი იყო.

სეფე შენ ენას კბილი დაადგი!

ნარიმ. რისი შეჯიბრიო, რას ამბობ? შეჯიბრება არ იყო ჩვენი გარჯილობა?! მეზობელი მეზობელს არ გვინდოდა ჩა-

მოვრჩენოდით, წინ გასწრება გვინდოდა და ეს იყო ჩვენი ჯიბრიც.

მე-4 წერაქვ. აა, ეგ რა გამაგონე! — კონკურენცია ქვია, ბიძია, ჩვენებურათ, შენ რომ ამბობ. ეგ ქე აგვიხსნა ჩვენ ჩვენმა ბელადმა. (ცოტაზე შეაჩერა მუშაობა) შენ კი არა, ნარიმანა, შენზე უფრო ნასწავლი ხალხიც სოციალისტურ შეჯიბრებას ხანდახან კონკურენციაში ურევს. ეს დიდი შეცდომაა. სოციალისტური შეჯიბრება და კონკურენცა ორი სულ სხვადასხვა სახის პრინციპს წარმოადგენს... პრინციპი ხომ იცი რაც არის... ჰო და კონკურენციის პრინციპია: ერთის დამარცხება და სიკვდილი, მეორეს — გამარჯვება და ბატონობა. სოციალისტური შეჯიბრების პრინციპია: მოწინავეთა მხრით ჩამორჩენილთათვის ამხანაგური დახმარება იმ მიზნით, რომ მიღწეულ იქნეს საერთო ზრდა და ამაღლება.

ნარიმ. შენ რავა გაზეპირებულივით მეუბნები?!

სეფე წიგნიდანა აქ ამოკითხული.

მე-4 წერაქვ. კონკურენცია ამბობს: მოსპე ჩამორჩენილები, რომ შენი ბატონობა განამტკიცოვო. სოციალისტური შეჯიბრება კი ამბობს: ზოგი ცუდათ მუშაობს, ზოგი კიდე კარგათ, მესამე ამათზე უკეთესათ. დაეწიე უკეთესებს და მიაღწიე მუშაობის საერთო ამაღლებასო. შენ კი ამბობ მეზობლებიო. — რა შუაშია! (ამირანა).

ამირ. (მოაგორებს რონოდას) ვაიმე, კიდევ ვერ მორჩი, ნარიმანა, დატვირთვას? — ასე თუ იარე, ჩემო ძმაო, მართლა ღირსი ყოფილხარ იმ ლოკოკინასი...

ნარიმ. რავა ლოკოკინა?

ამირ. აი, მიბრძანდი და ნახავ...

ნარიმ. რა უნდა ვნახო, რას ამბობ?

მე-4 წერაქვ. როგორ, გამოაცხადეს უკვე შედეგები?..

ამირ. იქ არაა მთელი მაღარო?

მე-4 წერაქვ. რას ამბობ? — წამოდი, ბიჭო, წავიდეთ...

სეფე რა მეჩქარება. ვერ მოვასწრებ... (ისევ გაბზოლა ყალიონი).

ნარიმ. წავიდე ერთი მეც ვნახო.

ამირ. წადი, წადი... თორემ, მე შენ გეტყვი, ჩემსავით ურემში იქნები გამოჭიმული... (ნარიმანა ერთს გაკვირვე-

ბით შეხედავს და საჩქაროთ გადის) ვენაცვალე ჩვენს აჩაჩა ურემს.

სეფე — რავა, მართლა ურემში ხარ დახატული?

ამირ. — არა, კაცო, იქ დახატული ბევრი. რამეა, მარა მე ურმის ქვეშა ვარ მოხსენებული, ვითომ ისეთი სისწრაფით ვმუშაობ, როგორც ურემი. არაფერი სახარბიელოა, მარა მე ეს მიხარია, რომ ჩემს მერე კუა, კიბოა, ლოკოკინაა და ლოკოკინას ქვეშ ნარამანას სახელი სწერია.

V კანტორა

(ნუსხას შემოსევიან მუშები. ხრიალი).

მუშები — მე სადა ვარ, მე!
— მე კი არა „ჩვენ“ კაცო!
— „მეც“ მეინტერესება და „ჩვენც“.
— როგორ, ინდივიდუალური შეჯიბრიც გაქვს?
— გვაქვს, გვაქვს, მაშ!
— აგერ, აგერ ჩვენი ჯგუფი.
— სად, სად?
— ჰაი, გიდი: მატარებლით მივდივართ, მატარებლით!
— ჩვენ კიდევ გემზე ვართ, ეს ოხერი.
— ბიჭო, ბიჭო სამსონა და ის მეორე. — კილურაძე სად ასულა?
— ვერ ვხედავ!
— აგერ, კაცო, ჰაეროპლანის ქვევით.
— რაოდენი პროცენტით აწეულა საერთოდ ჩვენი მუშაობა?
— აგერ, აგერ... ხედავთ იმ თვესთან შედარებით 20 პროცენტით, გესმის შენ ეს?
— რავა არ მესმის. თუ მაშინ მაგალითად 60 ფუთს ვაკეთებდი, ახლა 72-ს ვაკეთებ, აგერ არ წერია!
— აქ შეხედე, აქ... ჩვენი ვაგონჩიკები.
— ნარიმანა, ბიჭო!
— ნარიმანა ფოცხაძე?

ნარიმ. (ეხლა შემოვიდა) რა იყო ნარიმანა?

1-ლი წერაქვ. რა იყო და ხედავ აქ სად მოქცეულხარ?

ნარიმ. სად, სად? შავ დაფაზე ხომ არ ვარ?

მე-3 წერაქვ. ჰა, შავი დაფა გახსოვს? იწვნიე? — არა, არა, ახლა დაფები აღარ არის. — აგერ ხარ ლოკოკინას ქვეშ...

ნარიმ. სადაა ლოკოკინა? რაია ლოკოკინა?

1-ლი წერაქვ. სად არის და აგერ დაინახე შენი ბედნიერი თვალით.

ნარიმ. (კითხულობს) ნა-რი-მა-ნა ფოცხაძე.

მე-4 წერაქვ. ლოკოკინა ხომ იცი რასაც ნიშნავს?

1-ლი წერაქვ. როგორ არ იცის, შე კაცო: ძლივს მიღოღავს.

ნარიმ. რაა ახლა ეს? ვინ მომჯაყა ასე?

მე-3 წერაქვ. ვინ მოგჯაყა და შენმა თავმა.

ნარიმ. ჰა, მაი ტყუილია... ვინ დამიწერა ახლა ეს ერთი მაცოდინა, მეტი არაფერი მინდა.

1-ლი წერაქვ. ვინ დაგიწერდა, კაცო, როგორ ხამივით ლაპარაკობ. შენი ნამუშევარი აღნუსხეს და რაც გამოვიდა, ის მიგაკუთვნეს.

ნარიმ. ტყუილია, ჩემი ჟინი ჰირს. — მე უჩვენებ იმას სეირს. (სიმღერის ხმა).

ხმები — მოდიან, მოდიან!
— ვინ, ვინ?
— არ გესმის? შუქრუთის დელეგატები.
— ჯერ რომ დრო არ იყო.
— განგებისათ თავს გვესხმიან.

სპირიდ. აბა, ამხანაგებო, ეხლა ხომ ყველამ გაიგეთ თქვენი შრომის ნაყოფიერება. აი მოელენ დელეგატები და იმათთან ერთად გვექნება თათბირი. ერთი კი უნდა გაგახაროთ: საერთოდ არც მთლათ ისეთი უნუგეშო მდგომარეობაა. საერთო სურათი ასეთია: მაღაროს წარმოებითი ნაყოფიერება ერთიორად გაიზარდა, თვითღირებულებამ იკლო შესამჩნევათ, ასე რომ წინა თვეს გადავამეტეთ... შუქრუთლები ახირებულათ ვერც ახლა დაგვაკლებენ რასმე. შინაგან შეჯიბრში კი მხოლოდ ისევ მეორე ცვლა მიდის წინ და ისევ ჰაეროპლანის ქვეშ მოექცა. ასე რომ მხნეთ ვიყოთ და... შინაგან დეფექტებზე მერმე მოვილაპარაკოთ... უკვე მოვიდნენ. (შემოდიან სიმღერით შუქრუთლები, მათ შორის მაკრინე, ვარია, თავმჯდომარე და კამსარაკანი, მე-2 მუშა და ბუხჰალტერი).

მოსულთაგ. (სიმღერის დასრულების შემდეგ) ესეც თქვენი გამარჯვებისა იყოს.

დამხვედ. ოჰო... აჰა!...

მე-2 წერაქვ. არა, არა, ამხანაგო! რას ამბობ? ამათ ვეჯიბრებით და ამათ უნდა გაიმარჯვონ?

კამსარაკ. არა, ამათაც გაიმარჯვონ, მაგრამ ჩვენც ვაჯობოთ.

ბუხჰალტ. მჯობნის მჯობნი არ დაილევაო.

ნარიმ. ზღვა კიდევ — კოვზითაო.

კამსარაკ. ეგ რაზე თქვით, ამხანაგო?

1-ლი წერაქვ. ეგ მაგის უკბილო ოხუნჯობაა... ამხანაგო, მე მინდა იმაზე მოგელაპარაკოთ.—ახალი წესი რომ გამოვიგონიათ ნგრევებისათვის.

კამსარაკ. რასაკვირველია, ამხანაგო. — ჩვენი გამოცდილებანი, გამოგონებანი და საქმიანი წინადადებანი ერთიმეორეს უნდა გაუზიაროთ. — აი მე აქ მექნება პატარა მოხსენება.

ლომია (მაკრინე და თავმჯდომარეს) აი ეს ჩვენი ნუსხა, ეს პროცენტების დიაგრამა, ეს ჩვენი კულტურული მიღწევანი. — ეს კიდევ ჩვენი ნაკლი, დეფექტები.

თავმჯდ. კარგია, ძალიან მოგისწრიათ.

ლომია ყოველივე აქ დაწვრილებით არის აღნიშნული.

ხპირიდ. ჩვენ ამასაც დაკვრითი წესით ვაწარმოებთ.

მაკრინე ოო, ეს ვარიას საქმეა და მისი ბრიგადის. — სადა ხართ ვარია?

ვარია მე აქ ჩემი ძველი ნაცნობი შემხვდა...

ნარიმ. რავა ვერ იცანი, ბეჩა ამირანა.

ამირ. სად მახსოვს, ნარიმან ჩემო, ჩვენ ღვდელს რამდენი ქალიშვილი ყავდა.

ნარიმ. ქალიშვილები, იცოცხლე! ისეთები იყვნენ, რომ ნამდვილი სანაშენო დედლები...

ამირ. ის უფროსები ახლა მოკრუხებულები იქნებიან, რავა იტყვი შენ?

ნარიმ. ასე მგონია მეც, მარტო ეს ერთი ვარია უნდა იყოს ახლა დარჩენილი მის ქალიშვილებში და მგონია ვარიაც ქვია სახელათ.

ამირ. ბიჭო, ბიჭო... ახლა გამახსენდა... ყური მოვკარი საცხა ეს ის არი ჩვენ ლომიას რომ ეხრუკება?

ნარიმ. ჰო და ლომიაც რა შვილია ამ მსუქან ვარიას კბილი არ გაჰკრას..,

ამირ. არა, არც აგრეა საქმე — ლომიას მაგისთანები არ უყვარს, სულ სხვა კაცია. ჩვენს ზარასპის კი არ ჰგავს... მაგისთანეებისათვის არ ცალია...

ლომია რა გიქნიათ ეს, ვარია! ამას მოველოდი თქვენგან?

ვარია რა იყო, რა?

ლომია ბიჭო, როგორი ბრიგადა შეგიდგენია: ერთი საქმის მწარმოებელი ქალია, შენც კიდევ ანგარიშის მწარმოებელი, ერთი კიდევ შტეიგერი გყავთ, ჩვენი ზარასპი და სულ ასე...

ვარია როგორ, ასე არ შეიძლება?

ლომია შე დალოცვილო! კანცელიარია, ბუხჰალტერია, ინჟინერია სულ ერთმანეთში აგირევია... ზარასპის მაინც როგორ დაემართა ეს... ან აქ რატომ არ მოგყვათ? სად არის ზარასპი?

VI დეზისთან

ზარასპი (ცოტა ნაღვინებია) შენთვის რას არ ჩავიდენ, დეზი. გენაცვალე სულის კუნჭულში.

დეზი ფი! რა დეიჯინე ეს სულის კუნჭული? ვინ იცის რამდენ ქალისთვის გაგიმეორებია ეგ ალერსი?

ზარასპი არა, დეზი, არა... არ გამიმეორებია... მე ესეთი წესი მაქვს... არ დაგიმალავ — ქალებთან მქონია საქმე.

დეზი გქონია კი არა, გაქვს...

ზარასპი მათქმევინე...

დეზი არა, გაქვს, გაქვს... მე ვიცი... რომ აქ სოფელში გყავს ვილაცა იბრუნდი, მიბრუნდი...

ზარასპი შენისთანა მაინც არა მყავს...

დეზი ფიჰ, არ გრცხვენია! სოფლის ტურტლიან დედაკაცის შემდეგ ჩემთან მოდიხარ...

ზარასპი დედაკაცი ტყუილია, მაგრამ ყოველთვის სანამ შენთან მოვიდოდე, აბანოში გავიბანები ხოლმე... ვერ ხედავ რა საცვალი მაცვია... ქათქათებს? გენაცვალე სულის კუნჭულში..

დეზი ნუ მიმეორებ, ნუ... ჩემთვის სხვა რამე მაინც გამოიგონე...

ზარასპი ყური რომ არ დამიგდე? — ასეთი წესი მაქვს, რამდენი ქალია იმდენი სხვადასხვა ალერსი. — მე თვით ვცდილობ არ გავმეორდე. — გაზეპირებული კომპლიმენტები ჭირივით

მეჯავრება... მაგრამ შენ ეს მითხარი როგორ მყავხარ, გუნებაზე, გენაცვალე სულის კუნჭულში.—კონიაკს ხომ დალევ?

დეზი დაველევ. — შენთან რატომაც არ დაველევ.

ზარასპი მაშ აი კონიაკი. — შაქარი ხომ გაქ?

დეზი ჯერ შენი გამოგზავნილი არ გამომლევია იმიერი მურაბებიც დავუკეთე ამ ზამთარში ჩემს ბუხუტულას.—არავის არა აქ ჩემ ამხანაგებში.—მე კი შაქარი მაინც მაქ.

ზარასპი ძალიან კარგი, კიდევ გამოგიგზავნი, შენ არხეინად იყავი. — აი ლიმონიც. — აბა ვივ ლა ჟორჟიენ!..

დეზი არა, გაუმარჯოს მე და შენი სიყვარულის შეჯიბრს...

VII კანტორაში

მაკრინე აბა, ამხანაგებო, ჩვენ უკვე გავეცანით თქვენს დოკუმენტებს და ეხლა დროა რომ მეორე მაღაროშიც გადავიდეთ. მსჯელობა კი საერთო გაერთიანებულ კრებისათვის გადავდვათ.

ლომია ამხანაგებო, კრებას დახურულათ ვაცხადებ.

ნარიმ. უი, შენი ჭირიმე, მაკრინე, შენ ბრძანდები: კეთილი იყოს შენი მოსვლა შენს სოფ...

მაკრინე იქით, იქით! — (ლ ო მ ი ა ს) მე არ გითხარი მაგის ამბავი და კიდევ აქ გყავთ მუშაო??..

მუშები უჰ, ნარიმანა ფოცხაძე!

ამირ. მოხუცია, მაკრინე, თვარა რაც გეეწყობა ქე მუშაობს საწყალი!

მაკრინე შენ ვიღა ხარ? ამირანა?.. გიცნობ, არც შენ ხარ წმინდა წყლის...

მუშები უმ! ამირანა ცოცხაძე.

ამირ. (მ უ შ ე ბ ს) რაო ახლა?

მუშები ამირანა!

ნარიმ. რას მერჩის ეს ქალი...

მუშები (ლ ო კ ო კ ი ნ ა ზ ე უ თ ი თ ებ ენ) ნარიმანა!.. ცოცხაძე და ფოცხაძე ..

ლომია ამხანაგებო! ჩვენი კომისიაც მიჰყვება შუქრუთლებს მეორე მაღაროში (მ ი დ ი ან ხ ალ ი ს ი ან ი ს ი მ ღ ე რ ი თ).

ფ ა რ დ ა

მოქმედება მესამე

I ზარასპის მაღაროს კანტორაში

მაკრინე შედეგს ვერა ეხედავთ თქვენი შეჯიბრებისას. მუშაობთ, წელებზე ფეხს იდგამთ და არაფერი კი არ გამოდის, რადგანაც ეს არსად არავისაგან არ არის აღრიცხული, აღნუსხული და გამოაშკარავებული.

თავმჯ. მიუხედავათ ამისა, მაინც მოგვიტანა ნაყოფი, რადგან პროცენტებზე რომ ვიანგარიშოთ, წარმოებას დიდათ მოუმატნია და თვითღირებულება დაცემულა...

კამსარაკ. ეგ იმიტომ რომ სოცშეჯიბრის თვით იდეიაა ჯანსაღი. მაგრამ განა სოცშეჯიბრი მარტო წარმოების ამაღლებას და თვითღირებულების შემცირებას გულისხმობს?! შეჯიბრების ამოცანებია აგრეთვე წარმოების ნაკლულევანებათა აღმოფხვრა, წარმოების პროცესების ნაციონალიზაცია ძველ მეთოდების ნაცვლად ახალ, გაუმჯობესებულ მეთოდების შემოღება, განუწყვეტელ კვირის გატარებისათვის ზომების მიღება, სხვადასხვა კამპანიების დროზე და კარგათ ჩატარება, მუშების კულტურულ დონის აწევისათვის მუშაობა.

ხმები. მართალია, მართალია!

მაკრინე როგორ შეიძლება ვიმსჯელოთ შეჯიბრების ნაყოფიერებაზე, თუ ამ წარმოებაში მუშები არ ღებულობდენ მონაწილეობას წლიურ გეგმების პროექტის განხილვაში, სად ვხედავთ აქ მუშათა თაოსნობის და შემოქმედებით ნიჭის ყოველი მხრივ გაშლას?

ხმები — არაფერი ეგენი არ ყოფილა?

— არავის ჩვენთვის ეგ არ განუმარტავს...

მაკრინე სად არის თქვენი ხელმძღვანელი?

ხმები — ზარასპი?

— მართალა, ზარასპი უნდა მოსულიყო...

— სად არის?

— სად არის ზარასპი?

ზარასპი (მოიჩქარის, შეეჩეხება ნარიმანს) ჰო, ნარიმანა! — რა ამბავია, რა სიჩუმეა? — შენს მეტი აქ არავინ არი?

ნარიმ. სპირიდონაა აგერ, თვარა სხვა ყველა წევიდა.

ზარასპი სად წავიდენ?

ნარიმ. თქვენ მაღაროში, ბატონო!

ზარასპი უჰ, მართლა? აბა მე იმათ უნდა დავეწიო, შენ კი, ნარიმანა აქეთ მოიწიე... გეთაყვა, ჩემო ნარიმან... ერთი დამავალე და ეს ყუთი ჩაუტანე შუქრუთში საქმის მწარმოებელს დეზის...

ნარიმ. კარგი, ბატონო, შენ ხათრს რავა გაგიტეხავ...

ზარასპი არ შეგცდეს კი, აი!

ნარიმ. რავა შემცდება, ბატონო... შუქრუთის კანტორა არ ვიცი?..

ზარასპი ჰო და კანტორის გვერდით ცხოვრობს დეზიც... ძალიან უკაცრავად კი ვარ, ნარიმან მოხუცებული კაცი გაგსაჯე... მე თვითონ წავიღებდი, მაგრამ მე ხომ მაღაროში უნდა დავეწიო ჩვენებს და აბა აქ სად ვათრიო... ძალიან უკაცრავად ვარ, ძალიან...

ნარიმ. რას მიბრძანებ, ზარასპი!.. შენი გულისთვის იქ კი არა, ჯოჯოხეთში გადავარდები ისეთი კაცი ხარ... აბა იმათ კი არ გავხარ, სპირიდონას და ლომიას, უქმურები!.. კაცი იმათგან ხეირს ვერ ნახავს... და მეც ლოკოკინას ქვეშ მომაქციეს...

ზარასპი ლოკოკინასი? ჰოო... შენ იცი, აბა... როგორც ფრთხილად წაიღებ... საიდუმლო ყუთია, იცოდე... არავინ წაგართვას...

ნარიმ. იმე! ქვე რას მიბრძანებ, შენი პირიმე! მესმის, საიდუმლო ყუთი ყოფილა.

ზარასპი ჰო და საიდუმლოთვე ჩააბარე დეზის... შიგ საიდუმლო ქაღალდებია და პლანები.

ნარიმ. კი ბატონო, კი შენი პირიმე!

ზარასპი აბა შენ იცი... კიდევ ბოდიშს ვიხდი, მაგრამ...

ნარიმ. შენ არხეინად იყავი, ზარასპი... ᲘᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲗ! ნახვამდის, ნახვამდის!.. რავა ვქნა ახლა? შუქრუთის გზა ასე მიდის, ჩემკენ უფრო შორია... შორი გზა მოიარე, შინ მშვიდობით მიდიო... აბა, სულელი ვარ! რაცხა არ გავს ეს პლანების და საბუთების ყუთს... თუნდა იყოს მერე... თუ

მართლა აგრეა, ვეტყვი... იმ დღეს გზაში უგუნებოთ გავხდი და ვერ წევედი, შენი პლანები და საბუთები აგერ მაქ-მეთქი... თუ არა და თუ ისაა, რასაც მე ვფიქრობ, არ ჯობია ჩემ სახლში წევიღო?! რას მიზამს, გამხელით ვერ გაამხელს... საიდუმლო ყუთიაო, თვითონ გეიძახის... ვერ ყოფილა გამჭრიახი, ვერა!.. დიაღ, როგორ არა, სახლში მიართვით კნიაზს... მეყოფა კნიაზების სამსახური!.. ეჰ, წავალ ბაბა, ისევე ჩემ შორ გზას დავადგები...

III ზარასპის მაღაროს კანტორა

მაკრინე აქ თქვენ, მაგალითად, ხელშეკრულებაში ნათქვამი გაქვთ, რომ „უნდა მოსპობილ იქნეს ბიუროკრატიზმიო“. ჯერ ერთი ეს თვით მაღაროს საქმიანობაში სრულიად მიუღებლად მიმაჩნია და მეორე, საერთოდ სიტყვა ბიუროკრატიზმი შესაძლებელია სულაც არ იქნეს ნახმარი.

კამხარაკ. სრული სიმართლეა! ცალკე საკითხებს შეუძლია ნაყოფიერად გადასჭრას ბიუროკრატიზმთან ბრძოლის ამოცანა.

ლომია ეს კიდევ როგორია? ხელშეკრულების შედგენის დროისთვის შრომის ნაყოფიერება—გამომუშავება კაცთა დღეზე უდრიდა თურმე 25 მ. ხელშეკრულებაში კი ამოცანად დაგისახავთ შრომის ნაყოფიერების გადიდება 25 მ.-დე. მე მიხვედრილი ვარ ეს რისთვისაც ჩაგიდენიათ რომ უზრუნველგეყოთ თქვენი გამარჯვება, მაგრამ ასეთი მიდგომა საკითხისადმი უთუოდ დაუშვებელია და სოციალისტურ შეჯიბრების სრულ გაუგებრობას წარმოადგენს.

მიქელა რა გინდათ, მეტი? ხელშეკრულებაში მოხსენებულია, რომ წარმოება უნდა აგვეწია 100 პროცენტით. ხელშეკრულების დადების დროს ჩვენ უკვე გვქონდა წარმოების 100 პროცენტი. დაპირებული ვიყავით 100 პროცენტს, შევასრულეთ 100 პროცენტი. სხვა რაღა უნდა? (ს ი ც ი ლ ი).

მაკრინე ძალიან არ გაგიგია, ამხანაგო, სოცშეჯიბრება?

მინაბდ. რაზე დაცინით ამ ამხანაგებს? საერთოდ მაღაროებში და განსაკუთრებით აქ ძალიან მცირე და წვრილი სამუშაოა და აქ სოცშეჯიბრს ადგილი არ უნდა ქონდეს.

მაკრინე ლომია და ზოგიერთები — რას ამბობს?
— როგორ?
— თქვენ ჩვენი კომისიის წევრი არა ხართ?

შინაბდ. — დიაღ, ვარ და უნდა გულწრფელად მოგახსენოთ, რომ ჩვენ აქ მუშებს საფრთხეში ვაგდებთ... (*მუშებში კმაყოფილი ხმაური*) შრომის ნაყოფიერების ზრდით შეჯიბრება ხელს შეუწყობს მუშა ძალების ზედმეტ დაგროვებას, — იმავე სამუშაოზე დაგვჭირდება მუშების ნაკლები რაოდენობა, — რაც გაზრდის უმუშევრობას.

ლომია — მეც გულწრფელად უნდა მოგახსენო ამხანაგო, რომ ეს არაა მართალი. პირიქით, ხუთწლიან გეგმის დაჩქარებით შესრულების საშვალებას მოგვცემს და ამით დააჩქარებს წარმოებაში ახალ მუშათა რიცხვის ჩაბმას. რამდენათაც მეტი გაიზრდება შრომის ნაყოფიერება და შემცირდება პროდუქციის თვითღირებულება, იმდენათ უფრო მეტი შესაძლებლობა გვექნება ვაშენოთ ახალი ფაბრიკა-ქარხნები, ე. ი. ჩავაბათ წარმოებაში ახალი მუშები, ამრიგად, შეჯიბრება აგრეთვე მომართულია უმუშევრობის შემცირებისაკენ.

შინაბდ. — შეჯიბრებით კიდევ, მე ვატყობ... ჩვენთან კი არა, მაგრამ სხვაგან... რომ თვით იმ ნაყოფიერების ხარისხი უარესდება.

მაკრინე — ვინ მოგახსენა?

კამხარაკ. — საკითხის ასე დასმა ნიშნავს შეჯიბრებისადმი ცალმხრივ მიდგომას. შეჯიბრების მიზანს შეადგენს არა მარტო შრომის ნაყოფიერების ზრდა, არამედ ამასთანავე ერთად პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაც. შეჯიბრის ხელშეკრულებათა ერთ-ერთ მთავარ პირობას წარმოადგენს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება. ხელშეკრულებათა მუშაობის დროს დიდი ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ რამდენად გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი.

შიქელა — ამას გარდა შეჯიბრება მუშის ჯანმრთელობას ვნებს...

მუშები: — შეჯიბრება იმისთვისაა, რომ მუშები გაყვლიფონ...
— ოფლი გამოსწოვონ!..
— შეჯიბრება ნორმების გადიდებისაკენ არის მიმართული!

მაკრინე რა ამბავია, რა ამბავი? რა მესმის ეს?.. თქვენ მუშები ხართ თუ... ვინა ხართ თქვენ?.. ნუ თუ ერთი მაინც არ არის ისეთი, რომ ესმოდეს საქმის ვითარება?

ხმა იყო მაგისთანა, იყო, მაგრამ ზარასპიმ და იმან ერთად ვერ მოსძოვეს...

მაკრინე როგორ არ გრცხვენიანთ? ვინ გასწავლათ ამისთანები? ვინ ჩაგაგონათ? (ზ ა რ ა ს პ ი).

ხმები — აგერ ზარასპი!
— ზარასპი, ზარასპი!
— სად ხარ, კაცო, აქამდი!

ლომია რა ჩაგიდენია ეს ზარასპი?

კამარხაკ. ძალიან არ მოგიმზადებია ეს მაღარო?

მიქელა ბატონო ზარასპი, სად ხართ? სულ ყველაფერს თქვენ გაბრალებენ...

ზარასპი როგორ? რა აყო, რა მოხდა?

IV ნარიმანისას

ნარიმ. (შ ე მ ო ი ტ ა ნ ს ყ უ თ ს, ე ძ ე ბ ს კ უ თ ხ ე ს, ა მ დ რ ო ს შ ე მ ო დ ი ს ი ბ რ უ ხ ტ ი) ო, იბრუხტ სახლში ხარ!.. ბავშვი არ არის სახლში?..

იბრუხტი არა, ბატონო, აგერ გადეირბინა მეზობლისას.

ნარიმ. რაც მე ეგ — ბავშვის საქმე მაწუხებს ვერ წარმეიდგენ. როდის დეიწყებს ლაპარაკს. თუ იცი?

იბრუხტი დეიწყებს, ბატონო, დეიწყებს... ზოგი თლა მუნჯია, მარა ქე ირჩენს თავს. — რაა, ბატონო, მაგი, რისი იაშიკია?

ნარიმ. მუნჯი? ჩემი შვილი შვილის მე სიმუნჯე კი არ მინდა... ჰო, ეს ზარასპის ისაა. — ერთი ნაბადი მომიტანე, ნაბადი გადავაფარო.

იბრუხტი (მ ო ა ქ ვ ს) რა უწყვია ვითომ ახლა მაგაში. — რაზე გამოგატანა?

ნარიმ. მომაბარა, კაცო, ცოტა ხნით... რაცხა პლანებიაო, საბუთებიაო და ქე იყოს სანამ მევიკითხამდეო...

იბრუხტი კარგი, ბატონო, როგორც მიბრძანებთ.

ნარიმ. (გ ა დ ა ა ფ ა რ ა, ვ ი თ ო მ კ ა რ გ ა თ დ ა მ ა ლ ა) ა, ასე იყოს ეს... თუ ქალი ხარ, ამას ნურავინ მიეკარება.

იბრუხტი არა, ბატონო, რა საჭიროა.

ხმა გარედან ნარიმანა, ნარიმანა! სახლში ხარ?

ნარიმ. ვინ უბედურებაა?

იბრუხტი ვინცხა ცხენოსანია, ბატონო.

ნარიმ. მერე ვერ მოვა ეზოში?.. გაქ, იბრუხტი, რამე წასახემსი?

იბრუხტი რა მექნება, ბატონო, რა მოგაქ არ იცი? — ქათამი არ დამიკლავს და კოოპერატივიდან დიდი ხანია ხორცი აღარ მოგაქ, ბატონო ისე ქეა ციცი ლობიო ერთი დიდი ჯამი.

ნარიმ. ღვინო მაინც არ გაქ?

იბრუხტი აჰ! ერთი წვეთი!..

ნარიმ. რაც შენ ის ზარასპის ასეი — ქე გამოგელეოდა. — კარგი, აპა გავხედავ იმ კაცს ვილაცაა და, რა ვქნა, აღარ ვთხოვ ამ სახლში. — თვითონ ვერ მიხვდება რა დროა?

იბრუხტი აგრე ქენი, ბატონო, აგრე... (ნ ა რ ი მ ა ნ ა გ ა დ ი ს) რაფერ დამაინტერესა ახლა! — რაა, ნეტაი ამ იაშიკში. — მანდ რომ არაფერი პლანები და საბუთები არაა, ისე ვარ ამაში დარწმუნებული, თითქო შიგ ვიჯდე იაშიკში. — მარა რა უნდა იყოს. — დავხედავ ერთს მაინც რაა! (გ ა დ ა ხ დ ი ს) რაცხა ქე აწერია, მარა ახლა წაკითხვა არ გინდა? ვაი რა უთხრა ჩემ მშობლებს ამ განათლებულ დროს რომ ასე უწერაკითხეო დამტოვა. — არა, ისე ვერ დავდგები თუ არ წევიკითხე. ქიონია, ბეჩა ქიონია. — მოდი აქ გენაცვალე. (უ ც დ ი ს. ქ ი ო ნ ი ა ს მ ო ს ვ ლ ა მ დ ე მ ა ი ნ ც ა თ ვ ა ლ ი ერ ებ ს ყ უ თ ს, შ ე მ ო დ ი ს ქ ი ო ნ ი ა) გენაცვალე, ჩემო ქიონია, წამიკითხე რაა ეს. (ქ ი ო ნ ი ა ს თ ვ ა ლ ებ ი გ ა უ ბ რ წ ყ ი ნ დ ებ ა ყ უ თ ი ს დ ა ნ ა ხ ვ ა ზ ე, ჩ ა უ ც უ ც ქ დ ებ ა, რ ა ღ ა ს ა ც წ ა ი დ უ დ ღ უ ნ ებ ს) რაო, დეზიო? დეზებია შიგ? დეზები აწყვია? რათ უნდა მერე ამდენი!? ა? შუქრუთშიო, მერე, მერე. (კ ა კ ლ ა ვ ს ს ი ტ ყ ვ ებ ს) შუქრუთშიო, დეზის კანცელარიაშიო. — ჰოო, კანცელარიაშიო? მართლა საბუთები ყოფილა რაცხა... კარგი, გენაცვალე ქიონია... მაგი არაფერია... (ს ე ფ ე გ ა ჩ ნ დ ებ ა) არ გითხარი, ბიჭო, აღარ გეიარო ჩემს ახლოს-მეთქი...

სეფე ჰო, კარგია ახლა, რაა, იბრუხტი!

იბრუხტი რაა და შენისთანა უზრდელების არაფერი ვიცი, მე.

სეფე ოჰ, ოჰ! უზრდელი, თვარა ახლა ინჯილრებში და შტეიგრებში რომ გაქ საქმე...

იბრუხტი არავისთან მე საქმე არა მაქ და ქე ვარ ჩემთვის პატიოსნად.

ᲡᲔᲤᲔ — უჰ, ნუ მომკალი სიცილით, ბეჩა იბრუხტი. (ᲥᲘᲝᲜᲘᲐᲛ რაღაც წაიდუდღუნა, იბრუხტი ანიშნებს დაჩუმდეს) რაა ეგ? რისია ეგ იაშიკი? (იბრუხტი გადააფარებს) აა, გამოგიგზანა შენმა ინჯილერმა? გამოგიგზავნა. — გეიწი, გეიწი უნდა ვნახო...

ᲘᲑᲠᲣᲮᲢᲘ — (გაეცლება) რაა სანახავი, შე უბედურო, უბრალო იაშიკია... რას შვები, კაცო, ქე ხსნი? სხვისია, ბიჭო, შეუბედურო. — არა, მეც კი მეინტერესება. — რა ყოფილა?

ᲡᲔᲤᲔ — აა! რა ყოფილა და ვიცი ახლა ვისი გამოგზავნილიცაა. მე უჩვენებ იმას სეირს! — ბიჭი არ ვიქნები თუ ის შენ არ ჩამოგაშორე. — ის ქურდი, ის მცარცველი ის. (მიაქვს ყუთი) ახლავე აი.

ᲘᲑᲠᲣᲮᲢᲘ — რას შვები, ბიჭო, — ბიჭო, დადევი-მეთქი.

ᲡᲔᲤᲔ — არ მოგცემ არა, დამეხსენი. (კირწი-კირწი. ᲥᲘᲝᲜᲘᲐᲪ ეხმარება, მაგრამ სეფე გამოსხლტება და ყუთიანათ გარბის).

V ᲖᲐᲠᲐᲡᲞᲘᲡ ᲛᲐᲚᲐᲠᲝᲡ ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐᲨᲘ

ᲙᲐᲛᲡᲐᲠᲐᲙ. — და ასე ამგვარათ, ამხანაგებო, როგორც დაინახეთ არის მუშების ისეთი ფენა, რომელიც ჯერ არ გამოხარშულა პროლეტარულ ქვაბში და ჯერ კიდევ არ ესმის მუშათა კლასის საერთო კლასობრივი ინტერესები... სამწუხაროთ თქვენც ასეთებს ეკუთვნით თურმე... თქვენ არ გესმით, რომ შეჯიბრება მთელი მუშათა საქმეა და მის წინააღმდეგ გამოდის ის, რომ ვისაც სურს შეასუსტოს მუშათა კლასის ძალა...

ᲮᲛᲔᲑᲘ — — ჩვენ წინააღმდეგ არ გამოვდივართ...

— ჩვენ მხოლოდ ნაკლულევანებათ აღვნიშნავთ. .

ᲛᲐᲙᲠᲘᲜᲔ — ეგ არ არის მართალი: ზოგი თქვენგანი აქ აშკარა წინააღმდეგია. ერთმა მაგალითად სთქვა: „შეჯიბრება ძირს უთხრის მუშების ჯანმრთელობასო“. რა არის ეს? შეგნებულმა მუშამ ეს უნდა წარმოთქვას? აბა დაუკვირდით: რომ მუშამ ზედმეტი შრომისაგან არ გასტეხოს ჯანმრთელობა, სამუშაო დრო განსაზღრულია 8 საათი და ეხლა კიდევ გადავდივართ 7 საათიან სამუშაო დღეზე...

ᲮᲛᲔᲑᲘ — ზოგან გადავედით კიდეც...

მაკრინე დიაღ, ზოგან გადასულიც ვართ. სამუშაო დღის კანონით განსაზღვრას ერთად-ერთი მიზნად მუშების შრომის და ჯანმრთელობის დაცვა აქვს. მეტი მუშაობა არ შეიძლება, ვინაიდგან ეს მავნებელია. შეჯიბრება ამოცანად არ ისახავს, რომ მუშამ ნორმალურ სამუშაო დღეზე მეტი იმუშაოს.

მუშები — ჩვენ კი გვამუშავებდენ.
— სიქას გვართმევენ.

მაკრინე შეუწყნარებელია, დაუშვებელია. მე გეუბნებით, რომ სამუშაო დროის განმავლობაში ყოველი მუშა მოვალეა იმუშაოს მუშათა სახელმწიფოსათვის, ე. ი. თავის თავისათვის, უდიდესი შრომის ნაყოფიერებით-მეთქი, მხედველობაშია მიღებული ისეთი სიმარჯვე და ხელგამოღებულება, რომელიც შესაძლებელია მუდამ იქნეს დაცული და არა ისე, რომ დღეს ვიმუშაოთ გამალებით, ე. ი. ზომაზე მეტად და შემდეგ დღეებში შენელებით, ან როგორც ეხლა იტყვიან, მოდუნებულის ტემპით.

მუშები — ჩვენ სწორედ აგრე ვმუშაობდით!
— გამალებით!
— ოლონდ დღეს კი მოვასწროთ მერე სულ ერთია, ისევ ძველებურათ ვიმუშავებთო.

მაკრინე შეცდომაა, უზარმაზარი შეცდომაა...

ვარია (გადაულაპარაკებს ლომიას) ეს მეც ასე მეგონა.— ჩემ ბრიგადას ასე ვაგულიანებდი.

ლომია ოჰ, ვარია, ვარია... როგორ მარცხვენ... არ ამბობდე მაინც!

კამხარაკ. შეჯიბრება ჩვენი შრომის მუდმივი მეთოდია. სოციალისტური შეჯიბრება დროებითი კამპანია როდია. იგი წარმოადგენს მძლავრ თანდათანობით სვლას სოციალიზმისაკენ მთელ გარდამავალ დროისთვის და შრომის მუდმივ ჩვენ სისტემას, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, შეჯიბრება თითქო განუსაზღვრელ დროით ეწყობოდეს. პირიქით, შეჯიბრების ნაყოფიერების მიზნით იგი ვადიანია...

მიქელა მომეცი პური, კარაქი, შაქარი, მანუფაქტურა შეუზღუდველად, რამდენიც მომესურვება და მაშინ შევეჯიბრები ისე, როგორც საჭიროა.

ლომია ამხანაგებო, ასე საკითხის დასმა შეიძლება?

მინაბდ. რატომ არ შეიძლება არ მესმის... კაცი მშიერია და ტიტველი... როგორ იმუშაოს?

ლომია ჯერ ერთი რომ თქვენ ნუ დემაგოგობთ... მშიერი და ტიტველი არავინ არ არის... მეორე კიდევ იმიტომ უნდა იმუშაოს, რომ ეს სოციალისტური შეჯიბრება სწორედ იქითკენაა მიმართული, გაძლიერებული იქნეს მრეწველობის ზრდის ტემპები და ამით გაუმჯობესებულ იქნეს მშრომელთა მატერიალური მდგომარეობა, თორემ თუ კი ყველაფერი საკმაო გვექნება და არაფერი დაგვჭირდება, მაშინ შეჯიბრებაც საჭირო აღარ იქნება...

ადგ. თავმჯდ. ეს ძალიან სასარგებლო კამათია, მაგრამ ადგილობრივ საკითხს ძალიან გადავცდით. აქ იმდენი დეფექტები აღმოგვიჩინეს ამხანაგებმა, რომ ლამის ეს მაღარო დასახური გახდეს.

მაკრინე დასახური რათა, მაგრამ საჭიროა უყოყმანოთ და გადაჭრით დასმული იქნას საკითხი თქვენი საწარმოო კომისიის გადარჩევის შესახებ, რომელთა შემადგენლობამ ვერ შესძლო სოციალისტურ შეჯიბრების ხელმძღვანელობა.— ასეთი მკაცრი შემოწმების აუცილებლობა სავსებით აშკარაა. შეჯიბრება მუშათა კლასის ბრძოლის იარაღია, მაგრამ ბრძოლის იარაღს უმოქმედება აჩლუნგებს, ჟანგი ეკიდება, მისი ნასროლი ტყვია მიზანს ვერ ხვდება თუ მას უხეიროთ ვხმარობთ...

მიქელა (ზარასპის, რომელიც მობუზული და გარინდული ზის) შენ, კაცო, ხმას ვერ ამეიღებ? ვერ ხედავ რა ამბავია? სულ შენ გარშემოა ეს სიტყვების ნიაღვარი...

ზარასპი (ამოილუღლუღებს) მე... საცა საჭიროა იქ გავცემ პასუხს.

მიქელა რავა, კიდეა სხვა ადგილიც? შენ უფრო გეცოდინება, მე მეგონა აქ ვილუპებოდით...

მაკრინე ჩვენ კარგათ ვიცით, რომ მუშებსა და მოსამსახურეებს შორის არიან (უყურებს ზარასპის, ის თავს მიიბრუნებს) მგლეჯელნი, მუქთახორები, უსაქმონი, რომლებიც მხოლოდ თავის პირად ინტერესებზე ფიქრობენ...

ლომია ამიტომ აქაც უნდა გამოირკვეს: რაც აქ მომხდარა, შედეგია კლასობრივ ჩამორჩენილობის, საერთო უკულტუ-

რობის, თუ ადგილი აქვს შეგნებულ წინააღმდეგობას და კლასობრივ მტრის გამოსვლას?

მაკრინე გამოაშკარავებული არაა (ზარასპიზე) ეგერა ზის ცრუ-დამკვრელი...

კამხარაკ. (მიქელაზე) აქ მერყევი კუდა-მელა.

მე-2 წერაქვ. (კომ. წევრზე) ეს ხომ წამქეზებელია, ყალთაბანდი, ცრუპეტელა!

ხეფე (ქლოშინით შემორბის) ამხანაგებო, ამხანაგებო!.. (ხმაური).

თავმჯდ. რა იყო, რა ამბავია, ვინ ყვირის?..

ხეფე ეს მე ვარ... მომისმინეთ... ერთ წუთს შესწყვიტეთ კრება.

თავმჯდ. რა იყო, რა დაგემართა?

ხეფე აი ამის გაგზავნილი საიდუმლო ყუთი თავის საყვარელთან.

ვარია უი, ჩემი სიკვდილი!

ლომია რა დაგემართა, ვარია?

ვარია საცოდავი დეზი მებრალება!

ხეფე ინებეთ და დასტკბით... (თითონ იღებს) აი ეს ნატეხი შაქარი გახლავთ. აქ 10 კილო მაინც იქნება... მე დუქანში ნამსახური გახლავართ, თვალითაც ვატყობ... ბრინჯი, ესეც, მე მგონი ათი კილო იყოს... „მადეპალამის“ მიტკალი, ხედავთ აი, საუკეთესო ხარისხისა 16 მეტრი მაინც იქნება და საპონი, ხუთი უშველებელი ნაჭერი... ხომ კარგი თვითმოზარაგებაა...

მიქელა რა კაცი ყოფილხარ, ძმაო შენ? ამას საყვარელს უგზავნიდი? აპა, ცოლშვილისათვის მთელი ეპო გაგიგზავნია!

ზარასპი რატომ ახლა მაინცდამაინც ჩემია ეგ ყუთი?

ლომია ზარასპი! ჩუმად.—აძას გამოვიძევთ...

ხეფე რას გამოიძევთ, მოწმეები გახლავთ: ნარიმანა და მისი რძალი იბრუხტი...

თავმჯდ. აცნობეთ ადგილობრივ ხელისუფლებას... მანამ კი ზარასპის ვთხოვთ ნურსად წავა...

მიქელა კაი თხოვნა არაა! უჰ, რა ცუდი დღე დაგადგება!..

თავმჯდ. ჩვენ, ამხანაგებო, განვაგრძოთ ჩვენი საქმე!

ფარდა

მოქმედება მეოთხე

I ქანტორა

(სპირიდონა მუშაობს. ნარიმანა წრიალებს).

სპირიდ. რა იყო, ნარიმანა, რა გაწრიალებს?..

ნარიმ. რაღა რა მაწრიალებს (არ იტყვის რაც უნდა) ისევე ლოკოკინის ქვეშ არა ვარ?

სპირიდ. ვითომ მაგისთვის მოხველი ახლა შენ ამ შენთვის უჩვეულო დროს?..

ნარიმ. მოვედი, აბა რა!.. თავი მომჭრა ამ ლოკოკინამ, სოფელში ვერ გამივლია... მთელი ახალგაზრდობა მე დამცინის... და ჩემ შვილებს ხომ გაუჭირეს საქმე... აი თქვე ლოკოკინის შვილებოვო. ზარასპი არ მოვა, ნეტაი?

სპირიდ. ლოკოკინის ყმობიდან შენ ასე მალე თავს ვერ დაიხსნი... ზარასპი? იმას, ძმაო, ახლა ქოჩორზე ცეცხლი უკიდია უთუოდ. მთელი დამკვრელები მის მაღაროში წავიდა და... იცოცხლე, ბევრი ნაკლი იმას აღმოუჩინონ.

ნარიმ. ჰმ. ნაკლი? სულ იმ ამირანას ბრალია...

სპირიდ. რა არის ამირანას ბრალი? რას ჩადიხარ, კაცო, არ მოფხიკო როგორ შეიძლება... მოშორდი მანდედან, კაცო, არ მოფხიკო, თორემ პასუხისგებაში მიგცემ...

ნარიმ. აბა რაა ეს ლოკოკინა? ღმერთი არ გაქვთ თქვენ?

სპირიდ. ღმერთი არც გვაქვს და არც გვყავს!

ნარიმ. აბა უღმერთოები რა სიკეთეს გამოიგონებთ: ლოკოკინაო, ცოცხიო... საიდუმლო ყუთი...

სპირიდ. (თავს აიღებს) საიდუმლო ყუთი რაღაა?

ნარიმ. (შეშინდება) არაფერი... ისე ვთქვი... სიტყვის მასალად...

სპირიდ. რაღაცა ძალიან ატრუებული ხარ და რაშია საქმე?

ნარიმ. ლომია მოვა?

სპირიდ. კაცო, მე შენი მუშკორი ვარ თუ როგორაა შენი საქმე... (ამირანა) აა, ესეც მოვიდა... რა ამბავია, რამ აგყა-

რათ ეს რეაქციონერები? სამუშაო დროზე მოსვლა გეზარებათ და ახლა მოდიხართ?

ამირ. პატარა საქმე მაქ შენთან...

ხპირიდ. მითხარი.

ამირ. ეს გევიდეს აქედან და მერე გეტყვი.

ნარიმ. მეც საქმეზე ვარ მოსული და რატომ უნდა გევიდე?

ხპირიდ. ოჰო, ებუტებით ერთმანეთს? რა მიზეზია?

ამირ. მიზეზი ბევრი მაქ, მარა (ნ ა რ ი მ ა ნ ა ზ ე) პირი წყლით მაქ სავსე.

ხპირიდ. კარგი ახლა; ნარიმან... გვადროვე ცოტა ხანს.

ნარიმ. მე მაგაზე უფრო ადრე ვარ მოსული... ეგ გევიდეს.

ხპირიდ. კაცო, შენ ჩემთან არაფერი საქმე არა გაქ. ვიღაცას ელოდები. — ამას კი საქმე ქონია, გვაცალე (ნ ა რ ი მ ა ნ ა ზ ლ ა ზ ვ ნ ი თ გ ა დ ი ს, ა მ ი რ ა ნ ა ს ა კ ე ნ ი ხ ე დ ე ბ ა დ ა მ კ ე რ დ ზ ე მ ჯ ი ღ ს ი ც ე მ ს) რა იყო?

ამირ. რა იყო და საქმიანი წინადადება მაქვს შემოსატანი...

ხპირიდ. ბიჭოს! შენ ამას პასმატრი და! საქმიანი წინადადება, შენ?

ამირ. რატომ, რა? მე გონება არ მიჭრის თუ?

ხპირიდ. სასიამოვნოა ძალიან... ჩვენმა სოცშეჯიბრმა შენისთანებიც თუ გამოაკეთა, ეგ გვინდა ჩვენც. აბა მიბრძანე!

ამირ. სულ მეჩხუბება ნარიმანა.

ხპირიდ. ნარიმანა აქ რა შუაშია?..

ამირ. მაცალე, კაცო, ხუნაგი ხომ არ ხარ... მეჩხუბება იმაზე, რომ შენ ჩემზე მეტს რატომ აკეთებო...

ხპირიდ. როგორ, შეჯიბრი გაქვთ ერთმანეთში?

ამირ. რავა არ გახსოვს, ბეჩა, საზოგადო კრებამ არ დაადგინა?

ხპირიდ. ჰო, მერე?

ამირ. ჰო და მეჩხუბება... ჩემზე ქვეა ღონიერი და იმ დღეს იმდენი მითაქა, რომ სულ დაბადების დღე მაწყევლინა...

ხპირიდ. მერე ახლა რა გინდა შენ? ეს არი შენი საქმიანი წინადადება?

ამირ. მაცალე, გენაცვალე... იმ დღეს კიდევ ზარასპიმ ამიხსნა, რომ მუშებ შორის პიროვნული შეჯიბრება. — ინდი... ინდი... რაღაცა თქვა...

ხპირიდ. ინდივიდუალური...

ამირ. ჰო, სწორედ ეგ... ერთი მეორეში ჩხუბს გამოიწვევსო და არ ვარგაო, შეჯიბრზე უარი თქვიო...

სპირიდ. ჰო, ეგ ცუდათ უთქვამს ზარასპის... ცალკეული შეჯიბრება მუშებ შორის არავითარ ჩხუბს არ უნდა იწვევდეს. რაც შეეხება დავას და ბრძოლას პირველობისთვის... ეს უნდა იყოს, უამისოთ შეჯიბრება არ იქნება ნაყოფიერი.

ამირ. ჰო და მეც ქე მინდა პიოველობა... ჯიბრზე უარს რავა ვიტყვი... ბევრი არა და ისე ქე მინდა იმ პარახოტში ჩაჯდომა...

სპირიდ. რომელ „პარახოტში", რას ამბობ?

ამირ. (უ ჩ ვ ე ნ ებ ს) აა, აგერ რომ არი დახატული. რა ვქნა საწყალი კაცი ვარ... რომ შეეიძლო კიდეც იმ აეროპლანში და ავტო... ავტო...

სპირიდ. ავტომობილი?

ამირ. ჰო. ქვეც მეშინია ჩაჯდომა.

სპირიდ. (ღ ი მ ი ლ ი თ) მერე და ნარიმანა გიშლის ხელს?

ამირ. ჰო... სულ ხელს მიშლის, მაბრკოლებს .. ვაგონს უალაგო ალაგას გადამიბრუნებს, მარგანეცს გადამიყრის. მერე უნდა ვფხიკო ნიჩბით, ამასობაში დრო გადის... გზაში კიდე გაჩხირული ვარ და ქვეყანა მე მეჩხუბება.

სპირიდ. აჰ, ხელის შეშლა როგორ იქნება... ეგ შეჯიბრება კი არა ნამდვილი მაენებლობაა...

ამირ. ჰო და მაენებელია ეგ ფოცხაძე. — ეგ ფოცხვერა ეგ...

სპირიდ. ჩხუბი არ შეიძლება, არა!

ამირ. ჰო და, გენაცვალე — ამხანაგო .. ჩვენ ყრუ ხალხი ვართ, შენ შემოგევლოს ჩემი თავი, ჩვენ მხეცები ვართ.

სპირიდ. კარგი ახლა, რაზე ილანძღავ ამ პატიოსან თავს!

ამირ. ჩვენ ვირები ვართ, გენაცვალოს ჩემი თავი, შენ კი მამა ხარ ჩვენი და თუ არ დაგვარიგე და კარგათ არ აგვიხსენი, ისე კი ვერაფერს შევიგნებთ ჩვენით...

სპირიდ. გადი, დეიღუპე! რამდენი ლაპარაკი შენ გცოდნია. — რა უყავი ის შენი საქმიანი წინადადება... ნუ მაცდენ ტყულა!

ამირ. ჰო და, ახლა ის მინდა, რომ ცალ-ცალკე, გამოზიდულ მარგანეცის ადგილები მოგვიჩინოთ მე და ნარიმანას... მე ცალკე ნომერ პერვი, პერვოი და იმას ცალკე ნომერი მეორე... ჰო და უფრო თვალსაჩინო იქნება. მაშინ თავის დასავსები თვალებით ქე დაინახავს იმან რამდენი მეიტანა და რამდენი მე... ახლა მართალია, ქე დგას იქ კაცი და სწორა ანგარიშობს, მარა საერთოში რომ იყრება, — ნარიმანს არ ჯერა და ამაზე გვაქვს აურ-ზაური.

სპირიდ. დიდი არაფერია ეგ შენი საქმიანი წინადადება, მაგრამ მაინც, რაც უნდა იყოს მუშის წინადადებაა და კარგი, ვნახოთ! შევიტან საწარმოო თათბირზე და...

ამირ. ჰო, შენ შემოგევლოს ჩემი თავი, — აგრე გენაცვალოს ამირანა (ლ ო მ ი ა).

ლომია ჰო, კარგია აქა ხარ, სპირიდონა. ტელეფონით არ დაურეკიათ?

სპირიდ. არა.

ლომია ჰო, ამირანა. შენ რა გინდა აქ?

სპირიდ. (დ ა ც ი ნ ვ ი თ) მაგან საქმიანი წინადადება შემოიტანა.

ლომია ოჰო. ყოჩაღ!.. (დ ა ხ ე დ ა ვ ს პ ლ ა კ ა ტ ს) ი ი, რა დაგემართა, ამირანა, ცხენზე მაინც ვერ შეჯექი? არ გრცხვენია ურმით მიდიხარ?

ამირ. რა ვქნა, ამხანაგო, მეგრელი არა ვარ და ცხენოსნობა არ ვიცი (ლ ო მ ი ა გ ა დ ა ხ ე დ ა ვ ს, ა მ ი რ ა ნ ა ჩ ე რ დ ე ბ ა)

სპირიდ. რა გინდა, ძმაო? ამირანა გამოკეთდა. — ტყუილა კი არ ქვია მაგისთანა სახელი: „კავკასიის მაღალ ქედზე ამირანი მიჯაჭული“...

ლომია ეჰ, ნეტაი შენ აგეთ კარგ გუნებაზე ხარ...

სპირიდ. რა იყო, განა რა მოხდა?

ლომია რაღა რა მოხდა, კაცო. რა ხალხი გვყოლია შამოსეული, რა ხალხი: მავნებელი არ გინდა, ცრუ-დამკვრელი არ გინდა, წამქეზებელი არ გინდა, მერყევ ხალხზე ხომ ნულარ მკითხავ... მართლა, ის, ჰო ნარიმანა რომაა... ცოცხაძე... ახლავე, ადმინისტრატიულის წესით გამორიცხე მუშათა სიიდან... მისი დუხი არ იყოს ჩვენს მაღაროში...

ამირ. კი ეკადრება, კი...

სპირიდ. ამირანა, მანდ სადღაცა ნარიმანაა და დაუძახე ერთ წამს.

ამირ. სიჩას, გენაცვალე! (გ ა რ ბ ი ს).

ლომია ოო. ტელეფონი! (ა ი ღ ებ ს) რა ამბავია?... დეზისაც ხელს ჰკიდებენ?

მაკრინე (ტ ე ლ ე ფ ო ნ თ ა ნ თ ა ვ ი ს კ ა ნ ტ ო რ ა შ ი) დიაღ... ბევრი ნამალავი აღმოაჩნდა... მაინც უზიდნია და უზიდნია ზარასპის რა გინდა სულო და გულო: ბატინკები, აბრეშუმები, საპალტოები და ერთი მშვენიერი ქურქიც...

ლომია (თ ა ვ ი ს კ ა ნ ტ ო რ ა შ ი ტ ე ლ ე ფ ო ნ თ ა ნ, ს ხ ვ ა ზ ე ფ ი ქ რ ო ბ ს) ქურქი?

მაკრინე (ისევ ისე) დიაღ... 2500 მანეთი ღირს...

ლომია (ისევ ისე) შენ სხვა მითხარი, ამხანაგო... წმენდა დაიწყო?

მაკრინე (ისევ ისე) დაიწყო კი არა, მოვრჩით კიდეც... ეხლა კომისია დარჩა მხოლოდ და აი ვაფორმებთ.

ლომია (ისევ ისე) ვინ გაწმინდეთ?

მაკრინე კომისიის წევრი, მწონელი. — მინაბდულიძე...

ლომია კარგია...

მაკრინე ბუხჰალტერი, როგორც მერყევი და გაურკვეველი...

ლომია კარგია.

მაკრინე როგორც ცრუ-დამკვრელი და ზარასპის და დეზის მესაიდუმლე შენი ვარიაც...

ხბირიდ. (ლომიას) რა იყო, ამხანაგო! თავი რათ ჩაჰკიდე?..

მაკრინე რას გამიჩუმდი?.. შენ ხომ სალი კლდე ხარ, ამან როგორ იმოქმედა...

ლომია (ნახევრად ტელეფონში, ნახევრად გარეთ) არა, კიდევ ბევრი შეცდომები გვაქვს... გრძნობებს არ უნდა აყვე კაცი... გარდა იმისა, რომ ბევრში გამოუცდელები ვართ, გარდა იმისა, რომ ბევრი მტრები გვყავს... ზოგჯერ საკუთარი გრძნობებიც ჩვენი მტერია...

II მაღაროს წინ

ნარიმ. აპა კაი ამბავს შენ არ მოპიტანდი არ ვიცი!.. რა ვქნა ახლა? ჩემ შვილებს ჩემ ნაშიერს შერჩა, შერჩა ეს ლოკოკინას სახელი.

ამირ. ახლა მართლა მთლა მტერი კი არა ვარ შენი. შენი დათხოვნით, ვატყობ, რომ მეც ქე გამიხუნდა ჩემი საქმიანი წინადადება...

ნარიმ. აი, დეილუპოს მაგათი სახსენებელი... რა მეშველება ახლა? კულაკათ გამომაცხადებენ, თვარა სხვა კი არაფერი მენაღვლება... არაფრის შოვნა აღარ მექნება... ეპო აღარაფერს არ მომცემს... დედაა, ჩემო ცოლო და შვილო!.. ის ყუთიც ქე დაეკარგე...

ამირ. რა ყუთი, რას ამბობ?

ნარიმ. (შეშინდება) ყუთი კი არა... ყუათი, კაცო, ყუათი.— აი, ისე დავსუსტდი, რომ სახლში რაფერ მივალ არ ვიცი... ზარასპზე არაფერი უთქვამს?

ამირ. არა, არაფერი გამიგია... შედი ახლა... რას აგვიანებ?

ნარიმ. ნწ... მე იქ შემსვლელი არ ვარ... რა უნდა ველაპარაკო. თუ ძმობა გწამს, დეივიწყე ყოლიფერი, გეიხსენე ჩვენი ძველი მეზობლობა და ერთი მხარში ამომიდექი.—მართლა მოვსხლტი რაცხა... სახლამდი შეიძლება ქეც ვერ ჩავაწიო.

III

ლომია (თავის კანტორაში, ისევ ტელეფონთან) არა, ეს იყო წუთიერი მოდუნება... გადიარა... ჰო, რას მეუბნებოდი?

კამსარაკ. (თავის კანტორაში, მაკრინეს ჩამოართვა ტელეფონი) მე ის უნდა გითხრა, ამხანაგო, რომ...

ლომია შენ ვინა ხარ, კაცო!

კამსარაკ. კამსარაკანი ვარ! რა, ვერ მიცანი?.. ჰო... მე ის უნდა განგიცხადო, რომ დაწვრილებით გადავსინჯეთ თქვენი და ჩვენი მაღაროს შედეგები და მეტად სანუგეშო სურათს წავაწყდით.

ლომია ცხადია, ჩვენი მაღაროები თითით საჩვენებელი უნდა გახდენ...

კამსარაკ. შენ ყური დამიგდე: თითო-ოროლ პიროვნებათა გარდა, აღმოჩნდა, რომ ორივეგან შეჯიბრების ორგანიზაცია უმაღლეს საფეხურზე იყო ასული. ჩვენი ორგანიზაციები—მაღაროკომი, დირექტორები, პარტუჯრედი და თვითეული მუშა, ყველა ეწეოდა დიდ მუშაობას, ყველა ცდილობდა მიეღო უპირატესობა მეორე მაღაროს მიმართ. ბუხჰალტერია და საღრიცხვო ნაწილი უფრო ადრე, ვიდრე სხვა საწარმოში, აჯამებდა ჩატარებულ მუშაობის შედეგებს.

ლომია მართალია, მართალი და გული სიხარულით ივსება.

კამსარაკ. თვიდან თვემდე, პირველობისათვის ამ ბრძოლის გამო, ორივე მაღაროში ყველა საწარმოო მაჩვენებლები იზრდებოდა. ამასთანავე ერთად ეხლავე თვალსაჩინოა ორივეგან მასობრივი მუშაობა. ჩვენც გამოგვიჩნდენ ჩვენი გამომგონებლები და საქმიან წინადადებათა შემომტანნი. ორივე მაღარო საერთოდ პირნათლად ასრულებს ხელშეკრულებასა და ყველა ნაკისრ ვალდებულებათ, მაგრამ გამარჯვებით მაინც ჩვენ გავიმარჯვებთ...

ლომია — არა, ეს ჯერ კიდევ საკითხავია...

მაკრინე — (ჩამოართმევს კამსარაკანს ტელეფონს) რას ამბობ, ლომია?.. ეს ჯერ კიდევ საკითხავია?.. ამას დღესვე დაგიმტკიცებთ... აი ეხლავ თქვენთან მოდის ჩვენი დელეგაცია გამარჯვების ჯილდოს წასაღებათ.

ხპირიდ. — (ლომიას) რა იყო? რას ეჩხუბები? ვის ეჩხუბები კაცო?

ლომია — რა და აგერ ამხანაგი მაკრინე მიმტკიცებს, რომ ამჟამად ჯილდოს ჩვენ წაგართმევთო...

ხპირიდ. — მერე ვინ დაანებებს? რას ამბობ?..

ლომია — (ტელეფონთან) ა? რაო? — ძალიან კარგი. ეხლავე შემოვკრებ ჩვეხ მუშა-მოსამსახურეებს...

ხპირიდ. — (ლომიას) ერთი დამალაპარაკე, თუ ძმა ხარ.—ა?.. ჰო, ეს მე ვარ სპირიდონა... მერე ვინ მეთაურობს თქვენს დელეგაციას?..

მაკრინე — კამსარაკანი.

ხპირიდ. — კამსარაკანი? კარგია... დაგიხვდებით ზეიმით, მაგრამ ჯილდოს დანებებაზე კი ნურას უკაცრავათ.

მაკრინე — აი, ვნახოთ!

ხპირიდ. — ვნახოთ!

IV ნარიმანასა

ნარიმ. — ეჰე ჰე. რა მეშველება, რა მეშველება?.. რა ამბავია, სახლში არავინ არი? ქიონია ბოშო? სად გადიკარგეთ? ჩემი რძალი არ არი სახლში? სად ჯანდაბას წასულა? უჰ, რა მოვდუნდი... მეძინება მგონია... ერთი ცოტა ხანს მივდებ თავს და, რაც იქნება, იქნება... (წამოწვება, ამთქნარებს, უეცრად ჩაეძინება. თავს წამოადგება ლოკოკინის სახის მოჩვენება. ძილში შეჰყვირებს) ვაიმე!.. შენ ვინ ხარ, ამხანაგო... ძმობილო?.. ჯვარი აქაურობას!.. ჯვარი არ გწამს შენ? ბალშევიკი ხარ? რაო? სიკვდილის ანგელოზი, სულთამხუთავი!.. რავა? მევიდა ჩემი აღსასრულის დღე? ე, ბიჭო, ნუ მიზამ მაგას!.. რავა გამოშტერდი კაცო? არც ინძრევი, არც მელაპარაკები! ქართული არ იცი?.. აბა: ბონა სერა, სინიორე, კომან უსტა — უსტე?.. უიმე, ეს რაა რომ მოგდევს უკან? ცოცხი? ცოცხზე ზიხარ? შენც გიყვარს ცოცხი? უბედურება არაა, სააქაოს გამიჭირა საქმე ამ ცოცხმა და არც საიქიოს მშორდება... მაინც შენ რათ გინდა ცოცხი?

როკაპი ხომ არა ხარ? ბრუტ-საბძელაზე ხომ არ მიდი-ხარ?.. ბრუტ... ბრუტ... იბრ... იბრუხტი... იბრუხტი ჩემი რძალია. ძაან არ გამომიწყო საქმე თავის ბოზობით?.. რძალზე არ მეკითხები?.. მე მართმევ ჩვენებას, მე უნდა აღგიარო აღსარება?.. რავარი კაცი ვიყავი და... არ ვი-ყავი ცუდი კაცი. მიყვარდა შოვნა, შეძენა და... მომ-ჭირნე ვიყავი ძალიანი... კულაკი არ ვყოფილვარ არასო-დეს... მუშტი არავისთვის არ მომიღერებია... ჩემი მეზო-ბელი ქვრივი მაკრინია მაჯავრებდა ხშირად, მარა მე ტკბილი კაცი ვიყავი ძალიან... სულ შენ გენაცვალეს ვეუბნებოდი, სანამდი ერთხელ ღობე არ გამირღვია... მაშინ კი წევედი ჩვენ მამასახლისთან საჩივრად. მამა-სახლისმა იცი რა მითხრა? სამაგიეროთ შენც გაურღვიეო... კიდე რომ გამირღვიოს? კიდე გაურღვიეო!.. გაგირღვიოს — გაურღვიე, გაგირღვიოს –გაურღვიე და... ისე აგისრულდა ყოველი კარგი! ახლა იმასაც გარღვეული აქ და მეც... ასეა, გენაცვალე... მიჯნა აღარ გვაქ და საზღვარი... ჩემი და სხვისი ვისია კაცმა არ იცის... ევისვარეთ ასე და... რავა იქნება საქმე ვინ იცის... უმ, შენ აგაშენა ღმერთმა!.. ძლივს არ ვნახე იმისთანა სულიერი, რომ შემიძლია თა-მამად ყველაფერი გითხრა? მეიწიე აქეთ ცოტა... კი აღარ მეშინია შენი... მარა ქე რაღასი უნდა მეშინოდეს, სიკვ-დილზე საშიშარი რაა და... აგერ არ ხარ? ყველაფერს გეტყვი, ყველაფერს... ხომ მაინც ვკვდები და მოსარი-დალი რაღა მაქ... მეიწიე, შე ოჯახ-აშენებულის შვილო, მეიწიე...

V კანტორაში

ლომია — კარგი, ამხანაგებო, კარგი... ბევრი ვიბრძოლეთ ორივე მხარემ. ორთავენი დიდხანს ვამტკიცებდით ციფრებით და საბუთებით ხელში, რომ გამარჯვება ჩვენ მხარეზე იყო, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს ამჟამად გამარ-ჯვება შუქრუთლებს გადაულოცოთ... (ტაშს უკრავს. ტაში) ჩვენ ხომ მართლა კონკურენციას არ ვაწარ-მოებთ, არამედ წმინდა წყლის სოციალისტურ შეჯიბრს. ჩვენ ორთავე მხარემ უჩვენეთ მაგალითი ნამდვილ სოცია-ლისტურ შეჯიბრებისა... და ამან უნდა ორთავე მხარე აღაფრთოვანოს... (ტაში).

1-ლი წერაქვ. ეგ ეგრეა, ამხანაგო, სწორია, მაგრამ ჩვენ ამ მაღაროს მუშები სიტყვას ვიძლევით, რომ შემდეგ თვეში შუქრუთლებს გავასწრებთ ხელშეკრულების ყველა მუხლებში (ტაში. ზეიმით გადასცემენ შუქრუთლებს ცოცხს).

VI ნარიმანასას

ნარიმ. (ისევ მოჩვენებას ესაუბრება) ყველა ამას გარდა, კვირა-უქმე ჩვენ გაგვიუქმეს... აღდგომას, შობა-ახალ-წელიწადს ხომ ნულა იკითხავთ და ასე, მარა — კაცო რა ყოფილხარ შენ... სურიელო, აჯამო, კუდიანო, ძალთა-ძალო, სულთა-მხუთაო!... ერთი საათია გელაპარაკები და აქამდი სანუგეშო ვერაფერი მითხარი? აპა არ მიდიან? ექნებათ ცხოვრება დაუსრულებელი?.. აპა სულ ერთი არ არი, შენისთანა სულთამხუთავი წამიყვანს თუ ეს სულთა-მხუთავები დამახრჩობენ ამ ქვეყნათ!.. რა დრო დადგა! სიკვდილიც რომ აღარ გენატრებოდეს კაცს!.. მეიცა, მეიცა, ბიძია!.. ე, ცოცხი რაზე გადამიგდე? ეს ცოცხი ჩვენი ჯილდოა... უიმე, ეს რა ყოფილა... კაცი კი არა ლოკოკინა არ ყოფილა!.. მოდის, უნდა დამაწვეს... გამჭყლიტოს... ეს რა უჭირავს? ზიარების კოლოფია? უმ... საიდუმლო ყუთი... ჩემია, ჩემი — მოიტა, მოიტა, შე-არამზადა!? დაგიჭირე, ვერსად წამიხვალ... (ლოგინიდან ჩამოვარდება და იატაკზე მღართანს მოადენს. მის წინ დგას სასამართლოს თანამშრომელი. ნარიმანი თვალებს იფშვნეტს) რა იყო, სად გამექცა! ვინ ხარ, ბიძია, შენ?

თანამშრ. სასამართლოს თანამშრომელი...

ნარიმ. სასამართლოს?.. რა გინდა მერე ჩემგან?

თანამშრ. გამომძიებელი გიბარებს!

VII კანტორაში

კამხარაკ. ძირსა სცვივიან მავნებლები, ცრუ-დამკვრელები, ლოკოკინები, კუები და კიბოები. ჩვენ კი მივფრინავთ მაღლა-მაღლა კიდევ მეტი გამარჯვებისკენ (მუსიკა. სიმღერა. დიდის ამბით მიაქვთ ცოცხი).

ფარდა

არაფერიც არ იქნება

სამმოქმედებიანი კომედია

1930 წ.

მოქმედნი:

გენო ჩოფურაშვილი, კულაკი
ზურაბა, მედოლე
სალინკა, ამისი ცოლი
ხაბედო, „ფოფოდია“.
მაგდანა, ქვრივი, მემამულე
შალიკო, კოოპერატივის გამგე
ხოხო, ღარიბი გლეხი, ჩოფურაშვილის მომხრე
შაკრო, მოჯამაგირე კაცი, ნამწყემსარი
ლეკხო, კომკავშირელი
1 } 2 } გლეხები
გამომძიებელი

მოქმედება პირველი

მოქმედება სწარმოებს აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთ მიყრუებულ სოფელში.

სამივე მოქმედება — სოფლის მოედანზე, კოოპერატივის წინ.

1

1-ლი გლეხი ვინ გამოგაბრუნა?

მე-2 გლეხი არაო, კაცო, არა!

1-ლი რა არაო?

მე-2 წაღება არ შეიძლებაო.

1-ლი რისა?

მე-2 ვა, საქონლისა, კაცო!

1-ლი მერმე, შენ რა საქონელს მიერეკებოდი?

მე-2 მივერეკებოდი კი არა... ტომრით მომქონდა...

1-ლი რა? დაკლული საქონელი?

მე-2 ეე, შენ, ჩემო ძმავ... აქ აფრაკათ ხომ არა-ხარ... ტომრით კაკალი მომქონდა სადგურზე... მატარებელში შევიტანე... ის იყო მოვეწყე, რო... ჩამაიარეს, გამჩხრიკეს და... წაიღეს კიდეცა...

1-ლი აკიო გლეხებს ყველაფრის ყიდვა-გაყიდვა თავისუფლათ შეუძლიანთო!

მე-2 ეე, რა ვიცი, ძმავ... ეგ აქაურებისათვის მხოლოდ ქაღალდზე წერებულა ეტყობა...

2

სალინკა უი ქა! ერთი აქ შეხე, შეხე, მაგდანოჯან!

მაგდანა რა იყო, ქა?

სალინკა რა და ვერა ხედავ... აგე, კედლის გაზეთსა...

მაგდანა აი დაწყევლოს... მაგის შეხედვაც კი არ მინდა...

სალინკა ვითომ რათაო?

მაგდანა რა კარგი მახსოვს, რო ეხლა კიდენა მაგას უცქირო!

ხალინკა ჰოო .. იმ კვირია რო გამოგვიმეს? „მაგდანას დაღიო“ რო ეწერა?

მაგდანა უი, დაიდაღოს და დაიშუბოს მაგი დამწერი .. მაინც ეხლა რა დაუწერიათ, ერთი წამიკითხე, გეთაყვა...

ხალ. ეიჰ, რა დაგემართა, მაგდანოჯან, ჯეელი ქვრივი ხარ... ყმაწვილებს ეკოხტავები... წერკუმსში მაინც ვერ ჩაეწერე, რო აქამდე წერა-კითხვა ვერ გისწავლია?

მაგდ. შენ წამიკითხე...

ხალ. (კ ი თ ხ უ ლ ო ბ ს) „სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აღწერაში გენო ჩოფურაშვილს თავისი ქონების ნაწილი გადაუმალნია“...

მაგდ. როგორ, გენოზეაც დასწერეს?

ხალ. შენ წარმაიდგინე... მეც მაგან გამაოცა!..

3

ხოსო რა იყო, რა, ქალებო... რამ გაგაოცათ?

ხალ. დახე, გენოზე რეები დაუწერიათ?

ხოსო რომელ გენოზე?

მაგდ. ჩოფურაშვილზე, ქა!

ხოსო ვა! ჩოფურაშვილზეაც... კაცო!... კაცი თვითონა სწერს გაზეთებში...

ხალ. შენ წაიკითხე...

ხოსო (კ ი თ ხ უ ლ ო ბ ს) „ეს ის ჩოფურაშვილია, რომელსაც მთაში 5.600 სული ცხვარი ჰყავს და თვითონ კი იფიცება, რომ მას საკუთრივ ცხვარი არა ჰყავს და ის 1.500 სული ცხვარი, რომელიც იმყოფება მის ბინებში, ეკუთვნის რამოდენიმე ამხანაგსაო“...

1-ლი გლეხი (მ ე ო რ ე ს) მაშ ეხლა დაგეკარგა, დაგეკარგა?

მე-2 გლეხი ტომარაც წაილეს იმ ურჯულოებმა, თორენა...

4

შაქრო რა ტომარი, რაზე ლაპარაკობთ?

1-ლი აი ამითვინა მატარებელში კაკალი წაურთმევიათ.

შაქრო როგორ თუ წაურთმევიათ?

1-ლი ლამაათ... სხვაგან წაღება და გაყიდვა არ შეიძლებაო...

მე-2 რა ვიცი, შენი ჭირიმე!.. მითხრეს თუ გლეხებისათვის ბაზარი თავისუფალია... საკუთარი მონაგარისა და ნაპირ-

ნახულევის ყიდვა-გაყიდვა შეიძლებაო... აქ მოველ ბაზარზე და ისეთი მაზანდა დაუწესებიათ, სჯობია მუქთად გადავაგდო... ხელს არ მომცემს შენი ჭირიმე... მეც მიდოდა ჩვენ რაიონის ქალაქში ჩამეტანა... აკი მატარებლიდან არ გადმამიყარეს!

შაქრო მერმე და ეგრე გულ-ხელ დაკრეფილი შეჰყურებ მაგ ამბავსა?

მე-2 მა რა ვქნა, გენაცვალოს ჩემი თავი!..

ხოხო გაიგეთ, ხალხო!.. გენო რომ გამოუპიმნიათ!

შაქრო ჰოო... ჩოფურაშვილი?..

მე-2 როგორ თუ ჩოფურაშვილი!

1-ლი იმასაც მოსცხეს?

მე-2 თვითონ გენოზეაც ლაპარაკობენ?

ხოხო ლაპარაკობენ კი არა... ეეე! კედლი-გაზეთში არ არი გამოპიმული თავის გრძელი ულვაშებითა!

მე-2 ადადადა... გენო, კაცო, სოფლის თავი კაცი...

1-ლი რო აღარავისა ზოგამენ ეგ ოხრები, ა?

მე-2 ჩვენი გულშემატკივარი, ჩვენი მოსარჩლე!

შაქრო გავიდეს იქითა... გულშემატკივარი კი არა... წურბელაა მამა ოხრის შვილი!..

1-ლი ბიჭო, შენ მანდ ხმა დაიმოკლე! — ხეირს არ დაგაყრის..

შაქრო მეტს რაღას დამაყრის... მისი მოჯამაგირე არ ვიყავი?.

მე-2 მართლა, შაქრო, ე!.. ცხვარშია ჰყავდი, მგონი...

შაქრო ჰო და ი ცხვარმა დაუბრმავა კიდეც თვალები... ეგრე გამოეცხადებინა, რო მეო მოჯამაგირე არა მყავს... და ჩვენა აგერა... შვიდნი მაინც ვიყავით .. ეგენიო სუ ჩემი ამხანაგები არიანო...

ხოხო ჰო, ეგრე სწერია გაზეთშიაც... იფიცებოდა, მოჯამაგირეები არა მყავსო...

შაქრო ი ისემც ეგ გატიალდება!

მე-2 აღარავის აღარა ზოგამენ აი! კაცო, შენ წარმაიდგენდი, რო გენოზეაც რასმე იტყოდენ?

1-ლი ჩვენში კი დარჩეს და სუ მაგისი ოინებია, აი...

მე-2 ვისი? შაქროსი?

1-ლი ოო, შენ ვერ იცნობ, მეტი-მეტი მოუსვენარია...

მე-2 პარტიაში ხომ არ შესულა?

1-ლი ეხლა, ძმავ, პარტიაში სუ მაგისთანა ღარიბებსა და ღატაკებს ღებულობენ...

მე-2 ლარიბები და ლატაკები, შკალოსა, ფერი ფუქთახორა ხალხი იყო, მცონარე... ეგ კი ყოჩაღსა ჰგავს...

1-ლი ოო, მაგისთანებში ზედგამოჭრილია... გინდა უთხარი და ნახავ თუ შენი დაკარგული ტომარიცა და კაკალიც მაგან არ დაგიბრუნოს...

მე-2 იი, რას ამბობ!.. მე კი მინდოდა გენოსათვის მიმემართა.

1-ლი კაცო, რა დროს გენოა! ვერა ხედავ რა მოსვლია!

მე-2 აი, დადადა!

5

მაგდ. საბედო, საბედო! — გაიგე, ახალი ამბავი?

საბედო ახალი, მე ვიცი, სუ ოქროებს ჩამოყაპავ... შენი წანკლიანი ენით ვის გაახარებ?

მაგდ. ჰო, ეხლა. შენებურათ ნუ გაუტიე და...

სალ. არა, მართალს გეუბნება... ძაან ახალი ამბავია!

საბედო რაო, ვითომ... მე შენ გეტყვი მამულს დამიბრუნებდნენ!..

მაგდ. მამული კი არა და გენო გაუწერიათ კედლი-გაზეთში!

საბედო უი მოუკვდეს იმას სიყმე... ჩემი ნათლია?

სალ. ჰო... ჩოფურაშვილი.

6

შალიკო (მუშებს, რომელთაც კოოპერატივისაკენ მიაქვთ შეკრული ყუთები) აბა, აქეთ, აქეთ, ამ-ხანაგებო... დაიცა, დაიცა, არ წამოედო... (ეშველება) ეგრე...

მაგდ. შალიკო, შალიკო!

შალიკო რა გნებავთ?

მაგდ. ერთ წუთას, გეთაყვა...

შალიკო (მუშებს) ეგრე მიჰყევით, ეგრე... პირდაპირ კოოპერატივის აივანზე დააწყეთ...

1-ლი კაცო, ე! შეხე როგორ ეზიდებიან და ეზიდებიან კოოპერატივში...

მე-2 ამბობენ სუ გაუმსიათ ჩვენი კოოპერატივი!

ხოხო ოო, ეგ ძაან კაცია... ჩვენი კოოპერატივის ახალი გამგე.

შაქრო მეტად ყოჩაღი და სწორი კაცია... ეგ მარტო კოოპერატივის გამგე ხომ არ არის...

მე-2 კაცო, შენ საიდან იცი ესეები?

1-ლი იქ მთაში არ ეგდე, ცხვარში?

1-ლი — ეეჰრე რო! მე თვალები არა მაქ, ყურები არ მაქს... არ ვიცი განა სოფლისათვის ვინ არის კარგი და ვინ არა?!

ხოსო — შენ... სოფლის საქმე კი არა, მეტიც იცი კიდენა...

შაქრო — ჰო და რა... მე ისიც ვიცი გენოსთან რო კუდი-კუდზე გაქვს გადაბმული და... პურის სპეკულიაციას ეწევი.

ხოსო — ჰაიდაჰა! სთქვა რაღა რუქამ არაკი!

მე-2 — რაო? რა სთქვა? სპე... ლაციას? ეგ რაღა არი?

1-ლი — შენ, ბიჭო, ე! პარტიაში ხო არ ჩაეწერე?

შაქრო — ეეჰ, ჩემისთანა ჩამორჩენილები პარტიას რათ უნდა, მაგრამა... პარტიაში რომ არ იყო, განა ისე კი ვერ უნდა გაარჩიო მრუდე და მართალი?

ხოსო — მე, ჩემო ძმაო, ერთი ლატაკი კაცი ვარ... ეგ ვილასაც შენთვის უთქვამს დიდათ მიუქარამს და მეორეჯერ აღარ გამაგონო...

შაქრო — მე რა, ამხანაგო! შენ არ უნდა ჩადიოდე ცუდ საქმესა, თორე... ჯერ კიდევ არ ვიცი კარგა გარკვევით, თორე თუ დაგიმტკიცდა...

ხოსო — შენ შენ თავს მოუარე... ისა სჯობია!

შალიკო — (მ ა გ დ ა ნ ა ს) ეგრე არ შეიძლება, წესი არ არის!

მაგდ. — დალოცვილო, მე წესს გარეშე მინდა, თორე... წესიერათ ხო ყველა გამიკეთებს...

შალიკო — ჰო და ვისაც გაუკეთებია, იმან გაგიკეთოთ...

ხაბედო — (ს ა ლ ი ნ კ ა ს) შეხე მაგდანასა! — ეი, მეხი კი დაგაყარე მაგ ფაშფაშა კაეებზე... ხედავ, როგორ ეკურკურება კომპერატიას გამგეს?

ხალ. — ეი, თვალებიც კი გამოსპულეტია!. შალიკოსთან ეგ რას გაიტანს?!

ხაბედო — აკი სახლში რამდენჯერ მიიწვია, მაგრამა... ერთხელაც თურმე ფეხი არ დაუდგამს...

ხალ. — განა იმისთანა ყმაწვილია, რომ ტურტლიან დედაკაცებს თავი გაუყადროს...

ხაბ. — მაინც ამ მაგდანამ რომ ერთი ხეირიანი არ გაუშვა ამ სოფელში...

ხალ. — ჰო და აკი იმიტომაც გამოჭიმეს იმ კვირია კედლიგაზეთში... მისი სახლი დომ-სვიდანიაარ...

ხაბ. — განა არა! ეხლა მომაგონდა!.. შენთან აბა სად მოვა?..

ხალ. — როგორ თუ ჩემთან?

ხაბ. — უფრო შენკენ უპირავს თვალი იმ შალიკოსა...

ხალ. აბა რა სათქმელია!

ხაბ. არ მიკვირს, შენმა სიცოცხლემ... ქალაქელი ქალი ხარ... მომღერალი ბაგრატა რო იყო, მისი ქალი... განა არ ვიცი!

ხალ. მემრე რო?

ხაბ. ცოტა პეწიანიცა ხარ... გიტარაზე რო დაუკრავ და „მხოლოდ შენ ერთს“ იმღერებ, თვალები რო აგიჟუჟუნდება...

ხალ. იი, რეებს ლაპარაკობ!

ხაბ. ჩემმა მზემ, მართალია!.. იმ დღეს შენი ქმარი ზურაბა ცოტა ნაღვინევი კი იყო...

ხალ. მისმა მზემ, არ იკადრებდა აი... ის სპირტში ჩადებული ისა...

ხაბ. ჰო და... სუ ისე ზლუქუნებდა, როგო კაი ბალღი...

ხალ. მერმე და რა მინდაო?

ხაბ. შენ გიჩიოდა!

ხალ. კარგი მესაიდუმლე არ გაუჩენია!

ხაბ. ვიცი რო შალიკოსთან მღალატობს და არ ვიცი რა უყოვო...

ხალ. ვღალატობ კი არა... თავისთვის ეგდოს, თორემა... შენ შეხე იმ გამობრუჟულსა... ხმა ამოიღო? მაბეზღებს კიდეცა?

ხაბ. ჩემგან კი ნურა გრჯის რა! — შენ კი გაიხარე... მართალია, რომ ჩუმ-ჩუმათ შენ ქმარს სცემ კიდეცა?

ხალ. დახე, იმ ყურუმსაღსა იმას...

ხაბ. მაშა! ყველაფერი ჩამიკენჭა.

ხალ. მე იმას ვაჩვენებ ჩაკენჭვასა!

შალიკო (მ ა გ დ ა ნ ა ს) ქალო, რო ვერ გაგაგებინე... ეგრე საქონლის გაცემა არ შეიძლება-მეთქი...

მაგდ. არა, მაგას აღარ გეუბნები... ამ საღამოს არ გეცლებათ?

შალ. არა. ამ საღამოს მიღებული საქონელი უნდა აღვრიცხო და გავანაწილო...

მაგდ. მაშ ხვალ საღამოს ..

შალ. ქალო, რა გნებავს ჩემგან? — ხვალ საღამოს კიდევ კრება მაქვს...

მაგდ. რა არის, შალიკო... ერთხელაც ჩემთვის ვერ მოიცალე...

შალ. ჯერ ერთი ესე შინაურულათ ხელს ნუ მკიდებთ... მეორე კიდევ მე თქვენი შალიკო არ გახლავარ...

მაგდ. არა, მე რა, გეხაცვალე... ყველანი შალიკოს გეძახის ამ სოფელში... იმიტომ რომ ყველას უყვარხარ. — ყველანიც გპატიჟებენ... ყველგანაც დაიარები... აი, იმ დღეს ზურაბასთან, სალინკასთანაც იყავ...

შალ. ტყუილი მოუხსენებიათ... მე არსად არ დავიარები... და ეხლა კიდევ არა მცალიან...

მე-2 მაშ გურულია ეგ შალიკო?

1-ლი გურულია, გურული! გააჭირეს საქმე ამ გურულებმა... სად არ გინდა, რა საქმეში, რო ისინი არ იყვნენ!

შაქრო ამხანაგო, აბა ეგ რა საკადრისია! გურული განა ადამიანი არ არის? ქართველი არ არის?.. სუ ერთი არ არი თუ საქმეს კარგა წაიყვანს, ჩვენი სოფლელი იქნება, კახელი თუ გურული?

მე-2 ეგ ეგრეა, მაგრამა...

შაქრო რა მაგრამა, რა?.. გამჭრიახი ხალხია, ცოდნას ეტანება, წინ მიდის და თავს ეგრე რიგათ არავის დააჩაგვრინებს... აი, შენ რო მოგსვლია, ეგ გურულს თავის დღეში არ მოუვიდოდა...

მე-2 რა? კაკალი რო წამართვეს და აღარც ტომარი დამიბრუნეს? რა? გურულს, გურული რომ არის, მიტომ არ წაართმევდნენ?

შაქრო არა, გურულობისათვის კი არა, მაგრამა ის... შენსავით ბედს არ შეურიგდებოდა... იქ მივიდოდა, აქ განაცხადებდა, სხვაგან სადმე კიდევ იჩივლებდა, საქმეს ღდინამდე ჩაჰყვებოდა და...

1-ლი მართალია, ტომარს მაინც ამოიგებდა...

7

ზურაბა-მედოლე (ნაღვინევია, მოიმღერის, მიდის ქალებთან).

1-ლი ოო, ზურაბა, ზურაბა! ერთი ჩვენკენ გამააშურე... შეხე, ისევ გამობრუჟულია...

მე-2 ისე რას დადგება? დილიდგან თუ არ შეაყოლა...

ხოხო მაგის ცოლის პატრონი...

შაქრო განა ღალატობს?

ხოხო საკვირველია, რო ყველაფერი იცი და ეს კი არა გცოდნია... უთუოდ იმისათვის, რომა ეგ საქმე ცოტათი შენგან ნაქებ კაცსაც შეეხება...

შაქრო ვინ არის ჩემი ნაქები?

სოსო აი, ჩვენი კოოპერატივის გამგე. განა ჩვენ კი არ ვიცით ზოგ-ზოგი ამბები...

შაქრო არა მჯერა, მაგრამა... თუნდაც ეგრე იყვეს... მაგისთანა ქმარს შალიკო არა სჯობია...

მე-2 ეჰე, საით გადაუხვია... შენ, ბიჭო, ეხლა გარყვნილებას ჰქადაგებ?

სოსო ხელს აფარებს, რაღა!

შაქრო რათა, რათა? ეგაა? რამდენათაც მე მესმის...: ნებაყოფლობის საქმეა!

მე-2 ჰაი გიდი, რა არი ნასწავლი ხალხი და... როგორ იოლათ უყურებს ამ საქმესა!

სოსო ნასწავლი, თორე სოფლელებში კი არა ხდება ესეთი ამბავი...

შაქრო შენ რა გულზე დაგეცა! რა ნასწავლი შენა მყევხარ, რო...

1-ლი რათა, კაცო, რამდენათაც ვიცი, სოსოს ერთი ორი კლასი გაუთავებია...

შაქრო მისმა მზემ, პრაფესორია, აი!

სოსო არა, მე იმას ვამბობ, რომ ეხლანდელ სოფელში ქალ-ვაჟი ლორ-ხბოსავით ერთი-მეორეში არიან არეულნი... ვინ ვის აწევს, ვინ ვისთან წევს... ძნელი გამოსარკვევია!

ზურაბა (მ ი დ ი ს მ ა თ თ ა ნ ს ი მ ღ ე რ ი თ) გამიფრინდა თეთრი, თეთრი კამბეჩი!

შაქრო მართლა რო გაგიფრინდა, მხოლოდ კამბეჩი კი არა... ა, ძია?

მე-2 ჰო, ჰო!

სოსო რა დრო გქონდა, ა, ზურაბა!

ზურაბა (მ ღ ე რ ი ს) ვაჰ, დრონი, დრონი ნაქებნი მტკბარად, წარვიდნენ, განქრნენ, სიზმრებრივ ჩქარად!

სოსო ამ კნიაზებში რო ჩაჯდებოდი!.. აქეთ ქეიფი, იქით ღვინო... მერმე დასაჩუქრება, ფულები! გაჰკიოდა და გაჰკიოდა ჩვენი ზურაბა ბაიათებს...

მე-2 ნეტა თუ ეხლა კიდევა-ღა მღერი ბაიათებს?

1-ლი სიმღერით სუ მუდამ მღერის, მაგრამ ვიღა ამღერებს!

შაქრო ჰა, ჰა! ქორწილები აღარ არის, ნათლობა და ეკლესიებთან ლამის თევა...

1-ლი შენთვის გადავარდა, აი ზურაბა, ყველა ესენი!..

ხოსო — არა, ზოგ-ზოგან კი ჯერ ჯერობით ჩუმ-ჩუმა ჯვარსაც იწერენ, ბავშვებსაც ნათლამენ და ზურაბასაც იწვევენ კიდეცა, მაგრამა არა მგონია, რო ფულები ბლომათ დაგროვოს... სადღაა ძველებური, გაშლილი ქეიფი?

მე-2 — ეხლა მენას რო ერთ ტაქან ღვინოზე დავპატიჟო არ იმღერებს?

შა რო — რატომაც არ იმღერებს რა... ხელობა რა არის!

1-ლი — შენ ეხლა ღვინოზეაც ჰპატიჟებ ხალხსა?

მე-2 — მა რა, ამ გაჯავრებულ გულზე... ერთ ორს გადავკრავდი კიდეცა, მაგრამ რა? ღვინო რომ არ იშოვნება?

ხოსო — კაცო! ჩვენში და ღვინო ვერ იშოვნოს კაცმა?

შაქრო — შენ რა, ეხლა ამაშიაც კოოპერატივი გინდა გაამტყუნო?

1-ლი — კარგია ეხლა, თქვენც კიდევ ნუ მააყოლეთ! ღვინოს მე დაგალევინებთ, აგერ არა მაქვს წამოღებული?

მე-2 — უჰ, შენი პროშტი კი რა ვქენ, შენი...

ხოსო — კაცო, საიდგან გიშოვნია?

1-ლი — ჩემია, კაცო, ჩემი ვენახისა... ერთი ტიკჭორა გამოვიტანე, მინდოდა ბაზარზე გამეყიდნა, მაგრამ არ გამიშვეს...

ხოსო — შენც როგორ ამასავით მოგსვლია! ვერ უთხარი, რო გლეხებისათვის თავისუფალი ალებ-მიცემობაა გამოცხადებული-თქო?

შაქრო — გაზეთშიაც წერებულა, აი! მთავრობის ბრძანებაა, რო გლეხებს ნება აქვთ, რაც დადებულ პირობის ძალითა შეწერილი არა აქვს, სხვა ყოველივე შეუძლიან გაჰყიდოს თავისუფლათ.

1-ლი — მეც ეგრე უთხარ... განა ამასავით თავი დაუდე... მაგრამა მილიციონმა გამომიცხადა, რო მე გაზეთისა არა ვიცირა, ჩემს მთავრობას ჩემთვის არა უბრძანებია-რაო...

ხოსო — კაცო, განა რამდენი მთავრობა გვყავს?

მე-2 — შენ მაგას თავი დაანებე... ერთი დაგვალევინე, თუ მართლა თანა გაქვს...

1-ლი — დაგალევინებთ, მხოლოდ ერთი პირობით: ერთ კვარტს მე ჩამოვასხამ, დანარჩენი კიდევ შენი ხარჯისა იყოს, ა, ძმაო, ცუდი სიტყვაა?

მე-2 — ჰო, კარგი, გამოვრიგდებით...

ხოსო — მაშ კარგი... საუზმეს რასმე მე ვიყიდი.

ლექსო (გ ა მ ო ი ვ ლ ი ს) შაქრო, არ მოდიხარ?

შაქრო რა იყო?

ლექსო როგორ თუ რა იყო. — კომუჯრედში უნდა წამოხვიდე, ეხლავ...

შაქრო რა მინდაო?

ლექსო ჩოფურაშვილზე დამატებითი ცნობები უნდა მოგვაწოდო..

შაქრო ჩვენი კოოპერატივის გამგეც ხომ იქ იქნება?

ლექსო შალიკო? რაღა თქმა უნდა... წამო, ჰო, ნუ ჯანჯლობ! (ქ ა ლ ე ბ ს გ ვ ე რ დ ი თ ჩ ა უ ვ ლ ი ა ნ) ფოფოდიას კი ტუ-ჩები ისევ შეულებნია...

ქალები ვინ არის, ქა, ფოფოდია?

ლექსო (ს ა ლ ი ნ კ ა ზ ე) განა ეს ფოფოდია არ არის?

სალინკა ჰა, ჰა. — რა ხუმარა ხარ, ლექსო! მე და ფოფოდია.... ვითომ ვერ მიცანი!

შაქრო ეგ ხო ზურაბა-მედოლეს ცოლია.

ლექსო (გ ა ნ გ ე ბ ი პ რ ა ნ ჭ ე ბ ა) ოჰ, უკაცრავათ! შემცდა ძალზე!.. ჰო, აი ეს არის (ს ა ბ ე დ ო ზ ე) ცოტა მუცელი დაფუკვია,. მაგრამა ისე კი მაინც გაფაშფაშებულია...

ხაბედო უი, მეხი კი დაგათხლიშე მაგ კაკუტა თავშია... წმინდა. სული შენ არა ხარ...

ლექსო შეხე, შეხე! კრიალოსანიც რომ გადაუკიდია... სამონაზვნო... კრიალოსანს თავზე ჯვარი აქვს... (ს ა ბ ე დ ო გ ა ბ რ ა ზ ე-ბ უ ლ ი მ ა ლ ა ვ ს კ რ ი ა ლ ო ს ა ნ ს) რა არის, ბები! გინდა. ძველი ცოდვები მოინანიო? სულის ცხონებას შეუდექი?

ხაბ. გამეცალე-მეთქი, შე ქიზიყელო ტიღავ, შენა!

ლექსო აჰ, ბოდიში, ბოდიში დიდ მანდილოსანს... აქაც შევცდი. ხომ... ეს ფოფოდია კი არა ჩვენი მიკიტანის ცოლი არ. არის?.. ჰოო, ყოფილი მიკიტანისა?

მაგდ. წავიდეთ ერთი, გავეცალოთ ამ მასხარას!

ლექსო შენ სადღა მიბრძანდები, შე-გადახჩუბულო!... გიცნობთ, მაგდანოჯან, გიცნობთ... კანჭებს უყურე, ბუბერ კანჭებს.... როგორ გაუშიშვლებია... კაბა ზევით აუსხლეტია... ჰა, ჰა, სამივეს მოხვდათ თუ არა!

1-ლი კაცო, ეხლა სულ ჩვენ ვლაპარაკობთ... ზურაბასაც ვათ—ქმევინოთ რამე...

ხოსო ვათქმევინოთ, თორე სოლომონ ბრძენის იგავ-არაკებს გვეტყვის... ის არა სჯობია, ვამღეროთ! აბა დამიწყე: „თეთრო ბატო!“ (სიმღერა. თან სმენ).

9

ხაბედო ოჰ, გენაცვალოს ჩემი თაეი, გენო! ერთი დაგვიფარე ამ ლაწირაკებისაგან...

გენო (მხიარულად. ეტყობა კმაყოფილია თავის ბედისა) აა, გამარჯვება ქალებს... რა იყო, ნათლიდედ, რა მომხდარა?

მაგდ. რაღა რა მომხდარა... ამ ლექსოსაგან მაინც მოსვენება აღარა გვაქვს... სოფლის მოედანზეაც კი ვერ გამოესულვართ...

გენო რა? კიდევ გაგწერეს კედლის გაზეთში? ეგ რა უყოთ! შენი ბრალია, მაგდან... ნურას ჩაიდენ ისეთს და არ გაგწერენ...

მაგდ. რის გაწერაო, რას ამბობ? ვინც გაწერილია იმან იკითხოს...

გენო (სალინკას) აჰა, მაშ თქვენ გაგწერეს და იმიტომ ბრძანდებით გაბუტული?.. რას იზამ, ქალო... ჩვენი ხელისუფლება სასტიკია... ჩვენ არავის იოტის ოდენა შეცდომასაც არ ვაპატიებთ... (სიტყვა „ჩვენს“ ხაზს უსვამს).

ხალ. ეს რეებს ლაპარაკობს!

გენო ესეა, ესე, ქალებო... ამ შემთხვევაში მე ვერ გიპატიებთ... ჩვენ ხელისუფლებას სიმართლე უყვარს და მეც სიმართლეს ხელს ვერ დავაფარებ...

ქალები
— რომ ვერ გაიგეთ რას გეუბნებით!
— ხელის დაფარება კი არა!
— თუ ასეა საქმე ჩვენ სულ არ შეგვეხება.
— არამედ თქვენ!

გენო (მაინც თავისას გაიძახის) ვერა, ქალებო, ვერა! ძალიან პატივსა გცემთ, ძალიანაც მეცოდებით, ერთი თქვენგანი ჩემი ნათლიდედაც კი არის, მაგრამ თუ გაზეთში გაგწერეს მე ვერას გიშველით... ტყუილა არ გაგწერდნენ... ფაქტები დაგროვილი ექნებათ...

ლექსო (დაცინვით) დიახ, ფაქტებზე... სულ ფაქტებზეა დამყარებული.

გენო (ლექსოს თავზე ხელს გადაუსვამს) აი გაიზარდე! ხომ ხედავთ, ეს ტყუილს არ იტყვის!.. ყოჩაღი ხარ, ყოჩაღი ლექსო... ეგრე, ეგრე მისცხე, მისცხე ჩვენს მტრებსა... ქალი იყოს, გინდ მამაკაცი, დაუზოგავათ. ვინც გვიშლის ხელს ჩვენ დიად მუშაობაში, ვინც აფერხებს ჩვენს თავგანწირულს საქმიანობას...

ლექსო (ეშმაკურათ) მეც სწორედ ეგრე ჩავდივარ... ვინც უნდა იყოს, რაც უნდა მიჩნეული იყოს ხალხში, რაც უნდა პატივცემული... თუ რამ აღმოუჩინე, მაშინვე...

გენო ჰე, ჰე! ეგრე, ეგრე! მოწინავე ახალგაზრდა ხარ... (შაქროს) ოჰ, გამარჯვება პრინცს... სეირნობთ? ისვენებთ?

შაქრო მალე გაიგებ, როგორც ვისვენებ...

გენო არა, მოუსვენარი პრინცი კი ხარ... და პრინცული ხასიათიც გაქვს: გიყვარს მუქთახორობა, მხარ-თეძოზე წამოწოლა და თან ყაილა, ალიაქოთი... სასიკეთოთ არ იქნები გამოსული...

შაქრო დინჯათ, ჩოფურაშვილო, დინჯათ... მალე გაიგებ-მეთქი რისთვისაც ვარ გამოსული...

მე-2 ბატონო გენო, ბატონო გენო!.. ერთი აქაც დაგვხედე და...

გენო ოო, ტკბილ კამპანიას მოუკალათნია კიდეცა... რა ამბავია, რო ამ მოედანზე ესე სააშკარაოზე ღვინოს შეექცევით?

1-ლი სხვაგან ვერ ვიშოვნეთ და... მა რა უყოთ!

ხაბედო ეს რეები მოჩმახა, გეთაყვანე?

ხალ. ჯერ არ იცის თვითონ რა მეელის!

მაგდ. როგორა შინებია ი კედლი-გაზეთისა!.. თუ ვინმე გასწერესო... როგორა სთქვა?

ხალ. ჰმ... ის კი არ იცის თუ... თუ ვინმე გასწერეს, სწორედ ეგ გასწერეს ისე, რომ...

შაქრო ისე, რო ალაზანიც ვერ გარეცხამს... მართალს ამბობს აი...

ხაბ. ვაი, შე-უბედურო! სხვებს დასცინის და თვითონ კი გაწერილია...

მაგდ. ჰმ... მაგდანაო გაწერილიაო!

ხალ. ის კი არა თუ თვითონ არის გაწერილი.

გენო (მე-2 გლეხს) მერმე მაგას რა უნდა... მე ვერ მითხარი?.. წამოდი, ხელათ ამოგიგო შენი კაკალიცა და შენი ტომარიც... სულ რამდენი იყო?

მე-2 კაკალი?.. სულ რაღაც 5 ფუთი იქნებოდა.

გენო კარგი „რაღაც“ ყოფილა შენმა მზემ! ფუთს ხო უკანასკნელი ოთხ თუმან ნაკლებ არ გაყიდდი... რას ამბობ, ე! ოცი თუმანი ვის გადაუგდია...

მე-2 ჰო და მიშველე, ეგრემც დღეგრძელობა ნუ მოგაკლდება...

შალიკო (ქალებთან მივიდა) რა ამბავია, დღეს დიდი მხიარულებაა ჩვენს მოედანზე... ეგერ ღვინოსაც სვამენ... ოოჰ, ჩოფურაშვილიც გამოჩენილა! ეტყობა ისიც მხიარულადაა.

შაქრო ჯერ კიდევ თავისი ამბავი არ გაუგია...

შალ. ჰოო... მართლა, შაქრო, ლექსომ ხომ გითხრა?

შაქრო როგორ არა, სწორედ ეხლა ვეპირებოდი წასვლას.

შალ. ძალიან კარგი. მეტად საჭირო და საშურია, მაგრამ... ჯერ კიდევ ვერ მოვრჩი მიღებულ საქონლის ამოლაგებას და ცოტაც დამიცადეთ...

სალ. მართლა, ბევრი რამ მიიღეთ ეხლა კოოპერატივში?

შალ. ოო, ბევრი, ბევრი... არც კი ვიცი სად დავტიო... ყველაფერი მაქვს ეხლა: მანუფაქტურა, საპონი, შაქარი, თეთრეული... რა გინდა სულო და გულო...

სალ. როდის შეუდგებით დარიგებას?

შალ. მე მგონი ხვალ თუ არა მაზეგ მაინც... აი, დღესვე გამოვაცხადებ.

ზურაბა (მღეროდა, შესწყვიტა) არ ვარგა!

გენო რა არ ვარგა, ზურაბა? ჰოო, მიგიხვდი... შენ ცოლს რომ შალიკო ეკურკურება?.. შენც ყურადღებას ნუ მიაქცევ.

მე-2 რა დროს ეგეებია... მოდი, ეს დალიე...

ზურაბა (ცოლისკენ იხედება, მკერდზე მჯიღს დაიკრავს. სვამს).

სოსო შენ ის დამიწყე, ზურაბა... „გახსოვს ტურფავ!“ (სიმღერა).

1-ლი კაცო, ზურაბა! ე თვალებს როგორა სჭუტამ სიმღერის დროს...

გენო ეგრე იცის. ჩამწვარია სიმღერაში... ნუ ასმევ და ნუ აჭმევ... ოღონდ ამღერე კი და... მერმე ისე გაიტაცებს თავისივე ხმა, რომ არავის დანახვა აღარ უნდა...

მე-2 ე რა ყოფილა, შენი ჭირიმე!

1-ლი ზოგიერთმა ჩიტმა იცის ეგრე: თვალი უხუჭია და ჭიკჭიკებს.

ხოხო — რა მაგის პასუხია და, ბატონო გენო, დღეს ჩვენი კედლის გაზეთი არ წაგიკითხავთ?

გენო — არა! აბა სადა მცალიან იმის კითხვისათვის... შალიკოსა და ლექსოს შედგენილი გაზეთი ვიკითხო?

ხოხო — ჰო, ეგეც კია, სუ ჭორებია შიგა...

გენო — დიახ, სუ წვრილმანი რაღეებიც. ამა და ამ დედაკაცმა მავანსა და მავანს შეაგინაო... რა უყო ეხლა თუ შეაგინა. ან კიდეევა საერთაშორისო პოლიტიკაზეა წერილები მოთავსებული... არა სჯობია, ძმაო, პირდაპირ გაზ. „კომუნისტის“ მეთაური წაიკითხო, ვიდრე შალიკოს ნაცოდვილარი?.. მაგაზე ბევრათ უკეთესს მე თვითონა ვწერ გაზეთებში.

მე-2 — ჰო და მეც ეგ მაკვირვებს, გენოჯან... როგორც გამიგია თვითონ შენა სწერ გაზეთებში... აქაური თავი კაციცა ბრძანდები... მრუდე და მართალი ყველანი შენთან მოვდივართ ჭკუის საკითხავათ... მთავრობასთან მიღებული კაცი ხარ, გავლენიანი. — ჰო და როგორ გაგიბედეს?

გენო — რა გამიბედეს? ვინ გამიბედა?

მე-2 — აი... გაზეთში რო ჩაუგდიხართ...

ზურაბა — (ისევ ცოლისკენ გაიყურება. სიტყვას წამოისვრის) არ ვარგა!

გენო — რომელ გაზეთში? სადა?

ხოხო — აკი მოგახსენე... კედლი-გაზეთი არ წაიკითხე-მეთქი.

გენო — კედლის გაზეთში? აბა სად არის? (მიდის).

ზურაბა — (წამოიწევს).

მე-2 — შენ სად მიდიხარ, ე?

ზურაბა — ღამდება... ნავთი არა მაქვს სახლში... უნდა წავიღო...

1-ლი — არ გაგიშვებთ, არა!

ხოხო — ნავთს მოასწრებ, კაცო... ჭურჭელიც რო თან არა გაქვს? ეხლა მაგისათვის სახლში უნდა წახვიდე, მერე როდისღა დაბრუნდები.

ზურაბა — (ჯიუტათ მიიწევს) მალე!

გენო — (გაცხარებული) არა, აბა როდის იყო, რომა დამალულათ მე მოჯამაგირეები მყოლოდეს?

შაქრო — აქა ვარ, აქ... მაგას მე დაგიმტკიცებ...

გენო — (ყურს არ უგდებს) როდის იყო, რომა კოლმეურნეობის წინააღმდეგ მე გამოვილაშქრე... პირიქით, ჩემს საგაზეთო წერილებში სულ მაგის საჭიროებას ვქადაგებდი...

შალიკო საქმეც ეგ გახლავთ, რომ წერით ერთსა სწერთ და საქმით კი სულ სხვას აკეთებთ...

ლექსო ნამდვილი მავნებლობაც ეგ გახლავთ...

ბენო რაო, რაო? შე-ლაწირაკო შენა... როგორ მიბედავ! მე, რომელიც 905-ს შემდეგ რევოლიუციისათვის თავგადადებული ვიყავ...

შალ. უბედურებაც ეგ არის, რომ თუ რაიმე რევოლიუციონური წარსული გქონდათ, სრულიად აქარწყლებთ აწინდელის თქვენის მოქმედებით...

ბენო ვინ მეუბნება ამას, ვინ? გუშინდელი ღლაპი! თქვენ დაბადებულიც კი არ იყავით, ამხანაგო, როდესაც მე ხალხის გულისათვის ციხეში ვლპებოდი...

შალ. ეგ არაფერს არ ნიშნავს, თუ კი დღეს თქვენ ხალხს მავნებლათ ევლინებით...

ბენო ჰა, ჰა! მე ვარ მავნებელი, მე?

შალ. დიაღ. თქვენ, როდესაც გლეხობას უქადაგებთ მავნე აზრებს. როდესაც თქვენ ავრცელებთ ცრუ ხმებს კოლმეურნეობაზე, რომ ვინც კოლმეურნეობაში შევა, ის სახაზინო გლეხათ იქცევაო, აი, როგორც წინეთ იყო...

ბენო მაგას მე ვამბობ?

შალ. ეგ რა არის! თქვენ ქადაგებთ: რა საჭიროა ყველა ეს საწყისები — კოოპერატივი, სესხი, თვითდაბეგვრა და სხვა. ვის რათ სჭირდება? სჭირდება მხოლოდ კომუნისტებს! ყველა ესეები კომუნისტების გალიფეებზე და კოვერკოტებზე იხარჯებაო.

ბენო მე ვარ ყველა ამის წინააღმდეგი?

შალ. დიაღ, თქვენ...

ბენო სიცრუეა უზარმაზარი!

შაქრო შენ არ იყავ კოოპერატივის წინააღმდეგი?

ბენო შენ მანდ ჩუმად იყავ... რაც არ გაგეგება იმაზე ნუ ლაპარაკობ... მე კოოპერატივის წინააღმდეგი კი არ ვიყავ, არამედ მისი, რომ კოოპერატივის მუშაკები არიან-მეთქი გარეწრები, უთაურნი და სხვ. მე ვამტკიცებდი თავის დროზე და არც დამიმალავს, რომ კოოპერატივში კარტოფილს ობი ჰქონდა მოკიდებული, ხახვი ამოსული იყო და პომიდორი დამპალი...

ხალ. ეგ წინანდელ გამგის ხელში.

გენო ოჰ, უკაცრავათ, ქალბატონო... თქვენც ბუქარში ერევით?.. მე შალიკოზე არაფერს ვამბობ, პირიქით, მაგას მე მუდამ მხარს უჭერდი...

შალ. დიდათ გმადლობთ, არაფერი საჭიროა!

გენო მე მაგაზე წერილიც კი მოვათავსე და ხედავთ... როგორ მიხდის? რეები შეუთხზავს ჩემზე... მაგრამ ფრთხილად იყოს...

შალ. მე თქვენი მუქარის არ მეშინიან... მხოლოდ საცა რიგია იქ გამოვარკვევთ თქვენს ვინაობას — გლეხებს რომ ამას წინეთ არწმუნებდით თურმე: გაზაფხულზე საბჭოთა ხელისუფლებას ბოლო მოეღებაო!

გენო აჰ, შე-ყურუმსაღო შენ!.. (მიიწევს. შემოჯგუფული ხალხი აკავებს) ხედავ რეები მოჩმახა!

შაქრო ამას ჩვენ დაგიმტკიცებთ!

გენო აა, მაშ ესე პირი გაქვთ შეთქმული?.. შაქრო ბატრაკი, ეს „კომწომოლა“ და შენც... შენც მოწინავე მუშა-კოოპერატორი ჩემს წინააღმდეგ დაირაზმენით... გინდათ გამაშავოთ? ვერ მეესწრებით ამ დღეს. ამ ორს მე ვიცი როგორც მოუგრეხავ კისერს და შენ კი მოუარე იმ შენს კოოპერატივს, მის საწყობს...

შალ. ვითომ რა უნდა მოუვიდეს... უსუშკა და უტეჩკა? თქვენ არხეინათ ბრძანდებოდეთ...

გენო ეგ არ ვიცი მე... ერთ მშვენიერ ღამეს ცეცხლი არა წაეკიდოს.

შალ. (შეკრთება) ცეცხლს ვინ წაუკიდებს თუ არა შენისთანა მავნე და ხულიგანი...

გენო აი გახსომდეს და... მაშინ ნახავ, რაც მოგივა... შენა გგონია ჩემი ჭიდილი ესე შეგრჩება?

შალ. ხალხო! გესმით — იმუქრება: კოოპერატივს ცეცხლს წაუკიდებო! (სხვებ შორის ზურაბა-მედოლეცნავთის ჭურჭლით აქარის მოსული და დამშვიდებული დგას).

გენო ჰო, ხალხს ნუ მისისიანებ... ტყუილია... ხალხს ჩემი სჯერა...

შაქრო უბედურებაც ეგ იყო, მაგრამ, მერწმუნე, თქვენი ავტორიტეტი უკვე შეირყა... ხალხმა გაიგო ვინც ბრძანდებით!

ლექსო მგელი ცხვრის ტყავში გახვეული...

გენო (ჩექმიდან მათრახს ამოიღებს და მოულოდნელათ გადააწნავს).

ლექსო ვაი დედა!

გენო ესე ვაი დედას ვაძახებ ჩემს მოწინააღმდეგებსა!

საბედო კარგია, გენო, გენაცვა... მოშორდი აქაურობას... რა თავს უყადრებ! (გაჰყავს განზე).

შალ. ფერი ფერს, მადლი ღმერთს!

გენო (უეცრად მობრუნდება) რაო? ეს ჩემი ნათლიდედა მაინც არის და შენ კი მანდ რომ გვერდში ამოგდგომია... მის ქმარს, ზურაბა-მედოლეს რას ეუბნები?

შალ. ფუჰ, უსინდისო კაცი!

სალინკა მოშორდი, მოშორდი, გენაცვა, შალიკო... ხომ იცი, რომ შხამს გადმოგანთხევს...

ზურაბა არ ვირგა!

მე-2 ეს რა ვნახე ჰაი დედასა!

1-ლი ძალიან არ იყო, ა?

მე-2 წამო, წამო, სოსო! რას გამიშტერდი?

სოსო ჰო, არაფერი! ღვინო კიდევ ჩარჩა ტიკპორაში?

მე-2 ჩარჩა, ჩარჩა...

სოსო მაშ წავიდეთ! ზურაბა, ზურაბა! — აბა დამიწყე... ლაალე, ლაალე!

ზურაბა არაფერიც არ იქნება!

ზ ა რ დ ა

მოქმედება მეოთხე

იქვე

1

ლექსო — რა არის, შაქრო, დაღლილსა ჰგევხარ... წუხელის რა, არ დაგიძინია?

შაქრო — ეგრე იყო!

ლექსო — ვითომ რათაო?

შაქრო — შალიკომა მთხოვა წუხელის კოოპერატივისათვის მედარაჯნა.

ლექსო — ოჰო! გენოს მუქარის შეეშინდა?

შ·ქრო — ოო, საფრთხილო კაცია გენო! შენ ვერ იცნობ! ის ტყუილა სიტყვას არ წამოისვრის.

ლექსო — მერმე და თვითონ რა ჯარგი დღე დაადგება! ჩვენ ყველანი მოწმე არა ვართ, ოომ იმუქრებოდა. არა, შაქრო, არა, ეგრე სულელი არ არის...

შაქრო — სულელი დიაღაც არ არის, მაგრამ დაწვით შეიძლება, რო მართლაც დაწვას. ეხლა მაინც ძაან აუხირდა შალიკოსა და...

ლექსო — მერმე შალიკომ შენს მეტი ვერავინ იპოვნა? დარაჯი რა უყო?

შაქრო — დარაჯი? ავათ გახდომია თუ რაღაც და... სანამ ახალს დაიქირავებდეს ..

ლექსო — რაღა თქმა უნდა სანამ ეგრეა ყველანი უნდა დავეხმაროთ, მაგრამა შენი მოცდენა კი ცოდვაა...

შაქრო — შენ ეგა თქვი და... არცა მცალიან... ამ დღეებში მებოსტნეების არტელი უნდა შემედგინა... გაღმა სოფელში ბიჭები მყავს შეგულებული და... არ ვიცი კი რა უყო შალიკოსა...

ლექსო — შენ შენ საქმეს მიხედე... შალიკო აქ კაცს იშოვნის... თუ არა და აქ არა ვარ!

შაქრო — ეი, ყოჩაღი ხარ, ჩემმა მზემ... მაგრამ ე თითი ტოლა ბავშვი რას გააწყობ?

ლექსო — შენ არხეინათ იყავ. ბნელაში ისე ვხედავ, როგორც კატა... ძილი ახირებულათ თუ მომეკიდოს... იმდენი სიმღერები ვიცი, გათენებამდე მეყოფა... თუ დამჭირდა, სროლაც ვიცი... განა ჩვენ არ გვასწავლიან...

2

1-ლი გლეხი — კაცო, გაიგეთ ახალი ამბავი?

შაქრო — კიდევ რაღა არის?

1-ლი — როგორ თუ რა არის? გუშინ სახლში რომ მიველ ჩემი ჯალაბობაც და მთელი ჩვენი მეზობლობაც აწრიალებული დამხვდა: გადასახადები მოგვთხოვესო. ჩვენაო კარგათ ვიცით, რომა საშუალო გლეხობას ახლად გამოცემულ კანონის მიხედვით სათანადო შეღავათები გვაქვს მონიქებულიო. ჩვენ მოგვადგენ და კულაკები კი თავს არხეინადა გრძნობენ, არცა სწუხან გადასახადების შეტანისათვისაო...

ლექსო — აქ რაღაც ოინია, იცოდეთ, თორე აბა კულაკებს ვინ დააცდის.

1-ლი — მე რა ვიცი... ეი სასოფლო საბჭოში მივდივარ ერთი კარგა გამოვარკვიო, თორემა იმასაც გაიძახიან, რომა ჩვენში 17 კაცია პიროვნულად დაბეგრილი, ყველა იმათ მთავრობაში ქაღალდი შეუტანიათ, რო უკანონოთ ვართ დაბეგრილიო და ეხლა თხოულობენ განთავისუფლებასაო... ყველა ამათ ჩვენი გენო ვექილობს თურმე და ქაღალდიც იმან დაუწერაო.

ლექსო — აკი ვთქვი...

შაქრო — არა, ეგ კაცი არ მაისვენებს სანამ თავის დასახრჩობ თოკს თვითონ არ გამოსძებნის... საცაა სააშკარაოზე გამოვიყვანთ და ვნახოთ მაშინ როგორღა გაუწევს ვექილობასა.

1-ლი — სააშკარაოზე აკი გუშინ გამაიყვანეთ და ის იყო...

ლექსო — ეგ რა არის! როდესაც საბუთებით ხელში დაუმტკიცებთ...

შაქრო — მაშინ მივაბრძანებთ სადაც ჯერ არს.

3

(გენო. სოსო. მე-2 გლეხი).

გენო — (გაზეთით ხელში) ეი თქვენი შალიკო! ეი თქვენი კოოპერატივის საქმიანობა!

მე-2 თუ ეგ მართალია, რაც მანდა სწერია... სუერთიან არ დაუღუპნივართ ის შალიკოა ვილაცაა?!

ხოხო მართალია. განა არ იცი ვისი დაწერილიც არის?

მე-2 აბა მე საიდან მეცოდინება!

ხოხო აი, გენოს დაწერილია და განა მაგან არ იცის აქაური საქმეები?

მე-2 ოო! მაშ გუშინ რომ ამდენს იკვეხნიდა?

გენო ჯერ სად არის! ისე გაუხადო საქმე, რომ სულ ვაი დედა იძახოს... იმან კედლი-გაზეთში გამწერა? მე ქალაქის გაზეთში გავწერე... რომელი სჯობია? ჯერ ეს ხილი იხილოს... ვის ეპიდება, ვის?

მე-2 გენო, შენი პირიმე! ეხლა არ წავიდეთ ჩემი მონაგარის ამოსაგებათ?

გენო ეხლავ, ეხლავ!.. სოსო, მოდი ერთი მიაშავე ეგ გაზეთი ეგერ იმ ჯგუფსა... ნახონ რა ბიჭიც ბრძანებულა მათი წინამძღოლი... ოო, საბედო ქალო! შენ უნდა მენახე...

მე-2 არ დაგვაგვიანდება?

გენო ეხლავ, ეხლავ... ჰო და საბედო-მეთქი!

4

1-ლი (სოსოს) განა გაზეთებშიაც ბეჭდავს გენო წერილებსა? ეგ მართალია?

ლექსო (წაიკითხა) ოო, რა უსირცხვილო ტყუილია... რა უსირცხვილო ტყუილი...

ხოხო არ მოვეწონა?

ლექსო მომეწონა კი არა ამაზე მოხვდება მაგას... წამო, შაქრო, შევიდეთ შალიკოსთან ჯერ ვერ მოასწრებდა წაკითხვას...

შაქრო მერმე და განა ჩვენ სიმართლეს ვერ დავამტკიცებთ?

ლექსო ცხადია აქ რედაქცია აშკარა შეცდომაში შეუყვანიათ... (გადიან).

5

1-ლი (მეორეს) კიდევ ვერ მორჩი შენს საქმესა... შენ, კაცო, რა უხეიროთ ბანდდები?

მე-2 აი გენო დამპირდა... წუხელისაც არ გამამიშო... სახლში წამიყვანა...

1-ლი აკი სულ გადავწვავ აქაურობასაო.

მე-2 კაცო, არ დაიჯეროთ! როგორ თუ გადაწვავს? განა ეს მისი სოფელი არ არის? განა კოოპერატივი პირველად ვინ დაარსა ჩვენში? ეხლა თავის შექმნილ საქმეს თვით დაარღვევს?

1-ლი მაგის კოოპერატივი ეგრე ამბობდნენ, რომაო ბურჯუას ემსახურებოდაო და ჩვენი კიდენა სხვა არი...

ხოსო კარგათ არ გაგიგია! ხალხო, კაცი ბავშვობიდან მოყოლებული სუ თქვენს საქმეებს დასტრიალებს თავზე: სკოლა მაგან არ დაგიარსათ... ფილოქსერასთან ბრძოლა პირველად მაგან არ დაიწყო... სადმე მთავრობასთან კაცის გაგზავნა იყო საჭირო და მაგას არ აგზავნიდით?.. ეხლა შეიქნა კულაკი? ეხლა აითვალისწუნეთ, რადგან აქაო და ერთმა-ორმა ლაწირაკმა წამაიყრანტალა?!

1-ლი არ ვიცი, არ ვიცი...

მე-2 ეხლა რითი უნდა გათავდეს შალიკოსა და მაგის ჩხუბი?

6

ხაბედო უჰ, გენოჯან, ნათლი! შენ თუ მაგას გამიკეთებ, რა გინდა ჩემგან...

გენო მაშ არ იცოდი, რომ დაბეგრილი იყავი?

ხაბ. ი ქა, რალაზე უნდა დავებეგრეთ? ი მამული ხომ წაილეს?

გენო მერე... ი წისქვილი რო გიჩახჩახებს ეგ არაფერი? შენა გგონია, რო ეგ დაავიწყდათ?

ხაბ. რა ვიცი, გენაცვა, თავ-ბედისა ალარა გამეგება-რა... ისევ შენა ხარ ჩვენი ნუგეში და რასაც სიკეთეს მიზამ შენ იცი...

გენო მაშ ეგრე, როგორც გითხარ. ჩამოგიელი და ხელი მოიწერე...

1-ლი კაცო, სოსო! შუამავლათ უნდა ჩავარდე შიგა... გალიზიანება კი არ ვარგა, თორენა ხო გახსოვს... ამ წინაზე გალმა სოფელში ერთ კულაკს სწორედ ერთი კოოპერატორი მოეკლა...

ხოხო მერმე ვინ ალიზიანებს?

1-ლი ცოდოა, ცოდო ვაჟიკაცი! მერმე ეხლა ხომ ამ შალიკოსა კოოპერატივის გარდა პურის საქმეც აბარია... ეხლა მატყლის საქმეც ბაგისათვის ჩაუბარებიათ... ის კი არა თუ ეხლა მეუბნებიან კოლმეურნეობა და კოოპერატივი ერთიაო. ორთავეს ერთი და იგივე საფუძველი აქვსო.

სოსო შენ ძალიან შეგიტოპნია, ჩემო ძმავ! მე გირჩევ შენთვის იყავ, ეგ შენი ჭკუის საქმე არ არის. ერთ ტკბილ ლუკმას ხომ სჭამ... ცოტ-ცოტა რასმე ხომ ჰყიდი შენთვის?.. მა, სხვა რა გინდა! ხელი აიღე ამ კოლხოზ-მოლხოზზე მამა გიცხონდა... მაშინ ველარც რას გაჰყიდი და ყიდვით ხომ ვერ იყიდი და ვერა... ყველაფერი აღრიცხვაზე იქნება და ყველაფერიც საერთო.

1-ლი რა ვიცი, რა ვიცი... ესე კი მეუბნებიან და...

სოსო ესე გეუბნებიან! შენ გაგიგონია ერთი ლექსი... ერთი გამოუცდელი რო გააბრიყვეს ქალაქის კინტოებმა:

„ესე ბეუბნებიანო —
აკოშკიდან გადმოდიო,
ფაიტონში ჩაჯექიო,
ადექი და წამოდიო!“

და აკი აკოშკიდან გადაიყვანეს კიდეცა!..

გენო კაცო, სოსო, მოდი აქა... ერთ წამს იქ გამამყე... ჩვენ ელიზბარასთან... ცოტა ჯიუტი კაცია, შენ გენდობა.. წამო! (მ ე - 2 გ ლ ე ხ ს) შენ მანდ დამიცადე, ეხლავ მოვალ (ს ო ს ო გ ა ჰ ყ ვ ე ბ ა დ ა გ ა დ ი ს).

7.

მაგდანა (ს ა ბ ე დ ო ს) დამაცადოს მე იმანა! მომღერალი ვარო! ეხლა სიმღერით უნდა თავი გაიტანოს?! მე მაგდანა არ ვიქნები თუ ერთ მშვენიერ ღამეს შალიკოსა და მაგას, კარგ ჭუკჭუკში რო იქნებიან, თავზე არ წამოვაყენო მისი ქმარი, ი მედოლე ზურაბა!

საბ. წამოაყენო, თორე მე ვიცი... გლახაკია ვილაც არის!

მაგდ. შენ ეგრე იფიქრე... ისეთი იქვიანია, თოფის წამალივით იფეთქებს. ვერა ხედავ ზოგჯერ სახეზე ისე წამოწითლდება, რომ ლამის დაუსკდეს...

საბ. ეგ იქვიანობით მოსდის? მე მეგონა თუ მეტი-მეტი მაღალი სიმღერისაგან ძარღვები დაბერილი ჰქონდა...

მაგდ. იიჰ, დაბერილი კი არა!.. მე მაგას დაუმზადებ საკენკსა!

საბ. ახლა ვითომ რაზე ემდური?.. ვითომ შალიკო წაგართო?

მაგდ. მე რათ წამართო, ქა, შალიკო რა საჩემოა!.. ერთი ჯეელი ვინმეა ღმერთმა ჯანი მისცეს...

საბ. არა, ზოგჯერ რომ ჩამოეტორღიალებოდი, ღილზე ხელს არ მოაშორებდი, თვალებს უჟუჟუნებდი!

მაგდ. უი, ქა, რეებს იტყვის...

1-ლი არა, შენ მაგდანოს დახედე-და... თავისიანებში, რო თავს აღარა სდებს, სუ ი მიკიტანის ქვრივთან და ზურაბა მედოლის ცოლთანა აქ საქმე...

მე-2 მერმე რო?

1-ლი მერმე და რა მაგის საქმეა... დაჯდეს და თავის კრუხებს მოუაროს... მაგისი ტოლები ეხლა არტელში შესულან — მექათმეობას იწვევიან. .

მე-2 ეგა... ფერდობზე რო ხუხულებია აშენებული იმაზე ამბობ?

1-ლი ჰო... აი კნიაზ ნოდარის ნასახლარზე... ისეთი რამ კი გაუმართნიათ, ნახო გიამება!

მე-2 იმ დღეს ჩამავიარე, კარგათ ვერ გავიგე...

1-ლი როგორ არა... ერთი რუსი ქალი მოუწვევიათ, ის ხელმძღვანელობს და უნდა გითხრა ყოჩაღი ვინმეც არის ეტყობა... ისეთი ქათმები ჰყავთ, ისეთი ქათმები, თვალები ზედ დაგრჩება!..

მე-2 მერმე, ჩვენი დედაკაცები მუშაობენ?

1-ლი ეხლა როგორ! ეხლა რამდენ კვერცხსა ჰყიდიან... ქალაქში აგზავნიან განა!.. იი, თვალი მაგას დაუდგეს... ერთი რაღაც საცოდავი ქოხი უდგას, ორიოდე კრუხი ჰყავს და ერთი მეწველი ძროხა... ეგ არის მაგის ავლა-დიდება! საბედოსთან კი თავსა სდებს. რა მაგის საქმეა!

მე-2 აღარა მკითხაობს?

1-ლი იი, მკითხაობს და დარდუბალა მაგის თავს... ვიღა აკითხებს!.. სოფელმა გამაილვიძა, ეეი!

მაგდ. მაშა, მაშა! ისე გაგინებს, რომა...

ხაბ. იმას დამიხედე! გაფხორილ ინდაურს რომ ჰგავს! დამაცადოს მე იმანა!

მაგდ. განა არა! მე მეგონა თუ იცოდი... ო, რა საძაგელი ენა აქვს! ეხლა თვითონ რო გარყვნილია, ესე ჰგონია სხვებიც ეგეთია... იმ დღეს მარწმუნებდა, რო საბედო გენოსთანა ცხოვრებსო...

ხაბ. ქალო! ნათლიასთან? ო, ის დასამიწებელი ჩსა!

მაგდ. მაშა, მაშა! განა მეც ეგრე არ უთხარი!.. ნათლიაა-მეთქი! ვინ დაგიჯერა! გაიკვირვა კიდეც — ჭკვიანი ქალი ხარო — ვითომ მომეფერა კიდეც, უი, შავი მიწა კი მიეფერა იმას — ჰო, ჭკვიანი ქალი ხარ, გამოცდილი და დაკვირვებულიო... ნუ თუ აქამდე ვერ შეამჩნიეო...

ხაბ. შეხე, რა ქვეშ-ქვეშა ყოფილა! მე კი სულ მეგობრობაში მარწმუნებდა.

მაგდ. რის მეგობრობა, რას ამბობ! სალინკას მეგობრობა გაგონილა?.. (მოისმის გიტარაზე სალინკას სიმღერა რაიმე შაბლონური რომანსისა, მაგ.: „მხოლოდ შენ ერთს"). აი ხედავ, მღერის... ისე გაჰკივის, როგორც ზარნაშო!

ხაბ. აი, მიწა დაეყაროს იმ ყანყრატოში!

მაგდ. ვითომ ეხლა შორიდან შილიკოს თავს აწონებს... (მიბრუნდება სიმღერისაკენ) ჯერ ადრეა, ქალბატონო... ცოტა შეღამდეს... ოოჰ, მე თუ ზურაბა თავზე არ წავაყენე, რა ქალი ვიქნები!..

მე-2 კაცო, შეხე. ეგერ ზურაბა! — კიდეე მთვრალია ეგ ოჯახამობუქული...

8

ზურაბა (დოლით, მოღიღინებს).

1-ლი საიდანა შოულობს ამ ღვინოს რო ვერ გავიგე?

მე-2 ეე, სოფელი დიდია, ამხანაგო... ზურაბს მაინც ყველა ასჴევს...

1-ლი მე კი გუშინ სუ გამომიწრუტეთ, რაცა მქონდა...

მე-2 ნუ გეშინია, ხელი არც შენ დაგიკლია...

მაგდ. ზურაბა, ზურაბა... გესმის შენი კნეინა როგორ გაჰკივის?

ზურაბა (სიმღერას შესწყვეტს) არ ვარგა!

მაგდ. რა არ ვარგა, ქა!.. შენ სალინკას სიმღერა თუ მისი საქციელი?

ზურ. (ამღვრეული თვალებით) არ ვარგა!

მაგდ. ეს ნავთის ჭურჭელი რათ გინდა, კაცო? განა გუშინ ნავთი ვერ იშოვნე... ა? დაკეტილი იყო? ჰოო...

1-ლი მართლა, მოიტა, კაცო, ი გუშინდელი ღვინისა!

მე-2 მოგცემ, კაცო, ჯერ ფული არ ამილია... აი, მოვა გენო და... გამოვართმევ.

1-ლი რა? გენოსთან ანგარიშები გაქვს?

მე-2 ჰო... აი, ამომიგებს ჩემ კაკალსა და...

1-ლი შენ გაზდას. რამდენს გართმევს? მართალი მითხარი, აი...

მე-2 ხუთმეტ მანეთად მომირიგდა ფუთში...

შე-2 აი, ის გაუმაძღარი ისა!.. ის წურბელა ის!.. კაცო და თვითონ ხომ ორთუმან ნახევარი მოიგო ფუთში... აკი თვითონ არა სთქვა: კაკალი ფუთი ოთხი თუმანი ღირსო.

შე-2 ეხლა ეგ ეგრეა, მაგრამა... ამოგებას საქმე არ უნდა?

1-ლი ი, უილაჯოები ვართ, აი, მე და ჩემმა ღმერთმა! ჩვენ შნო არა გვაქვს და სულ კი მაგის ხელში ჩაცვინდებით ხოლმე... ნეტა არ აქვაოდეს მაინცა... ეხლა შენი რაღაც ხუთიოდე ფუთი კაკალიც შეშურდა?

შე-2 შე-კაი კაცო! საქმეს რო გიკეთებს?

1-ლი საქმეს, თორე შენი გულისათვის აკეთებს! ტყუილა კი არ ასტეხია მაგას ე ჩვენი ახალგაზდობა... რა იყო, ზურაბა? როგორა ხარ?

შე-2 კიდევ გადაჭკარ, ა?

9

მაგდ. (დაინახავს სალინკას) უი, სალინკა... რაცა ხანია აქ გიცდი, საცაა გამოვა-მეთქი...

ხალინკა სახლში ვერ შემოხველი?

მაგდ. მღეროდი... ეტყობა რაღაც ფიქრებში იყავ გართული და ხელი აღარ შეგიშალე.

სალ. აი, შე-კუდიანო, შენა!

მაგდ. შენს მზესა კუდიანს ნუ მეძახი...

ხალ. (სიცილით) რაო ვითომ?

მაგდ. უი დადადა! რაც მე მაგისათვის დღე დამადგა...

ხალ. ჰო, რაღაც გამიგონია...

მაგდ. ქალო, რას ამბობ... ჯერ კიდევ ახალგაზდა ვიყავ მაშინ... ვიღამაც ხმა გამიგდო: კუდიანიაო! სოფელიც ახირდა: უნდა დავედაღნეთ!.. გენო რომ არ მომშველებოდა, ცუდათ იყო ჩემი საქმე..

ხალ. ო, გენო ყველას გაჭირვების ტალკვესი იყო ერთ დროს...

მაგდ. განათლებული კაცია, გენაცვალოს ჩემი თავი!.. იმან აუხსნა ხალხს, რომ ქვეყნად კუდიანები არ არსებობენ...

10

შალიკო (გამოდის შაქრო და ლექსოსთან ერთად) რა გეეგება! საქმე ის არის, რომ თვითონ გაბმულა მახეში... ვითომდა კოლმეურნეობას აქებს და კოოპერაციის წინააღმდეგ ილაშქრებს. დემაგოგიისთვის მიუმართავს...

ამაში ეტყობა, რომ სრულიადაც არ აქვს ლენინური მიდგომა კოოპერატიულ გეგმისადმი...

ლექსო ლენინური კი არა...

შაქრო რის ლენინი, ყაჩაღია გავარდნილი!

შალიკო იმ უბედურს არ ესმის, რომ სწორედ კოლმეურნეობის გზით მიჰყავს კოოპერაციას გლეხობის ლიანგი, მასსა სოციალიზმისაკენ, მსხვილ და გაერთიანებულ მეურნეობისაკენ.

1-ლი ერთი მივიდეთ, შალიკო რას ლაპარაკობს ეგრე გაცხარებით!

ზურაბა არ ვარგა!

მე-2 კაცო, რას დაიჟინე ეს „არ ვარგა". ორი დღეა შენგანსულ ეს მესმის. — რა არ ვარგა, ერთი გვითხარ მაინცა, ამოშაქრე!

ხალ. ეგ საინტერესოა, მაგდან! მერმე და ავგაროზი რას უზამს?

მაგდ. შენ არ იცი ავგაროზს რა ძალა აქვს!..

შალიკო (*რომელთანაც მივიდნენ გლეხობა და ზურაბაც*) ჰო, მაგრამ გენოს რა უნდა უთხრას კაცმა, როდესაც ზოგიერთ ჩვენ ამხანაგებსაც ჰგონიათ, რომ საკოლექტივო მოძრაობა, კოლმეურნეობისა, უნდა უშუალოთ ექვემდებარებოდეს კოლმეურნეობათა კავშირს და კოლმეურნეობის ცენტრსა... გენოსაც, ეტყობა, ამისთვის ყური მოუკრავს და თავის წერილში, ქურდულათ შეუპარებია... ჰო და გენოს ხომ, მაგრამ იმ ამხანაგებსაც ავიწყდებათ, რომ კოოპერატიული სისტემა სხვადასხვა გზით გადადის კოლმეურნეობის სისტემაში. მიმწოდებელ და გამსაღებელ ორგანიზაციიდან იგი იზრდება საწარმოო სხვადასხვაგვარ კოლმეურნეობათ, მაგ. პურის ცენტრი უკვე აღარ არის ძველებური კოოპერატივი. იგი კოოპერატიულ-კოლმეურნეობის ცენტრათ იქცა, ხვალ კი მარცვლეულთა მეურნეობისათვის იგი პირდაპირ კოლმეურნეობის ცენტრათ იქცევა.

1-ლი (*მე-2 გლეხს*) ბევრი კი ვერაფერი გავიგე, მაგრამ ერთი კი მართალი უნდა იყოს: გენოს ეს აჯობებს.

ხალ. მერმე და აბა როგორ უნდა დავკიდო შალიკოს... განა ასე ახლოს ვეკარები. — ეგ შენ არის, ხელს რომ ჩაავლებ ხოლმე.

მაგდ. ეეჰ... სად მე და სად შენ!.. ვერა ვხედავ კაცს შენს დანახვაზე სუ ალმური ასდის...

სალ. ვინ მოგახსენა?

მაგდ. რა ვინ მომახსენა... საბედომ სუ მთელს სოფელს მოსდო, რომ შალიკო სალინკასა ყვარობსო...

სალ. როგორ თუ ყვარობსო!.. აი ის აშარი ისა...

მაგდ. იფიცება, ჩემი თვალით ვნახეო...

სალ. სად არის? დამენახოს ერთი... ვის ეკადრება, ქა!.. ერთი დავიფრინო, რო სუ ბურტყული სცვიოდეს..

მაგდ. რა დაუშავე ეგეთი?.. მთელს სოფელს თავზე დავახვევო... ქმართანაც დავაბეზღებო...

სალ. სად იმალება, ის ფრახი-დედაკაცი ისა!.. წავიდე, სუ ბუწუწები დავაძრო.. (გ ა რ ბ ი ს).

მაგდ. ჰა, ჰა! ესე მოგიხდებათ ორთავეს... დამიჯაბნეთ რაღა სოფლის დედაკაცი! — დამცინოდნენ... ეხლა უყურეთ, ნახეთ დასაცინი ვინც იქნება! — მე შორიდან სეირს უყურებ. (გ ა დ ი ს).

შალიკო (თ ა ვ ი ს ჯ გ უ ფ ს) აქამდე კოოპერაციის საქმე თითქმის მართლა ეგრე იყო, როგორც გენოსა და მისთანებს ჰგონია: სოფლის მასსიურ გაკოლექტივებამდე კოოპერაცია მართლაც ერთად თავს უყრიდა საშუალო და წვრილ მეურნეობებს მათი პროდუქციის გასასაღებლათ და სარეწაო საგანთა მათდამი მისაწოდებლათ. ასე რომ ძირითად საფუძელათ ესეთ კოოპერაციას ჯერ კიდევ წვრილ-ბურჟუაზიული მეურნეობა ჰქონდა...

ლექსო სწორედ ამგვარ კოოპერაციის დამაარსებელი იყო თავის დროზე გენო და ამიტომ არის სოფელს ჯერ კიდევ ვერ გაუგია, რაშია საქმე.

შაქრო ჰო ეგრეა: ხელისუფლებას კოოპერატიე უნდა? გენო მაგას აარსებს და და პირველ ხანებში თვით აწყობს საქმეს. კოლექტივზე ლაპარაკობს ხალხი და ისიც ამას არამც თუ ქადაგებს, სწერს კიდევაც გაზეთებში.

მე-2 ჰო და მართლაც... რა გინდათ ეხლა მაგ კაცისაგან?

შალიკო აი სწორედ ეგ არის სხვებზე საშიშარი... მაგისთანა კაცი, რომელმაც თითქო ყველაფერი იცის და არც იცის გარდა თავის კლასობრივი ინტერესების დაცვისა, დიდი მავნე ვინმეა სოფლისათვის და... იმიტომაც მთელის სისასტიკით უნდა ვებრძოლოთ მას...

11

გენო (შემოდის. მოჰყვება სოსო) მაშ ესე.. ჩვიდმეტი ხელის მოწერა უკვე მაქვს... ერთი მაგ გლეხსაც უნდა მოვაწერინოთ ხელი...

სოსო ეგ გლეხი რომ ღარიბია?

გენო მართლა, კაცო, შენ რათ არ აწერ ხელსა?

სოსო ვაიმე, გენო, აბა რას მიბრძანებ... სადაური კულაკი მე ვარ, რომ ხელი მოვაწერო... განა იმდენი შეძლება ვინ მომცა, რომ თქვენს ამქარში გავერიო...

გენო კაცო, საქმეც სწორედ მაგაშია და... როდესაც მისი მართალი და მტყუანი, ღარიბი და მდიდარი ერთად ვითხოვთ, მაშინ გადავრჩებით ყველანი დაბეგვრასა... (მე-2 გლეხს ეძახის) ეი, შენ აქ მო... არ წავიდეთ?

მე-2 წავიდეთ, გენაცვალოს ჩემი თავი... (გავლენ).

შაქრო (გენოზე) ააჰ, შენი რჯული არ იყოს შენი... შენ ძალიან თავს იკავებ, შალიკო!.. ჩემზე ეგეთი რამეები რომ დაეწერათ, აქამდე თავს შეეაკლამდი.

შალიკო არა ღირს-მეთქი, წელანაც აგიხსენით ორთავეს... მე მაგითი ვერას დამაკლებს, მხოლოდ უნდა ვეცადოთ, რომ მისი მავნებლობისაგან დავიცვათ ჩვენი სოფელიცა და მისი საქმიანობაც. ეს არის ჩვენი ამოცანა!.. ეს რა ამბავია?

12

საბედო (ეძიძგილავება სალინკას, რომელსაც თმებში ხელი წაუვლია და მიათრევს) თმებს ხელი გაუშვი-მეთქი... ეგ რა პატიოსნებაა!..

სალინკა აჰა, დაგითრიე თუ არა. — სუ ბუწუწებისაგან გაგცლი, შე-უსინდისო, შენა!

შალიკო (მივარდება) როგორ გეკადრებათ, როგორ გეკადრებათ! სალინკა, არა გრცხვენიანთ? (მოაშორებს).

სალ. მაშ როგორ გამიბედა მაგ-აშარმა, მაგან!

შაქრო (საბედოს ხელი წაავლო) კაარგია ეხლა, დედაკაცო! საით მიიწევი, ტყუილია, აღარ გაგიშვებ...

საბ. გამიშვი, გამიშვი. დავკაწრო ი ბოზი თვალები!

შაქრო კაარგია-მეთქი!

ხოსო — იფ! მიყვარს ამისთანა სურათი... დედაკაცები რომ გაიფოფრებიან...

ლექსო — გიყვარს კი არა, უბედურებაა, რომ ჩვენი ქალები ჯერ კიდევ ამ ჩხუბსა და ძიძგილაობას ვერ გაშორებიან!

13

მაგდ. — (გამოიხედავს) აჰა, მოგხვდათ ორთავეს?! ვენაცვალე ჩემს გამჩენს... ძლივს არ მოველი თქვენს ოხტში?.. როგორა ხარ, სალინკა, გენაცვა!.. ეს რა მოგსვლია! (გაკაწრულზე უჩვენებს).

სალ. — (მუშტში ბღუჯათ თმა უპირავს) არაფერია, არც მე დავაყარე ხეირი!

მაგდ. — ცოტაა, ცოტა! (გადაირბენს საბედოსთან) უი ქა!... საბედოჯან... თმები რა უყავ?

საბ. — თმები არაფერია, სახეზე ხომ დავასვი საკადრისი დაღი...

მაგდ. — სახეზე?... ცოტაა, ცოტა.

საბ. — დამაცადოს, ჯერ სადა ბრძანდება!

მაგდ. — მე შენ ალაგას თავს გაუჭეჭყავდი .. უმ, შეხე, შეხე! ქალს პირი-სახეზე სისხლი თქაფა-თქუფით გადმოდის და კიდევ რო არშიყობს?..

საბ. — მე მაგას უჩვენებ არშიყობას!

შაქრო — (არ უშვებს) კაარგია-მეთქი... ხომ იცი არ გაგიშვებ...

ზურაბა — (შეაჩერდება შალიკოს, რომელიც სალინკას ამშვიდებს) არ ვარგა!

ხოხო — რა არ ვარგა, ზურაბა, რა?

ზურაბა — (მღერის) არ ვარგა ბოზი დიაცი,
განზე გამკრავი ხელისა,
ოჯახს შეგირცხვენს, თავს მოგჭრის,
გამომჭრელია ყელისა!

მაგდ. — (ზურაბას) მეც სულ მაგას ჩაგჩიჩინებ,
გაახილე მაგრა თვალი...
თორემ ყველა შენ დაგცინებს
და იქნები შესაბრალი!
(საბედოს) შეხე, შეხე სალინკას... რა არის შალიკოს რომ ჩამოაბა?

საბ. — იი, დასწყევლის... გავიდეს იქითა!

მაგდ. — გეფიცები, ავგაროზია-მეთქი!

საბ. — მე რაში მეკნაჭება, მის ქმარს უთხარი... მე ჩემი გავაკეთე!

ლექსო — წავიდეთ, შალიკო, ეხლა გვეყოფა ამ სეირის ყურება... (გადის).

შალიკო — აი მოვდივარ... (სალინკას) მაშ ესე... ეხლა მიბრძანდით სახლში და მაგისი ნუ გენაღვლებათ.. ჩვენ ხომ სინდისი წმინდა გვაქვს და მაგისთანა ხალხმა რამდენიც უნდა იმდენი იკორიკანონ... (მიდის).

შაქრო — (საბედოს) ხომ დამშვიდდი ეხლა... გასწი, გასწი, დედაკაცო, სახლში... მე აქ მწყემსათ კი ვერ დაგიდგები... სირცხვილისა მაინც არა გრცხვენიან! გასწი-მეთქი!

ხაბ. — ეხლა კი წავალ, მაგრამ მაცადოს მე მაგანა!..

მაგდ. — (მივარდება სალინკას) რა ჰქენ, სალინკა? შეაბი ავგაროზი?

სალ. — რის ავგაროზი, რეებს ლაპარაკობ? საავგაროზო რა სჭირს ყმაწვილსა? მეტი-მეტი პატიოსანია...

მაგდ. — მაშ რა იყო? ისე მომეჩვენა თითქო რაღაც გადააცვი...

სალ. — რა გადავაცვი, რას მიჰქარავ... (უეცრად მოიფიქრებს) აქედან მომეცა! სუ შენი ბრალია ყველაფერი... კუდა-მელასავით რო დაძვრები აქა... გადი, დამეკარგე...

მაგდ. — (გარბის) მე რა ქა! მე შენთვის კარგი მინდოდა...

სალ. — (მისდევს) დამეღუპე-მეთქი... სულ შენზე ამოვიყრი გულის ბუხარს...

ზურაბა — (თვალებ-ამღვრეული დგას. ცოლისკენ გაიყურება) არ ვარგა! (შემდეგ თითქო რაღაც მოიფიქრაო, გავარდება ხავთის ჭურჭლით მეორე მხარეს).

ხოსო — იფ, იფ! რა სეირია... დღეს სულ დაგიჟდნენ ჩვენი დედაკაცები...

შაქრო — დაგიჟდნენ და საქმეს მოგვაცდინეს კიდეც მაგ ოხრებმა.

1-ლი — მაშა, მაშა!.. მე თემ-საბჭოში უნდა წავსულვიყავი.

შაქრო — მეც აკი გალმა-სოფელში...

1-ლი — ჩვენ ჩვენ საქმეს მივხედოთ, თორემა ამ დედაკაცების აყოლა ხეირს არ დაგვაყრის.

14

ლექსო — (გამოიხედავს) შაქრო! (გლეხს, ამხანაგო! ერთი აქ მოდი ერთ წამს. — შალიკოსთან საქმეზე უნდა მოვილაპარაკოთ! (დაძახებულები გავლენ).

15

ბენო (შემოდის მე-2 გლეხთან ერთად) ოჰ, სოსო აქა ხარ? აბა, მოდი აქ. ეხლა ერთი ჩვენც რიგზე მოვილაპარაკოთ. (ამ დროს კივილ-წივილით წინ გამორბის მაგდანა, უკან მუქარით გიტარით ხელში მოსდევს სალინკა და ესე გაირბენენ სცენას)

ხან. უი, თქვენ დაგწყევლათ, კარგი შვილები თქვენა ხართ... აბა ჰკა მაგას, ბიკებო. — სსი, სსი! ჰა, ჰა!

ბენო რა იყო, რა ამბავია, საბედო? (ამ დროს კივილით შემოვარდება მაგდანა).

16

მაგდ. ვაიმე, ცეცხლი, ცეცხლი!

სალ. (შემოვარდება) ცეცხლი, ცეცხლი!

ზურ. (შემოვარდება) ცეცხლი, ცეცხლი!

ყველანი (დამხვედურები) სად არის ცეცხლი? რას ამბობთ?

მაგდ. ეგერ იქით... კომპერატიის საწყობში!

მე-2 (გაირბენს შალიკოს კანტორისაკენ) ცეცხლი, ცეცხლი გაჩნდა.

17

(გამოვარდებიან შალიკო, შაქრო, ლექსო, 1-ლი გლეხი).

გამოსულ. როგორ თუ ცეცხლი? სად არის ცეცხლი?

მაგდ. შენ კომპერატიის საწყობს უკიდია ცეცხლი.

შალიკო საწყობს? (მოულოდნელად შეხედავს ბენოს).

ბენო (ნიშნის მოგებით) გითხარ თუ გაუფრთხილდი მეთქი!

ხმები (გარედან) ცეცხლი, ცეცხლი! (ქალები გარბიან. ყველა დარეტიანებულია. შალიკო ერთს გადახედავს ბენოს და გავარდება. მას მიჰყვებიან შაქრო და ლექსო).

ზურ. (შალიკოს თვალს გააყოლებს) აკი ვთქვი: არ ვარგა! (საერთო არეულობა) მაგრამ... არაფერ-ც არ იქნება!...

ზარდა

მოქმედება მესამე

I გამომძიებელთან

მე-2 გლ. მე, გეთაყვანე, ერთი საწყალი გლეხი ვარ... აბა რათ დავსწვავდი კოოპერატივის ქონებასა.

გამომძ. შენ შეიძლება არ გინდოდა, მაგრამ სხვისი ჩაგონებით მოიმოქმედე ეგ საქმე...

მე-2 აბა ვინ სხვისი ჩაგონებით, შენ შემოგევლოს ჩემი თავი... ეხლა ნურც ეგრე მომეპყრობით და... განა მე ჩემი გონება არ მიჭრის... განა არ ვიცი, რომ კოოპერატია კაი საქმეა...

გამომძ. მაგას დავეთხოვოო, ეხლა როგორი აზრისაცა ხარ კოოპერატივზე, მხოლოდ აი, მტკიცდება, რომ თქვენ გენომ ჩაგაგონათ.

მე-2 ტყუილია, შენი ჭირიმე!

გამომძ. დამაცადეთ... ჩაგაგონათ, შეგაგულიანით... ამისათვის მისგან ფულიც კი აიღეთ.

მე-2 აი და-და-და! ტყუილი, ტყუილი!

გამომძ. დაიცათ, დამასრულებინეთ! ნავთის ჭურჭელიც კი თვითონ, თავის ხელით გადმოგცათ ნავთით სავსე და თქვენც... სისრულეში მოიყვანეთ თქვენი ბოროტ-განზრახულება...

მე-2 სიცრუეა, შენი ჭირიმე... თავით ბოლომდე...

გამომძ. თქვენ თვითონა სთქვით, რომ იმ ღამეს მთვრალი იყავით და... საზოგადოთ მთელი ის ორი დღე მთვრალობდით.

მ -2 ეგ მართალია, ამხანაგო...

გამომძ. იმ ხნის განმავლობაში სულ გენოსთან იყავით.

მე-2 მართალი გახლამთ... არ გამიშვა...

გამომძ. ჰო და კლასობრივმა მტერმა მოგიხმარათ, როგორც ბრმა იარაღი.

მე-2 რომელი იარაღი, გენაცვა?

გამომძ. ერთის სიტყვით, თქვენის ხელით ნარი ჰგლიჯა...

მე-2 ეგ ტყუილია, შენ შემოგეკლოს ჩემი თავი... არავითარი ნარი იმ დღეებში მე არ დამიგლეჯია...

გამომძ. თავს ნუ ისულელებთ! არც ეგრე ბრიყვი ხარ, რომ არ გაგეგებოდეს რაზეაც გეკითხებიან...

მე-2 ერთს გეტყვი აი, ძია!.. მენას, გენაცვალოს ჩემი თავი... ამ საქმეში არავითარი ბრალი არ მიმიძღვის და მოდი... ნუ მაცდენ... გამიშვი ჩემს გზაზე!

გამომძ. შენ ეგ ლათაიები არ გამოგადგება. ო, რა წახდა ჩვენი ხალხი... გულუბრყვილო, მეამიტიო!.. შენ გირჩევნია შენის პირით აღიარო შენი დანაშაული, ამითი სასჯელი შეგიმსუბუქდება, თორემ ისე სულ ერთია დამტკიცებულია, რომ კოოპერატივის საწყობი შენ დასწვი.

მე-2 მერმე ვინ ამტკიცებს მაგასა?

გამომძ. ეს რა არის?

მე-2 ნავთის ჭურჭელია.

გამომძ. შენ რომ იმ ღამეს ხელში გეკავა, ეგ არის ხომა?

მე-2 ი, აბა რას ბრძანებ! ერთი კვირაა ნავთის ჭურჭელი ხელში არ მჭერია?

გამომძ. ეს ხომ გენოს საკუთრებაა?

მე-2 არ ვიცი, გენაცვა, ტყუილს ვერ ვიტყვი.

II ფოედანზე

შაქრო (შალიკოს) კარგია ეხლა, ეგრე რათ დაღონდი... ცხადია გენომ დასწვა იმ გლეხის დახმარებათ... დაუმტკიცდება და სხვა რაღა გინდა?!

შალიკო არა, როგორ მომივიდა, როგორ? დარაჯი მუდმივათ რათ არ ვიყოლიე?

შაქრო ჰაი დედასა! მეც მაგასა ვწუხვარ, მაგრამ არაფერია, ცოტა საყვედური მოგხვდება, სხვა რა შენი ბრალია!

შალიკო ეეჰ, ჯანდაბას ჩემი თავი... ნაგრამ კოოპერატივს რომ აბდენი ზარალი მოუვიდა?

შაქრო გენოს განა ცოტა აბადია? სოფელი აინაზღაურებს!

შალიკო ეგ კიდევ არაფერი... კოოპერატივის მომუშავეებს ვუტეხავთ სახელს... ისედაც საცა არ გინდა სულ ჩვენზედ ლაპარაკობენ, სწერენ, სცენაზე გამოვყევართ: სულ ცუდი მომუშავეები — ეს მავნებელია, ეს გამფლანგველია. ერთი დადებითი პიროვნება არ არის გამოყვანილი და ეხლა თუ აქაც...

შაქრო ჰო, ეგ კია, მართალი რომ სთქვას კაცმა. — აი სამაგალითო კოოპერატორი გვყავდა და, დახე, იმასაც რა მოსვლიაო. იტყვიან, მართალია.

შალიკო ჰმ... დაუდევრობით, უთაურობითაო.

2

ზურაბა (მიუახლოვდება შალიკოს, დააცქერდება და ჩუმად ჩაიხითხითებს) არაფერიც არ იქნება! (მოშორდება).

შაქრო შენ ამას დახე? ესეც რო დაიცინება?

III გამომძიებელთან

გამომძ. მაშ ფული არ აგიღიათ გენოსაგან?

მე-2 გენოსაგან ფული როგორ არ აგიღია, მაგრამ განა დაწვისათვის ავიღე?!

გამომძ. მაშ რისი ფულია ეგ ხუთი თუმანი, ზედ რომ აღმოგაჩნდათ?

მე-2 ეს, გენაცვა, კაკლის ფულია... ე მივყიდე... დამაკლო კიდეცა. იმ უხეირო კაცმა... შვიდთუმან ნახევარი უნდა მეეცა და ხუთი თუმნის მეტი კი არ მოუცია... მთვრალი ვიყავ, ჯიბეში ისე ჩამიჭუჭკნა...

გამომძ. კარგი, ვთქვათ ეს ფული კაკალში მოგცა და ისიც დაგაკლო... ესეც კარგა ახასიათებს გენო ჩოფურაშვილს... მაგრამ ეს მითხარი: იმ დროს გარეთ რათა მღეროდით?

მე-2 რა ვიცი რათა ვმღეროდი... არც კი მახსოვს — ვმღეროდი?

გამომძ. ჰო... როცა თქვენი მშვენიერი საქმე დაასრულეთ, ჭურჭელი კი იქ დაგრჩათ, საცა დანაშაული ჩაიდინეთ... ეს არ შეგიმჩნევიათ და ცეცხლი რომ ავარდა, გახარებული გენოს სახლისაკენ წამოხველ, თან მოიმღეროდი... ვითომ აი, რა კარგი საქმე ჩავიდინეო...

მე-2 ამხანაგო! სიცრუეა ეგ ყველაფერი!

გამომძ. მაშ თქვენ კიდევე ჯიუტობთ? (ზარს დარეკავს).

IV ეზოდანზე

გენო (სოსოს) აი ესეა, აი! სხვაფრივ რომ ვერ მომერიენ... ეხლა უნდათ ამ სისხლის სამართალში გამხვიონ...

სოსო მაგითი რას დაგაკლებენ!

გენო არა, კაცო, მე ხალხის უმადურობა მწყინს და... მთელი ჩემი სიცოცხლე ამ სოფელს შევალიე... სკოლა მე დაუ-

არსე, არხი ჩემის ინიციატივით არის გამოყვანილი, ფილოქსერა მე მოვსპე, კოოპერატივის გემოც პირველად მე გავაცანი სოფელს. საცა საპირო იყო მუდამ, წინეთაც და ეხლა, მთავრობის წინ მე ვიყავ სოფლის შუამდგომელი, შუამავალი კაცი... გაზეთებშია და, წინეთაც და ეხლაც, მე ვარ მუდმივი გამშუქებელი სოფლის ქირ-ვარარამისა.. არა, მაინც უნდათ, რომ რაღაც სისაზიზღრეში ფეხი წამამტვრევინონ...

ბოსო ეგ იმიტომ, გენო-ბატონო, რომ მაგარი კაცი ხარ... სარჩო-საბადებელიც მოგდევს, ქვეყანაში გავლენა გაქვს და ამ ლაწირაკებს ეხარბებათ...

ბენო არაფერია, მე კიდევ ესე ახირებულათ ვერ წამაქცევენ, მაგრამ... ერთი კია... იმ დღეს მეტი-მეტი გავფიცხდი და სიტყვა წამოვისროლე: დავწვამ-მეთქი, ამას დაიხვევენ ეხლა... ძალიან კი დააყოვნეს ი ჩვენი გლეხი!..

ბოსო რას წამოაცდენენ, რაც არა იცის-რა.

ბენო გეთაყვა, სოსო, არ დაგავიწყდეს, როგორც დაგარიგე... ჩვენება არ აგერიოს... სულ შალიკოს დააბრალე ყველაფერი... სულ ზურაბას ცოლთან სალინკასთან ეგდო, კოოპერატივს ყურადღებას არ აქცევდა...

ბოსო (კულისებისაკენ მიაყურებს) რაო? მეე? ეხლავ! აი, მეძახიან...

ბენო მერმე რას გაფითრდი?! აი შე-გლახაკო! ყოჩაღათ იყავ... შენ კი არაფერს გერჩიან, მოწმე ხარ მხოლოდ... ეგრე, ეგრე, როგორც გითხარი... (სოსო მიდის, მაგრამ ფეხები უკან რჩება).

ზურაბა (ჩაბოუვლის გენოს, უთითებს შალიკოზე და ხითხითებს) ა?.. არაფერიც არ იქნება!

ბენო შენ რა გაცინებს, შე-მებაიათევ შენა... ეეჰ, ნეტავი შენა რომ დარდი არა გაქვს!

V გამოძიებელთან

გამოძ. მაშ რა იცით ამ საქმისა... ჰოო, გაბედეთ, კაცო... იცოდეთ, გამოძიებას სიმართლე უნდა უთხრათ და მხოლოდ სიმართლე.

სოსო სიმართლე? (უეცრად, გაბედულათ) მაშ უნდა გითხრათ, რომ საწყობი შალიკოს დამწვარია.

გამოძ. ვითომ რატომ?

ხოხო — დიდი უთაური კაცია... კოოპერატივზე სულაც არ ზრუნავდა... სულ ზურაბა-მედოლეს ცოლთან, სალინკასთან ეგდო... ჩემი თუ არა გჯერათ, აი მის მეზობლებ ქალებს, საბედოსა და მაგდანასა ჰკითხეთ.

გამომძ. — ეგ ვთქვათ ეგრეა. რა დამოკიდებულება აქვს ცეცხლის გაჩენას ზურაბას ცოლთან?

ხოხო — რა დამოკიდებულება?

გამომძ. — ჰო (დაცინვით) ზურაბას ცოლისათვის დასწვა საწყობი სამაგალითო კოოპერატორმა?

ხოხო — (უფრო გათამამებულია, მიიწევს, თითქმის ყურში ეჩურჩულება) იმისათვის რომ... განა რამე საქონელი დასწვა შალიკომ? გადამალა. მერწმუნეთ! იქ მხოლოდ ცარიელა იაშიკები დასწვა...

გამომძ. — დიდი ბოროტი ვინმე ყოფილა თუ ეგრეა...

ხოხო — ბოროტი და ეგეთი! სულ გაჰქონდა და გაჰქონდა საქონელი... ამის დასაფარავად აიღო და დასწვა.

გამომძ. — თქვენ თვითონა ნახეთ, რომ გაჰქონდა საქონელი?

ხოხო — არა, მე არ მინახავს, მაგრამ სალინკას რომ ბევრი რამ გადასცა ეს კი ცხადია... ერთი ნახეთ რა ჩაცმულია... მის სახლში საპონი გამოულეველია... დუხები, პუდრები.

გამომძ. — მმ... ძალიან კარგი. რომ წვავდა... მერმე ეს როგორ გააკეთა?.. ნავთი გადაასხა?

ხოხო — ნავთი? ჰოო, უთუოდ.

გამომძ. — ეს ვისია?

ხოხო — ნავთის ჭურჭელი?

გამომძ. — დიაღ.

ხოხო — ეგ... არ ვიცი. ჭურჭელი ჭურჭელსა ჰგავს.

გამომძ. — მაშ თქვენ არ გინახავთ რომ წვავდა?

ხოხო — რაც მართალია, მართალია... მე არ მინახავს.

გამომძ. — ვინ დაგარიგათ?

ხოხო — ვიინ? როგორ თუ დამარიგა?

გამომძ. — ვინ დაგარიგათ, მითხარით ჩქარა, თორემ...

ხოხო. — აარ... არავის... აარ... დაურიგებივარ!...

გამომძ. — კარგი. მე ამას გამოვარკვევ. მანდ მაგდანა იქნება, დამიძახეთ.

VI მოედანზე

მე-2 — შენც არ მომიკვდე, გენო... მე აბა რას გამამტყუებდა... ისე დაუბნიე დავთარი, რო...

გენო ყოჩაღათ მოქცეულხარ, ყოჩაღათ... თუ კაცი ვარ მე შენ ამისათვის პატივსა გცემ...

მე-2 ეეჰ, პატივის ცემა კი არა... არა ხარ კარგი კაცი, გენო, აი!

გენო რათა, კაცო, შენ მაინც რაღა დაგიშავე?

მე-2 როგორ თუ რა დამიშავე... ი კაკალში საპოვნისა აიღე, აიღე ღმერთმა შეგარგოს... მაგრამ ე ჩემი ორ-თუმან ნახევარიც, რო ზედ მიაყოლე...

გენო როგორ თუ მივაყოლე? რომელი ორთუმან ნახევარი?

მე-2 არ გახსოვს?.. კარგი მე გაგახსენებ...

VII გამომძიებელთან

გამომძ. მაშ თქვენის აზრით გენოს დამწვარი არ არის?

მაგდანა რის გენოსი, ქა!.. მე იმას არ მიუდგები, ისემც სიკეთე მე დამდგომოდეს, მაგრამა ტყუილა რო ცილი დავწამო, ცოდოა...

გამომძ. მაშ არც გენოს ჩაგონებით არის ცეცხლი გაჩენილი?

მაგდ. რის ჩაგონებაო, რას ბრძანებთ. მოგახსენოთ საქმე როგორც იყო... ჯერ ერთია და ზურაბა-მედოლეს ცოლი ჩვენ შალიკოს ეკურკურება.

გამომძ. ზურაბა-მედოლეს ცოლი აქ რა შუაშია?

მაგდ. მოგახსენოთ... ეკურკურება!.. მე დანამდვილებით ვიცი, რო შალიკოს სალინკამ ავგაროზი შეაბა...

გამომძ. ავგაროზი რა არის?

მაგდ. (გ ა დ ა ი კ ი ს კ ი ს ე ბ ს) ი ი, შენ კი გაიზარდე! განათლებული კაცია და მე მეკითხება ავგაროზი რა არისო...

გამომძ. ჰო, და რა არის?

მაგდ. ავგაროზი შელოცვილი რამე საგანია, ქსოვილში გამოკერილი... დიდი ძალა აქვს... პირუტყვზეაც სჭრის და ადამიანზეც...

გამომძ. ვითომ?

მაგდ. ჩემს საფიცარს გეფიცები!.. თუ პირუტყვს აქვს დაკიდებული — ავი თვალი არ ეცემა, ეგრეევე ადამიანსაც, მაგრამ ადამიანზე კიდევ სხვა ძალა აქვს. — ვისაც იმას ჩამოჰკიდებ, მხოლოდ გაუგებრათ და ხმის ამოუღებლათ უნდა ჩამოჰკიდო, შემდეგ გათავდა... თუნდა ამ კაცს სძულდე კიდეც, უსათუოდ შეგიყვარებს...

გამომძ. თქვენ მაგ ზღაპრებს თავი დაანებეთ... საქმე სთქვით, საქმე...

მაგდ. ჰო და საქმეს მოგახსენებ... სალინკამაც შალიკოს ავგაროზი ჩამოჰკიდა...

გამომძ. მაშ შალიკო სალინკას არ თანაუგრძნობდა, რაკი თქვენის განმარტებით რომ წარმოვიდგინოთ, ავგაროზი დასჭირებია...

მაგდ. ცოდოს ვერ დავიდებ... შალიკო არ არის მაგისთანა კაცი... ამ სოფელში ბევრმა სცადა მისი დაახლოება, მაგრამა...

გამომძ. მერმე რა გამოდის აქედან?.. თქვენ ხომ იცით რაზედაც ხართ დაბარებული?.. ვინ დასწვა კოოპერატივის საწყობი?

მაგდ. ვიცი, ვიცი, გენაცვა, განა რამდენჯერ უნდა გამიმეორო!..

გამომძ. ჰო და თუ იცით, სთქვით — ვინ დასწვა?

მაგდ. სული რო არ ამომათქმევინე, შე-დალოცვილო... მე სულ დაწვრილებით, თავიდან ბოლომდე ტოჩიტოჩ მოგიყევი...

გამომძ. ეეჰ, დალოცვილო, რამდენი ლაპარაკი შეგძლებიათ... აქ სოფლის მოიდანი კი არ არის, რომ ჭორიკანობა გააბათ. აქ გამოძიებაა, მეტად მძიმე საქმე და თქვენ მოწმეთა ხართ დაბარებული. თუ რამ იცით ამ საქმისა სიმართლე უნდა სთქვათ და ისიც ზედ-მიწევნით, იმაზე, თუ ვინ გააჩინა ცეცხლი?

მაგდ. ცეცხლი ზურაბა-მედოლემ გააჩინა.

გამომძ. (დიდათ გაოცდება) რაო?

მაგდ. ზურაბა-მედოლემ!

გამომძ. (დამშვიდდება, მაგრამ ეტყობა არა სჯერა, დამცინავი ღიმილით) ვითომ რატომაო?

მაგდ. ცოლზე ეჭვიანობდა.

გამომძ. შალიკოზე?

მაგდ. სწორედ, სწორედ... სულ წამდაუწუმ „არ ვარგაო“ გაიძახოდა.

გამომძ. ეჰ, თქვენ ისეთ დაუკრეფავში შესტოპეთ, რომ...

მაგდ. დაუკრეფავში კი არა, ნამდვილ შარა-გზაზე მე გამომყევხართ, აი!

გამომძ. თქვენ თვითონა ნახეთ?..

მაგდ. რაღა ნახვა უნდა, გენაცვალოს ჩემი თავი! — ეს განა ვისი ჭურჭელია!?

გამომძ. ვისია?

მაგდ. რაღა თქმა უნდა ზურაბა და სალინკასია... ცეცხლში ძალიან გარუჯული, მაგრამ კარგათ ვიცი, აი, ჰახრაკიანი თავი აქვს...

გამომძ. (უფრო სერიოზულად) ეგ შეგიძლია დაამტკიცოთ?

მაგდ. რა დამტკიცება უნდა გენაცვა... ჩემ მეზობლებს რა აქვს, სად რა უდგია, როგორია, მე და არ ვიცოდე? — ესეთი ბიდონი, ჰახრაკიანი თავითა მთელს სოფელში არავის არა აქვს...

გამომძ. (ზარს დარეკავს).

VIII ფოედანზე

ხაბედო მაშ ეხლა რა ვუყო, სოსო-გენაცვა, გამომძიებელს დაუბარებივარ და ისეთი ვარ სუ მაძიგძიგებს...

სოხო არაფერია, ქალო, პირველად მეც ეგრე ვიყავ, მაგრამ მერმე ისე გავთამამდი, რო...

ხაბ. ე, შენ ვაჟკაცი ხარ... მაინც ეხლა რა უნდა უთხრა?

ხოხო ის უსათუოდ გენოზე შეგეკითხება...

ხაბ. რაო? როგორი კაციაო?

ხოხო ჰო, მაგასაც... მაგრამ ის ეტყობა კოოპერატივის საწყობის დაწვას გენოს აბრალებს...

ხაბ. უი, რას ამბობ? მოუკვდეს იმას სიყმე!

ხოხო ჰო, ძალიან მძიმეთ არის გენოს საქმე...

ხაბ. უი, გენაცვა... შეხე მართლა გენოსა... როგორ თავპირი ჩამოსტირის.

ხოხო ჰო და შენც ცუდი არაფერი არ უნდა უთხრა გენოზე... ხო იცი ჩვენი კაცია, გამოსადეგია... ეგ რო არ გვეყოლოს ამ შაქროსა და ლექსოს ხელში ჩავვარდებით და შემდეგ ხომ იცი: ეს არტელიო, ეს კოლეხტივირ, ეს ნალოგიო და... აღარ გვეცხოვრება.

ხაბ. უი, უი, გენოს აბა როგორ გავწირავ...

ხოხო მაინც მიდი გენოსთან... ჰკითხე და დაგარიგებს...

IX გამომძიებელთან

გამომძ. (ზურაბას) აბა, ეხლა თქვენ რას იტყვით?

ზურაბა თქვენ თუ დამიწყებთ, მე მოძახილს მოგახსენებთ!

გამომძ. რეებსა როტავთ! რა იცით-მეთქი ამ საქმისა?

ზურაბა რა საქმისა, გეთაყვა?

გამომძ. მაშ ეს მითხარით: რად გაიძახოდით თქვენ კოოპერატივისა და კოოპერატორის, შალიკოს დანახვაზე „არ ვარგა“-ს? არ გესმით? რათ გაიძახოდით-მეთქი „არ ვარგა“-ს? არ გინდათ მიპასუხოთ? — ეგ თქვენი უფლებაა!.. ვისია ეს ჭურჭელი?.. ჰაა! ხმა ამოიღეთ-მეთქი, ვისია ეს ჭურჭელი? თვალებს რას აბლატუნებთ? ვისია-მეთქი ეს ჭურჭელი?.. არც ამაზე გინდათ მიპასუხოთ?.. იცოდეთ თქვენის სიჩუმით დიდათ ართულებთ საქმეს... ნუ დაგავიწყდებათ, რომ თქვენ ამჟამად მოწმეთა ხართ მოწვეული, მაგრამ თუ ასე გაჯიუტდით შეიძლება დამნაშავის სკამზეაც მოხვედეთ... კიდევ ჩუმადა ხართ?.. მაშ იძულებული ვარ დაგატუსაღოთ და დამნაშავეთ მიგიჩნიოთ. თქვენ და თქვენისთანებია, რომ ეწევით მავნებლობას, ხელს უშლით ხელისუფლებას მის დიად საქმიანობაში, მაგრამ იცოდეთ...

ზურაბა არაფერიც არ იქნება!

გამომძ. დიახ, არაფერიც არ იქნება. თქვენ ხელს ვერ შეუშლით დიად მშენებლობას, მხოლოდ თქვენთვის რა იქნება ამას ნახავთ...

X

სალინკა (შ ე მ ო დ ი ს) მაგდან, მაგდან! ზურაბა არ გინახავს?

მაგდ. შენი ზურაბა?.. იქ არის... გამომძიებელთან.

სალ. როგორ თუ გამომძიებელთან... იქ რა უნდა?

მაგდ. ვითომ არ იცი, რომ აი ცეცხლი რო გაჩნდა იმისათვის გამოძიება სწარმოებს...

სალ. მერმე რო!.. ზურაბამ რა იცის იმ ცეცხლისა...

მაგდ. ჰო, ეგ კი მართალია... ზურაბას სულ სხვა ცეცხლი უტრიალებდა, მაგრამა...

სალ. არა, მართალი მითხარი...

შაქრო (მ ო ვ ი დ ა) რა იყო, ქალო, რა გინდა...

სალ. ზურაბას ვეძებ აგერ, რაცა ხანია... ვიცი სადმე სვამს ეხლა... ეს კი მეუბნება გამომძიებელთან არისო.
(ა მ დ რ ო ს გ ა მ ო მ ძ ი ებ ე ლ ი და ლ ე ქ ს ო მ ო ე დ ა ნ ს გ ა დ ა ს ჭ რ ი ა ნ და გ ა ვ ლ ე ნ).

შაქრო არა, მართალია... გამომძიებელთან დაიბარეს...

მაგდ. ეგე, გამომძიებელი...

სალ. მაშ, ზურაბა რაღა იქნა?

მაგდ. როდის იყო რო ესე გულდაგულ ეძებდი... რაღა ეხლა მოგინდა?

ხალ. ქალო! ნავთის ჭურჭელი დამეკარგა სადღაც... არ იქნა ვერ მივაგენ... ზურაბამ ხომ არ წამოიღო-მეთქი.

მაგდ. ნავთის ჭურჭელი?

შაქრო როგორ თუ ნავთის ჭურჭელი?... მართლა, ე, შალიკო!.. ის ორი დღეა ზურაბას თავის დოლთან ერთად ნავთის ჭურჭელიც არ დაჰქონდა...

შალიკო როგორ თუ დაჰქონდა?

გენო .რაღაც ნავთის ჭურჭელზე ლაპარაკობენ, სოსო!.. გესმის?

მე-2 ნავთის ჭურჭელი? ჰო, მეც მაჩვენა გამომძიებელმა განა!

სოსო მართალია, მეცა მკითხა, ვისია ეგ ნავთის ჭურჭელიო...

ლექსო (შემორბის, შალიკოს და შაქროს. მის ხმამაღალ ლაპარაკზე სხვებიც მის გარშემო შექუჩდებიან) ამხანაგებო! უცნაური ამბავი, საოცარი?

ყველანი რა იყო, რა?

ლექსო გამომძიებელმა დამნაშავე აღმოაჩინა, მაგრამ სულ სხვა ვიდრე ჩვენ გვეგონა.

შალიკო როგორ თუ სულ სხვა? ვინ არის დამნაშავე?

ლექსო მედოლე ზურაბა.

ხალინკა (ჩაიკეცავს) ჩემი ქმარი?

შალიკო საოცარია!

გენო მაშ რა გეგონათ, ვაჟბატონო? ჩემი დაღუპვა რო გინდოდათ, ქვეყნათ განა სიმართლე არ არის? სხვა რომ ვერაფერი მომიხერხეთ ალალ-მართალ კაცსა ეხლა სისხლისსამართალში გინდოდათ გაგეხვიეთ განა... მაგრამ აგე... ჩაგივარდათ კოვზი ნაცარში...

მე-2 ოჰ, გენო-გენაცვალე! (მღერის) ისევ შენ და ისევ შენ! ლაალე, ლაალე!

ლექსო სიხარული ნაადრევია! მართალია ამაში უდანაშაულო აღმოჩნდა ჩოფურაშვილი, მაგრამ იგი მაინც ვერ ასცდა პასუხის-გებას და ღირსეულ სასჯელს, მხოლოდ სულ სხვა მიმართებით: მას დაუმტკიცდა კულაკობა, დაუმტკიცდა ყალთაბანდობა, რომ ჩვენი გაზეთები შეცდომაში შეჰყავდა, დაუმტკიცდა, რომ იგი ოინბაზობით დაუძვრა პიროვნულ დაბეგვრას, მას წაერთვა ხმა და ამ დღეებში მიეცემა კიდეც სამართალსა...

შაქრო იფ, ჯან ბიჭო! აბა ეხლა ჩვენ ვიმღეროთ:

ვერ დაუძვრა გენო სასჯელს.
ლაალე, ლაალე!
თარი თუ რა? ლაალე!

სალინკა (მოსულიერებული) მაშ ეხლა როგორ? ჩემ ქმარს დასჯიან? მერე და რათ დასწვა?

მაგდ. ამაზე კი მე ვიმღერებ, სალინკა! (მღერის)
დაგიექვა შალიკოზე,
ლაალე!

შალიკო (ღიმილით) ჩემი ჩაგდება უნდოდა? (მღერის)
აქ მე რა შუაში ვარ?
ლაალე!

ლექსო (გულის ტკივილით) არშიყობაში კი არ ხარ, მაგრამ დაუდევრობაში და უადგილო მომჭირნეობაში კი შუაში ხარ... ავადმყოფ დარაჯის მაგივრათ რათ არ აიყვანე დროებით სხვა დარაჯი... ამისათვის, არ დაგმალავ და, საყვედური მოგხვდება!

საბედო ამასა, ამას? მე რო თმებით მათრია, პასუხი არ მეეთხოვება?

ლექსო ეგა... თქვენ ქალებს ყველას პასუხი მოგეთხოვებათ, რომ ჯერ კიდევ ეგეთი ჩამორჩენილები ხართ — ზოგი ავგაროზებს ამზადებს და ამითი ფონს გადის... (მაგდანა აიბუზება) ზოგიც მხოლოდ ჭორიკანობას ეწევა და ერთი მეორეს თმებს აწეწავს, მაგრამ ამაში ჩვენ არ ჩავერევით... (მღერის)
აბა ჩვენთან თქვენ რა გინდათ,
ლაალე!
(აყვებიან სხვებიც) ოო, ჩემი პიონერები! (გასძახის) ესე რათ დაიგვიანეთ, ამხანაგებო! აბა დროით! შევუდგეთ ჩვენს ვარჯიშობას...

შაქრო მაშ მე კი ეხლა ჩემს არტელს დაუტრიალდები... (მღერის) გავაჩაღებთ ახალ ყოფას!
და ვუტირებთ კულაკს ყოფას!

ხოსო
მე-2 } ჩვენ კი გარიყულნი დავრჩით!

ქალები ჩვენც დაგვტოვეს ასე განზე!

შაქრო ასე გავწმენდთ ზედმეტ ბარგსა!

ლექსო აი ჩვენი მომავალი!
სოფლის შნო და სოფლის თვალი!

ფარდა

„შფა-შფა“

სალაღობო მუსიკით და ცეკვით 4 მოქმედებათ

1931 წ.

მოქმედნი:

ზოხიმე ბინძურეიშვილი, სასადილოს გამგე

კეკელა, მოანგარიშე ქალი

განია
მანია } ეურეკლის მრეცხავები და დამლაგებლები

მალაქო, მთავარი მზარეული

გრამიტონა, მზარეულის თანაშემწე

ეშილ საბატიე
ვაჭან ტოსკანიან
რეზო ვარჭალალოვი
ნესტორ ჩაჩიკაშვილი } ყოფილი კაცები

როზი მიმერანბაუმ, კოსმეტიკის დოქტორი

ბებერი ქალი

მიხი მხლე გოგო

ლიზიკო

ექიმი

ბუფეტჩიკი

ბიჭი, სამზარეულოში

4 ლაქია

4 მწერალი

მუშტრები (7), მოსადილეები (8) და სხვა.

მოქმედება პირველი

მოქმედება სწარმოებს ერთ დღეს, დილის 8 საათიდან საღამოს 5 საათამდე.

სასადილო. მოსჩანს დახლისა და ბუფეტის კუთხე. მის წინ რამოდენიმე მაგიდა, რომლების გაგრძელება იგულისხმება კულისებში. დილაა, ცხოვრება ახლა იწყება.

(განია, მოხდენილი ახალგაზრდა, უკრაინელი გოგო, ხელებ-გადაკაპიწებული ჰგვის სასადილოს. თან რაღასაც სევდიანს, უკრაინულს მღერის. იმავე დროს შემოიჭერეტს მანია, ჩატუნტრუკებული გოგო, პრანჭია, გრეხია).

მანია სადა ხარ განია... (რუსულს ამტვრევს, მაგრამ ეძალება) გდე ტი? კაკ მოჟნო!

განია (რუსული აქცენტით) უნდა გაცმინდო პოლი.

მანია ოჰ, რა დროს პოლია, შტო ტი გავარიშ?... ჩვრები სად არი?

განია ვერ ნაქე?

მანია მოდი აქ, მოდი. — კაკ მოჟნო!

ხმა სამზარ. განია, სადა ხარ? სამოვარი აადუღე... ნახშირი მოგიტანე...

განია იკოს, იკოს... მოვალ...

(შემოდის კეკელა ხანში შესული მოანგარიშე ქალი. მიდის თავის მაგიდასთან, იხდის ქუდს და მაგიდას რომ დახედავს იყვირებს).

კეკელა განია, სადა ხარ? — ეს რა არის... კიდევ არ მოგისუფთავებია!.. გენაცვალოს კეკელას თვალები!

განია ვერ მოასტარი...

კეკელა ვერ მოასწარი... ასე იცი სულ... გენაცვალოს კეკელას თვალები! ზარმაცი ხარ და უშნო — მოდი აქ... (განია მიდის).

მანია (*კარებიდან*) განია, სადა ხარ ამდენ ხანს... კაკ მოენო!

ხმა სამზარ. განია... სამოვარი აადუღეთ... დროა...

განია (*ამასობაში მაგიდა მოსწმინდა*) მოვკრივარ... (*ზოსიმე შემოდის, პალტოს გაიხდის, ქუდს ჩამოჰკიდებს, სამზარეულოში შეიპვრეტს და შემდეგ მიდის კეკელასთან, რომელიც უკვე მოუჯდა მაგიდას და ანგარიშობს*).

ზოსიმე რა ქენი კეკელა, კიდევ ვერ იანგარიშე!

კეკელა (*პაწია მაგიდაზე უწყვია სხვადასხვა ანგარიშები, ერთი დიდი დავთარი და საანგარიშო ჩოთქი*) რა ვიცი ღმერთმანი, ძალიან აპუწულ-დაპუწულია... გენაცვალოს კეკელას თვალები.

ზოსიმე მერე და ვისი ბრალია?

კეკელა ვისი ბრალია, ვისი... დამიწყებს ახლა კიდე...

ზოსიმე აბა, ქალო... რა არი ეს, ეს რა არი?.. (*ქაღალდებს ააგუნდავებს*) ვაიმე, ჩემო თავო! იმ კვირის სჩოთი კიდე არ შეგიტანია?

კეკელა საიდან შევიტანდი... გენაცვალოს კეკელას თვალები, გუშინდლამდი შენ ჯიბით დაგქონდა...

ზოსიმე ჰო, კარგია ეხლა მე გადმომაბრალე!.. არ იცი ანგარიში, ქალო, არა და ის არის... მეც სამადლოდ გინახავ, თორემ მოანგარიშეთ შენ ვინ დაგაყენებდა!..

კეკელა უი, ჩემი სიკვდილი!.. შენ მინახავ სამადლოთ?.. ვაი ჩემი ცოდვა, — ზოსიმე ბინძურეიშვილი ამას მიბედავს მე... გენაცვალოს კეკელას თვალები.

ზოსიმე შენ თორემ... ის იყავი აი... შერემეტიევის ცოლი... რაცხა გახრეკილი დუქანი ქონდა საწყალ შენ ქმარს და თიაქ-ფარუხის გაყიდვაში ამოძვრა სული...

კეკელა უი, შენ მომიკვდი შენ!.. თიაქ-ფარუხი კი არა ფარჩის მაღაზია ჰქონდა გენაცვალოს კეკელას თვალები და სულ სასულიერო წმინდა საგნებს ჰყიდდა: ბარძიმ-ფეშხუმი, ჯვრები, საცეცხლური და სხვა... გენაცვალოს კეკელას თვალები!

ზოსიმე ჰო, გამიჭირე შენი ბარძიმ-ფეშხუმით საქმე. მაგითი მომატყუე კიდეც. შენს ქმარს ვაჭრობაში ვეხმარებოდი, დახლში მე ვიყავი და ის რომ მოსკოვს საქონელზე წავიდოდა, მაღაზიის საქმეს სულ მე ვატრიალებდიო.

კეკელა მერე და ტყუილი იყო? გენაცვალოს კეკელას თვალები?

ზოსიმე — მე რა ვიცი... ანგარიში მაინც ვერ დაგისწავლია და შენ ისე გაქვს საქმე დაყენებული რომ... (განიას შემოაქვს ტაშტით წყალი და უნდა გაიტანოს) განია, განია სად მიგაქვს ეხლა ეგ ჭუჭყიანი წყალი?

განია — საჭიროა გადავაქციო.

კეკელა — მე რომ შენი ამბავი ვიცი კიდევ ქათმებს გადაასხამ იაშჩიკზე, გენაცვალოს კეკელას თვალები!

განია — არა, მერცმუნეთ — არა. მე არ დავაქციე, ეგ სულ მანიას ბრალი იკო.

კეკელა — ეხლა მანიას ბრალია — შენ იმას ნუ ეჯიბრები — იმას ნუ აბრალებ.

განია — (ეტირება, მიდის) მანიას ბრალი იკო...

ზოსიმე — (განიას) ჰო, კარგი წადი... მიხედე შენს საქმეს (განია გადის) რა არის ახლა ამ გოგოს თუ არ აუხირდი არ იქნება.

კეკელა — აუხირდი კი არა... გენაცვალოს კეკელას თვალები! საძაგელი გოგოა, ჭუჭყიანი, ბინძური... ყოველგვარი სიბინძურეც მუსსორნი იაშიკში კი არ მიაქვს — შორიაო და — აქვე ქუხნის კარებთან ყრის, გენაცვალოს კეკელას თვალები. იმ დღეს კიდევ აშმორებული წყალი გალიაში დამწყვდეულ ქათმებისთვის გადაესხა.

ზოსიმე — შეიძლება მართლა მანიას ბრალია.

კეკელა — ჰო, ახლა მე მასწავლი? სირცხვილია, შამოვა ვინმე ან სანიტარი და ან სხვა რამე კომისია და ჩვენ დაგვშტრაფამენ, გენაცვალოს კეკელას თვალები!

ზოსიმე — ჰო და მეც მაგას გეუბნები, ახლა ძაან სტროგობა დაიწყო და შენ კიდევ ანგარიში არ გაქვს გამოსწორებული.

კეკელა — ეს კიდევ ანგარიშზე ლაპარაკობს, გენაცვალოს კეკელას თვალები!

ზოსიმე — ბატონო, შენ შენი საქმე გააკეთე, სხვისას ნუ დაეძებ. უწინარესყოვლისა საქმე ანგარიშია, დავთარი უნდა გქონდეს სწორად და... გოგოების ჭუჭყს და სისუფთავეს სხვაც მოუვლის.

კეკელა — უჰ, შენ სულ ~~ინ~~ გოგოებში ამოგდის სული.

ზოსიმე — კაი ახლა... ნუ მახელებ! (მიდის. გრამიტონა საყინულესთან და შიგნით ათვალიერებს. გამოაქვს უმი ხორცეული. ატრიალებს, სუნავს).

გრამიტონა — ზოსიმე, ერთი ცოტა ხანს აქ მობრძანდი.

ზოხიმე (არ იამება ასეთი დაძახება) რა იყო ყმაწვილო, რა მოგეჩვენა? (მიდის მისკენ აუჩქარებლად).

გრამიტ. მომეჩვენა კი არა... ყინული არა გვქონია.

ზოხიმე ყინული?

გრამიტ. და არც ხორცეული გვქონია.

ზოხიმე მაშ ეგ რა არის?

გრამიტ. დამპალია.

ზოხიმე დამპალი კი არა გუშინდელი მოტანილია.

გრამიტ. რა უყოთ რომ გუშინდელი მოტანილია... ყინულიც არ არის სულ და...

ზოხიმე იმ ჩემი ცოდვით სავსე სტეფანეს აკი დავავალე ყინული მოეტანა, ფულიც წინდაწინ წაილო.

გრამიტ. ხორცი გაფუჭებულია.

ზოხიმე გაფუჭებული კი არა...

გრამიტ. აი ვერ ხედავ, ლურჯი ხაზები შეპარვია.

ზოხიმე (დაფეთებული მიიხედ-მოხედავს) ჩუმად. — მე შენ მოგცემ ლურჯ ხაზებს.

გრამიტ. ჰაა, ხელი ფაფას!..

მალაქო (მეტის-მეტად მსხვილი ძლივს დაგორავს. ქშინავს) რა ამბავია კიდევ ჩხუბობთ? რა დაგემართა?

ზოხიმე კაცო, მე რა უყო, ნამდვილი არა მკითხე მოამბეა—სხვის საქმეში ერევა—ხორცი გაფუჭებულიაო, ლურჯი ხაზებიაო.

გრამიტ. ჰოდა რაა, — დამპალია, გადასაგდებია!

მალაქო (ხორცს აიღებს) როგორ, ეეს? — არა უშავს რა! მოვშუშავთ, მოვწვავთ, მოვხრაკავთ, სუხარში ჩავდებთ და გატოვა.—პადავაი ნა სტოლ.

ზოხიმე აა, ახლა მაინც არ დაიჯერებ, სხვის საქმეში რომ ერევი? ბიძაშენმა შენზე უკეთ არ იცის?

გრამიტ. რა უყო რომ ბიძა ჩემია. დამპალი ხორცი დამპალია?...

ზოხიმე კაცი აგერ ორმოცი წელიწადია პოვერია, ცესარევიჩთან ნამყოფი კაცია... სპეციალ!..

გრამიტ. (ჩაილაპარაკებს და მიდის) სპეციალ კი არა არამზადები ხართ ორთავენი (იქაურობას მოშორდება).

ზოხიმე (მივარდება მალაქოს) მალაქო, როგორ გეკადრება! ვინ მომიყვანე ეს ოხერი... ჩემი რაა: უფროსია, გამგეობის წევრია, რევიზორია თუ რა?..

მალაქო რევიზორი კი არა—ჩემი ძმის წულია, კაცო, ერთი ობოლი ბიჭია... მინდა ჩემი ხელობა შევასწავლო კაცი გამოვიდეს...

ზოსიმე შენი ხელობის არ ვიცი და სხვა რაღაცეებს რომ სწავლობს ეს კი ეტყობა ეხლავე.

მალაქო ნიჩევო, ნიჩევო. მონ კამარად. ჰინკერ ზოსიმე — ბავშვია, ქარი გაუვლის (ამასობაში კედლის განჯინიდან წინსაფარი. ქუდი და ზევიდან მზარეულის გადასაცმელი გამოიღო. იცვამს).

ზოსიმე მაგას არ ვიცი რა გაუვლის და ჩვენ რომ ეგ მოგვივლის, მე ვგრძნობ ცხადად. — ჰა, მალაქო, ჰა, დაარიგე...

მალაქო ეეჰ, ერთი შენც მოგცლია. — შენ ერთი ის გადმოიღე (ანიშნებს გადაკვრას).

ზოსიმე კაცო, ბუფეტჩიკი ჯერ არ მოსულა და გასაღები მე არ მაქვს.

მალაქო ოოჰ, ეგ რათ იცი ხოლმე, ზოსიმეჯან... პირობა პირობაა... დილით მოვედი, ჩავიცვი ჩემი ამუნიცია? — „ბუტილკა ნა სტოლ“ (ვითომ ბრაზით) „დავაი და“...

ზოსიმე არა მაქვს ჩემმა მზემ.

მალაქო უჰ, რა ჯანჯალი კაცი ხარ.

კეკელა (ანგარიშობდა, თავს აიღებს) რა იყო, მალაქო? შენი პორცია?.. აქა მაქვს აქ — მე შეგინახე გენაცვალოს კეკელას თვალები!

მალაქო უჰ, შენ კი გენაცვალე, კნეინაჯან, მაგ... მაგ... ენის კლიტეში.

კეკელა რა არი, მალაქო! კნეინას ნუ მეძახი... აბა სადაური კნეინა მე ვარ! გენაცვალოს კეკელას თვალები (აძლევს ლიტრა ღვინოს, რომელსაც მაგიდის ქვევიდან გამოიღებს).

მალაქო რა ვქნა დაჩვეული ვარ ამ ოხერს. რაც ლამაზი ქალები იყო სულ ყველას მუდამ კნეინას ვეძახდი, ოოჰ, შენ კი გაიხარე (ზოსიმეს) უჰ! უქმურო! (მიდის).

ზოსიმე რაც გითხარი არ დაგავიწყდეს. — ის შენი ძმისწული დაარიგე, თორემ თუ თავისი არ მოიშალა, უწა-უწა გავაგდებ.

მალაქო (მიდიოდა, უეცრად მობრუნდა) რაო? ეგ რა ბრძანე?

ზოსიმე უწა-უწა გავაგდებ-მეთქი.

მალაქო არ შეიძლება გვიბრძანოთ ეგ რა სიტყვაა?

ზოსიმე როგორ თუ რა სიტყვაა? ქართული, კაცო, იმერული... უწა-უწა, ე. ი. დაუყონებლივ, სასწრაფოდ, თვალის დახამხამებამდე.

მალაქო ოო, მაშ ეს „პასპეშნი“ რამ ყოფილა, „უდარნი“!

ზოსიმე ჰო, ჰო, უდარნი.

მალაქო მაშ იცი, ამაზე ერთი ანეგდოტი გითხრა. (ეტყვის რაიმე სადღეისო შესაფერ ანეგდოტს და გადის. იმავე დროს ათუხთუხებული დიდი სამოვარი შემოაქვს მანიას).

ზოსიმე რა უბედურებაა, არც ლაქიები მოსულან ჯერ და არც ბუფეტჩიკი.

მანია ამხანაგო გამგე, მეტი აღარ შემიძლია ამ სამოვრის თრაქვა. „კაკ მოჟნო“! ქალი ვარ... ხარი ხომ არა ვარ.

ზოსიმე არა ხარი არა ხარ, მაგრამ... პომოშნიკები გაგიჩინო ეხლა თუ როგორაა თქვენი საქმე?

მანია პამოშნიკი არ ვიცი მე! „კაკ მოჟნო“! ეგერ პოვარის ძმისწული რომ აგდია რას მიკეთებს: „ნე მოჟეტ პატაშჩიტ სამოვარ“?

ზოსიმე კარგი, კარგი, რა ამბავია რუსულად რომ გასკდი. რაზე ატან თავს ძალას? მაგრამ იმას კი უფრთხილდი ჩემო ბიძია. სამოვარი კი არა სულ სხვა კაცია, ეტყობა... იმას რა უთხრა ვინც ეგ აქ შემომიგდო.

მანია რა კაცია? მე შენ გეტყვი კნიაზია. ჩათლახი ვიღაცაა.

ზოსიმე ახლანდელი დროის კნიაზია ბიძია, ახლანდელი.

მანია ახლანდელი დროის... „ჩტო ვი გავარიტე“? მართლა? (გაფრინდება) გრამიტონა, გრამიტონა! ტავარიშჩ გრამიტონ! (დაიმალება).

ზოსიმე (თვალს გააყოლებს) ეგ კი ჭამს პურს ამ ქვეყანაზე.

კეკელა დიდი მუზმუზელა ხარ, დიდი. გენაცვალოს კეკელას თვალები!

ზოსიმე ჰა, ჰა! იანგარიშე, იანგარიშე! (შემოდიან ლაქიები და ბუფეტჩიკი) ჰოო, ბატონის შვილებო! რა გეჩქარებოდათ, ხვალაც ამ თვისაა. ვერ მოასწრობდით?

ლაქიები: 1—შენ რა გენაღვლება, ბიძია!

2—მე ხეირიანათ ვერც კი გამოვიძინე!

3—მაინც რაც ეს ჩაი შემოიღეს, ჩვენს სასადილოში...

4 – ჩაი საკონდიტროში უნდა იყოს...

ლაქიები: 1—თეთრი ბულკი, ზდობნი და მისი ჯანი.
2—მერე ეს ღამის ვაჭრობაც რომ გაგვიგრძელეს.
3—ჰო, ღამის ორ საათამდე.
4—ცოლი გვყავს, შვილი.
1—ოჯახი გვაქვს. შენ თუ გინდა ცხოვრება ჩვენ არ გვინდა?
(ყველანი მიდიან შკაფთან და იცვამენ სპეცსაცმელს).

ზოსიმე ჰო, კარგია ახლა ნუ ბუზღუნობთ, — შეუდექით თქვენ საქმეს. მალე, ხელათ!

ბუფეტჩიკი (ლაქიებს თვალს ჩაუკრავს) უწა-უწა (ლაქიების კუპლეტები „უწა-უწა“).

1-ლი ლაქ. რა არი კაცო, კიდევ არ გაგირეცხიათ?

მე-2 ლაქ. კეკელა, კეკელა!.. რამდენჯერ გთხოვეთ მეორე ხელი შეგვიკერეთ, თორემ ამითი არ შეიძლება მუშაობა...

მე-3 ლაქ. აგერ ამას დახედეთ! იდაყვში გამოგლეჯილია, გულზე რამხელა ლაქა აქვს, ბორშჩისაა, რისია...

1-ლი ლაქ. აღარ ვართ მეტი, მათხოვრები ვართ თუ რესტორანის თანამშრომლები. რას გავს ეს?

მე-4 ლაქ. მე ჩემთვის მოვიტანე გარეცხილი და გაუთოვებული. საწყალი ჩემი ცოლი წუხელის ნაშუალამევს გამოვალვიძე ამისთვის.

მე-3 ლაქ. ახლა მართლა ასე ფიქრობთ დაგვტოვოთ ყველა?

კეკელა მე რას მომესიეთ რა? იყიდოს და დაგირიგებთ, განაცვალოს კეკელას თვალები!

1-ლი ლაქ. რა ვიცი, ბუხჰალტერი შენ ხარ...

მე-2 ლაქ. (სხვებს თვალებს ჩაუკრავს) ფხუუ!

მე-3 ლაქ. ბუხჰალტერი თუ არა კომერციული ინსტიტუტი აქვს გათავებული.

ბუფეტ. ეგ რაა შენ სხვა თქვი, თორემ რა ბუხჰალტერიცაა კარგათ ვიცით.

კეკელა (მაინც თავისას ამბობს) მე რა, მე! იყიდოს გამგემ და დაგირიგებთ! გენაცვალოს კეკელას თვალები!

გრამიტ. (შემოდის) ამხანაგო გამგე! ყინული მოატანინე, თორემ არ შეიძლება ასე... ისიც გაფუჭდება, რაც საღია.

ზოსიმე რა უყო ახლა იმ ოჯახ-დასაქცევ სტეფანეს... რატომ არ მოაქვს იმ ოხრის შვილს.

გრამიტ. ვინაა, კაცო, ეს სტეფანე... სად არი? მითხარი და მე წავალ.

მანია (შემოვარდება) ამხანაგო გამგე, ნახშირი მეტი აღარ არის და არ ვიცი რა ვქნათ.

ზოსიმე კაცო, სამი დღეა იმდენი მოვატანინე და აღარ გყოფნით? ამხანაგო კეკელავ, რამდენი მეშოკი იყო მოტანილი?

კეკელა არ ვიცი ჯერ არ მიანგარიშია, გენაცვალოს კეკელას თვალები! უიმე! ერთი სად დამეკარგა, მაგის სჩოტი მე არ მაქვს!

ზოსიმე უჰ, როგორ არ გაქვს! ინდაურია, ინდაურია ნამდვილად ეს ოჯახდაქცეული — მანდ გექნება ქაღალდებში სადმე. როგორ იქნება ასე. არაფერი თავის ადგილზე არ გაქვს.

გრამიტ. (აიღებს იატაკიდან) ეს რა არის? ნახშირის ანგარიში არ არის?

კეკელა უიმე, სად გადამვარდნია, მომეცი აქ, გენაცვალოს კეკელას თვალები.

ზოსიმე შენ გადაგივარდა გვარი და ჯილაგი.

გრამიტ. (ლაქიებში ჩეერევა, რომლებიც ეტყობა მაგიდების გარიგებაზე თათბირობდნენ).

ზოსიმე განია, განია. სად ხარ? (განია შემოდის ისევ ხელებ გადაკაპიწებული) შენ არ ხარ დღეს ჩაიზე მორიგე?

განია დიახ, მე ვარ.

ზოსიმე ჰოდა მერე სადა ხარ აქამდინ?

მანია ეგ პოვრის ბიჭებთან თუ არ ილაზღანდარა...

განია ფუ, „სტიდნო ტებე, სტიდნო“!

ზოსიმე (მანიას) კარგია, შენი საქმე არ არის (ბუფეტჩიკს) ჩაი მიეცით.

მანია (ჩაილაპარაკა) ჩემი საქმე არ არის და გყავდეს ეს რუსის გომბიო (მიდის გრამიტონთან და ლაქიებთან).

განია (ჩაის ადგამს, ჭიქებს სწმენდს) სულ ასე მტერია ჩემი მანია. მალაქია ივანიჩ პრიკაზალ ჩურჩელი დარეცხე — დამაგვიანდა.

გრამიტ. (თავის ჯგუფს) დიდი უთაურობა, დიდი უწესოება, ჭუჭყი, უსუფთაობა, ანგარიში არეული; — სანოვაგე დამპალი, — როგორ შეიძლება ამის მოთმენა. მე თუნდ აგერ ორი დღეა აქა ვარ და ეხლა ვეცნობი ყველაფერს, მაგრამ თქვენ რას შეჩერებიხართ, ხმას ვერ ამოიღებთ, სიტყვას ვერ იტყვით, ვერ აცნობებთ სადაც ჯერ არს...

მანია მართალია, სწორია, — „კაკ მოენო“. — „ნილზია ტერპეტ“.

1-ლი ლაქ. მე ჩემო ძმაო, თავის დროზე ხმაც ამოვიღე და ჩვენ კავშირში განვაცხადე კიდეც რაც აქ ამბავია, მაგრამ ვინ გაგცა ხმა.

მე-2 ლაქ. პატრონი არ გვყავს, პატრონი!

მე-3 ლაქ. ასე ვართ წამოტოვებული!

მე-4 ლაქ. სხვაგან გამიგია ბრიგადები დაიარებიან. — კომისიები, რეიდები, ჩვენთან არავის არ გაუჭაჭანია.

გრამიტ. ასე არ შეიძლება, ამხანაგებო, არა! თქვენი არ ვიცი, და მე კი ამას ასე ვერ დავტოვებ (მიდის).

მანია „ჩტო ტი გავარიშ“? მეც შენთან გრამიტონ, მეც შენთან. — იმდენი ამბები ვიცი, — ჯერ სადა ხარ — „კაკ მოენო“? (გადის გრამიტონასთან. შემოდის მუშტარი, უჯდება ერთ-ერთ მაგიდას და უკაკუნებს. არავინ ყურადღებას არ აქცევს).

მუშტარი რა ამბავია? რატომ ყურადღებას არ მაქცევთ?

1-ლი ლაქ. (მეორეს) კაცო, როგორ შეიძლება! ყოველ დღე მაგ მხარეზე ემსახურები, ყოვლად დაუშვებელია.

მე-3 ლაქ. მართალია, მართალი! რა ამოიჩემე ის კუთხე?

მე-4 ლაქ. იქ იმისთანა ხალხი მოდის, რომ ნაჩაის აძლევენ და...

მე-2 ლაქ. აი ღმერთი ისე იმათ ააშენებს... ვინ იძლევა ახლა, მერე, ნაჩაიას!

1-ლი ლაქ. კაი ეშმაკი ხარ ნუ გეშინია.

მუშტარი ამხანაგო, ამხანაგო! მომაქციეთ ერთი ყურადღება, მეჩქარება, — ვისია ეს მაგიდა?

მე-4 ლაქ. არავისი არ არის. — ჯერ არ გაგვინაწილებია.

მუშტარი კაცო და მერე და მე რა შუაში ვარ. — ვინმემ მომიტანეთ ჩაი მინდა, ჩაი!

მე-4 ლაქ. ჩაი თუ გინდათ ეგერ არის და დალიე.

მუშტარი მე თითონ მოვიტანო?

მე-4 ლაქ. რაო, არ გეკადრება თუ...

მუშტარი აგრე მეტყოდით, თუ ამ რესტორანს მოსამსახურე არ ყავს, მაშინ...

მე-2 ლაქ. (გამოვარდება) არა, ამხანაგო ჩვენ აბა რას ვაკეთებთ... მიბრძანეთ რა გნებავთ?

1-ლი ლაქ. (დანარჩენებს) აა, მაინც იმ კუთხეზე წავიდა.

მე-3 ლაქ. ჰოო, კარგია ეხლა.

მე-2 ლაქ. (ღებულობს შეკვეთას) მაშ ერთი ჭიქა ჩაი, ყველი და პური თეთრი, ორი კვერცხი. — კრუტონი თუ ვსმიატკუ.

მუშტარი არა კვერცხები არც ძალიან მოხარშული იყოს და არც ძალიან თოხლო.

მე-2 ლაქ. „სიჩას“! (გარბის, ჩაუვლის პირველს).

1-ლი ლაქ. ვაი შენი რჯული არ იყოს შენი.

მე-3 ლაქ. ეეჰ, დეეთხოვე... რას ეჩხუბები კაცო. ერთი ორი სამი მანეთი იშოვნოს დღეში... ზოგიერთი კიდევ იძლევა მიუხედავათ აკრძალვისა... და გეხარბება? მე შენ გეტყვი ძველი დროა... გახსოვს ქართულ კლუბში?

მე-4 ლაქ. მე არ მახსოვს ახალგაზრდა ვარ, მაგრამ გამიგონია, რომ პეტრე ღამეში ოთხ-ხუთ თუმანს არ ჯერდებოდა თურმე.

1-ლი ლაქ. ეგ ბევრია, მაგრამ ასე ერთი მეორეზე ხუთმეტ მანეთს ვაკეთებდი.

მე-3 ლაქ. მერე ცოტაა შე ყურუმსაღო?

მე-2 ლაქ. (მიუტანა ჭიქა ჩაი და შავი პური).

მუშტარი ეს რა არის? მე რა გითხარი?

მე-2 ლაქ. ყველი არ ყოფილა, ამ კვირაში არ მოგვიმარაგებია სრულიად.

მუშტარი მერე და მაშინვე ვერ მითხარი?

მე-2 ლაქ. „იზვინიტ, პაჟალუსტა“!

მუშტარი პური რომელი გითხარი?

მე-2 ლაქ. თეთრი პური ჯერ არ მოუტანიათ — რა ვქნათ?

მუშტარი უჰ, თქვენ რა გითხრათ?

ზოსიმე (ბუფეტჩიკს) რაიო?

ბუფეტ. თეთრ პურს თხოულობენ.

ზოსიმე მერე და წადი და იყიდე.

ბუფეტ. ახლა პურზედაც მე წავიდე?

ზოსიმე რა ვქნა, ძმაო, ხომ ხედავ ჯერ არ გამოგვიგზავნეს.

(ბუფეტჩიკი მიდის. ზოსიმე რჩება განიასთან. ეტყობა ეარშიყება. განია არ იკარებს, მაგრამ საქმე ვერ მიუტოვებია. ამასობაში მოდიან სხვა მუშტრები. ლაქიები მოდიან, მოაქვთ ჩაი და პური. იმავე დროს შემოდის ნესტორ ჩაჩიკაშვილი და მიდის კეკელასთან).

კეკელა აა, ჩემს ნესტორს (ნ ე ს ტ ო რ ი ხ ე ლ ზ ე ა კ ო ც ე ბ ს). ნუ იცი კაცო, ხელზე კოცნა. რამდენი ხანია გადავარდა, გენაცვალოს კეკელას თვალები!

ნესტორი არ შემიძლია... ქალს ხელს უბრალოდ ვერ ჩამოვართმევ... მერე კიდევ თუ ამისთანა ხელიც არის.

კეკელა უჰ, რა პირმოთნე ხარ, — გენაცვალოს კეკელას თვალები!

ნესტორი ქალბატონო, როდის იყო, რომ მოგატყუე?.. რაო, ზოსიმე ბინძურეიშვილი ახლა ამ უკრაინკას მოდგა?..

კეკელა უი, წყეული, წყეული... მაგრამ მოიმტვრევს ფეხს როცა იქნება, გენაცვალოს კეკელას თვალები!

ნესტორი ქალო, გეუბნები, მაგის დღეები დათვლილია... შენ არ წაგიკითხავს პარტიის ცეკას დადგენილება?

კეკელა რა ვიცი, ჩემო ნესტორ, პარტიის დადგენილება კი არა, გენაცვალოს კეკელას თვალები!

ნესტორი ჰო, სასადილოებზეა ისეთი დადგენილება, რომ...

მე-2 მუშტ. (პ ი რ ვ ე ლ ლ ა ქ ი ა ს) რა არი, ამხანაგო ეს? ჩაია თუ გამონახადია რაღაც.

1-ლი ლაქ. ჩვენ უკეთესი არა გვაქ. თუ გინდა დალიე და... ეგ არი...

მე-2 მუშტ. იფ, კარგად არ მელაპარაკები!

1-ლი ლაქ. აბა რა? ჩვენ აქ საჩაიე კი არ გვაქვს.

მე-2 მუშტ. ჩაის ყიდი და საჩაიე არ გვაქვსო?

1-ლი ლაქ. ჩვენ რესტორანი გვაქვს ამხანაგო... ეს ჩაი ეხლა მოგვახვიეს. — აქ რაღაც დაწესებულება ყოფილა და იმათი მოსამსახურეებისთვის ვადუღებთ. — დამხრობილია თურმე მათთვის...

მე-2 მუშტ. მერე და მე ამ დაწესებულების მოსამსახურე არა ვარ?

1-ლი ლაქ. მე რა ვიცი... აქ პასპორტებს კი არ ვთხოულობთ.

განია (მ ი ა კ ი ვ ლ ე ბ ს) ნუ კაკ ვამ ნე სტიდნო, ზოსიმ ვისარიონოვიჩ.

ნესტორი (ამ დ რ ო ს მ ო ვ ი დ ა) გამარჯვება, ბინძურეიშვილო. — აბა მომეცი დაგიწერო მენიუ. რა გაქვთ დღეს სადილად.

ზოსიმე რა უხეირო კაცი ხარ, — მე რომ მომადგები, ვითომ არ იცი რომ პოვარს უნდა კითხო და შემდეგ ჩამოწერო. — ოჰ, ვინც მე ეს რუსული წერა არ მასწავლა იმას კი რა უთხრა.

ნესტორი რუსული წერა რად გინდა. — ვითომ არ გეყოფა იმისთანა წარსული რომ გაქვს.

1-ლი ლაქია (მოვიდა განიასთან) განია, რა ჩაის მაძლევ! შენი გულისთვის გამლანძღა მუშტრებმა.

განია ეიბოგუ ია ნე ვინავატა. ისპიტოი ჩაი მომცა ბუფეტჩიკმა.

1-ლი ლაქ. როგორ ჩაიც აღარ არის?

განია არალი, არალი... (იცინის).

ნესტორი (ზოსიმეს) ჰო, ვიცი შენი რევოლიუციონერობის ამბავი — რამდენჯერ გითქვას, — გასტინიცაში ლაქიათ რომ იყავი და ღამეს ათევიებდი რევოლიუციონერებს.

ზოსიმე მერე შენ ცოტა საქმე გონია. — იცი, რა შიშს ქვეშ ვიყავი? ჩემი ამაგი ახლაც ახსოვს...

ნესტორი ჰო, ვიცი კარგი, დასახელება საჭირო არ არის.

მე-3 მუშტარი (მე-4 ლაქიას) კაცო, კოვზი არ უნდა ჩაის?

მე-4 ლაქია კოვზი არ გაქ? უიმე, ღმერთო მომკალი...

მე-3 მუშტ. არ მაქ ხო. — რითი მოურიო...

მე-4 ლაქია რითი? ახლა სად გიშოვნო კოვზი? დაკავებულია ყველა. აა, აგერ არ ყოფილა? (მეორე მაგიდიდან აიღებს დიდ კოვზს და მიუტანს).

მე-3 მუშტ. რაა ეგ?

მე-4 ლაქ. კოვზია.

მე-3 მუშტ. მერე და როგორ მოურიო, რომ არ ეტევა?

მე-4 ლაქ. შე-კაცო, მაგას რა დიდი ფიქრი უნდა, გადააბრუნე და დაატრიალე (ბუფეტჩიკი მოვიდა. მოიტანა პური პატარა ბიჭის ხელით).

ნესტორი ჰო, კარგი ეხლა მომეცი ბლანკები. მენიუ დღეს არ გინდა დაგიწერო?

ზოსიმე (ბუფეტჩიკს) მიაშავე მაგ ოხერს მენიუა რაღაცაა. უჰ, რა ორ მანეთიანი სადილი მეღუპება მაგის მენიუს წერაში!

ნესტორი როგორ, კიდეც იმადლები? ორი მანეთი არ ღირს ოთხი უშველებელი ქაღალდის გადაჭრელება და მერე ისიც როგორი ხელით, სულ ანგელოზები ცეკვავენ ზედ. — რამდენი კატლეტია იმდენი წყვილ-წყვილი სირინოზი ახატია ზედ. ოჰ, მოდი მალაქო, აქ მოდი.

მალაქო (შემოდის) რა მოდი, კაცო (ცარიელი ბოთლი უჭირავს) ამას ვერ ხედავ?

ნესტორი (ზოსიმეს) ჰოო, ჰოო, ნუ აწყენინებ მალაქოს. სადილობამდე თუ ერთი ორი ბოთლი არ გადაკრა ისე ტყუილია, ნუ ამუშავებ.

მალაქო · დავაი... უწა-უწა!.. უდარნიმ პორიადკომ.

ზოსიმე (ბუფეტჩიკს) მიეცი, თორემ ხომ იცი (მისცემენ ბოთლით ღვინოს. მალაქო მიდის).

ნესტორი მოიცა, კაცო, მოასწრებ მაგის დალევას. — მითხარი აბა რა დავწერო დღეს? ბეფ-ბეი... ტუშონი მიასო, მიასო სოტე? სულ კი უბრალო მოხარშული ხორცია. მხოლოდ სახელები ყვირის სხვადასხვა ვართო? ა?

მალაქო დღეს ისეთი სადილი მაქვს ისეთი რომა...

ნესტორი რა ვქნა რიგია, ფორმალობა უნდა დავიცვა, უნდა გკითხო, თორემ განა არ ვიცი რაც გექნება: ბორშჩი უხორცოთ და სუპი პერლოვი, ან ს მანოი კრუპპოი, მეორე კი აჯაბ-სანდალი ან ბიტკი ს ლუკომ. — ხომ ესეა?

მალაქო არა, არა სტანდარტიზაცია იოხტურ.

ნესტორი ბიპოს, შენ ამას დახედე! ეგეები საიდან გისწავლია?

მალაქო შეხ წამო, მაგაზე მე ერთი კარგი ექიათი გიამბო, აი მე რომ ცესარევიჩთან ვიყავი... (გადიან).

მე-2 ლაქ. (მუშტარს) რაო? მესამე ჭიქა ჩაი გინდა? რა ამბავია, პრაჩკა ხომ არ ჩაგისვამს მუცელში?

1-ლი მუშტ. შენ რა, ამხანაგო!.. შენ რა გენაღვლება, მე ხომ ფულს ვიძლევი.

ზოსიმე სამოვარი ჩააქრე — განია. ჩაი აღარ მისცეთ.

მე-3 ლაქ. (მე-4 მუშტარს) ჩაი აღარ გახლავთ.

მე-4 მუშტ. ერიჰაა! არ მახლავს რომელია? რამდენი ხანია ველოდები.

მე-3 ლაქ. დროზე უნდა მოსულიყავით. ეხლა უკვე ჩაის დრო აღარ არის... უკვე ცხრა საათია.

მე-4 მუშტ. კარგია შენ მომიკვდე.

ნესტორი (შემოდის ქაღალდებით და მიდის კეკელასთან) აბა, ეხლა ნება მომეცით რომ ჩვეულებისამებრ თქვენ მაგიდაზე დავსწერო ჩვენი საოცარი მენიუ.

განია (კიდევ მიაკივლებს და, ჭიქას რომ წმენდდა, გაუვარდება. ატირებული გარბის) მეტი არ შემიძლია, ზოსიმ ვისარიონოვიჩ. სტიდნო, სტიდნო... (წინ შეეფეთება გრამიტონს).

გრამიტ. რა იყო, რა მოხდა განია? (განია ტირილით და მორიდებით რაღაცას უხსნის).

კეკელა
ნესტ.
ბუფეტ. } რა იყო, რა მოხდა...

ზოსიმე ეეჰ, ჩოლპოტია, ჭიქა ხელში ვერ დაიჭირა და ეს ზარალი მოგვაყენა. მე ერთი უნდა მივირბინო გამგეობაში, მალე დავბრუნდები (გადის).

გრამიტ. მოუთმენელია, დაუშვებელი, კარგი, დამშვიდდით განია, წადით, დაისვენეთ (მიაცილებს სამზარეულოს კარებამდე. იქიდან გამოდის მანია მჩვარით ხელში. განიას და გრამიტონს ერთად რომ დაინახავს არ იამება. ცოტა ხანს შეჩერდება, თვალს გააყოლებს, შემდეგ მიდის ბუფეტჩიკთან).

მანია ერთი სუფთა ტილო მომეცი.

ბუფეტ. სადა მაქვს სუფთა ტილო. პრაჩკას ჯერ არ მოუტანია.

მანია (უჩვენებს მჩვარზე) მაშ ამით დავწმინდო ტალერკები, კაკ მოჟნო?

ბუფეტ. ეჰ, შენც მოგცლია, გაუშვი, რა გენაღვლება?

მანია ჩტო ტი გავარიშ? (მხრებს აიჩეჩავს და გადის. ამასობაში მუშტრები გავიდნენ. სასადილო ცარიელდება. ლაქიები ერთკუთხეში მიიხურხლნენ და რაღასაც საუბრობენ. ერთმა გაზეთი ამოიღო და კითხულობს).

ნესტორი (სწერს) ფრიკასე!.. დიახ, ამგვარად მოვხვდი საჰაერო სასწავლებელში.

კეკელა ეგ როდის იყო? გენაცვალოს კეკელას თვალები!

ნესტორი აკი მოგახსენე ცარიზმის დროს... სოუსპიკან! ღმერთი ააშენებს ჩვენ პოვარს, რა ტუუილებსა ვწერ! დიახ და იმ ჩემმა ნათლია გენერალმა მოინდომა, რომ ფრენა მესწავლა... რისი ფრენა, რას ბრძანებ? მამაჩემი ურემში ძლივს ჯდებოდა, მე კი ჰაერში დავიწყე ფრენა. რას ვიზამდი, მეტი რა ჯანი მქონდა... ბეფ-ბრეზე!..

კეკელა მერმე იფრინეთ?

ნესტორი დიახ, დავიწყე ფრენა და არ ვიცი რა მომივიდოდა რომ ომი არ გამოეცხადებინათ... დე-ვალიაი! ომმა მიშველა, მაშინვე ციდან ჩამოვფრინდი და ქვეითა ჯარში შევედი.

მე-4 ლაქ. ბიკო, ბიკო, აგერ ყური დაუგდეთ რა ყოფილა!

ლაქიები რა იყო, რა!

მე-4 ლაქ. სასადილოებზე სწერია გაზეთში, სასადილოებზე.

ბუფეტ. (მათთან მოვიდა) როგორ თუ სასადილოებზე?

მე-4 ლაქ. აგერ, „ერთ სასადილოში ცხრაასი კაცია მიმაგრებული, მზადდება ხუთასი სადილი“.

1-ლი ლაქ. იფ, ძალიან არ ეყოფათ?

მე-4 ლაქ. (განაგრძობს) „ეტევა 120 კაცი“.

მე-2 ლაქ. კაი დროზე არ მიირთმევენ?

მე-4 ლაქ. (განაგრძობს) „სასადილოს ყავს თერთმეტი თანამშრომელი“.

მე-3 ლაქ. კარგად არ მოუსწრებენ!

ნესტორი ჰოდა სომხეთში მერქვა ჩაჩიკიან, ძალიან მოსწონდათ. სომხურიც კარგად შევისწავლე: სირუმემ, კეკელჯან, სირუმემ! (სომხურად) არ გეხუმრები მართლა მომწონხარ!

კეკელა აი იმდენი თავში კოპი.

ნესტორი ბენიე-სუფლე!.. რუსეთში ვიყავ ჩაჩიკოვი და კნიაზს მეძახოდნენ, რადგანაც იქ ყველა აღმოსავლეთის ტომის ხალხს, განსაკუთრებით კი ყაზანის თათრებს კნიაზს ეძახოდნენ. ცოტათი ვგავარ ხომ ყაზანელ თათარს?

კეკელა ჰო, ცოტაი მოითათრებ, გენაცვალოს კეკელას თვალები!

ნესტორი ყაურმა!.. საქართველოში კი ჩაჩიკაშვილი ვარ... ჩიხირთმა.

კეკელა ნესტორ, შენ რაებსა სწერ? ამდენი საქმელები აბა საიდან მოიტანე, გენაცვალოს კეკელას თვალები!

ნესტორი ეჰ, სულ გადამერია, მაგრამ ეგ სულ შენის ეშხით კეკელჯან! მე მინდა ისეთი ცხოვრება მოგიწყო, ისეთი, ისეთი მენიუ გაგიმზადო, რომ...

კეკელა ნეტაი თუ მართლა ამბობ?

ნესტორი არ გეხუმრები, ქალო, არა. რამდენი ხანია ჩაგჩიჩინებ და რომ არა გამოდის-რა! მართალია ეხლა სამსახური არა მაქვს და აგერ ბინძურეიშვილის მაგივრად მენიუს მე ვადგენ, ამაში რაღაც ბიტკი სლუკომ მაქმევს ხოლმე, ისიც მყრალს და დამპალს, მაგრამ...

კეკელა მერმე და ჩემისთანა ბებრუხანა რად გინდა, გენაცვალოს კეკელას თვალები.

ნესტორი ჰმ, რას ამბობ, ქალო რას? ის კი არა მინდოდა მეკითხნა; აღარ დაბერდები-მეთქი, განა შეიძლება მუდამ ესეთი ეშხიანი იყო.

კეკელა დავბერდი, ჩემო ნესტორ, დავბერდი, გენაცვალოს კეკელას თვალები. აი ხედავ ნაოჭებს.

ნესტორი ოჰ, ეგ რა არის. მაგას ხელად გაგისწორებენ. აგერ მე ერთი ქალი ვიცი, სილამაზის კაბინეტი აქვს, ექიმი ქალია, როზა მიმერანბაუმ, წაგიყვან და ხელად სამი-ოთხი სეანსი... და საქმეც მორჩომილია; ისეთი სახე გაგიხდება, როგორც ატლასი.

ბუფეტ. ბიჭო, ძაან სერიოზულად არ მოუკიდიათ ხელი?

მე-4 ლაქ. აი ეს ჩვენ შეგვეხება კაცო: ჩვენ კი არა პირადათ, საერთოდ სასადილოს თანამშრომლებს (კითხულობს) „სასადილოს თანამშრომელნი დღემდე არ არიან გადაყვანილნი ხელფასის სანარდო სისტემაზე“.

1-ლი ლაქ. მერე და ეგ აჯობებს ვითომ?

მე-3 ლაქ. დაკვირვება უნდა კაცო ამ საქმეს.

მე-2 ლაქ. მართალია, უნდა მოვილაპარაკოთ.

მე-4 ლაქ. ბიჭო და რატომ აქამდინ არავინ არაფერი არ გვითხრა.

მე-2 ლაქ. ჩვენი გამგის ხელში...

1-ლი ლაქ. უჰ, წავიდეს იქით. ოღონდ თითონ როგორმე ხელი მოითბოს და სასადილო და მისი თანამშრომლების საქმე მაგას ფეხებზე ჰკიდია.

მე-4 ლაქ. აკი გაჰყვირის ძველი რევოლიუციონერი ვარო.

მე-3 ლაქ. რევოლიუციონერი კი არა, თვალი მაგას დაუდგება.

ნესტორი მერწმუნე, დღესვე წაგიყვან, რომელი საათია?

კეკელა როგორ? ეხლავე, გენაცვალოს კეკელას თვალები!

ნესტორი ზედ გამოპრილი დროა, პირველ საათამდე ღებულობს ხოლმე. ისედაც ძალიან საჭირო ქალია, გავლენიანი...

კეკელა კარგი და საანგარიშო რომ მაქვს!

ნესტორი საანგარიშო? ეხ, მოასწრებ. ანდა იცი რა მოგახსენო, არ მინდა ზოსიმე ბინძურეიშვილის დახმარება, მაგისი საქმე ცუდათაა, მე მიყივლია, მაგრამ თქვენ კი, კეკელა თქვენ დაგეხმარებით. უბედურება იქნება, რომ თქვენი საანგარიშო წიგნი რიგზე არ ამოგაჩნდეთ, ის რისი საბუთებიც გაქვთ, სხვაზე კი ზოსიმემ იმტვრიოს თავი. აბა წავიდეთ, მაგას მერე მე ჩაუჯდები, წამობრძანდით, მე კიდევ ერთ ჩემ განძრახვას გაგიზიარებ. ის ქალი კი აი, საცა მიმყავხართ, ის ძალიან გამოგვადგება ამ საქმეში.

კეკელა (საჩქაროთ ეწყობა, მაგრამ ვითომ მაინც გაინაზება) როგორ უცებ დაგეთანხმეთ. — რა ვქნა ქალი ვარ, გენაცვალოს კეკელას თვალები! ისიდორე, ისიდორე. (ბუფეტჩიკს) მე ერთი საათით საქმეზე მივ-

ყევარ აგერ ნესტორს, ჩემს მოსვლამდე თუ რამე საჭირო იქნება, ცალკე ქაღალდზე თქვენ აღნიშნეთ, გენაცვალოს კეკელას თვალები!

1-ლი ლაქ. რაო, ვინო?

მე-4 ლაქ. ვინ და აი ჩვენი გრამიტონა.

მე-3 ლაქ. კი კარგია, ყოჩაღ ბიჭს ჰგავს.

მე-2 ლაქ. რა ვიცით, კაცო, ვინ არის. ერთი კვირა ხეირიანათ არც კია რომ ჩვენთან არის.

მე-4 ლაქ. არა, არა. კარგია, უთხრათ უთუოთ, უთხრათ.

მე-3 ლაქ. კი მოაბამს ამ საქმეს თავს.

შალაქო (ცოტა ზარხოშათ არის) ესეც ასე... მეც დავნაყრდი და სადილის საქმეც გაჩარხულია: იხარშება, იწვება, იხრაკება (ლაქიებს გადახედავს) საბრალო კურდღლები, უმანკო მწყერები და აბრამის ბატკნები... ჯეირნები! ჰაი გიდი! როდესაც მე ვიყავ ცესარევიჩთან პოვრების შეფათ, მაშინ უნდა გენახათ ჩემი მენიუ! ჯერ თითონ მე; გათათქათებული თეთრი სამოსი, ჩორტოვა კოჟა, საუკეთესო პრაჩკის მიერ გარეცხილი და დაუთოვებული. ეს კი არ იყო, ეს? (წაივლებს ხელს წინსაფარზე, ტრაგიულათ) ეს მეკადრება მე? ეს უნდა მეფაროს? (თანდათან მასთან ჯგუფდებიან. სამზარეულოდანაც გამოიქვრეტენ ჯერ მანია და შემდეგ განია და ბოლოს გრამიტონიც). ჰოდა როდესაც ვიყავი ცესარევიჩთან... ესთქვათ სუპ პოტაფე! იცით კი თქვენ რა არის სუპ პოტაფე? ეს ფრანიცული სუპია... ჰოო, ფრანიცული სამზარეულოსთანა სამზარეულო არ არსებობს დედამიწის ზურგზე...

1-ლი ლაქ. რატომ? ჩვენებური ბოზბაში, ჩიხირთმა, ბოზართმა, არტალა.

შალაქო მმ... მ... კაცია და გუნება, არ გესპორებით! მაგრამ ფრანიცული სამზარეულო... მე რომ ხოხობს გავაკეთებდი — იცით როგორი იყო? შიგნით გასუფთავებული მშვენიერი, შემწვარი იყო და იქვე ჰქონდა მისი საკუთარი წვენიც, მაგრამ გარედან, როდესაც ბლუდით შემოჰქონდათ, ფრთები ზედ ესხა და მთელი ბურტყლიც ზედ ჰქონდა. მაცალეთ, მაცალეთ! ისე იყო ყელ-მოღერებული თითქო ცოცხალიაო.

მანია (რაღაცას მუშაობს, წაკაპიწებულია) მერე როგორ სჭამდნენ? კაკ მოენო!

მალაქო შენ რა გინდა შე ხოხობო, შენ? შენ ჩემ ძმისწულს დაეთხოვე.

მანია ჩტო ტი გავარიშ?

მალაქო ჰო, დღეს შეგამჩნიე... იმას ამისთანები არ უყვარს. შენ შენი გზა გაქვს ბიძია... (თვალს ჩაუკრავს გამგის კანტორისკენ) ისიც გეყოფა.

მანია (წყენით მიიმალება).

მალაქო (შეამჩნია, კარებში განიას) ნუ ჩტო ტი გრუსტიშ? განია, მილაია. გამუშავებენ და გამუშავებენ ა? ყველას დაბალი ღობე შენა ხარ. არაფერია, სიმართლე თავის გზას არ დაკარგავს (მღერის).

როდესაც ვიყავ ცესარევიჩთან,
ბიჭი ვიყავი მე ჩახატული.
ფულს ვშოულობდი, მაგრამ უფრო კი
გოგოებისთვის მიძგერდა გული!
როცა მოვხუცდი ყველამ დამტოვა
და დავრჩი მარტო გაოხრებული.
ოჰო, ჰო, ოჰო ჰო, ოჰო, ჰო!

(აქ შეიძლება ლაქიებმაც იმღერონ).

ზოსიმე ეს რა ამბავია? ჩქარა თქვენ, თქვენ საქმეზე.

მალაქო (ჩაიღიღინებს) როდესაც ვიყავ ცესარევიჩთან...

ზოსიმე ჰო და აღარ ხარ ცესარევიჩთან, ვერ გაიგე?

მალაქო

მე ეხლა არ ვარ ცესარევიჩთან,
რადგანაც მოხდა რევოლიუცია.
იმასაც ბევრი ბინძურ საქმისთვის
ალბად შენსავით ცოდვამ უწია!
ოჰო ჰო, ოჰო ჰო.

ზოსიმე (გაოცებული) რას ამბობს? რა ცოდვამ მიწია? ვინ თქვა? (სიცილი).

ფარდა

მოქმედება მეოთხე

როზი მომერანბაუმის მისაღები ოთახი. ჰადრაკს თამაშობენ რეზო და ვაჰანი.

ვაჰანი — აღარ არის სასადილოები არა, „სავსემ შუფტერლე“ (ითამაშებს).

რეზო — (ჩვეულებათ აქვს სიტყვის გამეორება) მე დიდი ხანია აღარ ვყოფილვარ, აღარ ვყოფილვარ. ამბობენ არუწასაც დაუკეტესო, არუწასაც დაუკეტესო.

ვაჰანი — დაუკეტეს მაშა! — ველარ აუვიდა ნალოგებს.

რეზო — მაშ კერძო სრულიად აღარ იქნება?.. აღარ იქნება?..

ვაჰანი — შენ რა გიჭირს... შენ კი მიაგენ ტკბილ ბინას. „სავსემ შუფტერლე“, მე ვიკითხო თორემ...

რეზო — რა ტკბილი ბინა ძმაო, რა... ტკბილი ბინა? ბაზარში — დილა ადრიან სიარულმა მომკლა... მომკლა...

ვაჰანი — ჰაი თუ არა ხარ კნიაზი დაჩვეული, „სავსემ შუფტერლე“.

რეზო — ეჰ, დაჩვეულს ვინ დაეძებს... ვინ დაეძებს... თავს არ ვიზოგავ, მაგრამა ვერასა ვშოულობ... ვერასა ვშოულობ (ითამაშა).

ვაჰანი — შენ ეგა თქვი და... რა გვიყვეს ამ პლუტებმა... „სავსემ შუფტერლე“. ოჯახში სადილი ვერ გაგვიკეთებია, რადგან ბაზარში შოვნა არ არის... სასადილოში ვერ გვისადილნია, რადგან ეხლა სულ დახურული სასადილოები შემოიღეს. და თუ მიმაგრებული არა ხარ... „სავსემ შუფტერლე“.

რეზო — თუ სადმე არის ღია სასადილო... ღია სასადილო...

ვაჰანი — ოჰ, რას ვარგა!.. შუფტერლე?

რეზო — საწყალი არუწა... ა, საწყალი არუწა! რეები არა ჰქონდა: გელაქნური, იშხანი, ორაგული... ჯიგარის ყაურმა, ბატკნის დაკეპილი თავ-ფეხი, აფხაზური, ცვრიანი მწვადები, გახსოვს? ა, გახსოვს?

ვაჰანი ეჰ, შენც ერთი საღერღელი ნუ ამიშალე. სადღაა?.. რომ ჩაუჯდებოდით ა?

რეზო სომეხი იყავი, სომეხი იყავი, მაგრამ კარგი ქეიფი იცოდი... ქეიფი იცოდი.

ვაჰანი ეჰ, სომხობა რა შუაშია... „სავსემ შუფტერლე“! სომხური ეხლაც არ ვიცი კარგად და ჩვენები ეხლაც მემდურიან...

რეზო დაშნაკელები განა? დაშნაკელები?

ვაჰანი წავიდეს, იმათი რჯული კი დაიქცეს იმათი! „სავსემ შუფტერლე“! რის სომხური, მამაჩემმა ვეფხვის ტყაოსანი ზეპირად იცოდა და თვითონაც ქართულ შაირებსა სწერდა...

რეზო სამაგიეროდ შენ შეგასწავლა ფრანგული, მუსიკა. ფრანგული მუსიკა. ევროპა მოგატარა... მოგატარა...

ვაჰანი მერე რა გამოვიდა?... აგერ ვზივარ როზის კოსმეტიკის კაბინეტში და შენ, ჩემსავით გაფცქვნილს ყოფილ ადამიანს ჰადრაკს გეთამაშები... დღეს არც კი ვიცი სადილი მექნება თუ არა, „სავსემ შუფტერლე“. კიდევ მადლობა ღმერთს უცოლ-შვილო ვარ!... შენი ბტერი...

რეზო ეჰ, ეს ძალიან შემომაპარე, შემომაპარე. ამ მინორულ გუნებაზე, გუნებაზე. ეს კაპაბლანკას სვლაა ა, კაპაბლანკასი.

ვაჰანი რის კაპაბლანკა, კასპარიანისაა... მისი ნათამაშევია...

რეზო პატრიოტი ხარ, პატრიოტი. — სომხურად გინდა მომიგო? მომიგო? მხოლოდ რა? მართლა ეგრეა შენი საქმე, შენი საქმე, სადილების ფულიც აღარა გაქვს, აღარა გაქვს?

ვაჰანი აღარა მაქვს! ვითომ არ იცი, ყმაწვილო, აბა საიდან „სავსემ შუფტერლე“. ამასწინად ოპერეტკაში რომ გამოვდიოდი ის ხალტურობის დრო წავიდა.

რეზო ჰო, პირველ ხანებში, პირველ ხანებში. შენც რომ რაბისში ჩაეწერე... ჩაეწერე...

ვაჰანი ეჰ, იმ დროს ვინ არ იყო რაბისში ჩაწერილი: ინჟინრები, ექიმები, ვექილები, „სავსემ შუფტერლე“. მეც რა მექნა. აჰა, ესეც მოგიგე. ხმა მქონდა, ვიცოდი პარტიები და ვმღეროდი... კარგი იყო... (მღერის „ვესიოლაია ვდავადან“ ვალსს. იმავე დროს შემოდის რაღაც საექიმო აპარატით როზი, ხნიერი, მაგრამ მოხდენილი ქალი. ვაჰანი ხელს წაავლებს და აცეკვებს. თან სიმღერას აუყოლებს).

როზი კარგი, შე-მოუსვენარო, კარგი... გამიშვი პაციენტკა მიცდის.

ვაჰანი პაციენტკა? ეგ რომელია? „სავსემ შუფტერლე“ ოთხმოცი წლის ბაბაიაგა?

როზი ჰო, გამიშვი!

ვაჰანი ნეტავი თუ მართლა იმედი აქვს, რომ სახეს გაუახალგაზდავებს?

როზი რატომ? აი ნახავ! აქ გაუჭრი, იქ გაუკერავ (აჩვენებს ორთავ ყურებთან) ნოჭები სულ გაუსწორდება და სახე სულ გადაემტკიცება.

ვაჰანი ოჰო ჰო!.. მერე რეზოსი არ გეშინია? რომ გიღალატოს? რა? ეგ ქალი თავის დროზე ისეთი ლამაზი იყო, რომ „სავსემ შუფტერლე“.

რეზო ეჰ, შენც იტყვი რაღა! იტყვი რაღა...

როზი კარგია ჰო... ეე, ვილამაც დარეკა... რეზო! (თვითონ შედის კაბინეტში).

ვაჰანი ჰა, ჰა!.. შვეიცარიც გაგხადა „სავსემ შუფტერლე“.

რეზო (მიმავალი) „ნუჟდა სკაჩეტ, ნუჟდა პლიაშეტ, ნუჟდა პესენკი პაიოტ“! (გადის).

ვაჰანი (მივა პიანინოსთან და რამოდენიმე აკორდს აიღებს).

რეზო (მოუძღვის) როგორ, შენ ლიზიკო, შენ ლიზიკო. შენ ასეთ ახალგაზრდას... ასეთ ახალგაზრდას... რა გაქვს სახეზე გასასწორებელი? გასასწორებელი?

ლიზიკო სახეზე არა, ძია?

რეზო მაშ სადა, ქა? მაშ სადა, ქა!

ლიზიკო (ვითომ დაირცხვენს, გადახედავს ვაჰანს, რომელიც დამცინავი ღიმილით შესცქერის) ფეხზე მეტეჭი გამომივიდა.

ვაჰანი (წამოიწევს) ფეხის თითებზე? ეგ ხომ მაზოლია! „სავსემ შუფტერლე“.

ლიზიკო (იწყენს და ვითომ გაკვირვებული შეხედავს) უკაცრავად!

რეზო ოჰ, მაგისი ნუ შეგრცხვება, ნუ შეგრცხვება... ეგეც ჩემსავით ძიაა... ძიაა... ძველი ბონვივანი კია, ძველი ბონვივანი, ჟუირი, დონჟუანი, ვაჰან ტოსკანიან, ვაჰან ტოსკანიან!

ლიზიკო (ისევ თამამად) არა, აგერა მაქვს მეჰეჰი... (ფეხს სკამზე ჩამოდებს და უჩვენებს წვივზე. თხელ წინდადგან რაღაც შავი გამოსჩანს).

ვაჰანი სავსემ შუფტერლე! მერე რა, გიშლით? გტკივათ?

ლიზიკო არა, მაგრამ... აბა რა ლამაზია!

ვაჰანი ო, ეს ქალები?! ქალები-მეთქი, რეზო! (როზის კაბინეტიდან გამოდის მიხრწნილი ბებერი ქალი, რომელიც ძლივს მოჰყავს ახალგაზრდა გოგოს. მათ მოჰყვება როზი და აძლევს რაღაც წამალს).

ბებ. ქალი რაო? ოცდაცხრას?

როზი არა, არ დაგწვავთ! მე ვამბობ, რომ ეგ წამალი არ დაგწვავთ.

ბებ. ქალი რაო?

ახალგ. გოგო (უყვირის) წამალი არ დაგწვავთო, არ დაგწვავთ.

ბებ. ქალი ჰოო, მადლობელი ვარ... მადლობელი... მაშ ხვალ კიდევ მოვალ...

როზი ხვალ კი არა კიდევ ერთი კვირა...

ბებ. ქალი ვინ არის ცხვირა! მაგას თქვენგან არ მოველოდი!.. მე ცხვირი კარგი მაქვს... არც ისე ბებერი ვარ.

გოგო (უყვირის) ერთი კვირა უნდა იაროო, ერთი კვირა!

ბებ. ქალი ჰოო, მადლობელი ვარ... მადლობელი!.. (გაჰყავთ).

რეზო ვაი თუ ეხლა მაგასაც გალამაზება უნდა, გალამაზება?

ვაჰანი სავსემ შუფტერლე! (სიცილი).

როზი (ლიზიკოს) თქვენ ჩვენთან მობრძანდით? (გავლენ ორთავენი).

რეზო ოთხმოცი წლის ბებერს რალა ეხრაგუნებაო, რალა ეხრაგუნებაო, სწორედ მაგაზეა ნათქვამი, მაგაზეა ნათქვამი!

ვაჰანი ოო, ეს ქალები?! (მღერის)

ეს ქალები, ჩემო რეზო,
დიდი იყოს, გინდ პატარა
კოხტაობას არ მოიშლის,
თუნდ კუბოშიც ჩაწვეს ჩქარა.

—

თუნდ აყვავდეს სოციალიზმი...
ამას ვჩივი, ამას ვყვირი:
რომ ქალს არ დაავიწყდება
კბილი, ტუჩი, სახე, პირი!

II სასადილოში

1

გრამიტ. (სასადილოს თანამშრომლებს) ამგვარათ, თქვენ იცით, რომ ჩვენ უნდა დავეწიოთ და გავუსწროთ კაპიტალისტურ ქვეყნებს ტეხნიკურ-ეკონომიური მხრით. ამიტომ ჩვენ უმოკლეს ვადაში უნდა მოვახდინოთ ნამდვილი გარდატეხა საზოგადოებრივ კვების საქმეშიაც. მთელი ძალები უნდა მივმართოთ საზოგადოებრივ კვების დღესდეულად გაუმჯობესებისაკენ.

1-ლი ლაქ. კაცო, ამისთანა მომზადებული კაცი ყოფილხარ და ჩვენთან პოვრათ მოდიხარ?

გრამიტ. პოვრობა არის უდიდესი და უწმინდესი მოვალეობის შესრულება ხალხის წინაშე. მით უფრო ეხლა, როდესაც საზოგადოებრივ კვების საქმეს მოითხოვს ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და განსაზოგადოებულ მსხვილ სასოფლო მეურნეობაზე გადასვლა (ვილასაც მიუბრუნდება) რა მითხარი? (დაუწყებს ლაპარაკს).

მე-2 ლაქ. პოვრობა, კაცო, აქამდი იყო რაღაც ჩამორჩენილი ხელობა, თორემ, მე რო მკითხო, პოვრისთანა საჭირო კაცი ცხოვრებაში სხვა არ მოიძებნება...

მე-3 ლაქ. რას ამბობ! ნამდვილია! პოვარს არ აბარია ჩემი კუჭი?.. ამაზე უდიდესი მოვალეობა რა იქნება!

1-ლი ლაქ. თუ უნდა შეიძლება მომწამლოს კიდეც.

მე-4 ლაქ. აგერ რა თქვა გრანიტონამ: ცუდი ხარისხის სადილები, ცუდი ღირსების სანოვაგე, დამპალი და სხვ. საუკეთესო პირობებია იმისათვის, რომ გამოიწვიოს კუჭისა და ნაწლავის სხვადასხვაგვარი ავადმყოფობაო...

მანია (მოვიდა) ტავარიშჩ, მუშტარი მოვიდა.

1-ლი ლაქ. მიდი რა?

მანია კაკ მოუნო... მე პასუდნიცა ვარ...

1-ლი ლაქ. არაფერი გიჭირს... გამეიცდები... პატარა აღარა ხარ... მიდი ჰო, კითხე რა უნდა და მერე მოვალ...

მანია შტო ტი გავარიშ? (მიდის მუშტართან).

2

ზოხიმე (ბუფეტჩიკს) სად ჯანდაბას წავიდა აქამდის ის ქალი?..

ბუფეტ. ხომ გითხარი ნესტორს წაყვა-მეთქი.

ზოსიმე ნესტორს უჩვენებ მე იმას... სად არის აქამდის?

ბუფეტ. ნამეტანი აუშვა, ბატონო თავი.

ზოსიმე ვინ?

უფეტ. ვინ და ჩვენმა მოანგარიშემ... თავის ადგილზე აღარ არის... ანგარიშებიც არეული აქვს.

ზოსიმე ოჰ, სიამოვნებით მოვიშორებდი, მაგრამ...

ბუფეტ. გულ-კეთილი კაცი ხართ, გეცოდებათ ..

ზოსიმე რის მეცოდება, მაგრამ ეხლა ვინ ვიშოვნო ასე უცბათ, მერმე ეხლა ეს სამასი კაციც მოგვამაგრეს...

ბუფეტ. მაგის ანგარიშს რა დიდი საქმე უნდა... სულ ერთია, მაინც მე არ ვანგარიშობ?.. ეგ აგრე დახტის...

ზოსიმე უჰ, შენ აგაშენა ღმერთმა! სწორეთ აგრე ვიზამ... დავი-თხოვ და შენ ჩაგაბარებ...

ბუფეტ. დროებით იყოს. გამომცადე და თუ არ მოგეწონება... ჩემ ადგილზე ხომ ვარ და ვარ... მე ვერ ვბედავდი, მე-გონა რომ კეკელას ვერ შეელეოდით...

ზოსიმე რის ვერ შეველევი, რას ამბობ... მომაბეზრა თავი. ბერე ანგარიშებიც არეული აქვს... დამლუპავს ნამდვილათ... (უ ფ რ ო მ ტ კ ი ც ე თ) არა, ასე ვიზამ: მოანგარიშეთ შენ იყავ და ბუფეტში განიას ჩავაყენებ.

ბუფეტ. განია ტკაცენკოს? ჩვენ უბორშჩიცას?

ზოსიმე ჰო და რა... ვიდვიჟენიეს გაუკეთებ... კაი ჭკვიანი გოგოა.

ბუფეტ. ჰო, ჰო, ჰო! გასაგებია, გასაგები! ხალხიც დაგიმადლებს, უბრალო მუშა დააწინაურაო... ჭკვიანი კაცი ხარ.

ზოსიმე ეჰ, ჭკვიანი კი ვარ, მაგრამ კაცი არავინ მყავს დამხ-მარე... ვინც ავიყვანე ყველამ მიღალატა... მალაქოს იმე-დი მქონდა, მთავარი პოვრის, მაგრამ რა? გალოთებულა ეგ ოხერი და რა მკვდარი, რა შინ მოუსვლელი... ეგ კეკელაა და ხომ ხედავ რაცაა...

ბუფეტ. კაი ფული გიზის მგონია...

ზოსიმე წავიდეს, მაგის დუხი!

ბუფეტ. ცხადია! განია უფრო გამოგადგება... ჭკვიანია, ახალ-გაზდა... მუშაობაში დაუზარელი იქნება.

ზოსიმე არავინ არ მყავს, არავინ, რომ გულით მივენდო, საი-დუმლო გაუზიარო... (ლ ა ქ ი ებ ზ ე) ა, ესენი არიან და ისე მიბღვერენ თითქო ჩემი ნაჩალნიკები ეგენი იყვნენ... ეხლა კიდევ ვღაცაა, ის ახალგაზდა ბიჭია; გრამიტონაა, ვი-ნაა! — ძაან არ შემომიგდო ჩემმა მალაქომ!

ბუფეტ. ოო, ჩიმას კი უნდა უფრთხილდეთ, ბატონო ზოსიმე! რა-ღაცა ძალიან დაძვრება იქით-აქეთ. წელან ენა წამოიგდო და ისეთ-ისეთებს ქადაგებდა... თან იკვეხიდა რედაქციე-ბიდან ბრიგადას მოვიყვან და ყველაფერს გამოვაშკარა-ვებო.

ზოსიმე აჰ, არც ისეა საქმე. ჩემი სასადილო არც სხეებზე უარე-სია და არც უკეთესი. რაც სხვაგანაა, ისაა ჩემთანაც...

ბუფეტ. არა, ეგ კი, ჩვენ შორის დარჩეს, ბატონო ზოსიმე და... ჩვენთან ბევრი არაა ისე, როგორც სხვაგან...

ზოსიმე როგორ, ეხლა შენც დამიწყე?

ბუფეტ. არა, ბატონო, არა... მე მხოლოდ ერთგულებით...

ზოსიმე ჰო და აბა რა! თუ სანოვაგეზე იტყვიან რამეს... მე რა? საკლავს მე კი არ ვკლავ, პურს მე კი არ ვაცხობ... არც ღვინოს ვწურავ და არც მწვანილი მომყავს. არ მაწოდებს ეს მუშკოოპი თავის დროზე და მე რა ვქნა ბიძია! (მე-3 ლაქიას) რა ამბავია, სერაფიონ? ორკესტრი არ მოსულა ჯერ?

მე-3 ლაქ. არ მოსულა, არა.

ზოსიმე სად არიან ეგ ოხრები? აგერ მესამე საათია... ამდენ ფულს ტყუილა ღებულობენ... იმ სადილს კარგა მიუსხდებიან!

მე-4 ლაქ. (ბუფეტჩიკს) მოიტა დანა-ჩანგალი.

ზოსიმე ვინ არის?

მე-4 ლაქ. მიმაგრებულები მოდიან.

ზოსიმე ჰო, მუშები! აბა, სწორედ! მაზუთში დასვრილი ხელებით ჩანგლები თუ არ დავაკერინე ისე არ დავდგები. არ მისცე!

III როზისთან

(როზი მუხლებზე უზის ვაჰანს. რეზოს კი-დევ თავი აქვს მიდებული როზიზე).

როზი დიაღ, მეგობრებო! კუკი არის მთავარი მოქმედი ძალა ამ ცხოვრების ასპარეზზე...

ვაჰანი როდის აქეთია მატერიალისტკა გახდი?

რეზო მატერიალისტკა კი არა დიდი სოციალისტკა მყავს, დიდი სოციალისტკა... (ეხვევა).

როზი ოჰ, კარგია, надоел ты... წადი, მიხედე, კეროსინკამ ხომ არ ამოიწია...

რეზო (წამოიზლაზნება) აი, ასეთი დაჩაგრული ვყავარ, ასეთი დაჩაგრული... (გადის).

ვაჰანი ვხედავ, ვხედავ... გამქრალა რომანტიკა... სოვსემ შუფტერლე! ჰაი გიდი! კნიაზ რეზო ვარჰალალოვი და... კერასინკა!

როზი Он у меня ручной...

ვაჰანი ოდესლაც თავზე ხელაღებული ჟუირი... მთელი თბილისი აკლებული ჰქონდა...

როზი ეხლა ისეთია... бархатный... მაშ რა უნდა? ვაქმევ და ვასმევ...

ვაჰანი უმადური ხარ, როზი!.. თუ რამ ოჯახში ძვირფასი ნივთები შერჩა, სულ შენ მოგიტანა... მახსოვს, უკანასკნელი ყელის ოქროს ჯვარი, ბრილიანტებით შემკული... ფასი არ დაედებოდა... სოვსემ შუფტერლე! (რ ე ზ ო).

რეზო ჰაა, გული იჯერეთ ჩემზე ლაპარაკი?

ვაჰანი ბეკრი არაფერი. მე ვამბობ, რომ რეზო და როზი ძალიან შესაფერი სახელებია-მეთქი (ზ ა რ ი).

როზი რეზო მიხედე (რ ე ზ ო გ ა დ ი ს).

ვაჰანი დიდ-ძალი შეშტარი გყავს, როზი... სოვსემ შუფტერლე! ძალიან ფულს კი უნდა აკეთებდე

როზი ვცხოვრობ.

ვაჰანი ხალხს ატყუებ. ბებრებს აახალგაზდავებ...

როზი არა. მუდამ ესეა: სხვების სისულელით მოხერხებული ადამიანები სარგებლობენ და ერთ ტკბილ ლუკმა-პურს სჭამენ ხოლმე, (რ ე ზ ო, ა შ ი ლ ს ა ბ ა ტ ი ე).

რეზო მობრძანდი, მოობრძანდი. საიდგან სადაო, საიდგან სადა? ამას კი არ მოველოდი სწორეთ, არ მოველოდი... რა არის, ეგრე დატკირთულხარ?

აშილ მილ პარდონ. ეს შენი არ არის, ქალბატონს მოვართვი. გამაცანი.

რეზო უკაცრავად. როზი მიმერანბაუმ, ექიმი ქალი. ვაჰან ტოსკანიან, ცნობილი... ცნობილი .. რითი ხარ, კაცო, ცნობილი? კომერსანტი შენ არასოდეს არ იყავი, არც რანტიე და...

აშილ ვიცნობ, ვიცნობ, გამიგონია (ხ ე ლ ს ა რ თ მ ე ვ ს რ ო ზ ი ს დ ა ვ ა ჰ ა ნ ს). აშილ საბატიე, აშილ საბატიე!

ვაჰანი ნამდვილი ინტერნაციონალია: ფრანგი, გერმანელი, ქართველი და სომეხი. სოვსემ შუფტერლე!

რეზო ეს ჩემი მეგობარი გახლავთ. ძველი აგრონომი, ძველი აგრონომი. საფრანგეთის ქვეშევრდომია, ქვეშევრდომი.

დიდი ხანია საქართველოში ჩამოსახლდა. საქართველო შეიყვარა და, როგორც ხედავთ, ქართულიც მშვენივრად შეითვისა, შეითვისა...

აშილ საქართველო ჩემი მეორე სამშობლოა.

რეზო შამპანიურს აკეთებდა, აკეთებდა ანანოვთან თუ პრინც ოლდენბურგსკისთან.

აშილ (ფ რ ა ნ გ უ ლ ა თ) მის უმაღლესობა პრინც ოლდენბურგ-ელთან...

რეზო დიაღ და... ეხლა ხილის ღვინოს სწურავს, სწურავს რომ-ელიღაც კოოპერატივში, კოოპერატივში.

აშილ ეხლა აღარა ვწურავ.

რეზო აღარ?

აშილ დიაღ და იმიტომაც ჩამოვედი...

როზი (ა მ ა ს ო ბ ა შ ი გ ა ს ი ნ ჯ ა ა შ ი ლ ი ს მ ო ტ ა ნ ი ლ ე ბ ი) ოოჰ, რა მშვენიერებაა... თქვენ აქ მთელი საკონდიტრო მოგიტანიათ...

აშილ (ფ რ ა ნ გ უ ლ ა თ) რა ბრძანებაა! თქვენისთანა მოხდენილ ქალბატონს უკეთესიც შეეფერება...

როზი (ა გ რ ე თ ვ ე ფ რ ა ნ გ უ ლ ა თ) ფრანგული ზრდილობა განთქმულია...

აშილ თქვენც იცით ფრანგული?

რეზო აქ ჩვენ ყველამ... (ვ ა ჰ ა ნ ზ ე) მშვენივრათ ლაპარაკობს, ლაპარაკობს. მეც, ხომ გახსოვს, ვამტვრევ ჩემებურათ, ჩემებურათ...

ვაჰანი სოვსემ შუფტერლე!

აშილ რა მშვენიერებაა! მაშ მე საფრანგეთში ვიმყოფები...

ვაჰანი დიაღ, საბჭოთა საფრანგეთში.

აშილ ეამე დე ლია ვი! ღმერთმა ნუ ქნას! საფრანგეთი და გასა-ბჭოებული?!

როზი პოლიტიკა იქით... მე კი ეხლავ ყავას მოგიდუღებთ... ნამდვილ მოკკოს... შემრჩა კიდევ... ყველაფერს ეს აჯო-ბებს...

აშილ ოო, მშვენიერება იქნება! (რ ო ზ ი გ ა დ ი ს. გ ა ა ქ ვ ს მ ო ტ ა ნ ი ლ ი).

რეზო მაშ შენ ღვინოს აღარა სწურავ? აღარა სწურავ? (ვ ა-ჰ ა ნ ს) ო, რომ იცოდე რა სპეცია, რა სპეცია... როდე-საც კოოპერატივში შევიდა, შევიდა, იქ თურმე დიდ-ძალ ხილს, დამპალი ეგონათ და ტყეილ-უბრალოთ ყრიდ-

ნენ... ამან კი არ დაანება გადასაყრელათ, არ დაანება, მშვენიერი სასმელი რამ ღვინო დასწურა, დასწურა და... დიდძალი მოგებაც მისცა დაწესებულებას... დაწესებულებას!

აშილ ეხლა კი გამომაძევეს... ეე ვუზ ასიურ, არაფერი ჩემი ბრალი არ არის... ინტრიგები, გაუგებრობა... და აი ჩამოვედი თბილისში... მე ისე ვარ ეხლა, როგორც ტყეში გზა-დაბნეული კაცი... ვერავის ვერ ვიცნობ, ვერავინ ვერა მცნობს... კაცი კი კაცის ხიდია...

ვაჭანი თორემ უამისოთ ჩაიკარგები ეხლანდელს დროში. სოვსემ შუფტერლე!

აშილ დიაღ და ბევრი ფიქრის შემდეგ გავიხსენე... ჩემი ძველი ბონ ამი, მუსიო ლე პრენს რეზო ვარჭალალოფ!

ვაჭანი თქვენც ძალიან რევოლიუციონერი გაგხსენებიათ...

აშილ არა, თვითონ თუ არ იყო რევოლიუციონერი... მაგის მაწის სახლში ბევრი რევოლიუციონერი ინახავდა თავს. მე ვიცი. მე ბევრი რამ მახსოვს...

რეზო ვაი, შენ, ჩემო თავო! ვაი, შენ, ჩემო თავო! რაში გამოგადგები, რაში გამოგადგები?

აშილ არა, ვიფიქრე... უთუოდ კიდევ ეყოლება ვინმე ნაცნობი-მეთქი, მაგრამ კიდევ უკეთესი ამბავი გავიგე... (*რეზოს, ხმას დაუდაბლებს*) შენ თურმე ყოფილხარ „კავალიერ სერვანტ“, მადამ როზი მიმერანბაუმ და როზი მიმერანბაუმი კი თურმე დიდი გავლენიანი ქალია სფეროებში... (*რეზო და ვაჭანმა ერთი-მეორეს გადახედეს. სახეზე სიცილი მოადგათ, მაგრამ აშილს არ შეამჩნევინეს და თავი შეიკავეს*).

რეზო მერე, ეგ შენ საიდგან გაიგე? საიდგან გაიგე?

აშილ (*დააკვირდა, თითქო უნდა გაიგოს მართალი შეუტყვია თუ არა*) საიდან? — ამბობენ.

ვაჭანი ვინ ამბობენ?

რეზო როგორ ამბობენ?

აშილ ყველა ამბობენ (*კუპლეტები „ამბობენ“. ზარი*).

ვაჭანი რეზო! მოვალეობა (*რეზო მიდის*).

ფ ა რ დ ა

მოქმედება მესამე

[illegible]
ნიას მიაქცევ-მოაქცევ. ხ[illegible], [illegible], [illegible]
ზოგი ეხლა ჯდება. [illegible]

1

შუშტარი (მეორეს, რომელიც თავზე ადგას [illegible] რიგს) რა არის, კაკო, წამაბეზარე ეს [illegible]...

თავმდგმური რა გნებავს ჩემგან?

შუშტარი ერთი საათია თავზე მაყუდიხარ და [illegible] ფერი შევეპამე.

თავმდგ. მაშ თქვენ კომფორტიც გნებავთ? ხომ არ [illegible] თათრული ტახტიც იყოს აქ და მუთაქებიც.

მე-2 ზემდგომი ნარგილეს ხომ არ მიირთმევთ, ნარგილეს!

ქალი (მუშტართან მჯდომარე) კარგია, [illegible] ნუ უპასუხებ... რა ნერვიანი ხარ!

თავმდგ. (ისევ მუშტარს) თუ ასე ნებივრათ [illegible] ლის მირთმევა, ვერ დაეტევ შენს სახლში!

შუშტარი მეტი აღარ შემიძლია... (ეძახის ლაქიას) [illegible] ანგარიში.

გამვლელი ლაქია მოითმინე, მოითმინე!

შუშტარი ახლა მოითმინე! სადამდის უნდა მოვითმინო. [illegible] წამამწარეს და იქით ეხლა... ამათ უნდა [illegible]

ქალი ჰო, კარგია ეხლა, კოლია. — რას იზამ! რა ნერვიანი ხარ.

2

შუშტარი აბა, ანგარიში, ანგარიში!

მე-3 ოფიც. ორი თუმანია სწორედ.

შუშტარი როგორ თუ ორი თუმანი? განა რა [illegible] მე სულ 5 მანეთის მეტი არ მევონა. [illegible] თავი? შვიდი შაური არ ღირს?

მე-3 ოფიც. არა, რას ბრძანებთ.

შუშტარი აგერ რომ წერია?

მე-3 ოფიც. ეგ მიმაგრებულებისთვის არის აკრე და [illegible] მერციულათ უნდა გადაიხადოთ.

მუშტარი მერე და რატომ ეგ ფასებიც მენიუზე არ არის დაწერილი? აქ სულ შვიდშაურიანი და ათშაურიანია.

მე-3 ოფიც. რა ვიცი არ წერენ. — ეგ გამგეს უნდა კითხოთ.

მუშტარი კაცო და მე რა ვიცი. მომსვლელმა არ უნდა გაიგოს რა ფასებია? შეიძლება ამდენი ფული არც კი მაქვს.

მე-3 ოფიც. ჩემთვის არ გიკითხავთ და...

მუშტარი ჰო, კარგი ახლა... მაინც რატომ არის ორი თუმანი?

მე-3 ოფიც. რატომ და ეხლავე (იქვე, მაგიდის ქაღალდზე სწერს ანგარიშს).

მუშტრის მეზობ. რატომ აანგარიშებინე? ეხლა ხომ მეტი გამოვა?

მუშტარი როგორ თუ მეტი?

მეზობელი ისე. თუ ცოტა არ ჩამოგრჩა როგორ შეიძლება.

მუშტარი კაცო, ჩამორჩენა რათ უნდა! მართალი მითხრას და შეიძლება მე თვითონ ვაჩუქო...

მე-3 ოფიც. (თავს აიღებს) როგორ გეკადრებათ! მაჩუქოს რა... ვერ ხედავ წარწერას? „საჩუქარი ადამიანის ღირსების დამამცირებელია“.

მეზობ. მანდ ერთი წერია, აქ კი მეორე კეთდება.

მუშტ. კარგი ახლა, მიანგარიშე მაინც... მეჩქარება.

მე-3 ოფიც. ამხანაგმა მართალი ბრძანა... შემშლია... ორი თუმანი კი არა 22 მანეთი ყოფილა...

3

1-ლი ლაქ. (ბუფეტჩიკს) მოიტა ჭიქები.

ბუფეტ. ჭიქები აღარა მაქვს.

1-ლი ლაქ. ოჰ, ნუ მემასხრები თუ კაცი ხარ... მეჩქარება!

ბუფეტ. რა მემასხრება... ვინ არის?

1-ლი ლაქ. ვინ არის და მწერლებია.

ბუფეტ. რომელი მწერლებია?

1-ლი ლაქ. რომელი რა ვიცი... აკაკი წერეთელი არც ერთი არ არი კი ვიცი და...

ბუფეტ. არა, კაცო, ის მწერლებია ლოთი-შფოთი თუ ახალი მწერლებია, აი მუშკორები რომ არი, ბრიგადირები?

1-ლი ლაქ. თუ კაცი ხარ ნუ მაბანდებ... ჰო, ლოთები კი უნდა იყოს... ერთი ძალზე მთვრალია...

ბუფეტ. მე იმას გეუბნები თუ ახალი მწერლებია, მოსარიდებელი ხალხია, თორემ რამეს დაგვიწერენ და გაზეთში გამოგვქიმავენ.

1-ლი ლაქ. არ ვიცი, ძმაო, ეხლა რომელია... მომეცი ჭიქები და გაათავე... ა, აგერ არ გიწყვია?

ბუფეტ. ეს რომ მიწყვია... გამგეობის წევრებისთვის ვინახავ.

ზოხიმე (მოვიდა) რა იყო, პეტრე, რა გაჯავრებს?

1-ლი ლაქ. რა მაჯავრებს და ჭიქები მინდა და არ მაძლევს... მწერლებია ეგერ...

ზოხიმე მწერლები? ოჰ, არ ჩაგსტრახონ, პეტრე! თუმცა მე რა მენაღვლება... მიეცი, ჩვენი ხალხია!

4

(ცალკე მაგიდასთან).

1-ლი მწერ. (მანიას) ოო, გეთაყვა... აბა ჩქარა აგვილაგე... ცქვიტი გოგო ყოფილხარ, გეტყობა.

მანია შტო ვი გავარიტე?

მე 2 მწერ. შენი სახელი, გოგუცი?

მანია მანია.

1-ლი მწერ. ოჰ, მანია კი არა მანანა უნდა გერქვას... ციური მანანა.

მე-3 მწერ. ოო, ამან თუ პატრიოტულ ჰანგზე არ დამღერა ისე როგორ დადგება (მე-4 მწერალს) ა? მართალი არ არის?

მე-4 მწერ. მმ... დამეთხოვე! (მანიამ აალაგა, მოშორდა).

1-ლი მწერ. (მესამეს) ოო, შენმა მზემ, შენი ინდუსტრიალური ლექსებია დიდებული!

მე-2 მწერ. ეეჰ, ლექსებს ლილა ხანა გაუცვდა... ეხლა ნარკვევებსა სწერს: ჩაი, იაპონიური თხილი, ბამბა...

მე-3 მწერ. არა, რატომ! ლექსებისთვის ხელი არ შემიშვია... (მე-4 მწერალს) ა? ხომ მართალია?

მე-4 მწერ. მმ... დამეთხოვე!

მე-2 მწერ. ლექსებს ეხლა მხოლოდ რესტორანებში კითხულობენ...

მე-3 მწერ. ვითომ რა? ამ დილით საუზმეზე რომ შევთხზე, ისე უწაუწა, ცუდი იყო?

1-ლი მწერ. მე არ მომისმენია... აბა, აბა! (ლაქიამ მოიტანა ღვინო და ჭიქები).

მე-3 მწერ. (პოზას მიიღებს).

ყალმახი, გუფთა,
მეგრული ყველი,
საცივი, ბეჟი
და... რუსთაველი!
ჩახოხბილები,
ჯურჯანი წყნარი,
კუპატები და...
დიდი თამარი!

მე-2 მწერ. რა გინდა, ძმაო, პატრიოტულიცაა და გასტრონომიულიც!

1-ლი მწერ. ვაშა, ვაშა! შენი სადღეგრძელო იყოს! (სმენ. ჩაუღიღინებენ).

მანია (ჩამოუვლის) კაკ მოჟნო!.. სიმღერა აკრძალულია...

1-ლი მწერ. კარგია ეხლა, ციურო მანანავ... ჩვენ ისე დაწყურებული ვართ ღვინოს, ღიღინს, ლამაზ ქალებს... მწერლები ვართ ჩვენ...

მანია კაკ მოჟნო! (მიეფარება).

1-ლი მწერ. მაშ, კარგი, დავჩუმდით... რა მოვისმინოთ... მუსიკაც ალარ უკრავს... ეს რა არის? (რადიო კენაფის შესახებ ლექციას გადმოსცემს). იფ! ძალიან დროს არ არის? რა დროს კენაფია? რა მეკენაფება, ძმაო! ჯერ ერთი რომ ქართულათ კანაფია და არა კენაფი, მაგრამ ეგ რა არის: იმ დღეს ესე სადილს გიახლებოდით და რადიომ მშობიარობაზე არ დაგვიწყო ლაპარაკი... ჭამის დროს, კაცო... მერე ისე დაწვრილებით... (მუსიკა დაუკრავს „თავო ჩემო"-ს).

მე-2 მწერ. (პირველს) აჰა, ეგერ შენ საყვარელ რომანსს უკრავენ. მეტი რაღა გინდა!

1-ლი მწერ. წავიდეს იქით! კაცო, ორში ერთი უნდა იყოს: ან მარტო დასაფლავების დროს უნდა უკრავდნენ ამ ჰანგს და ის არი... ან მიცვალებულებთან ნუღა უკრავენ და რესტორანებში დაუკრან, თორემ ეხლა რა! როდესაც სადილსა სჭამ, უეცრად სამგლოვიარო გუნებაზე დაგაყენებენ...

მე-3 მწერ. ეს ეგვიპტურია, ეგვიპტური!

1-ლი მწერ. (განაგრძობს) ან როდესაც მიცვალებულს აცილებ, ამ ჰანგის გამო, უეცრად რესტორანი გახსენდება: საჭმელები, სმა... (ხრიალი-სიცილი).

II როზისთან

(ვაჰან, რეზო, აშილ და ნესტორი)

ნესტორი დიახ, პირველად ჩისტილშჩიკი გახლდი ერთ რომელიღაც მიყრუებულ რკინის გზის სადგურზე... შემდეგ სცენა შემიყვარდა ძალიან და ადგილობრივ სცენის მოყვარეებში მონაწილეობას ვღებულობდი... ისე გავთამამდი, რომ აქტიორათ შეველ დიდ სცენაზე, მაგრამ განსვენებული

მესხიშვილი რომ რუსეთში გადასასლდა, მეგონა ქართული თეატრი დაიღუპა-მეთქი და თავი მივანებე... შემდეგ ლენინგრადში მოვხვდი, მაშინდელ სანკტ-ბეტერბურგში და ის იყო კინალამ ფრენა ვისწავლე... მაგრამ, როგორც გითხარით, ომმა მომისწრო...

რეზო შენზე ნაკლები წარსული არ ჰქონია, აი, ვაჰან, შენზე ნაკლები...

ვაჰანი მე რა? მე მაგასთან... სოვსემ შუფტერლე!

აშილ შემდეგ... შემდეგ... მე დავინტერესდი...

ნესტორი შემდეგ ომი... აფიცრობა... ბოლოს იურისტობა... დიდი ნიჭი აღმომაჩნდა: მენშევიკების დროს ჯერ გამომძიებლათ ვიყავი, შემდეგ პროკურორათ...

ვაჰანი პროკურორათ? სოვსემ შუფტერლე?

ნესტორი რა ამბავია, რა დაემართა ამ კეკელას? ის ოჯახ-ქორი სულ გადაიხეხავს იმ სახეს...

რეზო ნუ გეშინია, იმათ თავიანთი საქმე იციან... საქმე იციან...

აშილ საკრამან დე დიე! თქვენ ეს გვითხარით, პროკურორობა როგორ მოიხმარეთ?

ნესტორი ეგ არაფერი. პროკურორობას რა მოხმარება უნდოდა! აი, გასაბჭოება რომ მოხდა, მაშინ კი დამადგა სიმწრის დღე...

ყველანი ჰო, ჰო!

ნესტორი პროკურორათ ერთ მიყრუებულ პროვინციაში გახლდით... მარტო ვიკავ, ცალკე ოთახი მეჭირა... კარგათ ვცხოვრობდი. უეცრად... საბჭოთა ჯარი არ შამოვიდა! ვაი შენს ნესტორს? გაქცევაც აღარ შეიძლება... შევწუხდი ძალზე. ბალშევიკებთან ცოტა ცოდვა მიმიძღვოდა და... შიშის ქარმა ამიტანა. ჩავიკეტე სახლში, გარეთ არ გამოვდივარ. სანოვაგე სახლში მაქვს, ღვინო და ბლომათ არაყი... სანთელსაც არ ვანთებ ღამღამობით... ისე ვარ გარინდული, როგორც ბუჩქში კურდღელი. ერთ ღამეს აკი არ დამიკაკუნეს... იქით-აქეთ... რას ვიზამ, გავაღე.

რეზო ჰა, ჰა, შე უხვევირო შენა!

ნესტორი უხვევირო თქვი შენ... შემოვიდა ერთი წითელი არმიელი, მოჰყვა მეორე... არაფერი! კარგი ხალხი ყოფილა, სულ ბავშვებია: ლმობიერი სახე! პური მომთხოვეს — გვშია, დაღლილები ვართო. გულს არ მომეშვა? ბიპო, პური კი არა, თუ რაზე მაბადია, როგორ დავიშურებ! გაუმას-

პინძლდი. მივაძალე არაყი. ბოლოს ერთი შემომაჩერდა-და... მეუბნება: хто вы такой будете?

ვაჭანი — რას შვრები ეხლა, ა, ნესტორ? სოვსემ შუფტერლე?

ნესტორი — თმა ამებურძგნა, მაგრამ, უეცრად, მეც არ ვიცი რო-გორ წამოვისროლე — პარიკმახერი ვარ-მეთქი! ოო, ია-მათ: „Парикмахтер это наш брат“ და მხარზე ხელი-დამკრეს. გული იჯერეს და წავიდნენ. გავიხედოთ, არ გასულა ორი წუთიც ერთი ისეთი კაზაკი შემოეყუდა, რომ იტყვიან, косая сажень!.. ამ ხელა წვერები აქ. ვი-ფიქრე, ვაიმე, თუ მომთხოვა ახლა წვერების გაკრეჭა... მაგრამ, როგორც ხედავთ, გადავრჩი.

რეზო — ეხლა სადა ხარ, ნესტორ, ეხლა სადა ხარ?

ნესტორი — ეხლა ბინძურეიშვილის სასადილოში მენიუებსა ვწერ და-მის მოანგარიშე ქალს აგერ აქ მოვყევი.,.

აშილ — მენიუებს? აი იდეა! კარგი მენიუ გაქვთ?

ნესტორი — (ყ ო ყ მ ა ნ ო ბ ს) თუ გნებავთ მობრძანდით...

ვაჭანი — როგორ, ეგ რესტორანი დახურული არ არის?

ნესტორი — არა. ყველას. შეუძლია მოსვლა. მხოლოდ მიმაგრებული-გვყავს 300 კაცი.

აშილ — აი, მეგობრებო... ვსთხოვოთ მადამ როზის და... მეწვიეთ-დღეს სადილათ (რ ო ზ ი, კ ე კ ე ლ ა).

როზი — (კ ა რ ე ბ შ ი) დიაღ, დიაღ... რაც მითხარით დავიხსომე-მე ვეცდები.

რეზო — მადამ როზი! აგერ აშილი გვთხოვს, აშილი... სადილათ-წავიდეთ მაგათ რესტორანში... რესტორანში!

კეკელა — ო, ეს მშვენიერი იქნება, გენაცვალოს კეკელას თვალები! -მაშ მე მივქრიკვარ... ნესტორ!.. ყველაფერს თქვენთვის-დავამზადებინებთ.

აშილ — სილ ვუ პლე, მადამ!

კეკელა — აუცილებლათ, გენაცვალოს კეკელას თვალები! (მ ი დ ი ს ნ ე ს ტ ო რ ს) შენი საქმე გამოვჩარხე... დამპირდა.

ნესტორი — აგრე... აგრე... მითქვამს, რომ ზოსიმეს საქმე წასულია..... მე თუ გამგე შევიქენი, მაშინ... კარგათ დაგპირდა? (გ ა-დ ი ს კ ე კ ე ლ ა ს თ ა ნ ე რ თ ა დ).

ვაჭანი — მაშ იმ რესტორანში კარგ სადილს ამბობენ?

რეზო — რას ამბობენ? როგორ ამბობენ?

აშილ — ყველა ამბობენ.

III სახადილო

1

მე-2 მწერ. ვინ არის ლირიკოსი? შენა ხარ ლირიკოსი? Подумаешь, ლირიკოსი!

1-ლი მწერ. ლირიკოსიც არის და თანამგზავრიც...

მე-4 მწერ. (სვამს. გადახედავს მე-3 მწერალს და ჩაიცინებს).

მე-2 მწერ. (პირველს) შენ ჩუმად! შენ მეთორმეტე საუკუნეში გძინავს...

მე-4 მწერ. (დაისხამს ახალ ჭიქას, გადახედავს 1-ლს, ჩაიცინებს და დალევს).

მე-2 მწერ. (პირველს) ჰმმ... ჰმმ... შენი ისტორიული რომანები... სოფლის მოხუც მასწავლებლებს და სანტიმენტალ ქალიშვილებს თუ დააკმაყოფილებს...

1-ლი მწერ. მე ამაზე ვამბობ — თანამგზავრია-მეთქი!

მე-3 მწერ. თანამგზავრი კი არა მოკავშირე ვარ, მოკავშირე...

მე-2 მწერ. (სარკასტიულათ) ჰა, ჰა! შენა ხარ მოკავშირე? ვინ გამოგაცხადა?

მე-3 მწერ. როგორ თუ ვინ გამომაცხადა?.. Идиот!

მე-2 მწერ. Дурак!

მე-3 მწერ. კოშონ!

მე-2 მწერ. შამო!

მე 3 მწერ. როგორ მიბედავ?

მე-2 მწერ. აი როგორ გიბედავ! (მიწევ-მოწევა).

მე-4 მწერ. (აქამდის ჩუმათ ჭამდა და სვამდა. დინჯათ წამოდგება) ჰო, კარგი, ნუ იჭაჭებით! (ჯერ ერთს დასვამს ძალით და მერე მეორეს) დეეგდე მანდ... ჩუმად! ხმა, კრინტი!

2

(ნესტორი, კეკელა).

კეკელა ზოსიმე, ზოსიმე! მოდი აქ რა გითხრა, გენაცვალოს კეკელას თვალები!

ზოსიმე რა მითხრა კი არა, სად ბრძანდები აქამდის, ქალბატონო?

კეკელა სად ვბრძანდები კი არა საქმე გამოგიწყვე, საქმე, შეუბედურო!

ზოსიმე რა საქმე, რას ბლანდავ!

კეკელა მოდი აქ მოიწიე, ნესტორა...

ზოსიმე ჰო და ის ნესტორაა, რომ დაგიყენებს თვალებს!

კეკელა მეც სწორედ ეგ მინდა გითხრა, გენაცვალოს კეკელას თვალები!

ზოსიმე რა?

კეკელა რომ ის ნესტორა შენი მოლალატეა.

ზოსიმე შენ მეუბნები მაგას?

კეკელა ჰო, სწორედ მე გეუბნები... არ ენდო არაფერში, გენაცვალოს კეკელას თვალები!

ზოსიმე რა განუზრახავს?

კეკელა თვითონ უნდა შენი ალაგი დაიჭიროს, მაგრამ მე ზომები მივიღე, გენაცვალოს კეკელას თვალები! იმისთანა ქალთან ვიყავი დღეს, რომ... ყველაფერი ჩაუკენჭე. გავლენიანი ქალია, ყველაფერი შეუძლია და, იმან თუ მოინდომა, შენ ვერავინ ბუზსაც ვერ აგიფრენს, გენაცვალოს კეკელას თვალები!

ზოსიმე ვინ ქალია?

კეკელა როზი მიმერანბაუმ... დღეს აქ მოვა სადილათ და... კარგი პატივი უნდა ვცეთ, გენაცვალოს კეკელას თვალები!

ზოსიმე ჩვენ ხარჯზე?.. შენ დაჰპატიჟე?

კეკელა არა, მე არ დამიპატიჟნია... მხარჯველი თან მოჰყავს, გენაცვალოს კეკელას თვალები! მაგრამ ისეთი სტოლი კი უნდა გავუწყოთ, რომ...

ზოსიმე ოჰ, აბა თუ აგრეა... შენ თვითონ ჩადი საწყობში, გენაცვა კეკელა. აგერ გასაღები. გამოარჩიე საუკეთესო სკატერტი, პრიბორი, აი ვენზელებიანი ბოკალები, ვერცხლის დანა-ჩანგალი, რაც საუკეთესო გვაქვს შენახული და მიეცი მანიას... კარგა დაასუფთავოს.

კეკელა ეხლავ. ხელათ, გენაცვალოს კეკელას თვალები!

3

ზოსიმე (ბუფეტჩიკს) აბა, გეთაყვა, ისევე შენ უნდა დამავალო და ბაზარში გაიქცე: საუკეთესო ცხვრის ხორცი უნდა მომიტანო, დოში... მართლა, ხიზილალა ხომ გვაქვს გადანახული? შვეიცარული ყველიც ხომ?

ბუფეტ. რა ამბავია, ვისთვის გნებავთ? ჩვენი გამგეობის წევრებისთვის გადანახული მაქვს, რაც საჭიროა...

ზოსიმე — არა, არა... სხვები მოდიან, უფრო დიდები, საპირო ხალხი და... ჰო, სუკის წვადებიც გამოაყოლე... ხომ იცი ვისთანაც მიხვალ.

ბუფეტ. — სწავლება რათ მინდა?

ზოსიმე — მაშ აი ფული...

4

1-ლი ლაქ. (ნ ე ს ტ ო რ ს) მერე აქამდი იქ იყავით?

ნესტორი — იქ ვიყავი და მგონია გამოვჩარხე...

1-ლი ლაქ. — აბა თუ გამგე შეიქენი, ნესტორ... ზოსიმესავით კი არ უნდა გადაამლაშო...

ნესტორი — შენ არხეინათ იყავ!

1-ლი ლაქ. — შენ იცი... მხოლოდ ამ კეკელას რაზე ეკურკურები? რა ნახე მაგაში?

ნესტორი — რა ვნახე, კაცო და მშვენიერი ორი პატარა ოთახი აქვს... მომკლა უბიხაობამ.

1-ლი ლაქ. — ჰა, ჰა, გინდა ჩაუსახლდე?

ნესტორი — ცოტა შემორჩენილი ნივთებიც უნდა ჰქონდეს... ოქროულიც... იმდენი ბარძიმ-ფეშხუმები და ჯვრები, რაც მაგის ქმარს მის მაღაზიაში ჰქონდა ცოტას კი არ მოილეკდა...

1-ლი ლაქ. — ისე შენ რა გითხრა!

ნესტორი — მერწმუნე.

5

(რ ო ზ ი, რ ე ზ ო, ვ ა ჰ ა ნ ი, ა შ ი ლ)

ნესტორი — (მათკენ გაექანება) ოო, მობრძანდით, მობრძანდით!

აშილ — (ი ქ ი თ - ა ქ ე თ ი ხ ე დ ე ბ ა) ოო, აქ ვყოფილვარ წინეთ! აი, ამ კედლის სურათზე ვცნობ..

ვაჰანი — ეს განთქმულ მხატვრის დახატულია... ამას ხომ ხედავ. (უ ჩ ვ ე ნ ებ ს კ ე დ ე ლ ზ ე დ ა ხ ა ტ უ ლ ს შ ი შ ვ ე ლ ქ ა ლ ს) სოვსემ შუფტერლე!

ნესტორი — აქეთ, აქეთ მობრძანდით... ზოსიმე! (მ ი დ ი ს, რ ა ღ ა ს ა ც ჩ ურ ჩ უ ლ ებ ს).

ზოსიმე — (დ ა ფ ა ც ურ დ ე ბ ა) ოო, ეგენი... რასაკვირველია! ასე მობრძანდით!

(მწერლები სვამენ. ერთი-მეორეს კოცნიან).

მე-2 მწერ. შენ იცი რა გითხრა? მართლა და კი არ დაიხსომო... მე ისე, გაჯავრებულ გულზე, თორემ შენისთანა ლირიკოსი საქართველოში აბა სად არის?

მე-3 მწერ. მაშ როგორ გგონია!. ბარათაშვილი აი, ჩემ ლანჩათ არა ღირს... აკაკი წერეთელს ასე დავცქერი აი! და... ილია... ჰმ... რა სახსენებელია! „მადლი ტრფობისა თუ ტრფობის მადლი“... ფუჰ, რა თქმაა!

1-ლი მწერ. ვაჟაფშაველა? ო, მაგრამ ის ხომ მართლა ლირიკოსი არ არის...

მე-3 მწერ. ჰმ, ვაჟაფშაველა! „ხარი-ირემი ბღუის“... როგორა აქვს? „ბღუის“! ჰა, ჰა!

1-ლი მწერ. არა, შენი ის რა ქკიან: „დალმართი“ მართლა საუცხოვო რამ არის! მე დარწმუნებული ვარ, რომ მალე ჰენიოსათ გამოგაცხადებენ...

მე-3 მწერ. არა, არა... იცი რა გითხრა: გენიალური შენი უკანასკნელი ისტორიული რომანია — „დაჭრილი არწივი“... რა გაქანება, რა სტილი, მაგრამ ვინ დაგიფასებს! შენ ევროპაში უნდა დაბადებულიყავი... ანატოლ ფრანსი იქნებოდი, ძმაო, ანატოლ ფრანსი...

1-ლი მწერ. ჰო, ნურც ეგრე მაღლა ამწევთ, გადმოვვარდები...

მე-3 მწერ. არა, მაღალი ხარ, მაღალი! (მე-2) ღმერთი მაგას ააშენებს. მაგისთანა უნიჭო და უნიათო მწერალი მე მეორე არ ვიცი ჩვენს პროზაიკოსებში...

1-ლი მწერ. (სვამდა, ყურსაო უკდებდა) შესამჩნევია (მე-2-ზე) ამის „ნატანები“. რამდენი აზრი და გემოვნებაა შიგ... ნატანები .. ჰა, ჰა!

მე-3 მწერ. საოცარია! დიდებული, გენიალური...

მე-2 მწერ. დამცინით, არა?.. (ძმამავალ განიას) ო, გოგონი, გოგონი... მოდი აქ, ეს აალაგე, გეთაყვა...

მე-3 მწერ. გენიალურია, გენიალური, მე ამას ვამტკიცებ.. (1-ლს) ისე მაგას რა უთხრა! გროში, კაპეიკი მაგის მწერლობის ფასი...

მე-2 მწერ. რა გქვია? განია? რუსი ხართ?

განია არა, უკრაინელი.

1-ლი მწერ. უკრაინელი? ოო, ლამაზ უკრაინას, დიდებულ უკრაინას გაუმარჯოს, ყმაწვილებო!

მე-2 მწერ. Хай живе... ესე არ უნდა? (მე-4 მწერალს) ა? რას გაჩუმდი დღეს... ამოიღე ხმა... ლაპარაკი დაგავიწყდა?

მე-3 მწერ. არა, არა, ძმავ... ისევ ჩუმად იყოს ის სჯობია, თორემ თუ ხმა ამოიღო, ხომ იცი რა გესლიანი ენაც აქვს...

მე-4 მწერ. (მნიშვნელობით შეხედავს) მართალია და... დამეხსენ, თორემ მე ხომ იცი... წერაც კი არ შემიძლიან ისე თუ გაბრაზებული არა ვარ...

მე-4 ლაქ. (მოვიდა) აალაგე, განია... აბა, აიბარგეთ, აიბარგეთ!

1-ლი მწერ. როგორ თუ ავიბარგოთ?

მე-4 ლაქ. ისე. ანგარიში გაასწორეთ და... გაათავისუფლეთ სუფრა.

მე-3 მწერ. რა ამბავია, რა მოხდა?

მე-4 ლაქ. რა ამბავი და საცაა მიმაგრებულების მეორე წყება მოვა.

მე-2 მწერ. მერე?

მე-4 ლაქ. მერე და ადგილი არა გვყოფნის, დაცალეთ...

1-ლი მწერ. მერმე და მაგას ზრდილობიანათ ვერ გვეტყოდი? რას ნიშნავს: აიბარგეთ!

მე-4 ლაქ. ზრდილობა? ჰმ, ზრდილობა! ზრდილობა, ამხანაგო, ეს ბურჟუაზიული ქალბატონია და რამდენი ხანია ჩვენ გავაძევეთ (გარბის).

7

(ცალკე მაგიდასთან)

მუშტარი კაცო, ერთი ხელის შესახოცი მომეცი რამე.

მე-3 ლაქ. სალფეთქები არ გახლავს.

მუშტარი ეგ დიდი ხანია ვიცი... ქაღალდი გექნებათ რამე.

მე-3 ლაქ. ქაღალდი არ გახლავთ.

მუშტარი მაშ კალთაზე შევიხოცო?

მე-3 ლაქ. ეგ არ ვიცი მე...

მუშტარი საჩიერის წიგნი ხომ არის?

მე-3 ლაქ. ჰო, არის მგონი სადღაც (გაივლის).

8

(სხვა მაგიდასთან).

მუშტარი (ლაქიას) ეს რა არის, ძმაო? ხორცია თუ ლანჩა?

მე-2 ლაქ. თქვენი ბედნიერი თვალით ხედავთ, რაც არის.

მუშტარი მერე?

მე-2 ლაქ. ოჰ, ახლა სად მცალია მაგისთვის... ეგერ გამგე და აგერ თქვენ.

მუშტარი ყალობნი კნილა არა გაქვთ?

მე-2 ლაქ. ჰო, არის სადღაც (გარბის).

9

ხმები (სხვადასხვა მაგიდებიდან).
— საჩივრის წიგნი.
— ყალობნი კნილა.
— სად არის?
— ვის აბარია?
— საჩივრის წიგნი.
— საჩივრის წიგნი.

(ფუსფუსი, გუგუნი).

ფარდა

მოქმედება მეოთხე

იმ დღესვე. სადილობა გრძელდება.

I სახადილო

1

(კეკელას მაგიდასთან მთელი რიგი დგას).

ხმები — რა ამბავია, ეს რისი რიგია?
— ურიგებენ რამეს?
— რას აძლევენ?
— არაფერს არ აძლევენ.
— საჩივრის წიგნისთვის დგანან.

რიგიდან — კაცო, ველარ მოიძებნა ეს საჩივრის წიგნი ამდენ ხანს?
— მოგვეცი, ქალო, წიგნი. რა უყავ?

კეკელა (მაგიდაზე ეძებს) რა ვიცი, აქ მქონდა სადღაც, გენაცვალოს კეკელას თვალები!

ბუფეტ. (ეხლა მოვიდა კეკელასთან) რა იყო? რა უნდათ?

კეკელა საჩივრის წიგნს თხოულობენ, გენაცვალოს კეკელას თვალები!

ბუფეტ. მერე, ეს რა არის? (კეკელას სკამიდან გამოაცლის დიდ წიგნს) ზედ დამჯდარხარ! (სიცილი. ხრიალი).

კეკელა უიმე, ეს რა დამემართა, გენაცვალოს კეკელას თვალები!

2

გრამიტ. (კუთხეში მიმდგარა და ეტყობა უკვირდება გარემოს თუ სად რა ხდება).

განია (გამოიცვლის) გრამიტონ! რათ არ მუშაობთ სამზარეულოში? — მალახია ივანიჩ ცქრება — რათ არ მეხმარებაო?!

გრამიტ. მე იმას ამ დილით უკვე გამოვუცხადე, რომ მე აქ ვერ ვიმუშავებ... იქ, სადაც ასეთი უწესრიგობაა, ასეთი მოუმარაგებლობა, ასეთი ჭუჭყი და საძაგელი პროდუქტები

იქ სამსახური და გაჩუმება პირდაპირ მავნებლობაა... ჰო და მეც არ გავჩუმდები... მხოლოდ ჯერ მინდა კიდევ მეტი მასალები დავაგროვო...

მანია (ჩამოიცლის) ამათ შეხედეთ! კაკ მოენო! მტრედებივით ლულუნებენ... თეფშებია გასაწმენდი, განია, მალე მიჰხედე!

განია მე ეხლავ... რა არის, ცოტა ხანს შევჩერდი... ამხანაგს ეძახოდნენ (მიდის).

გრამიტ. სირცხვილია, ამხანაგო! მე არაფერსაც არა ვლულუნებ და... აქ კი, მგონი, ბევრმა წაილულუნა.

მანია უი, ტავარიშჩ გრამიტონ! კაკ მოენო და... თუ ჩემზე ლაპარაკობ... დედა არ მომიკვდეს, მამა არ წამიწყდეს...

გრამიტ. ჰო, კარგი, კარგი! მე შენ განა რამეში გამტყუნებ...

ზოხიმე მანია! სადა ხარ, ქალო? მოდი აქ... რა ამბავია, შენც აეტორლიალე ეხლა მაგ გრამიტონას?

მანია შტო ვი გავარიტე, კაკ მოენო! დედა არ მომიკვდეს, მამი არ წამიწყდეს!..

ზოხიმე ჰო, კარგი, კარგი! დღეს იქ უნდა ემსახურო (უჩვენებს როზის და სხვების ადგილისკენ) არ დაგავიწყდეს, ყოველ თავის გამოცვლაზე დასუფთავებული, ცხელ-ცხელი თეფშები უნდა მოიტანო.

მანია მესმის.

ზოხიმე ასეა, ასე. არ გარგებთ ჩემი ღალატი, თორემ მე რას დავეძებ.

მანია კაკ მოენო! შტო ვი გავარიტე! (გაიმღერებს) ისევ შენ და ისევ შენ... (გარბის).

II სამზარეულოში

მე-3 ლაქ. აბა, მალაქია ივანიჩ, მოიტა მეორე, ათი პორცია ერთად.

მალაქო ვისთვის გინდა?

მე-3 ლაქ. ვისთვის იქნება, მიმაგრებულებისთვის...

მალაქო ჰო, მიეცი, ბიჭო...

მე-3 ლაქ. ტოლმა, ტოლმა.

ბიჭი ტოლმა აღარ არის. მორჩა.

მალაქო აი ეგერ ფარშიროვანი პამიდორია, ის მიე...

ბიჭი სოუსი აღარ არი, ძია.

მალაქო მიუშვი ბორშჩის წვენი...

მე-3 ლაქ. რას შვები, კაცო? ღმერთი აღარა გაქ?

მალაქო მაშ მეტი რა უნდათ ყურუმსაღებს?.. სადილის ჭამა ვასწავლეთ ხალხს... ბორშჩი აქამდის რა ხილი იყო არც კი იცოდნენ... ლობიოს ჭამით მუცელი ქონდათ გაბერილი. ან მარტო ყველი და ღომი... შენ მანდ სედლოს მიხედე, ბიჭო, სედლოს, ნამეტანი არ მოუვიდეს... ეგ სხვა სტუმრებისთვისაა. ამაზე, გინდა, ერთი ანეგდოტი გიამბოთ...

III ფარდიან კაბინეტში

(სუფთა სუფრა. უხვად სანოვაგე. ლაქიაც უფრო სუფთად არის ჩაცმული. სუფრას უსხედან: როზი, რეზო, აშილ, ვაჭანი).

რეზო ეს რა ღვინოა, რა ღვინოა?

1-ლი ლაქ. არ მოგეწონათ?

აშილ კარგია, ჩინებული, მაგრამ იმერულისთანა არ შეიძლება... ნამდვილ ჩვენებურ, ფრანგულ ღვინოს მაგონებს. აი, როდესაც კრახუნას სვამ, ნამდვილს სვირულს, ქარვის ფერი რომ არის და ჭიქაზე ცინცხლებს რომ შემოიკვერცხავს ხოლმე, ასე გგონია, გაყმაწვილდი, ჭაბუკის ძალ-ღონე ჩაგიდგა მთელს სხეულშიო...

რეზო ეეჰ, შენც იტყვი რაღა, ჩემო აშილ, შენც იტყვი რაღა! კახურ ღვინოს რომელი შეედრება, აბა რომელი შეედრება: ყვარლის წითელ ღვინოს რომ მიირთმევ, რომ მიირთმევ, ესე გგონია სქელი მაწონია და კოვზით უნდა ჩამოკვეთოო, ჩამოკვეთოო! ან თუნდა ახაშნისა! ჰაი გიდი! ისე გაგიმაგრებს კუნთებს, გაგიმაგრებს; ისე დაგებერება ძარღვები, დაგებერება, რომ მზათა ხარ... კლდეზე გადავარდე, გადავარდე...

როზი მე აფხაზური ღვინო მომეწონა ძალიან...

ვაჭანი სოვსემ შეფტერლე?

როზი ჰო, შარშან ზამთარს ვიყავ და მომიტანეს... რა ჰქვიან? ჰო, ამილახუ... და კიდევ ავასარხვა თუ რაღაც...

რეზო ეეჰ, კარგია ერთი შენსა მზესა, კარგია ერთი. კახურს აბა საიდან შეედრება, საიდან შეედრება (მანია შემოვიდა, ცხელი თეფშები მოიტანა. ლაქია ცვლის და აძლევს. მანია გადის).

1-ლი ლაქ. რაკულ ღვინოსაც ნუ დაგვიწუნებთ, ბატონებო, ხვანჭკარასა და ალექსანდროულს... ლეჩხუმურ ღვინოსაც არა უშავს-რა: მანდარიას ღვინო, კალოში...

ვაჰანი — კალოში? სოვსემ შუფტერლე!

აშილ — არა, მე ძალიან მიყვარს იმერული ღვინოები! მერე რა სხვადასხვა ღვინოებია, ერთი მეორეზე უმჯობესი: სვიერული კრახუნა, ოცხანური და აგრეთვე ციცქა, ანდასოული, ცოლიკოური, ბუდეშური...

1-ლი ლაქ. — გურიაში განთქმულია ჩხავერი, სამეგრელოში ოჯალეში... ჭვიტილური, შონური...

რეზო — წავიდეს იქითა. განთქმულია, მაგრამ ვერც სამეგრელოში ნახავთ თურმე ოჯალეშს და ვერც გურიაში ჩხავერს. ორთავეგან უფრო იზაბელას ჭყიპურტა ღვინო დგება, ჭყიპურტა ღვინო, აი ადესას რომ ეძახიან, ადესას (ლაქია გადის).

ვაჰანი — მაშ ეხლა მეც დამიგდეთ ყური: ქართლის ღვინოების ამბავი მეც ვიცი. კარგი ღვინოები იყო მუხრანისა, ხიდისთავისა, თამარაშენის და ატენის ხომ... სოვსემ შუფტერლე! (ლაქიამ შემოიტანა ახალი თავი).

რეზო — მაინც კახურს რა შეედრება? აი, როგორც ვთქვი, ყვარლის ღვინო, კარდანახული, გურჯაანული, ვეჯინისა, ახაშნისა, ველისციხური, ახლა ახმეტური, აწყურული, ოქიოსი, რა ვიცი რომელი ერთი ვთქვა, რომელი ერთი... კარგია ხირსულიც, ძველი და ახალი გავაზისა, საქობურიც, ანაგურიც...

ვაჰანი — (ეშმაკურათ) ანწუხური, ჩაჩნური...

რეზო — (გატაცებით) ჰო, ჩაჩნ... წადი! ეგ ხომ ცეკვაა!

ვაჰანი — სოვსემ შუფტერლე!

როზი — მაშ... რო ალარ გაათავე რა? ღვინის ცოცხალი პრეისკურანტი ხარ თუ როგორ არის შენი საქმე?

ვაჰანი — მართლა, ჩაჩნური თუ... აფხაზური, აფხაზური, როზი...

როზი — აბა რა დროსია ჯერა!

აშილ — ოო, მადამ, მადამ!

ვაჰანი — აგერ მე დაუკრავ (მიდის პიანინოსთან. როზი ცეკვავს აფხაზურს. შემოდის ზოსიმე მოღუშული, მაგრამ როზის მოცეკვავეს რომ დაინახავს, ვერ ბედავს თქმას).

რეზო — ოო, ზოსიმე, ზოსიმე, მობრძანდით, გეთაყვა, მობრძანდით... (შეატყობს რომ გუნებაზე არ არის) რა იყო?

ზოსიმე (ს ა ი დ უ მ ლ ო თ) არაფერი. ჯერ ცოტა მოითმინეთ, თორემ მიმაგრებულები სადილობენ და... ესე არ იტყვიან.

IV კაბინეტის კარებთან

1-ლი ლაქ. (გ ა მ ო ვ ი დ ა, შ ე ე ფ ე თ ა მ ე-4 მ წ ე რ ა ლ ს) აქეთ არ შეიძლება, ყმაწვილო.

მე-4 მწერ. ვითომ რა ამბავიაო?

1-ლი ლაქ. ზანიატია.

მე-4 მწერ. ვიცი რომ ზანიატია და სწორედ იმათთან მივდივარ...

1-ლი ლაქ. იქ არ შეიძლება მოგახსენებ, ყმაწვილო...

მე-4 მწერ. ვითომ რატომ არ შეიძლება?

1-ლი ლაქ. პარტიის ხალხია. თავისთვის სხედან.

მე-4 მწერ. ვიცნობ ვაგ პარტიის ხალხს. შენ რა გინდა?

1-ლი ლაქ. არა მაქვს ნაბრძანები.

მე-4 მწერ. გაიარე, გაიარე... მე ვიცი და იმათ!
(რ ე ზ ო დ ა ზ ო ს ი მ ე გ ა მ ო ი ხ ე დ ა ვ ე ნ).

რეზო რა ამბავია, რა ამბავი? აა, ჩვენს მწერალს, ჩვენს მწერალს...

მე-4 მწერ. მე მინდოდა ერთის წუთით...

რეზო მობრძანდი, მობრძანდი! გეთაყვა... (შ ე უ შ ვ ე ბ ს).

ზოსიმე (რ ე ზ ო ს) აბა რათ გინდოდათ... ისეთი სკანდალისტია...

რეზო როგორ იქნება, კაცო, მწერალია... პოეტია...

V სამზარეულო

მალაქო (ჩ ა მ დ გ ა რ ი ა ბ ი ჭ ე ბ შ ი, თ ა ნ პ ლ ი ტ ა ს თ ა ნ ფ უ ს ფ უ ს ე ბ ს დ ა რ ა ღ ა ს აც ე ტ ყ ო ბ ა დ ი დ ი ს ა მ ბ ი თ ა მ ზ ა დ ე ბ ს) დიახ, საფრანგეთის გამოჩენილი მზარეული ანტუან კარემ... ეს არის ღმერთი მზარეულობისა, კულინარობისა... ევროპის კუხნამ მას შემდეგ უკეთესი ვერა გამოიგონა-რა. აიღეთ მაგალითად ქათმების პაწია ბეჭებიდან აფხეკილი ხორცი და აქედან გაკეთებული მის მიერ კატლეტები...

ბიჭი მერმე და რამდენი ქათმები უნდა დაეკლათ, რომ სამყოფი ყოფილიყო?

მალაქო გაიჩნია ბჭამლეტს... ასი, ორასი, ბაგრამ შენ ის თვეი რა შეზავებული იყო, რა საკაზმი ჰქონდა... ან და კიდევ

უკეთესი! აიღეთ თქვენ მაგალითად... (დაასახელებს რომელიმე პიკანტურ საქმელს) აი როგორ აკეთებდა (ჩამოთვლის ამ საქმლის რეცეპტს და კეთების წესს).

ბიჭი — ძია, ძია! შენ კულინარობის პრაფესორათ გამოდგები.

მალაქო — არსადა სთქვა, აი!.. ჰეი გიდი...

„როდესაც ვიყავ ცესარევიჩთან“...

(ექიმი).

ექიმი — აბა მიჩვენეთ თქვენი ქვაბები, კასტრიულები?

მალაქო — ეს ვილაა? ქვაბები და კასტრიულები ყველა ზანიატია...

ექიმი — ამას გადახადეთ თავი! (ყველა გაშტერებული დგას) გადახადეთ-მეთქი ამას თავი... (ბიჭი მალაქოს შესცქერის და თან სარქველსა ხდის რომელიღაც ქვაბს) ეს რა არის?

მალაქო — მაგაზე გინდა ერთი ანეგდოტი გიამბო...

ექიმი — (ბიჭს). ეს რა არის-მეთქი? (მალაქო ხელს ჩაიქნევს და ჩამოჯდება).

ბიჭი — ეს... ამაში... სოუსი იყო...

ექიმი — (ჩაჰხედა) ცარიელია და კიდევ ცეცხლზე გიდგათ?

ბიჭი — დამავიწყდა გადმომეღო...

ექიმი — ეგრე ხომ სულ გაფუქდა ჭურჭელი... აგერ, მოუკალავიც ყოფილა... ძალიან კარგი, ჩავიწეროთ (ბლოკნოტის ამოღების დროს დაინახავს კუთხეში) აჰა, ობობა... იფ, მშვენიერათ კი გქონიათ სამზარეულო დასუფთავებული... ესეც ჩავიწეროთ. მანდ რალაა? ეს რა ხორცია? (დაჰყნოსა) ფუჰ, სისაძაგლე, საზიზღრობა! ვინ არის აქ მზარეული? ვინ აკეთებს ამას?

ბიჭი — (მალაქოზე) ეგერ!

ექიმი — დღეს მაგან გააკეთა სადილი?

ბიჭი — დიახ.

ექიმი — უმსგავსობა! სისაძაგლე! მაშ თქვენ აკეთებთ ასეთ მყრალ სადილებს? რატომ მენიუზე არ არის თქვენი სახელი და გვარი გამოცხადებული?

მალაქო — ვინა ხართ თქვენ?

ექიმი — (თითქო ვერ გაიგონა. თავისას განაგრძობს) ამიერიდან ყოველ-დღე თვალსაჩინო ალაგას და ყველა მენიუებზე უნდა გამოცხადებული იყოს მზარეულის სახელი და გვარი. არავინ არ იცის დღემდე თუ სადილს ვინ

ამზადებს. მზარეულის როლი გაუპიროვნებელია. რატომ უნდა იყოს ასე? თუ ჩვენ ყოველთვის ვიცით კოოპერატივში ან ბანკში ვინ არის მოლარე, რატომ არ უნდა ვიცოდეთ თუ დღეს სადილი ვინ დაამზადა? თუ კი ჩვენ ვიცით ვინ ექიმობს ავადმყოფს, რომელი ექიმი, ან ესადაეს ხიდი რომელმა ინჟენერმა ააგო, რატომ არ უნდა ვიცოდეთ თუ ვინ დაამზადა დღეს სადილი?

მალაქო ვინა ხართ თქვენ?

ექიმი ძალიან გაინტერესებთ? მე ექიმი ვარ, ჯანმრთელობის განყოფილებიდან გამოგზავნილი... სად რეცხავთ ჭურჭელს? ვინ არის ჭურჭლის მრეცხავი?

ბიჟი მანია, განია! (შემორბის მანია თეფშებითხელში) მანია, მანია! აბა უჩვენე სადა რეცხავთ ჭურჭელს?

მანია კაკ მოჟნო! სად მცალია? თეფშები უნდა გამოვცვალო... განია სად არის?

ექიმი ამხანაგო! ჩემთვის უნდა მოიცალოთ... სადა რეცხავთ ჭურჭლებს? (მანიას რაღაც უნდა თქვას).

ბიჟი ექიმია, ჯანმრთელობის განყოფილებიდან.

მანია შტო ტი გავარიშ? მობრძანდით! (გავლენ).

ბიჟი (მალაქოს) ძია! ეხლა როგორ იქნება საქმე?

მალაქო დამეკარგე იქით! (თითქმის ტირილით)

„როდესაც ვიყავ ცესარევიჩთან“...

(უეცრად შესწყვეტს) გასწი და ბოთლი ღვინო მომირბენინე.

VI სასადილო

(ერთ კუთხეში განია და გრამიტონა)

გრამიტ. და, აი, განია, მზარეული, რომელიც საუკეთესო სადილს დაამზადებს, უნდა იქნეს დაჯილდოვებული. დეე, კარგი მზარეულის სახელი გახდეს მთელი წარმოების, ფაბრიკის, ქარხნის საკუთრებათ... აი, შენ როდესაც დაასრულებ კულინარობის კურსებს... ხომ სიტყვა მომეცი?

განია რასაკვირველია. აუცილებლათ!

გრამიტ. იცი როგორ შენობაში იმუშავებ, როგორს სასადილოში, ან როგორ იქნება იქ კვება მოწყობილი?

ანია არა, არ ვიცი... მითხარი, ამიხსენი.

ჭრამიტ. აი, განია... მე გიჩვენებ პროექტს. თანა მაქვს, აგერ არის მოხაზული (ამოიღებს ჯიბიდან რვეულს). აი ეს ფასადია. აქ შესავალია (ბნელდება. ნელი მუსიკა. რასაც გრამიტონა ამბობს ყოველივე სრულდება), აი მოვიდნენ მოსადილეები. ჩადგნენ რიგში. არც ყვირილი, არც მიჯახ-მოჯახება, რადგან ყველამ იცის რომ მოასწრებს, არც დაბრკოლება და ადგილიც სამყოფია. აი შემოვიდნენ დერეფანში. ცალკე ყუთში მათ ჩააგდეს განსაკუთრებული სადილის მარკები. მაშინვე მათ განსაკუთრებულის მანქანით ასხურეს სადეზინფექციო წამლები, მეორე მანქანამ ჩააცვა სპეციალური ხალათი. აი მოვიდა მაგიდასთან მოსადილე, ჩამოჯდა და ხელი ღილს დააჭირა. იმ წამსვე კონვეიერით ჯერ გაჩნდა თეფშები, დანა-ჩანგალი, ჭიქა და შემდეგ სანოვაგე: პირველი თავი, მეორე თავი. იქვე სათითაო მაგიდაზე სდგას რადიო. რა გნებავთ? უკანასკნელი, ცხელ-ცხელი ამბები მთელის მსოფლიოსი? ინებეთ. ან შეიძლება რომელიმე სპეციალ საგანზე გნებავთ ლექცია მოისმინოთ, რადგან დრო ცოტა გაქვთ და სადილობაც არ გინდათ მარტო ჭამას მოახმაროთ. თუმცა სადილობისას ასეთ სერიოზულ რასმე ჰიგიენისტები არ ურჩევენ. უფრო სჯობია მსუბუქი რამ, მეტი ყურადღება კუჭს. ყველაფერსა სჯობია მუსიკა და აი თქვენც ისმენთ საუკეთესო მუსიკას ნიუიორკიდან, მოსკოვიდან, ტოკიოდან, მილანიდან. და ასე! სადილი შემრგე და მშვენიერი, დრო მოგებული, საღი სანოვაგით ყუათზე მოსული მშრომელი ადამიანი. შენ კი, ჩემო კარგო განია, იმყოფები საუცხოვო სამზარეულოში. გაცვია საუკეთესო, საზეიმო ტანისამოსი, რადგანაც ხალხის კვების საქმე თვით არის საზეიმო...

განია ეგ რა?.: პარტიას აქვს ეგრე დადგენილი?

ჭრამიტ. არა... ამას მე ვფიქრობ... მე მგონი, რომ ესე იქნება... სამზარეულო არის საუკეთესო დარბაზში მოთავსებული, სასადილოს შუა-გულ, ირგვლივ შუშაბანდი, რომ ყველასათვის დასანახი იყოს. შიგ ისეთი სისუფთავე, როგორც კლინიკაში. დასტრიალებ დიდ ელექტრონის მაგიდას, რომელზეაც ქვაბებით მზადდება საჭმელები და შენც რეგისტრებით რევოლიაციას ეწევი სხვადასხვაგვარ ტემპერატურას. შენ ითვლები საუკეთესო კულინარად. შენი

სახელი ყოველ-დღე იბეჭდება გაზეთებში: დღეს საჭმელებს ამზადებს განია ტკაცენკო, ისე, როგორც თეატრებში აცხადებენ ხოლმე, ამალამ როლს შეასრულებს ესადაეს მსახიობი ქალიო. შენ ითვლები დიდ ვირტუოზათ, შენს სურათებს ათავსებენ ჟურნალ-გაზეთებში, ვიტრინებში. შენ გიძღვნიან ქება-დიდებას, მგოსნები შეამკობენ შენს სახელსა...

განია (ალტაცებულია) შენ კი, შენ სად იქნები მაშინ, გრამიტონ?

გრამიტ. მე? მე, როგორც გითხარ, ვიქნები ინჟენერი კულინარიისა. აი ეხლა ხომ ვაპირებ წასვლას მოსკოვში: უნდა საფუძვლიანათ შევისწავლო ეს საქმე. შემდეგ საზღვარგარეთაც მოვივლი, იქაც ძირითადათ გავეცნობი ამ საქმის ტეხნიკას და შემდეგ დავბრუნდები ჩვენში, როგორც მთავარი ინსტრუქტორი ჩვენი მომავალი ფაბრიკა-სამზარეულოებისა...

VII კაბინეტში

(როზი, რეზო, ვაჰანი, აშილ, ზოსიმე, მე-4 მწერალი)

მე-4 მწერ. მაშ აი როგორი სადილი გაგიწყვიათ ამ ცალკე კაბინეტში?.. დელიკატესებსაც კი არ იკლებთ... ყველაფერი უხვად გაქვთ და ყოველივეც საუცხოვო! იქ კი, იქ... წყალ-წყალა ბორშჩი და ფარშიროვანნი პამიდორი, ისიც დამპალი პამიდორებით... ჰაი გიდი ზოსიმე!

ზოსიმე ოჰ, კარგია ერთი ნუ მასხრობ!

მე-4 მწერ. მე არ ემასხრობ!.. ჰმ... ცალკე კაბინეტშიაც, რომ შეხურხულან! ლაქია აქ არ მიშვებდა... პარტიული ხალხიაო... ჰა, ჰა! ვინ არის პარტიული? ესენი ხომ არა... ეს მკვდარი ლეშები?

აშილ რა თქვა? ვიზე ლაპარაკობს?

ვაჰანი სავსემ შუფტერლე!

მე-4 მწერ. ან შენ ხომ არა ხარ პარტიული... შენ, ზოსიმე ბინძურეიშვილი? აქ რომ საზოგადოების ხარჯზე საკუთარი კეთილ-დღეობა გამოგიწყვია! საჯარო რესტორანის მაგივრათ აქ რომ ბუნაგი გაგიმართავს, პრიტონი და საკუთარი ჰარამხანაც შეგიქმნია!

ზოსიმე ეს ნამეტანია, ყმაწვილო, როგორ კადრულობ!

როზი საზიზღრობაა! უმსგავსობა!

აშილ როგორა ბედავთ?

მე-4 მწერ. ჩუმად, ჩუმად, ფრანცუზო... არც შენ ხარ სული წმინდა, გეტყობა...

როზი არა, ეს შეუწყნარებელია!

აშილ ამას ვერ მოვითმენ!

რეზო როგორ გეკადრება, ყმაწვილო, როგორ გეკადრება! მწერალი კაცი ხარ, მწერალი კაცი... რისი ჰარამხანაო, აბა სადაურია, სადაური?

მე-4 მწერ. შენ კიდევ რაღა გაქვს სალაპარაკო? ამ ქალბატონთან ალფონსობას რომ ეწევი... ბგონია ქვეყანამ არ იცის?

რეზო მიგჯობავ მამა ჩემი ნუ წამიწყდება! (წამოიშლებიან).

როზი რა უმზგავსობაა, რა საზიზღრობა!

ვაჰანი სავსემ შუფტერლე!

როზი წავიდეთ აქედან... რეზო, დაეხსენ!

აშილ არა, სწორედ წასვლა სჯობია. შერ მეტრ! უბრძანე ანგარიში რამდენია...

ზოსიმე (გასძახის) პეტრე, პეტრე!

მე-4 მწერ. სულ ერთია მე ვერ ჩამაჩუმებთ! ჰმ... ეს ქალბატონიც რომ წიწმატობს!? ხმები რომ დაურხევია—პარტიაში გავლენიანი ვარ... (1-ლი ლაქია შემოვიდა, აშილი ანგარიშს ისტუმრებს. ლაქია გადის) დიდი ნაცნობობა მყავსო... და, ვინ იცის, რა ბნელ საქმეებს არ ჩადის!

ვაჰანი ოო, სავსემ შუფტერლე!

მე-4 მწერ. ატყუებს გულ-უბრყვილო ხალხს...

როზი რა უმსგავსობაა, რა საზიზღრობა! დააჩუმეთ, ვაქკაცები არა ხართ.

მე-4 მწერ. ჩემი დაჩუმება არც ეგრე ადვილი გახლავთ, კოსმეტიკის დოქტორო, სილამაზის მიმნიჭებელო... აბა გამობრძანდნენ თუ ბიჭებია! (უკან კედლისკენ მიდგება და გადაიკაპიწებს).

აშილ (გამოშტერებული შესცქეროდა როზის) მაშ, მადამ... თქვენ პარტიული არა ხართ?

(გარედან გუგუნი).

როზი (სიბრაზით ცრემლებს ყლაპავს) ვინ მოსპორა? მე პარტიული? გავლენიანი ქალი? აბა საიდგან? არასოდეს არ დამიჩემებია...

აშილ (ჩაიფუქება) ო, საკრამან დე დიე?

ზოსიმე როგორ? მაშ მეც მომატყუეს? დამაცადოს კეკელამ!

მე-4 მწერ. (პოზაში) მობრძანდით-მეთქი, მობრძანდით!

ვაჭანი (ანგარიშს დახედა, აშილს დაცინვით) ოთხას ოცდახუთმეტი მანეთი ყოფილა! სავსემ შუფტერლე!

ზოსიმე რა ამბავია? რა ხმაურობაა? (შემორბის 1-ლი ლაქია).

1-ლი ლაქ. თქვენა გთხოულობენ, ზოსიმე... ხალხი აღშფოთებულია...

ზოსიმე რა იყო, რა უნდათ?

მე-4 მწერ. უთუოდ შენი მშვენიერი გამგეობის გაცნობა (ლაქიას) ესე არ არის?

1-ლი ლაქ. დიახ, ეძახიან (მანია შემოვარდება).

მანია კაკ მოენო... ბუნტია, ბუნტი, ტავარიშჩ ზოსიმე.... არ გახვიდე, მოგკლავენ...

მე-4 მწერ. ჰა, ჰა! ესეც მაგის ჰარამხანის ერთი წევრთაგანი... (ყველა აწრიალებულია).

VIII სასადილო

გუგუნი — ამის მოთმენა აღარ შეიძლება!

— ჩვენ ამას უნდა ვებრძოლოთ!

— დირექტივა აქვს მიცემული სასამართლო ორგანოებს და მუშ-გლეხინს.

— ეს სასტიკი დირექტივა მიცემული აქვს მთელს პროლეტარულ საზოგადოებრიობას.

ექიმი სასადილო ანტისანიტარულ მდგომარეობაშია, ცუდათ ირეცხება ჭურჭელი, ცუდათ ინახება პროდუქტები და ფუქდება კიდევაც, სასადილოს ამარაგებენ ცუდი სანოვაგით, სამზარეულო და საწყობი საესეა ობობებით, ინვენტარის დიდი ნაკლებობაა, თუმცა გამგის განკარგულებაში ასეთები საწყობში ინახება... აგრეთვე საერთო სადილები კეთდება იმდენი, რომ არა ჰყოფნით მოსადილეებს და თვით სადილებიც მზადდება მეტად ცუდი ხარისხისა, თუმცა იმავე დროს ზოგიერთებისათვის ყოველივეა მომარაგებული და ნაშოვნი...

ხმები — რევიზია, რევიზია!

გრამიტ. (წინ გამოდის) რევიზია კი არა, აქვე მასიური შემოწმება ყოვლისავე. აბა მოედეევით ყოველ კუთხეს. (ჯგუფ-ჯგუფათ გადიან).

ხმები — მასსიური, მასსიური!
— სად არის გამგე?

კეკელა (თავის მაგიდასთან) ეხლა კი დაიღუპა ზოსიმე, გენაცვალოს კეკელას თვალები! ნესტორიც სადღა არის? გაპარულა. ან იმას ვინ მიაშავებს გამგეობას... უიმე, უიმე! მეც რომ დავიღუპე, გენაცვალოს კეკელას თვალები! ანგარიშები, ანგარიშები... სულ არეული, სულ ჩარეული! (ჩაჯდება. ხალხი გამორბის სამზარეულოდან).

1-ლი (მოაქვს პამიდორები)
პამიდორი დამპალია!
ჰაიდა პამიდორი!

ყველანი ჰიადა პამიდორი!

მე-2 (მოაქვს მაკარონი)
მაკარონი ჩრჩილს შეუჭამს...
ჰაიდა მაკარონი!

ყველანი ჰაიდა მაკარონი!

მე-3 (კართოფილით)
კართოფილი გამოსულა,

ყველანი ჰაიდა კართოფილი!

მე-4 ქვაბი მოუკალავიე!

მე-5 მასთან კასტრიულები!

ყველანი ჰაიდა კასტრიულები!

მე-6 (თეფშებით)
თეფშებს ზინზლის სუნი ასდის
სასადილოებში.

ყველანი სასადილოებში!

მე-7 (გამოჰყავს მალაქო მთვრალი)
მზარეული გალეშილა...

ყველანი ჰაიდა მზარეული!

მალაქო დაიცა, ერთი ანეკდოტი გიამბოთ.

მე-8 გადი, თვითონ შენი საქმეა საანეგდოტო, შე-გამობრუჟულო შენ!

1-ლი აბა გამგე სადღა არის?

ყველანი ბინძურეიშვილი, ბინძურეიშვილი?

მე-2 მოიყვანეთ უწა-უწა...

ყველანი ბინძურეიშვილი, ბინძურეიშვილი!

გრამიტ. (ყურით მოჰყავს ზოსიმე და პუბლიკას) ხალხო! აი თქვენ ნახეთ ეს სასადილო და ეს გამგე... უკვე იცით რისი ღირსნიც ბრძანდებიან ბინძურეიშვილი და მისი დამქაშები, მაგრამ თუ რომელიმე თქვენგანმა კიდევ იცით ამისთანა სასადილო და ამისთანა გამგე... გამოაშკარავეთ დაუყოვნებლივ, უწა-უწა!

ყველანი
უწა-უწა, უწა!
უწა-უწა, უწა!

(გაჰყავთ ზოსიმე, კეკელა, მანია და მზარეული).

ფარდა

ს ა რ ჩ ე ვ ი

	გვ.
კაკალ გულში (პიესა 3 მოქმედებათ) . . .	1
ცოცხი და ლოკოკინა (კომედია 4 მოქმედებათ)	63
არაფერიც არ იქნება (სამმოქმედებიანი კომედია)	125
„ეწა-ეწა“ (სალაღობო მუსიკით და ცეკვით 4 მოქმედებათ) . .	169